# კვირის პალიტრა

32 გვ

№ 42 (287) ◆ 16 – 22 ოქტომბერი, 2000 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.


## ჯერ იმაზე გასცენ პასუხი, რატომ კაპიკსაც აღარავინ აძლევს საქართველოს?!



– ფანტასტიკური რაოდენობის ფული მოდიოდა საქართველოში, თანაც დარგობრივად და ასე უნამუსოდ შეჭამეს და გაანიავეს, ახლა კი დგანან და ტყუილებს აფრქვევენ – ვალებს ჩამოგვაწერენო!

– ჩვენთვის უაღრესად ხელსაყრელია რუსეთთან სავიზო რეჟიმი, იმავე აფხაზეთის საკითხის გათვალისწინებით. არძინბა იძულებული იქნება, ითხოვოს ორმაგი მოქალაქეობა – საქართველოსი და რუსეთის, წინააღმდეგ შემთხვევაში, მომავალში აფხაზეთიდან ცხვირს ვერ გაყოფს რუსეთშიც კი.

გვ.3

## სამხედრო თემაზე:

### დივერსია ჩეხეთში ნაყიდი ტანკების წინააღმდეგ

...ახალგარემონტებულ ტანკს არ უნდა გასკდომოდა ზეთის მიმწოდებელი მილი, რომელიც სულ ახალი იყო.

...ის, რომ მილს ვიღაცამ წინასწარი განზრახვით დაუსვა სამართებელი, უკვე საეჭვო აღარ არის.

გვ.9



## „ჯაბა იოსელიანს ვაფრთხილებ – შეეშვას უზრდელურ გამონათქვამებს...“



ჯაბა იოსელიანი მე და ყარყარაშვილს უდიერად გვიხსენიებს და ვაფრთხილებ: შეეშვას ასეთ უზრდელურ გამონათქვამებს ჩვენსა და ჩვენი ოჯახების მიმართ. უზრდელობა ჩვენც არანაკლებ შეგვიძლია.

გვ.7

## ყურადღება! რეიტინგში ჯეკ-პოტია

გვ.31

საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი



თბილისიდან სვეტიცხოველში ჩამოაბრძანეს ისეთი დიდი სიწმინდეები, როგორიცაა მაცხოვრის სამსჭვალი, წმინდა ნინოს ვაზის ჯვარი, წმინდა გიორგის მუხლის თავი, წმინდა დავით გარეჯელის მადლის ქვა და ყველას შეეძლო ამ სიწმინდეების მთხვევა.

გვ.4

## დღესასწაული!

## ...ყველამ მშვიდად იძინოს. მიჩუქნია მათთვის 100 წლიანი პრეზიდენტობა და პრემიერმინისტრობა

გვ.8

...საქართველოში დე ნიროს ჰკითხეს – რამდენია თქვენი შემოსავალიო. იცით, რა უპასუხა? მე თქვენ გიჩივლებთ იმისათვის, რომ ჩემი შემოსავლებით ინტერესდებითო...

... ჩემს ქალიშვილს შინ რემონტი აქვს, ფული სჭირდება და უნდა მივეხმარო. თუ ამ ქვეყანაში ესეც აკრძალულია?

*ნიკო ლეკიშვილი*

## ხომ გეშინებოდით გაქრებოდნენ-თქო!



ძიება ერთმა რაჭველმა გლეხმა დააკვალიანა, რომელიც გაქცეულებს საჩხერის ტყეში გადაჰყრია...

83 წლის ქალბატონს მათთვის მჭადი, ყველი და 25 ლარი მიუცია, ღამის გათევაზე კი უარი უთქვამს...

გვ.5

მაღლაფერიძის მოხსენება 384 გამოკვლეულ დეკლარაციას ეყრდნობოდა, საიდანაც 178 პირის ქონება მილიონსა და მეტსაც შეადგენს(?!).

...გვარები დავასახელო კი არა, გილიოტინა რომ აღვმართოთ და ყოველდღე თავები ვაყრევინოთ კორუმპირებულებს, ქვეყანას სისხლით მოვრწყავთ, ხოლო საქმეს ვერაფერს ვუშველით...

გვ.6

## ძლივს – ერთი ქართული, კაცური პროტესტი!



ტაეკვან-დოს მსოფლიო ჩემპიონატი ტარდებოდა...

აფხაზები, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს წარმომადგენლები, ისე იღებდნენ მონაწილეობას.

სასტუმროს დერეფანში ვიღაც ახმახმა გამაჩერა: ნუ გავიწყდება, ბავშვები თან გყავს და აფხაზეთის საზღვარიც აქვეაო.

გვ.6-7

## იდუმალებით მოსილი თვითმკვლელობა სვეტიცხოველთან...



...მაგნიტოფონს ბოლომდე აუწია, სკამზე გადაწვა და ნელ-ნელა მტკვარში შევიდა.

...რომ გადმოვიდე, მერე თქვენ მიშველით, ქალბატონო? – ისეთი თვალებით შემომხედა, მთელი ცხოვრება მემახსოვრება.

გვ.5

... იმ დღეს საცოლის დაბადების დღე ჰქონდა.

## „რქიანი“ ქურდები

ვაჟა-ფშაველას ძეგლი-კომპლექსიდან ირმის რქები მოიპარეს(!!!). თუ რქების წაღება შეძლეს და იკადრეს, გამორიცხული არ არის, ვაჟასაც დაეჯაჯგურონ...

...ვაკის პარკში დიდების მემორიალის მუდმივი ცეცხლის 200 კგ-იანი ბრინჯაოს გვირგვინი მოხსნეს.

...მარაბდაში – ცხრა ძმა ხერხეულიძის თავები, მხრები და საჭურველი.

გვ.7

## ჯანაშიას მე ვუთხარი, რომ არ ჩამოსულიყო!



ქართული ფეხბურთი არ მომკვდარა და საქართველოს პრეტენზია ექნება მსოფლიო ჩემპიონატის საგზურის მოპოვებაზე.

გვ.28


## ფირმა „ბერმუხა“



ბრტყელი სახურავების, საძირკვლების და აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები ადგილობრივი და უცხოური მასალებით, რესპუბლიკის ტერიტორიაზე. გარანტია 10 წელი.

წერეთლის გამზ. №55, ბინა №53

☎96-06-00; 35-15-05; 899-50-06-50


## საკვირაო ტელე-კინოაფიშა

16 - 22 ოქტომბერი



გვ. 16-17

## ვენდეტა

### ბათუმელი ქალბატონი და მისი ვაჟი მოსკოველებს შიშის ზარს სცემდნენ

...70-იან წლებში ბათუმელი ნიკიფოროვა მოსკოვში ხუთკაციან ბანდას ხელმძღვანელობდა და მაღაზია „ბერიოზკას“ აკონტროლებდა.

...უკვე აღარავის უკვირდა ერთ ლოჟაში გამოჭიმული ოთარ კვანტრიშვილის, პრეზიდენტობის კანდიდატ ბრინცალოვის, გოსდუმის დეპუტატის ივანოვის, გენერალ სამოხინის და „კალინას“ ერთად ხილვა.

გვ.10

Неделя · КОММАНДОС · ЧАСТНАЯ ЖИЗНЬ · ТЕЛОХРАНИТЕЛЬ · За РУБЕЖОМ · МОСКОВСКИЕ НОВОСТИ · Newsweek · FOCUS · Общая газета · DER SPIEGEL · КОМСОМОЛЬСКАЯ ПРАВДА · МК · stern · СЕГОДНЯ · Клюква · ИЗВЕСТИЯ · ТРУД · СОВЕРШЕННО СЕКРЕТНО · АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ · Иностранец · LE FIGARO magazine · PARIS MATCH · ТВ ПАРК · ЛИЦА · ОГОНЁК · daily · Le Nouvel Observateur · Итоги

## თქვენს გაზეთს მთელი საქართველო კითხულობს

ყვითელი ლურჯი შავი წითელი

## „რა აზრი ჰქონდა აბსანძის გაქცევას?!“

ფრიად საინტერესო შეფასება მისცეს რიგმა პოლიტიკოსებმა გაქცეულთა დაჭერის ფაქტს. დავით გამყრელიძის თქმით, გაქცეულები გაცილებით, „გონივრულად“ მოიქცეოდნენ, თბილისშივე რომ დარჩენილიყვნენ რომელიმე კონსპირაციულ ბინაში, სადაც გაცილებით გაჭირდებოდა მათი მიგნება, ვიდრე მთებსა და ტყეებშიო. ვახტანგ ბოჭორიშვილმა კი ვერ დამალა გაოცება და აღშფოთებაც გაქცეულთა საქციელით და ბრძანა: „თუ გაქცევა მართლაც იმ მიზნით და გეგმით განხორციელდა, როგორც აბსანძე აცხადებს, მაშინ ქობალია, აბსანძე და სხვები ციხეში კი არ არიან დასაბრუნებელნი, არამედ... ფსიქიატრიულ საავადმყოფოში! ვერ გამიგია, რა აზრი ჰქონდა აბსანძის გაქცევას?!“, — დასძინა ბატონმა ვახტანგმა.

## №1 სოციალისტს დამსახურება არ დაუკარგეს

პოლიტიკა რომ ბინძური საქმეა, ეს საყოველთაოდ ცნობილია, მაგრამ საქართველოს მსგავს გაუბედურებელ ქვეყნებში ეს პოლიტიკური სიბინძურე რომ ზღვარდაუდებელი ხდება, ფაქტია და ამას ძნელია შეეგუოს ქვეყნის პატრიოტი და პატიოსანი ნებისმიერი ადამიანი. აბა, სხვაგვარად როგორ უნდა შეფასდეს ქვეყნის პრეზიდენტის და მმართველი პარტიის თავმჯდომარის განცხადებები ვახტანგ რჩეულიშვილის მისამართით, როცა პრეზიდენტმა მოქკავშირის ე.წ. „საკონსოლიდაციო“ სხდომაზე სიტყვასიტყვით განაცხადა შემდეგი: „არასოდეს თავი ისე შეურაცხყოფილად არ მიგრძვნია, როგორც გორში ვახტანგ რჩეულიშვილის მიერ გაკეთებული მოწოდებების შემდეგ, როცა მან ისტორიის სანაგვეზე გამგზავნა მეც, ჩემი პოლიტიკური კურსიც და მოქალაქეთა კავშირიც(!), მაგრამ მაშინ ვიფიქრე, რჩეულიშვილი ან ნასვამი იყო, ან რაღაცაზე ძალიან გაბრაზებული, ან საერთოდ ვერ იყო... ჭკუაზე (აქ პრეზიდენტმა ხელი თავთან მიიდო და საყოველთაოდ ცნობილი ჟესტით დააფიქსირა ის, რასაც თითოეული ჩვენგანი აფიქსირებს ხოლმე, როცა ესა თუ ის პიროვნება შეშლილი გვგონია). მაგრამ ადამიანებს მოგვდის შეცდომები და ერთმანეთს უნდა გავუგოთ, დაველაპარაკოთ და შეცდომებთან ერთად დამსახურებაც არ უნდა დავუკარგოთ“.

და კიდევ: ბატონმა პრეზიდენტმა რჩეულიშვილის შესახებ ეს „წიაღსვლები“ „ახალ ფრაქციაზე“ საუბრის კონტექსტში გააკეთა (აი, „ახალი ფრაქციის“ არ მჯერა, მაგრამ მჯერა რჩეულიშვილის, რომელსაც დამსახურება აქვსო...), რითაც აშკარა შეიქნა, რომ №1 სოციალისტი მხოლოდ „ლამაზი თვალებისთვის“ არ დაუმტკიცებიათ მე-5 ვიცე-სპიკერად! სამწუხაროდ, სხდომის დამთავრებისთანავე, პრეზიდენტმა ისე სწრაფად დატოვა დარბაზი, რომ ჟურნალისტებს შანსი აღარ დაგვიტოვა რამდენიმე აუცილებელი კითხვით მიგვემართა...

## მაიქლ სქოული კმაყოფილია...

ზამთრის მოახლოებასთან ერთად მატულობს „მკითხაობა“ ელექტროენერგიის გრაფიკის ხანგრძლივობის ირგვლივ. დავით მირცხულავას განცხადებით, ჯერჯერობით, არ იგეგმება თბილისში გრაფიკის შემოღება. ამ საკითხზე სათბობენერგეტიკის სამინისტროს და ეი-ეს-თელასს შორის განუწყვეტელი კონსულტაციები მიმდინარეობს და თუ ეი-ეს-თელასის ხელმძღვანელობიდან გამოსულ ჩვენთვის „ფანტასტიკურ“ ინფორმაციას დავუჯერებთ, მთელი ზამთრის მანძილზე შეიძლება ისეც მოხდეს, რომ გრაფიკი საერთოდ არ იყოს(!), ან შარშანდელთან შედარებით გაცილებით უმტკივნეულო რეჟიმით ჩაიაროს(!). თავად მაიქლ სქოული ირწმუნება, რომ მისი კომპანია ყველაფერს აკეთებს, რათა გრაფიკი არავითარ შემთხვევაში არ იყოს დღის საათებში, არამედ იყოს მხოლოდ ღამის 1-2 საათიდან დილის 6-7 საათამდე. სქოულმა კმაყოფილებით აღნიშნა ის ფაქტიც, რომ მრიცხველების გარეთ გამოტანის შედეგად მნიშვნელოვნად იკლო ელექტროენერგიის მოხმარებამ, ანუ „ჩვენ ენაზე“ რომ ვთქვათ, მოსახლეობამ დაიწყო ელექტროენერგიის დაზოგვა, შესაბამისად, ოჯახის ბიუჯეტისაც...

მაიქლ სქოულმა ასევე მოითხოვა, რომ ზამთრის პერიოდში გარეგანათებებზე უარი თქვან რესტორნების, კაზინოების, სუპერმარკეტების მფლობელებმა, ასევე სახელმწიფო დაწესებულებებმა. ეს შეზღუდვა არ შეეხება მხოლოდ ქუჩების განათებას. სქოულს ეთანხმება დედაქალაქის მერიაც და უახლოეს მომავალში „ეი-ეს-თელასი“ მერიასთან ერთად აპირებს მოლაპარაკების გამართვას აღნიშნულ ობიექტთა ხელმძღვანელებთან ელექტროენერგიის დაზოგვის საკითხებზე.

## დემოკრატიამ „იზეიმა“(!)

საქართველოში დემოკრატიის „ზეობის“ უპრეცედენტო მოვლენად იქცა ის ფაქტი, რომ შარშან საპარლამენტო არჩევნებში „დამარცხებული“, საქართველოს სამართალდამცავებისა და თვით ინტერპოლის მიერ ძებნილი ექსკავშირგაბმულობის მინისტრი ფრიდონ ინჯია მარტვილის რაიონის მაჟორიტარ დეპუტატად 12 ათასმა კაცმა აირჩია(!). ფრიდონ ინჯიამ, მოქკავშირის კანდიდატ იოსებ გადელიასთან შედარებით ორჯერ მეტი ხმა მოაგროვა. ერთი სიტყვით, ფრიდონ ინჯია საქართველოს პარლამენტის კანონიერი დეპუტატია. მმართველი ძალის ზოგიერთი წარმომადგენლის განცხადებით, „თუ ინჯია პარლამენტში მათ გვერდით დაჯდება, ისინი (ანუ „მოქალაქეები“) გამუდმებით შეახსენებენ, რომ ინჯიას წინააღმდეგ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და რომ იგი ქურდია(!)“. თუმცა არიან სხვა „მოქალაქეები“, მათ შორის, ვიცე-სპიკერი გიგი წერეთელი და რიგითი დეპუტატები, რომლებიც მზად არიან, ახალარჩეულ დეპუტატთან სათანამშრომლოდ და ყველა სადავო საკითხის ცივილიზებული ფორმით გასარკვევად.

გენპროკურატურის განცხადებით, თუ ინჯია გამოჩნდა პარლამენტში, ისინი დაუყოვნებლივ დასვამენ მისთვის იმუნიტეტის მოხსნის საკითხს, მაგრამ სარწმუნო ინფორმაციით, ინჯია, ჯერჯერობით, არ აპირებს საქართველოში ჩამოსვლას. ამას არც №1 ლეიბორისტი შალვა ნათელაშვილი ურჩევს გალეიბორისტებულ ექსკავშირგაბმულობის მინისტრს, რადგან მისივე ხუმრობანარევი თქმით, „ფრიდონ ინჯიას ჯერ ციხეში უკრავენ თავს, იქიდან „რესბალნიცაში“, სადაც გაათხრევინებენ გვირაბს გასაქცევად და ხელმეორედ ატეხენ სკანდალს ინჯიას თემაზე...“

...თუ მანამდე არ დააპატიმრა ინტერპოლმა უცხოეთის რომელიმე აეროპორტში(!).

## ვინ მოკლა უჩანეიშვილი?

უზენაეს სასამართლოში დაიწყო შარშან, რესტორან „თამარიონში“ მომხდარი მკვლელობის საქმის განხილვა, რაც დამოუკიდებელ იურისტთა თქმით, შეიძლება გაუთვალისწინებელი და სენსაციური ფინალითაც კი დასრულდეს... სენსაციურში იგულისხმება ის, რომ პარლამენტარ ლევან პირველს მკვლელობაში ადანაშაულებს დაზარალებულის მეუღლეც და ადვოკატიც. ეს გასულ კვირას გამართულმა სასამართლო სხდომამაც ცხადყო. მეტიც, ადრე სწორედ უჩანეიშვილის მკვლელობაში ეჭვმიტანილ ლევან პირველის დაცვის უფროსს, გიორგი რჩეულიშვილს (იგი თავის თავზე იღებდა დანაშაულს), ბრალდება მოუხსნეს მას შემდეგ, რაც მოკლულის მეუღლემ მკვლელში ლევან პირველი ამოიცნო. გიორგი რჩეულიშვილს კი დღეს ასამართლებენ მძიმე ხულიგნობისა და მკვლელობის მცდელობის მუხლით (გარდაცვლილი უჩანეიშვილის თანაკურსელმა სასამართლოს უამბო, როგორ ურტყამდა მას პისტოლეტის ტარს თავში რჩეულიშვილი, როგორ ემუქრებოდა მოკვლით, რის გამოც სტუდენტმა „ვეღარ დაინახა“ როგორ მოუკლეს თვალწინ მეგობარი უჩანეიშვილი).

მკვლელობაში იმთავითვე ეჭვმიტანილი კომპანია „ანგლო-ოილის“ პრეზიდენტის, ლევან პირველის მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმე შეჩერებულია დღესაც და მის დაკავებაზე სასამართლოს სანქცია არ გაუცია, მაგრამ დღეს დაზარალებულის ადვოკატი გულიკო გაბაიძე გიორგი რჩეულიშვილისა და ლევან პირველის საქმეების გაერთიანებას მოითხოვს: მისი თქმით, მკვლელი პარლამენტარია და იგი სახეზეა, ამიტომ მსგავსი პრეცედენტები უნდა მოისპოს და „დადგენილ იქნეს ნებისმიერი დამნაშავე მიუხედავად მისი სტატუსის, ქონებრივი ცენზისა და თანამდებობრივი მდგომარეობისა...“ სასამართლომ დასაკითხად გამოიძახა ლევან პირველი, რომელიც... ავსტრიაში აღმოჩნდა სამკურნალოდ. დაზარალებულის ადვოკატმა მხოლოდ „გაოცებაღა“ გამოთქვა პარლამენტარის ასე უეცრად შეუძლოდ გახდომის გამო.

## გაიძარცვა 9 აპრილის სახელობის მუზეუმი

**(გეა)** ჟურნალისტთა კავშირის „სხივის“ პრეზიდენტი თამაზ ბიბილური სახელმწიფო მინისტრ გიორგი არსენიშვილისგან 3 დღის ვადაში სახელმწიფო კანცელარიის თანამშრომლის მიერ დატაცებული 9 აპრილის სახელობის მუზეუმის ყველა მასალის დაბრუნებას ითხოვს. ამის შესახებ მან ღია წერილით მიმართა არსენიშვილს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბიბილური კანცელარიის თანამშრომელზე, სულიკო ქიტიაშვილზე სისხლის სამართლის საქმის აღძვრას მოითხოვს.

გამართულ პრესკონფერენციაზე „სხივის“ პრეზიდენტმა თამაზ ბიბილურმა განაცხადა, რომ მერიის ქონების მართვის სამმართველომ კანონის დარღვევით შეიტანა საპრივატიზაციო ნუსხაში 9 აპრილის სახელობის მუზეუმი, რომელიც მართალია არ არის სახელმწიფოს კუთვნილება, მაგრამ კანონით მუზეუმის გაყიდვა არ შეიძლება. პრივატიზაციის დოკუმენტში ჩაწერილი არ ყოფილა, რომ ობიექტი წარმოადგენს მუზეუმს. ეს უკანასკნელი 1999 წელს 2 ათას დოლარად გაიყიდა აუქციონზე და მისი მფლობელი გახდა სულიკო ქიტიაშვილის (სულიკო ქიტიაშვილი მუშაობს მძღოლად კანცელარიაში და ხელისუფლების პირველ პირებს ემსახურება) ქალიშვილი, ეკა ქიტიაშვილი. აუქციონზე ობიექტის გაყიდვა მოხდა ბიბილურის ფარულად, თუმცა მას მერიასთან დადებული აქვს ხელშეკრულება ობიექტის იჯარით ფლობის შესახებ 2005 წლამდე.

მუზეუმი გაძარცვეს სექტემბრის ბოლო რიცხვებში. გატაცებულია ფოტოები, ავეჯი და სხვადასხვა დოკუმენტაცია, ალექსანდრე როინიშვილისა და გურამ თიკანაძის საგამოფენო სურათები და ორიგინალები, სხვა უნიკალური მასალები.

## საბანკო სკანდალი გრძელდება

გრძელდება სკანდალი, რომელიც გაერთიანებული ქართული ბანკის ერთ-ერთი მსხვილი ფილიალის ხელმძღვანელის თვითმკვლელობას მოჰყვა. შეგახსენებთ, რომ ახლახან აგარაკზე თავი ჩამოიხრჩო საბურთალოს რაიონის ფილიალის უფროსმა ზურაბ ახალბედაშვილმა...

ბანკი კატეგორიულ უარს აცხადებს გაისტუმროს ის თანხა, რომელსაც ფილიალის დირექტორი ხალხისგან (მეანაბრეებისგან) იღებდა. ამ თანხის საერთო რაოდენობა „ნახევრად ოფიციალური“ მონაცემებით 500 მლნ ლარია, არაოფიციალურით კი — მილიონ-ნახევარი ლარი. ბანკის ოფისის შენობას კი მეანაბრეები მიაწყდნენ ტრადიციული მოთხოვნით — დაგვიბრუნეთ ჩვენი ფულიო. მათი თხოვნა, ჯერჯერობით, რჩება ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა და როგორც ბანკის მფლობელები ამბობენ, ასევე დარჩება. ბანკი მეანაბრეებს ფულის დაბრუნებაზე უარს ეუბნება, რადგან გაერთიანებული ქართული ბანკის ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ ბანკის საბურთალოს ფილიალის ხელმძღვანელმა მეანაბრეებს ყალბი ხელშეკრულება გაუფორმა და რომ ამ მეანაბრეების თანხა ბანკში არ შესულა. მეანაბრეები კი ირწმუნებიან, რომ ყველა დოკუმენტზე გაერთიანებული ქართული ბანკის ბეჭედია და რომ შეუძლებელია, ბანკის მესვეურთ არ სცოდნოდათ, რა ხდებოდა ბანკის საბურთალოს ფილიალში... მაგრამ არც ამ არგუმენტმა გაჭრა, რადგან ბანკის ხელმძღვანელები გაიძახიან, რომ გარდაცვლილი ზურაბ ახალბედაშვილი დოკუმენტებზე ბეჭდის ნაცვლად, შტამპებს არტყამდა... მეანაბრეები კი აცხადებენ, რომ მათ არ აინტერესებთ, რა არის დარტყმული დოკუმენტებზე, ბეჭედი თუ შტამპი. მათ შეიტანეს ბანკში მყარი ვალუტა, იღებდნენ დივიდენდებს და სურთ, კუთვნილი თანხა მაინც დაიბრუნონ.

საინტერესოა, როგორ დააღწევს თავს ამ სკანდალს გაერთიანებული ქართული ბანკი, მით უმეტეს, რომ მისი ერთ-ერთი დამფუძნებელი, პარლამენტარი ზაზა სიორიძე (მეორე დამფუძნებელი ეკონომიკის მინისტრი ივანე ჩხარტიშვილია) ნაკლებად შესაძლებლად მიიჩნევს ბანკის საბურთალოს ფილიალში შეტანილი 5-6-7%-იანი ანაბრების განაღდებას, რადგან ახალბედაშვილი ამ თანხებს საბანკო ოპერაციების გვერდის ავლით იღებდაო. მაგრამ ამ განცხადებასაც ჩალის ფასი აქვს მეანაბრეებისათვის, რადგან მათ ხელშეკრულებები აქვთ დადებული... გაერთიანებულ ქართულ ბანკთან და არა ახალბედაშვილთან!

## ჯაბა კენჭს იყრის...

„რესბალნიციდან“ პატიმრების გაქცევა „წყალობა“ აღმოჩნდა ოდესღაც იმავე საავადმყოფოში ნამყოფი (ოღონდ შემდეგ შეწყალებული) №1 მხედრიონელის, ჯაბა იოსელიანისთვისაც. მაშინ, როცა ვაკის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის გამოთავისუფლებული ადგილის დასაკავებლად არჩევნებში მონაწილეობაზე კატეგორიული უარი განაცხადეს ცნობილმა და მეტ-ნაკლებად ცნობილმა პოლიტიკოსებმა, ასპარეზზე გამოჩნდა ჯაბა იოსელიანი.

ვაკის მაჟორიტარი დეპუტატის არჩევნები 2001 წლის გაზაფხულზე გაიმართება. ჯაბა იოსელიანის გარდა, ჯერჯერობით, უცნობია, ვინ მიიღებს მონაწილეობას ამ არჩევნებში.

## „განგსტერებმა“ მინისტრის ბინა ვერ „აიღეს“

თბილისელი „განგსტერები“ ამჯერად სათბობენერგეტიკის მინისტრის, დავით მირცხულავას ბინას დაეცნენ, დღისით-მზისით. მათ მოტყუებით გააღებინეს კარი მინისტრის მეუღლეს და ბინაშიც შეიჭრნენ, მაგრამ ქალის ისტერიულმა კივილმა ისე დააფრთხო, როგორც ჩანს, ახალგამოჩეკილი „განგსტერები“, რომ მათ მხოლოდ საათი გააყოლეს ხელს, სამაგიეროდ, არ დავიწყებიათ, თავიანთი „შემშინებლისათვის“ პისტოლეტი ჩაერტყათ თავში.

ვარაუდობენ, რომ „განგსტერთა“ ასაკი არ აღემატებოდა 25 წელს.

## ტრეფიქინგმა ნარკობიზნესს გადააჭარბა

**(გეა)** საქართველოში შექმნილმა რთულმა პოლიტიკურ-ეკონომიკურმა და სოციალურმა ვითარებამ ხელი შეუწყო ორგანიზებული დანაშაულის ისეთი ფორმის გავრცელებას, როგორიცაა ტრეფიქინგი (უცხოეთში დასაქმების ან სწავლის ცრუპირობით ქალების მეძავეებად ან იაფ მუშახელად გაყვანა). ამ არალეგალური ბიზნესის შემოსავლებმა ნარკობიზნესის შემოსავლებს გადააჭარბა.

„ტრეფიქინგის არსებობა მთელ მსოფლიოში გლობალურ პრობლემად იქცა. განვითარებადი ქვეყნების როლი ამ საქმეში საექსპორტოა და, ბუნებრივია, საქართველოში მოქმედი დასაქმების საშუამავლო ზოგი ფირმა (იურიდიული თუ კერძო პირი), რომელიც მავანთ საზღვარგარეთ სამუშაოს ჰპირდება, პირდაპირი თუ არაპირდაპირი ფორმით, ტრეფიქინგის სისტემაშია ჩართული საზღვარგარეთ დასაქმებისა და სწავლის პირობების შეთავაზების გზით. სწორედ მათი დამსახურებაა, რომ არაერთი ჩვენი მოქალაქე, უმეტესწილად კი ბევრი ახალგაზრდა გოგონა, მოტყუებით იქნა გაყვანილი უცხო ქვეყნებში იაფ მუშახელად და პოტენციურ მეძავეებად ქცევის მიზნით“, — განაცხადა საერთაშორისო კავშირის „მიგრანტთა და უცხოელ მოქალაქეთა უსაფრთხოების დაცვის ცენტრის ხელმძღვანელმა ნუგზარ სულაშვილმა. მისი თქმით, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩვენი ხელისუფლება დუმილს ამჯობინებს, რითაც მარტივად აგვარებს ქვეყანაში დასაქმებისა და სოციალურად უზრუნველყოფის პრობლემას, მაშინ, როცა ქვეყანაში არ არსებობს მოქალაქეთა პიროვნული ღირსების პატივისცემისა და თავისუფლების დაცვითი მექანიზმი.




## ბასაევს ისრაელელებთან ბრძოლა სურს

**(რუსული პრესის მიხედვით)** ჩეჩენი საველე მეთაურის, შამილ ბასაევის განცხადებით, იგი მზადაა 150 მებრძოლით გაემგზავროს ახლო აღმოსავლეთში „იერუსალიმის გამათავისუფლებელ წმინდა ომში მონაწილეობის მისაღებად“. თუ საჭირო შეიქნა, შამილ ბასაევს შეუერთდება დაახლოებით ათასამდე ბოევიკი. ადრე არაბი ექსტრემისტები ეხმარებოდნენ ჩეჩენ ბანდიტებს, ახლა, ჩანს, ვალის გადახდის დრო დადგა.

## ჩინეთს ნობელიანტი ჰყავს

**(გეა)** ნობელის პრემიის კომიტეტმა გამოაცხადა ახალი ნობელიანტების გვარები. ლიტერატურის დარგში, ქვეყნის ისტორიაში პირველად, პრემია მიიღო ჩინელმა მწერალმა გაო სინძიანმა, რომელმაც სასწაული უწოდა მისთვის 2000 წლის ნობელის პრემიის მინიჭებას. ამ რომანისტისა და დრამატურგის ნაწარმოებები აკრძალულია მის სამშობლოში. მან ჩინეთი 1987 წელს დატოვა და პარიზში დასახლდა იმისათვის, რომ თავისი იდეების თავისუფლად და შეზღუდვის გარეშე გამოხატვის საშუალება ჰქონოდა.

სიახლეს დუმილით შეხვდა ოფიციალური პეკინი. შვედეთის აკადემიის განცხადებაში ნათქვამია, რომ პრემიის მინიჭებისას გეოგრაფიული და პოლიტიკური ფაქტორები მნიშვნელოვანი არ არის, ხოლო გაო სინძიანის ნაწარმოებები „ჩინური პროზისა და დრამატურგიის წინაშე ახალ გზებს ხსნის“. პრემიის ფულადი ეკვივალენტი 900 ათას ამერიკულ დოლარს შეადგენს.

## თურქეთი აპროტესტებს

**(რუსული პრესის მიხედვით)** მაღალჩინოსანმა თურქმა გენერალმა მოულოდნელად გადადო ვაშინგტონში დაგეგმილი ვიზიტი. ანკარამ გამოაცხადა, რომ უახლოეს ხანში გაგზავნის თავის წარმომადგენელს ბაღდადში. თურქეთის პარლამენტი განიხილავს საკითხს იმის თაობაზე, გააგრძელოს თუ არა თავისი შეთანხმება ქვეყნის ტერიტორიაზე ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ბაზების იჯარასთან დაკავშირებით. რა შეიცვალა მოკავშირეთა ურთიერთობაში?

ყველაფრის მიზეზი შეიქნა აქამდე შეუმჩნეველი კალიფორნიელი კონგრესმენი, რესპუბლიკელი ჯეიმს როგანი. აქამდე იგი თავის შტატში დამნაშავეობის აღმოსაფხვრელად იბრძოდა და საერთაშორისო პოლიტიკის მიმართ ინტერესი არ გამოუჩენია. წინასაარჩევნო კამპანიამ როგანი აიძულა მსოფლიო გეოპოლიტიკით დაინტერესებულიყო. ამიტომაც გადაწყვიტა, გამოეყენებინა მის ოლქში მცხოვრები ათიათასობით სომხის პოტენციალი. მან წარმომადგენელთა პალატის სპიკერის — დენის ჰასტრის ხელშეწყობით საერთაშორისო საქმეთა კომიტეტში მოაწყო მოსმენა თემაზე: „თურქეთის მიერ მოწყობილი სომეხთა გენოციდი ოთომანთა იმპერიის წლებში“. კონგრესმენებს დაავიწყდათ, რომ აღმოსავლეთთან ჰქონდათ საქმე. მოსმენის მეორე დღესვე თურქეთის პრეზიდენტმა აჰმედ სეზარმა დაურეკა პრეზიდენტ კლინტონს და პროტესტი გამოთქვა კომიტეტის მიერ მიღებული რეზოლუციის მიმართ, რომელიც თურქთა მოქმედებას სომხების წინააღმდეგ გატარებულ გენოციდად მიიჩნევს.

სკანდალი დღითი დღე იკრებს ძალას. კონგრესმენ როგანის წინასაარჩევნო ინტერესებმა საფრთხის წინაშე დააყენა მისი ქვეყნის მრავალმილიარდიანი კონტრაქტები ნატოს სამხრეთელ წევრებთან. პენტაგონელი გენერლები შეძრწუნებულნი არიან — თურქეთის პარლამენტს შეუძლია აუკრძალოს ამერიკის შეერთებულ შტატებს სამხედრო ბაზის გამოყენება ინჯირლიკში, რომლის იჯარის ვადა 30 ოქტომბრამდეა (იქ განლაგებული ამერიკული თვითმფრინავები ასრულებენ საბრძოლო ოპერაციებს ერაყში).

თურქეთმა სომხეთის მოქალაქეებს შეუწყვიტა ვიზების გაცემა სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებში. ახლა ისინი ვიზებს მხოლოდ თურქეთის საელჩოში მიიღებენ.

ერევანში დარწმუნებულები არიან, რომ თურქეთის სანქციები სომხეთის წინააღმდეგ ამით არ დამთავრდება. სავარაუდოა, რომ თურქეთი დახურავს საჰაერო დერეფანს სომხეთისთვის. ამ შემთხვევაში გაუქმდება ავიაკომპანია „სომხეთის ავიახაზების“ ჩარტერული რეისი ერევანი-სტამბოლი-ერევანი.

# ჯერ იმაზე გასცენ პასუხი, რატომ კაპიკსაც აღარავინ აძლევს საქართველოს?!

მაშინ, როცა საქართველოს ხელისუფლებ-ისა და ისთებლიშმენტის სადისკუსიო თემებს წარმოადგენდა ჯერ გურამ აბსანძის ფიზიკური მონაცემების განსაზღვრა და იმის გარკვევა, გაეტეოდა თუ არა „რესბალნიცაში“ გათხრილ გვირაბში; შემდეგ სახელისუფლებო ელიტაში მომხდარი დიდი გადაადგილებების თემაზე სჯა-ბაასი; ბოლოს კი გაქცეულ პატიმართა ასაყ-ვანად განხორციელებული უსისხლო ოპერაცი-ის შედეგებით ტკბობა; ახლო აღმოსავლეთში ისეთ პროცესებს მიეცა გასაქანი, რომელმაც მთელი მსოფლიოს გული და გონება მიიპყრო: ჯერ ვერ გამოსულიყო დასავლეთი იუგოსლა-ვიაში მილოშევიჩის რეჟიმის დამხობით მიღე-ბული კმაყოფილების განცდიდან, რომ მოუ-ლოდნელად ისრაელ-პალესტინის მოუგვარებელ-მა კონფლიქტმა საერთაშორისო თანამეგობრობა ახლო აღმოსავლეთში ახალი ომის გაჩაღების საშიშროების წინაშე დააყენა! იმავდროულად, ყაზახეთში დსთ-ის ექვსმა ქვეყანამ ხელი მოაწ-ერა სახელმწიფოთა ახალი გაერთიანების შე-ქმნის ხელშეკრულებას, რითაც, ფაქტობრივად, ნულს გაუტოლდა დსთ-ის შენარჩუნების თეო-რიული შანსიც კი... ბუნებრივია, ამ გლობალ-ური და რეგიონული პროცესების შედეგები, ადრე თუ გვიან, მრავალი თვალსაზრისით გავ-ლენას მოახდენს საქართველოზეც. ვფიქრობ, უპრიანია ბოლო დროს მომხდარ მოვლენებს ექსპერტის თვალით შევხედოთ და გავაანალი-ზოთ, რასთან გვაქვს საქმე და ამ გლობალური პროცესების ფონზე კვლავაც რა ხდება საქართველოში! ვესაუბრები პოლიტოლოგ **რა-მაზ კლიმიაშვილს:**

— იუგოსლავიაში განვითარებული მოვ-ლენების ფონზეც კი, დასავლეთის ყველა წამყ-ვანი ტელეკომპანია ახალ ამბებს სწორედ ახლო აღმოსავლეთიდან იწყებდა, როცა იქ ჯერ კიდევ არ იყო მისული საქმე შეიარაღებულ დაპირი-სპირებამდე. ჩვენ უფრო სერბეთზე გვქონდა აქცენტი გადატანილი, რადგან, მაპატიოს ყვე-ლამ და, იუგოსლავიაში ცოტა ხნის წინ იყო ზუსტად ისეთივე ვითარება, როგორიც საქართველოშია. განსხვავება ის არის, რომ იუგოსლავია იზოლაციაში ჰყავდა მოქცეული დასავლეთს, საქართველო კი პოლიტიკურ იზოლაციაში იმიტომ არ აღმოჩნდა, რომ რუსეთმა ზურგი შეგვაქცია. მილოშევიჩი კი თავიდანვე მხოლოდ მოსკოვისკენ იყურებოდა... დიახ, კიდევ მაპატიოს ყველამ, მაგრამ დღევან-დელ საქართველოსა და მილოშევიჩის იუგო-სლავიას შორის არანაირი განსხვავება არ არის და მარტო მართლმადიდებლობა კი არ გვაკავ-შირებს მასთან, არამედ პოლიტიკური სისტე-მის აბსოლუტური იდენტურობა. ამიტომ მთე-ლი საქართველო ინტერესით მოელოდა, თუ რით დამთავრდებოდა კრიზისი სერბეთში, რათა ამთავითვე განეჭვრიტა, თუ რა მოხდე-ბოდა საქართველოში უახლოეს მომავალში. იქნება ხავერდოვანი ცვლილება სისტემისა თუ, ღმერთმა დაიფაროს და, სისხლიანი... დიახ, მოვაწყოთ ერთი ნამდვილი, დემოკრატიული არჩევნები და ვნახოთ, ვინ გაიმარჯვებს. მა-გრამ ეს ხომ შეუძლებელია, ვიდრე არ შეიცვ-ლება საარჩევნო კანონი, ვიდრე კინწისკვრით არ გააგდებენ ცენტრალურ საარჩევნო კომი-სიას, რომელიც რას აკეთებს, ჯერ კიდევ კარ-გად არ ვიცით. ვიდრე არჩევნებამდე და არჩევნების დღეს სახლებში არ გამოვამწყვდევთ გამგებლებს და რაიონების პოლიციის უფროსებს, მანამდე საქართველოში არჩევნებ-ის ჩატარებას აზრი არა აქვს. იუგოსლავიაში ხალხმა დაიცვა თავისი არჩევანი და საქართველოსაც მართებს უკვე დემოკრატიულ ფასეულობებზე გადასვლა, მით უფრო, ვხედავთ, რა ხდება ჩვენ ირგვლივ...

**— ხდება კი ის, რომ ახლო აღმოსავლეთი მორიგი ომის დაწყებ-ის ზღვარზეა, რომელიც გაჩაღების შემთხვევაში, შეიძლება გადაიზარ-დოს პროგნოზირებულ ცივილიზაცი-ათა დაპირისპირებასა და იქნებ კონ-ფრონტაციაშიც...**

— პალესტინელებს აქვთ ორი მოთხოვნა — დამოუკიდებელი სახელმწიფოსა და დედაქალაქად აღმოსავლეთ იერუსალიმის გამოცხადება, ანუ ის, რასაც ეწოდება ძველი იერუსალიმი. საინტერესოა, რომ პალესტინის დამოუკიდებლობაზე კემპ-დევიდში, ფაქტობრი-ვად, შეთანხმდნენ. როგორც იქნა, ისრაელი მივიდა იმ დასკვნამდე, რაც 1948 წელს დაადგ-ინა გაერომ — პალესტინის ტერიტორიაზე უნდა არსებობდეს ორი სახელმწიფო, არაბული და ებრაული. არაბებსაც დიდი დრო დასჭირდათ მიმხვდარიყვნენ, რომ ისრაელის სახელმწიფოს არსებობა აუცილებელი იყო და მას ვერაფერს მოუხერხებდნენ. ორივე მხარეს ათწლეულები დასჭირდა კონსენსუსის მისაღწევად: ებრაელებ-ისთვის მძიმე იყო პალესტინელებისთვის ავ-ტონომიის მიცემა, მაგრამ დათანხმდნენ. დღეს მზად არიან, აღიარონ პალესტინის დამოუკიდე-ბლობაც, მაგრამ იერუსალიმი ვერ გაუყვიათ. არადა, 1948 წლის გაეროს რეზოლუციის თანახ-მად, იერუსალიმი ღია ქალაქად გამოცხადდა, რომელიც გაეროს უნდა ემართა. ეს გახლავთ ყველაზე სწორი გადაწყვეტილება. იერუსალი-მი ერთადერთი ქალაქია მსოფლიოში, რომელ-იც ერთდროულად სამი უდიდესი რელიგიის ცენტრია და როგორ გინდა იყოს ერთ-ერთი მათგანის საკუთრება?

**— იერუსალიმის ბოლომდე დასა-კუთრება არც ერთ მხარეს არ გამოუ-ვიდა, არც ძალით, არც მოლაპარაკე-ბით, არც ზეწოლით... არადა საქმე ომის დაწყებამდეა მისული...**

— არც გამოუვათ! 1948 წლის შემდეგ პირველებმა არაბებმა ჩაიგდეს ხელში უკანონ-ოდ იერუსალიმი. 1967 წლის ექვსდღიანი ომის შედეგად ისრაელმა წაართვა ქალაქი არაბებს, ათიოდე წლის წინ კი ისრაელის დედაქალაქა-დაც გამოაცხადეს, მაგრამ არც ერთმა ქვეყან-ამ არ ცნო. შეუძლებელია, იერუსალიმი იყოს ისრაელის დედაქალაქი. ყველა საელჩო ამიტო-მაც დარჩა თელ-ავივში! დღეს კი პალესტი-ნელებს დაუჟინიათ — აღმოსავლეთ იერუსალ-იმი მოგვეცით დედაქალაქადო... ყოველივე ეს არასერიოზულია, რადგან ნამდვილი იერუსალ-იმი არის სწორედ მისი აღმოსავლეთი ნაწ-ილი, დასავლეთ იერუსალიმი მხოლოდ მე-20 საუკუნეში გაშენდა და არაბებიც ებრაელებს „უტოვებენ“ მას! ებრაელებს კი უნდათ გოდებ-ის კედელი, სადაც მათი უძველესი ტაძარი იდგა!.. 1967 წლამდე, ებრაელებს მისვლაც კი არ შეეძლოთ კედელთან — და თუ კვლავაც არაბების ხელში მოექცა, ებრაელებს ახლოსაც არ გააჭაჭანებენ... პალესტინელები ამტკიცებენ, ძველი ქალაქი და გალავანი არაბების აშენებ-ულიაო. ყველაზე დიდი ნაგებობა არის ომარ-ის მეჩეთი, სადაც დევს კიდეც ის ქვა, რომელზეც მაჰმადი გარდაიცვალა და ავიდა ზეცად! ეს ქვა, იმავდროულად, ძვირფასია ებრაელები-სთვისაც და ქრისტიანებისთვისაც, რადგან სწორედ ამ ქვაზე უნდა შეეწირა მამა აბრამს ღვიძლი შვილი ღმერთისათვის! ასეთ ვითარე-ბაში როგორ უნდა გადაწყდეს დავა? ერთად-ერთი გამოსავალია ის, რომ ქალაქი უნდა იყოს გაეროს კონტროლის ქვეშ და ცისფერჩაფხუ-ტიანი ხალხი იდგეს იქ, სადაც ყველას თავისუ-ფლად შეეძლება ცხოვრება და მიმოსვლა.

**— ასეა თუ ისე, მოვლენები ნებისმიერ წუთს შეიძლება გამოვ-იდეს კონტროლიდან და მსოფლიო კვლავ გაიყოს ორ ბანაკად, თანაც გაცილებით საშიშ ვითარებაში, ვი-დრე ეს ბალკანეთის კრიზისის დროს იყო...**

— სავსებით შესაძლებელია. ისრაელს მხ-არს დაუჭერს ევროპა და ამერიკა, პალესტინას კი მთელი აზია და რუსეთი. შედეგად, შეი-ძლება მივიდეთ ისეთ დაპირისპირებამდე, რომელსაც შიშით ელის მსოფლიო, მხედველო-ბაში მაქვს კონფრონტაცია ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის, ანუ რელიგიათა, ცივილი-ზაციათა დაპირისპირება, რაც გაცილებით უარესი იქნება, ვიდრე „ცივი ომი“... სხვათა შორის, ბოლო დროს რუსეთი ძალიან დაუახ-ლოვდა ისრაელს, ბოლოს და ბოლოს, ისრაე-ლის მოსახლეობის ნახევარი ყოფილი საბჭოთა კავშირიდანაა ჩასული. მოსკოვი მიხვდა, რომ ადრე სულელურ პოლიტიკას ატარებდა ისრაე-ლის მიმართ, მაგრამ რუსეთი ძნელად ეგუება იმ ფაქტს, რომ ისრაელი აშშ-ის მოკავშირე და მისი უძლიერესი დასაყრდენია ახლო აღმო-სავლეთში. რუსეთი კი ეძებს თავის ახალ როლს და ადგილს და თუ იგი ღრმად ჩაეფლო ახლო აღმოსავლეთის პროცესებში, თანაც ისრაელის საწინააღმდეგოდ, ეს მისთვის იქნება დამღუპვე-ლი...

**— ანუ ბალკანეთსა და პოსტსა-ბჭოურ სივრცეში რუსეთის გავლე-ნის კლებასთან ერთად მოსკოვი ააქ-ტიურებს ძალისხმევას მუსლიმანურ სამყაროში და თან არც იმის თქმას თაკილობს, რომ „რუსები მუდამ არ-აბების ძმები იყვნენ და დღესაც ვართო(!)“. დავუმატოთ ამას, სწორედ ახლო აღმოსავლეთის კრიზისის ფონზე ყაზახეთში გამართული სამიტი დსთ-ის ექვსი ქვეყნის მონაწილეობით, მათ მიერ გაფორმებული ხელშეკ-რულება და ვნახავთ, რომ რუსეთი ერთგვარ ახალ თამაშს იწყებს ევრა-ზიულ სივრცეში...**

— რუსეთმა დათმო თავისი გარეიმპერიის ტერიტორიები. ჯერ კიდევ რამდენი წლის წინ ვაცხადებდი „კვირის პალიტრაში“ — რომც არ ვიყვიროთ და ვილანძღოთ, რუსეთი მაინც წავა საქართველოდან-მეთქი! მაშინ ჩემი პროგნო-ზები ბევრს სასაცილოდ არ ჰყოფნიდა, დღეს ფაქტი სახეზეა! უბედურება ის არის, რომ ჩვე-ნი ხელისუფლების ჩინოვნიკებმა, რომლებიც საბჭოთა მსოფლმხედველობით არიან „დავაჟკა-ცებულნი“ და რუსულ ყაიდაზე აღზრდილნი, ლამისაა ცრემლები აღვარღვარონ, — არიქა, რუსეთი სამუდამოდ მიდის საქართველოდან, სავიზო რეჟიმს შემოიღებს და რა გვეშველე-ბაო! არადა, ვიზების შემოღება არის სახელმ-წიფოებს შორის ურთიერთობებში ყველაზე ნორმალური პრაქტიკა. სავიზო რეჟიმი ნიშ-ნავს, რომ რუსეთი, როგორც იქნა, გვაღიარებს დამოუკიდებელ ქვეყნად. რაც შეეხება ეკონომიკურ შედეგებს, რისიც ასევე ეშინიათ ჩვენს ჩინოვნიკებს, ამთავითვე უნდა შევეგუოთ, რომ რუსეთიდან გამოყრიან იმ ქართველებს, ვისაც რუსეთის მოქალაქეობა არ აქვს. ქართვ-ელს არ სურს დათმოს საქართველოს მოქალაქეო-ბა და ამიტომ ადგეს ჩვენი პარლამენტი და მისცეს უფლება, ჰქონდეს ორმაგი მოქალაქეო-ბა. ხუთ წუთში შეუძლია პარლამენტს ამ საკ-ითხის გადაწყვეტა და აღარ დასჭირდებათ ოხვრა და თავში ხელის ცემა! საერთაშორისო პრაქტიკით, ორმაგი მოქალაქეობა სწორედ პატარა ქვეყნისთვისაა სასარგებლო!

რაც შეეხება ასტანაში ხელმოწერილ ახალ შეთანხმებას რუსეთს, ბელორუსიას, ყაზახეთს, ყირგიზეთს, ტაჯიკეთსა და სომხეთს შორის, კოლექტიური უსაფრთხოების, ეკონომიკური ინ-ტეგრაციის, უვიზო მიმოსვლისა და სხვა საკ-ითხების შესახებ, ამით რუსეთმა აღიარა, რომ დსთ აღარ არსებობს! დავუმატოთ ცალკეულ ქვეყნებში მიმდინარე პროცესებიც, სადაც რუსეთმა დაინახა, რომ ისინი მასთან ერთად აღარ იქნებიან და ასევე შემოიღო სავიზო რეჟიმი, იმავე თურქმენეთთან, რომელიც შუა საუკუნეების დროინდელ სასულთნოდ ჩამოყ-ალიბდა. თურქმანბაში, ჯერჯერობით, აკავებს ფუნდამენტალიზმს, მაგრამ მისი სიკვდილის შემდეგ თურქმენეთი ავღანეთის მსგავს სტან-დატულ ისლამურ სახელმწიფოდ იქცევა! სჭირდება რუსეთს ასეთ სასულთნოსთან უვი-ზო რეჟიმი ან რაიმე კავშირი? ვიმეორებ, ჩვენთვის უაღრესად ხელსაყრელია რუსეთთან სავიზო რეჟიმი, იმავე აფხაზეთის საკითხის გათვალისწინებით. არძინბა იძულებული იქნება, ითხოვოს ორმაგი მოქალაქეობა — საქართველო-სი და რუსეთის, წინააღმდეგ შემთხვევაში, მომავალში აფხაზეთიდან ცხვირს ვერ გაყოფს რუსეთშიც კი. რაღაც ქაღალდის ნაჭერს, რომელსაც ე.წ. აფხაზური პასპორტი თუ პი-რადობის მოწმობა ერქმევა, არავინ შეხედავს სერიოზულად და მას არსად არ გაატარებენ...

**— მაგრამ ისიც აშკარაა, რომ საქართველოს ხელისუფლება არცთუ დიდი სიხარულით ხვდება სავიზო რეჟიმის შემოღებას...**

— სამარცხვინოა ამის განცხადება. ეს იგივეა, დამოუკიდებლობას განიჭებდნენ და უარს ამბობდე. ამ ჩინოვნიკებმა არ იციან, რომ რუსეთი დღეს სხვა ქვეყანაა, რომელმაც დემოკრატიის მხრივ ბევრად გაგვისწრო. იგივე რუსული პრესა ბევრად თავისუფალია, ვიდრე ქართული. ამ ჩინოვნიკებს ისიც უნდა შევახსე-ნოთ, რომ მეორე მხრივ, რუსეთი ეკონომიკურად საქართველოზე უარეს მდგომარეობაშია და რუსეთისკენ ლტოლვა სახეიროს არაფერს მოგვი-ტანს. აგერ, ინტერნეტით გავრცელებული უკა-ნასკნელი ცნობა, რომლის თანახმად რუსეთს „პარიზის კლუბის“ ანუ განვითარებული ქვეყ-ნების 32 მილიარდი ვალი აქვს. „ლონდონის კლუბისა“ კი 42 მილიარდი, საიდანაც მხოლოდ 36 ჩამოაწერეს, დანარჩენი თანხის და ამ 38



მილიარდის გადახდა რუსეთს აუცილებლად მოუწევს და დავსვათ კითხვა: გვარგებს რამე-ში, რომ როგორც მკვდარი მკვდარს, ისე ავეკი-დოთ რუსეთს? თუ მაინცდამაინც ვილაცას გინდა აეკიდოთ, აგერ არ არის დასავლეთი, რომელიც ხელგაშლილი მოდიოდა, ვიდრე ქართველ ჩინოვნიკთა ტოტალური ქურდობის შემყურემ ხელი არ ჩაიქნია ჩვენზე. უკვე ლაპარ-აკია ევროსაბჭოდან საქართველოს გაგდებაზე და, დალოცვილო, ბოლოს და ბოლოს, შეე-ცადე მაინც, რომ ქვეყანაში მდგომარეობის გამოსწორების პროცესი დაიწყოს...

**— ჩვენთვის საინტერესოა, თუ როგორ ითანამშრომლებს სომხეთი ამ ახალ კავშირში. ალბათ არც ის არის შემთხვევითი, რომ მალე პუტი-ნი ოფიციალური ვიზიტით ეწვევა აზერბაიჯანს და შეიძლება, საქარ-თველოსაც...**

— დიახ, შეიქმნა ახალი გაერთიანება, რომელიც სახელმწიფო წარმონაქმნის ყველა სახეს ატარებს. რუსეთ-ბელორუსია რატომ არი-ან ერთად, ცნობილია, იმდენად ერთი ხალხია, რომ მათი ცალ-ცალკე ყოფნა არასერიოზულა-დაც კი ჩანდა. ყაზახეთს, ყირგიზეთსა და ტაჯიკეთს ფანტასტიკურად კორუმპირებული რეჟიმები მართავენ, რომელთაგანაც არ განსხ-ვავდებიან ქართველი ჩინოვნიკები, ესენი ერთი ინკუბატორიდან გამოჩეკილ-გაზრდილნი არი-ან. ამ რეჟიმებს ძალიან ეშინიათ ფუნდამენ-ტალიზმისა და იციან: რომ არა რუსეთი, ჩადრი-ანი, ჩალმიანი და ავტომატიანი ისლამისტები ანდერძს აუგებდნენ მათ! რუსებიც ეუბნებიან, ოღონდ შემოდი ჩვენს კავშირში, დაგიცავ კიდეც და ფუფუნებასაც შეგიქმნიო. ცნობილია, რომ აზიელებში განსაკუთრებითაა გამჯდარი ქურ-დობის სინდრომი, რათა მარმარილოსი კი არა, ოქროს აბაზანებში ჩაწვნენ და ოქროს უნიტა-ზებზე დასხდნენ, ჰქონდეთ 200 ოთახიანი სასახ-ლე, ჰყავდეთ 20-30 ცოლი და ყველაფერი ის, რაც ევროპელს ფიქრადაც არ მოუვა!.. მოკ-ლედ, დსთ-ის დასაფლავებამდე და ქელეხამდე ცოტა დრო რჩება. რამდენადაც ცნობილია, მისი დაშლის შესახებ იალტის სამიტზე უნდა გამოცხადებულიყო, მაგრამ „კურსკის“ დაღუპ-ვამ შეუშალა ხელი...

რაც შეეხება მოძმე სომხეთს, რომელიც „მიცუნცულდა“ და ხელი მოაწერა შეთანხმე-ბას, უკანასკნელ წუთამდე ასაიდუმლოებდნენ, რომ სომხეთი მიიღებდა მონაწილეობას სამიტ-ში. აცხადებდნენ, რომ მხოლოდ 5 ქვეყანა მოაწერდა ხელს ხელშეკრულებას, ბოლოს კი აღმოჩნდა ექვსი. მოელიან, რომ ახალ სახელმ-წიფოთა გაერთიანება გადაკეთდება ევრაზიუ-ლი ქვეყნების კავშირად, სადაც თუ ბელორუ-სია, რუსეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი და ტაჯიკე-თი მართლაც მოქცეულნი არიან ამ სივრცეში, გაუგებარია, როგორ უნდა ითანამშრომლოს სომხეთმა მასთან, რომელიც საქართველო-აზ-ერბაიჯანით მოწყვეტილია ამ სივრცეს... ამი-ტომ, არ არის გასაკვირი პუტინის მომავალი ვიზიტი ბაქოში, სადაც შეეცდება დაამშვიდოს ალიევი, რომ ამით აზერბაიჯანს საფრთხე არ შეექმნება. პუტინმა იცის, რომ რუსეთისთვის აზერბაიჯანი დაკარგულია, მაგრამ ნავთობის ხათრით ბოლომდე დაკარგვა მაინც არ უნდა...

**— და მაინც, სომხეთის შესვლა ამ ახალ გაერთიანებაში ერთგვარი დარტყმაცაა აზერბაიჯანისთვის.**

— რა თქმა უნდა. თუ აზერბაიჯანს მოუხ-და ყარაბაღის ძალით დაბრუნება, ბუნებრივ-ია, მას ომი მოუწევს სომხეთთან და ახალ ხე-ლშეკრულებაში ექვსი ქვეყანა ვალდებულებას იღებს, რომ ომის შემთხვევაში ერთმანეთს დაეხ-მარებიან ჯარებით. ანუ თუ ყარაბაღის და სომხეთ-აზერბაიჯანის ომებისას რუსები ჩუ-მად ეხმარებოდნენ სომხებს, ახლა ახალი ხე-ლშეკრულებით შეუძლიათ აშკარად დაეხმარონ! რასაც ნიშნავს ეს, ალბათ გასაგებია, მიუხედა-ვად იმისა, რომ ხელშეკრულების ამ მუხლში ბევრი საკითხი გაურკვეველი და დასაზუსტე-ბელია ჯერ კიდევ... მაგრამ, დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვა: რუსეთი სომხეთიდანაც აიკრავს გუდა-ნაბადს!

**— ყოველივე ზემოთქმულის ფონზე, კვლავაც დამაფიქრებელია საქართვე-ლოს შინაპოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური ვითარება, საიდანაც გა-მოსავალი არა და არ ჩანს...**

— ავიღოთ ჩვენი ე.წ. სეკვესტრირებული ანუ როგორც უწოდებენ, „დასაჭურისებული“ ბიუჯეტი, რომელიც არ სრულდება და არც არანაირი შანსია, რომ შესრულდეს. დეკემბერში ოფიციალურად გავიგებთ, რომ ბიუჯეტი სა-მარცხვინოდ ჩავარდა, ანუ ფინანსურ-ეკონომიკური კატასტროფის წინაშე კი არ ვდ-გავართ, არამედ ვართ შუაგულში, საიდანაც გამოსვლა ამ ხელისუფლებას არ შეუძლია. საჭიროა ხელისუფლებაში ახალი ძალების მოს-ვლა.

რა ბიუჯეტზე შეიძლება ლაპარაკი, როცა მთავრობა აშკარა სიცრუის გზას დაადგა. მა-გალითად, გვატყუებენ, თურქმენეთმა ვალები ჩამოგვაწერაო(!). არადა, თურქმენეთმა ოფი-ციალური განცხადებით სიცრუე უწოდა ამას. სიმართლე ის არის, რომ ჩვენ წელიწადში თურქმენეთს პროცენტის სახით ვუხდით იმ-დენს, რამდენიც გამოყოფილია საქართველოს თავდაცვის სამინისტროზე და ეს ნორმალურია? ამას ქვეყანა ჰქვია?

**— პრეზიდენტს და მთავრობას რატომღაც კვლავ ჯიუტად სჯერათ, რომ ყველა ვალს ჩამოგვაწერენ!**

— ის, რომ პრეზიდენტი მოწყვეტილი ჰყავთ ხელოვნურად ქვეყანაში შექმნილ რეალ-ობას, ბავშვმაც კი იცის. მეტიც, მას ატყუებენ მისივე მრჩევლები — ვალებს ჩამოგვაწერენო. ეს სიცრუეა, რადგან ვალების ჩამოწერა ხდება 20 (ოც) წელიწადში ერთხელ. ბოლო ოცწლეულ-ში მოხდა 70-იანი წლების ბოლოს და შარშან, ათასწლეულის მიწურულს. ვალები ჩამოაწერეს იმ ქვეყნებს, რომლებსაც ბოლო ოცი წლის მანძილზე დაუგროვდათ ვალები და რომლებიც ან უკვე იხდიდნენ, ან უნდა დაეწყოთ მათი გადახდა. საქართველოსთვის ვალების გადახ-დის დაწყების დროც მალე დადგება. ჯერ-ჯერობით, ჩვენ ძირითადად მხოლოდ ამ ვალებ-ის მომსახურების ხარჯებს ვიხდით, ხოლო ვალების ჩამოწერის შემდეგი ეტაპი დადგება 20 წლის შემდეგ...

**— საგარეო ვალები თუ მარ-თლაც ჩამოგვაწერეს და ისიც დიდი ხნის შემდეგ, ეს შეეხება საერთა-შორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის დავალიანებას...**

— რა თქმა უნდა. ან ჩამოგვაწერენ, ან არა! მაგრამ საქართველოს სხვა სახელმწიფოე-ბის ვალები აქვს, რაც არ ექვემდებარება ამ ე.წ. ვალების ჩამოწერის პროცესს. ჩვენ კიდევ უფრო მეტი ვალები გვაქვს რუსეთის, თურქე-თის, თურქმენეთის... და რაზეა საუბარი? ქვეყ-ანა, ფაქტობრივად, არის ბანკროტი! ასე ცხ-ოვრება არ შეიძლება. მივედით იმ წერტილამ-დე, როდესაც ხელისუფლებამ საბოლოოდ დაგ-ვარწმუნა — მან არ იცის, როგორ მოუაროს ამ ქვეყანას! ამიტომ, როცა არ იცი, კეთილი ინებე და ნუ ებღაუჭები მაინც ხელისუფლებას და დაუთმე იმას, ვინც იცის! მოდის ახალი თაობა, რომელიც შესანიშნავად ერკვევა საბა-ზრო ეკონომიკაში. მინდა, რომ ეს ცვლილება იყოს ევოლუციური და არა რევოლუციური. ცვლილება რომ აუცილებლად მოხდება, ამთავ-ითვე შემიძლია დავარწმუნო ისინი, რომლებიც გამუდმებით ატყუებენ პრეზიდენტს, მათ შორის ისინიც, რომლებსაც იმედი აქვთ, რომ ვალებს ხვალ-ზეგ ჩამოგვაწერენ. რუსეთი და თურქმე-ნეთი უკვე დაჟინებით გვთხოვენ ვალების გადა-ხდას და მალე მათ სხვა ქვეყნებიც შეუერთდე-ბიან. ვინ გვაპატიებს ვალების გადაუხდელო-ბას! ფანტასტიკური რაოდენობის ფული მოდიოდა საქართველოში, თანაც დარგობრი-ვად და ასე უნამუსოდ შეჭამეს და გაანიავეს, ახლა კი დგანან და ტყუილებს აფრქვევენ — ვალებს ჩამოგვაწერენო! იქნებ ჯერ იმაზე გას-ცენ პასუხი, რატომ კაპიკსაც აღარავინ აძლევს საქართველოს?!

**ზურაბ მჭედლიშვილი**



შაბათს, 14 ოქტომბერს, სვეტიცხოვლობას, მრავალმა მორწმუნე ადამიანმა მოიყარა თავი მცხეთის საკათედრო ტაძარში. ამ დღეს აღინიშნებოდა მაცხოვრის კვართის საქართველოში ჩამობრძანების დღე და საქართველოს ავტოკეფალიის 1500 წლისთავი. მიუხედავად უამინდობისა, ხალხის განწყობა ამაღლებული იყო და ამას ისიც აძლიერებდა, რომ თბილისიდან სვეტიცხოველში ჩამოაბრძანეს ისეთი დიდი სიწმინდეები, როგორიცაა მაცხოვრის სამსჭვალი, წმინდა ნინოს ვაზის ჯვარი, წმინდა გიორგის მუხლის თავი, წმინდა დავით გარეჯელის მადლის ქვა და ყველას შეეძლო ამ სიწმინდეების მთხვევა.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ წირვა დააყენა ქართველ მღვდელმთავრებთან და რუსეთიდან, საბერძნეთიდან და იერუსალიმიდან ჩამოსულ სტუმრებთან ერთად.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ამ დღეს უწოდა „დღესასწაულთა შორის დღესასწაული“ და დასძინა, რომ ეს ორი ათას წლეულის ბოლო დღესასწაულია.

„და აი, ჩვენ წინაშე ისმის კითხვა, — ბრძანა პატრიარქმა, — ვინ ვიყავით ჩვენ, ვინ ვართ და რას ვაკეთებთ, ვინ ვიქნებით. ჩვენ ვართ ქართველნი, მართლმადიდებელნი. ჩვენ გამოვიარეთ მძიმე და ეკლიანი გზა, მაგრამ უფალი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის და ყოველთა წმინდანთა მეოხებით იფარავდა სრულიად საქართველოს, ამიტომ ვერავითარი მტერი ვერ მოერია. საქართველო იყო, არის და იქნება. ჩვენ მრავალი შინა და გარეშე მტერი გვყავს დღეს, რომლებიც ცდილობენ, შეარყიონ ჩვენი სარწმუნოება, მაგრამ ამაოა მათი ცდა, იმიტომ რომ ქართველმა ხალხმა ამაზე მძიმე გზა გაიარა და დარწმუნებული ვარ, აუცილებლად შევიმოსებით ძლევაის იმედით და ვძლევთ მისი ძალით. ამისათვის კი საჭიროა, რომ ჩვენ აუცილებლად გვქონდეს რწმენა, სიყვარული და სასოება. ეს გადაგვარჩენს ჩვენ. დღეს, საუკუნის მიწურულს, უპირველეს ყოვლისა, უფალს უნდა შევწიროთ მადლობა მისი დიდი წყალობისათვის, რადგანაც უფალმა გვაპატია ურწმუნოება, საკუთარი ხელით ტაძრების ნგრევა... არსებობს წინასწარმეტყველება, რომ საქართველო უკანასკნელ ჟამს გაბრწყინდება და ეს, უპირველეს ყოვლისა, იქნება სულიერი გაბრწყინება, რისი დასაწყისის მომსწრენიც ვართ“.

იერუსალიმის და პალესტინის ეკლესიის მღვდელმთავარმა, რომელიც ეროვნებით არაბია, ქადაგებაში თქვა, რომ საქართველო იერუსალიმზე გაცილებით წმინდააო, რამაც ყოველი ჩვენგანი დიდად გააკვირვა. სტუმარმა განმარტა, — ყველამ ვიცით, მაცხოვარი იერუსალიმში ცხოვრობდა, მაგრამ საქართველოში ვნახეთ, რომ თითოეულ თქვენგანში არის ქრისტე. წმინდა მამათა თქმით, სადაც ქრისტეა, იქ არის ეკლესია და სადაც ეკლესიაა, იქ არის ქრისტე.

ამ დღისთვის მოსკოვიდან ჩამოსულმა მომლოცველებმა აღნიშნეს, — არასოდეს გვილოცია სვეტიცხოვლის დარ უძველეს ტაძარშიო და ბედნიერნი იყვნენ, რომ ემთხვივნენ ისეთ სიწმინდეს, როგორიც არის დავით გარეჯელის მადლის ქვა.

ამ დღეს კიდევ ერთხელ დაგვაფიქრა იმ ფაქტმა, თუ რაოდენ დიდი სიწმინდეების დამტევია ჩვენი მიწა და რა სამწუხაროა, რომ არცთუ ისე ხშირად გვახსენდება, რისი პატრონნი ვართ...

ბერძენმა მღვდელმთავარმა დიონისემ, რომელიც გარკვეული ხნის წინ იერუსალიმში ქართველთა ჯვრის მონასტრის წინამძღვარი იყო, აღნიშნა, — თქვენ, ქართველები, განსაკუთრებული ერი ხართ. ალბათ არის თქვენში რაღაც ისეთი მადლი, რის გამოც უფალმა ასე გამოგარჩიათ. საქართველო ის ერთადერთი ქვეყანაა, რომლის ეკლესიაც მწვალებლობაში არასოდეს ჩავარდნილა და ყოველთვის განუხრელად იცავდა მართლამდიდებლობას.

***ანა ჩხეიძე***

„კვირის პალიტრაში“ მშვენიერი სტატიები იბეჭდება ძველ თბილისზე, — მითხრა ნაცნობმა პარიკმახერმა გაიოზ დალაქიშვილმა, — მაგრამ რა დავაშავეთ პარიკმახერებმა, რომ ჩვენზე არაფერს წერთ? არადა თბილისი უდალაქოდ როგორ იქნებაო!

- სს-ების მცხეთურ გემაზე გამოკვეთილია ცოლ-ქმრის პროფილი. ისინი ერთმანეთის სილამაზით ტკბებიან. გემაზე ორენოვანი წარწერაა: „ჯავახ (ან ძევახ), სიცოცხლეო ჩემო. კარპაკი“.

ქალს კოხტა ვარცხნილობა ამშვენებს — დალალები ლამაზად არის დალაგებული.

ამ სტილს შესაძლოა მაშინ „გვირგვინი“ ერქვა და ბევრ მცხეთელ მანდილოსანს ამშვენებდა კიდეც. სიფაქიზით არც მამაკაცის ვარცხნილობა და ლამაზად შეკვერცხილი წვერულვაში ჩამორჩება ახალგაზრდა ქალისას.

ამ ორი ადამიანის გამოსახულება მეტყველებს იმაზე, რომ საპარიკმახერო ხელოვნება საქართველოში ოდითგანვე იყო განვითარებული. ამასვე ადასტურებს ჩვენამდე მოღწეულ მონეტებზე, ჭურჭელზე, ფრესკებზე აღბეჭდილი სახეები, სათანადო გვარიც გამოჩნდა — დალაქაშვილი...



საუკუნეების მანძილზე მამაკაცები წვერ-ულვაშით სიარულს ამჯობინებდნენ. მაგრამ მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში, კერძოდ, 1837 წელს კავკასიის ცენტრს ეწვია რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ . ქალაქის მამებმა პეტრე -ის დროინდელი მეთოდები გაიხსენეს — იმპერატორს ადგილობრივი მოსახლეობა ველური არ ეგონოსო და თბილისელების ძალად პარსვას მისდგნენ. ზაფხულის დამლევს მტკვარმა 16 ტომარა წვერ-ულვაში წაიღო...

თბილისური აბანოების, ქარვასლების, სასტუმროების, ბაზრების წარმოდგენა შეუძლებელია დალაქის გარეშე.

ევროპული, კერძოდ, პარიზული სტილის საპარიკმახეროები თბილისში გასული საუკუნის 40-50-იან წლებში დამკვიდრდა. ფრანგულ კოლონიაში 153 კაცი იყო, პარიკმახერები და მკერავი ქალები — „მოდისტები“, რომლებიც დღევანდელი მოდელიერების ფუნქციას ასრულებდნენ.

თბილისელი მოდას აყოლილი ქალბატონები მხოლოდ ორი კვირით ჩამორჩებოდნენ ფრანგულ, იტალიურ, ინგლისურ სიახლეებს. მადამ ჟოზეფინა ბლოტს ზუბალაშვილის სახლში გახსნილი ჰქონდა სალონი, სადაც ჩამოდიოდა პარფიუმერია და მოდური ჟურნალები პარიზიდან, ლონდონიდან, რომიდან... მას არ ჩამორჩებოდა მადამ ჟოზეფინას თანამემამულის გილომის სასტუმრო „კავკაზი“. მოდური სალონები ქალაქის სხვა უბნებშიც არსებობდა.

გაჩნდა მოდური სიტყვაც — კუაფერი, ე.ი. დალაქი. ფრანგები თავის ხელობას ძვირად აფასებდნენ. დიდ ფრანგ მწერალს ალექსანდრე დიუმას კუაფერმა ჟიულ ემბომ ერთ გაპარსვასა და თმის შეჭრაში 12 ფრანკი გამოართვა მაშინ, როდესაც ეს ოპერაცია პარიზში 4 ფრანკი ღირდა. ამით „სამი მუშკეტერის“ ავტორი მეტად გაოცებული დარჩა.... საერთოდ კი ემბო საკუაფერო მომსახურებისათვის წელიწადში იღებდა 1.500 ფრანკს. ასეთი შემოსავალი იმ დროს მოქალაქეთა დიდ ნაწილს არ ჰქონდა.

ფრაგი დალაქი დიუმას თმა-წვერიდან ამზადებდა ქინძისთავის ბალიშებს და მწერლის ნიჭის თაყვანისმცემლები სიამოვნებით იძენდნენ მას.

ჟიულ ემბო თურმე მეფისნაცვალ ბარიატინსკისაც ემსახურებოდა. სეანსების დროს ართობდა კიდეც თავადს, უყვებოდა ქალაქურ ჭორებს და თავისი საქმეების გაკეთებასაც ახერხებდა, ამიტომ თბილისში გავლენიან კაცად იყო მიჩნეული და მასთან დაახლოებაზე ბევრი ოცნებობდა.

მე-19 საუკუნის 60-80-იან წლებში ატარებდნენ ხუჭუჭ შინიონებს, პარიკებსა და ხვეულთმიან „ტრანსფორმატიონებს“, რომელიც წააგავდა კარპაკის ვარცხნილობას. ეს ყველაფერი კეთდებოდა საუკეთესო, ნამდვილი თმისაგან.

საფრანგეთიდან ჩამოტანილი თმა ძალიან ძვირი ღირდა. ამიტომ დაიწყეს პარიკების და მისთანათა ადგილობრივ დამზადება. გაჩნდნენ „მჭრელები“, რომლებიც დადიოდნენ ეზო-ეზო და ჩალის ფასად ყიდულობდნენ ნაწნავებს. ასეთ „მჭრელებს“ შეხვდებოდით არა მარტო თბილისში, არამედ საქართველოს სხვა კუთხეებშიც. ქართველი ქალის თმა უცხოეთშიც დიდად ფასობდა.

ვარცხნილობა სხვადასხვა სტილისა იყო, ყველაზე მოდური გახლდათ „ეკატერინე “, „ლუდოვიკო XV“ და „ლუდოვიკო XV“.

თბილისის საუკეთესო სალონები ფრანგებს ეკუთვნოდათ. საპარიკმახერო ერთგვარი სასწავლო დაწესებულება იყო ევროპული მანერების შესასწავლად.

პარიკმახერები მდიდართა სასახლეებშიც დადიოდნენ და იცოდნენ ამ სახლის მკვიდრთა ყველა ოცნება და საიდუმლოება, მეგობრობდნენ მოსამსახურეებთანაც. მოდური პარიკმახერები დიდ ფულს აკეთებდნენ.

ერთ-ერთი პირველი, ვინც ბოლო მოუღო ფრანგების მონოპოლიას, გახლდათ ნიკოლოზ ანდრიაძე, რომელმაც „სალდათის ბაზარზე“ მამაკაცთა დარბაზი გახსნა. ქალაქის საშუალო ფენა მიაწყდა ამ საპარიკმახეროს. იქვე გაიხსნა „წურბლების დეპო“. რაფაზე იდგა წურბლებით სავსე შუშის ქილები, რომლებიც სასეიროდ იზიდავდა ხალხს.

თურმე, დავით ერისთავს სპექტაკლში მელოტი მამაკაცის როლი უნდა ეთამაშა და ანდრიაძეს შეუკვეთა თავმოტვლეპილი პარიკი. მან კი სპექტაკლის დაწყების წინ ხარის ბუშტი მიართვა თურმე შემკვეთს. პიესა „სამშობლოს“ ავტორს ისე უყვირია, მთელი დასი შეყრილა მის საკაზმულოსთან.

— თქვენ დიდი ოსტატი ბრძანდებით, კნიაზ-ჯან, მაგრამ ნება მიბოძეთ, ჩემი საქმის ოსტატი მეც ვიყო, — თავი უმართლებია ნიკოლოზ-დალაქს, — მხოლოდ გაისინჯეთ.

ერისთავს დიდი ჭიდილის შემდეგ ბუშტი თავზე ჩამოაცვეს და თავადს თვალები გაბრწყინებია.

ქართველთა წარმატებამ საგონებელში ჩააგდო უცხოელი კუაფერები. ისინი რწმუნდებოდნენ, რომ ადგილობრივი ხელოსნები მათ ოსტატობაში არ ჩამორჩებოდნენ. თანდათანობით თბილისელმა დალაქებმა მთლიანად დაიკავეს მომსახურების ამ სფეროს ბაზარი. 1910 წლისთვის ფრანგები თითქმის აღარ იყვნენ ქალაქში...

***გალაქტიონ ტაგანაშვილი***






# იდუმალებით მოცული თვითმკვლელობა სვეტიცხოველთან

**მცხეთა. 11 ოქტომბერი, დაახლოებით დილის ათი საათია. სვეტიცხოვლის გვერდით, მტკვრის სანაპირო ქუჩაზე ლურჯი „ფოლკსვაგენი“ ჩერდება. მანქანიდან მშვიდად გადმოდის გემოვნებით ჩაცმული ახალგაზრდა კაცი და მიდამოს ათვალიერებს.**


...განწირული თავის ბედისწერას შეხვდა.


მაშველებმა ვეღარ მიუსწრეს...


მანქანის მტკვრიდან ამოყვანა დაახლოებით ერთ საათს გრძელდებოდა.


დაღუპული რატომღაც უკანა სკამზე აღმოჩნდა...


*ფოტოები მოგვაწოდა სტუდია „აუდიენციამ“*

...ალბათ, უპრიანი იქნება, აქედან თვითმხილველებს მოვუსმინოთ:

**ცეტული საყვარელიძე**, 59 წლის, ადგილობრივი მცხოვრები — გარეთ გავედი და ამ დროს მანქანამაც ჩამოუხვია. მანამდე ზემოთ, ქუჩის ჩამოსახვევთან იდგა და ვხედავდი, მძღოლი აქეთ-იქით იყურებოდა (სწორედ ამ ქუჩის ბოლოს იპოვის მას ბედისწერა — დ.გ.) — მკითხა, „მტკვარი აქ ახლოს არის?“ რომ შევხედე, რაღაცნაირი, დაბჟუებული სახე და ჩასისხლიანებული თვალები ჰქონდა — თითქოს ნამტირალევიაო. ისე, ძალიან მოწესრიგებულად გამოიყურებოდა და მშვიდად საუბრობდა. ჩემს პასუხზე რაღაც ჩაიბურტყუნა და მტკვრისაკენ ძალიან ნელა დაძრა მანქანა. ამან დამაეჭვა და სახლში აღარ შევბრუნდი, თვალყურს ვადევნებდი. მანქანა ზედ მტკვართან მიაყენა, გადმოვიდა და მიმოიხედა. შემდეგ ისევ ჩაჯდა — მაგნიტოფონს ბოლომდე აუწია, სკამზე გადაწვა და ნელ-ნელა მტკვარში შევიდა. ამის დანახვაზე კივილით გავიქეცი — ვეძახდი, რას აკეთებ, შვილო, გაჩერდი-მეთქი. რომ ვერ გავაგონე, ქვაც ვესროლე — ალბათ, ამის ხმაზე გამოიხედა ჩემკენ, ფანჯრიდან. სასოწარკვეთილმა ხვეწნა დავუწყე — მაგას ნუ იზამ, შვილო, გაუშვი მანქანა, შენ გადმოდი-მეთქი. შემომხედა და წყნარად შემეკითხა — „რომ გადმოვიდე, მერე თქვენ მიშველით, ქალბატონოო?“ — ისეთი თვალებით შემომხედა ამ დროს, მთელი ცხოვრება მემახსოვრება...

სულ ცოტა ხანში ცეტული საყვარელიძის მოთქმაზე მტკვრის ნაპირთან იქვე მცხოვრებმა მოხუცმა **მიხეილ ხუბურაშვილმა** ჩამოირბინა.

— ადრე ზუსტად ამ ადგილას მეზობლის ბავშვი დაიხრჩო. ცეტულის კივილზე შეშინებული გამოვვარდი, ვიფიქრე, ვისიმე ბავშვი თუ ჩავარდა-მეთქი...

სანაპიროზე ჩამოსულს „მანქანა, მანქანაო“, კივილი მომესმა, მტკვრისკენ გავიხედე და შორიახლოს მოტივტივე მანქანა შევნიშნე, ახალგაზრდას კარი ოდნავ გაეღო და ხელს გვიქნევდა — ვიფიქრე, თბილისელია, გზა აებნა და წყალში გადავარდა-მეთქი... დაბნეული ვუყვიროდი — გადმოხტი ბიჭო, ნუ გეშინია, ნავს მოეჭიდე-მეთქი — იქვე ნახევრად ჩაძირული ნავი ტივტივებდა და რომ გადმომხტარიყო, ადვილად მიწვდებოდა. საწყალს, ყურადღებაც არ მოუქცევია — კარი მიიხურა, საკეტები დაუშვა და „ლუკი“ გახსნა — მერე იქიდან იქნევდა ხელებს... წყალში მუხლებამდე შევედი — ისევ ვყვიროდი „რას შვრები შვილო, გადმოდი-მეთქი“. მერე უკან წამოვედი, იქვე ნავს ვეცი, მაგრამ რად გინდა — ჯაჭვებით იყო დაბმული. გამწარებული ახლა მეზობელთან, ნავის პატრონთან გავიქეცი — ჩქარა, კაცო, მანქანა იძირება-მეთქი. სანამ გამოჩნდა, სანამ ნიჩბები ნახა... რომ ჩამოვედით, მანქანა ფსკერისკენ იყო წასული.

...სანამ ხუბურაშვილი მშველელის სახმობად იყო წასული, განწირულის საშველად მტკვარში ახალგაზრდა კაცი, **გიორგი მრევლიშვილი** გადაეშვა: — კივილ-წივილზე ეზოდან გადმოვიხედე და ეს ამბავი დავინახე. მაშინვე ჩამოვირბინე და წყალში გადავხტი. მანქანაში მყოფმა რომ დამინახა, ფანჯრები ასწია. მივუახლოვდი და კარებს დავეჯაჯგურე — თვითონ მშვიდად იჯდა და მუსიკა ჰქონდა ხმამაღლა ჩართული. მეორე მხრიდანაც შემოვუარე, მაგრამ ვერაფერი გავაწყვე — მანქანა ნელ-ნელა იძირებოდა, მერე ნავითაც მიცურდნენ, მაგრამ გვიანღა იყო...

**რამაზ სოხაძე** — ქ. მცხეთის საგზაო პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი.

— საწყალი, მშრომელი ბიჭი იყო და სოფელიც (ნიჩბისი) კარგად ახასიათებდა. იმ დღეს საცოლის დაბადების დღე ჰქონია. — ფეხი ჰქონდა დაშავებული, ადრე საბაგიროს კატასტროფაში მოყოლილა მთაწმინდაზე.

*...ძნელია, მომხდარზე მსჯელობა და სჯაბაასი გამართო. ერთს კი აღვნიშნავთ, დაღუპული ილო ქიტუაშვილი მცხეთის ხშირი სტუმარი იყო და მტკვარზე ჩასასვლელი გზის სწავლება ნამდვილად არ უნდა დასჭირვებოდა. ეგეც არ იყოს, სვეტიცხოვლის მიმდებარე მტკვრის ზოლი ასეთი ადგილის შესარჩევად თბილისიდან მცხეთისკენ მიმავალი გზიდანაც კარგად ჩანს. ალბათ, განწირულ ახალგაზრდა კაცს თვითმკვლელობის საჯაროდ დაფიქსირება სურდა — სწორედ ამიტომ ელოდა იგი მტკვრისგან ასიოდე ნაბიჯის მოშორებით ვინმეს გამოჩენას „მტკვართან როგორ მივალო“ რომ ეკითხა...*

*ვინ იცის, მერამდენე სვეტიცხოვლობა მოდიოდა.*

*მრავლისმნახველი სვეტიცხოველი კი ისევ გოროზად დაჰყურებდა მტკვრისა და არაგვის შესართავს — სადაც ახალგაზრდა კაცი თავის სატკივართან ერთად ჩაძირულიყო.*

***დაჩი გრძელიშვილი***

***„კვირის პალიტრის“ რედაქცია თანაუგრძნობს დაღუპულის ოჯახს***

12 ოქტომბერს, დღის მეორე ნახევარში ქართველმა სამართალდამცავებმა ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოდან გაქცეული თორმეტი პატიმრიდან ოთხი — აბსანძე, ქობალია, ეჯიბია და ფირცხალავა — რაჭის მთებში დააკავეს.

ბევრისთვის „ზვიადისტთა“ შეპყრობა ისეთივე მოულოდნელი აღმოჩნდა, როგორც მათი გაქცევა. ამჟამად პოლიციის, პროკურატურისა და უშიშროების მაღალჩინოსნები ირწმუნებიან, რომ დღე-დღეზე დააპატიმრებენ დანარჩენ ძებნილებსაც. მათივე განცხადებით, ოთხეულის დაკავება მოხდა თერთმეტი დღის მანძილზე სამართალდამცავთა კოორდინირებული და დაუღალავი მუშაობის შედეგად, თუმცა, სხვა ინფორმაციით, ადგილი ჰქონდა შემთხვევითობას — ძიება ერთმა რაჭველმა გლეხმა დააკვალიანა, რომელიც გაქცეულებს საჩხერის ტყეში გადაჰყრია.

სამართლადამცავები ამ გარემოებას, ჯერჯერობით, არანაირ კომენტარს არ უკეთებენ, რაც, ალბათ, აღნიშნული ინფორმაციის უტყუარობას უნდა ნიშნავდეს.

თავიდანვე აღვნიშნავთ, რომ დადასტურდა ჩვენი გაზეთის წინა ნომერში გამოთქმული მოსაზრება: „ზვიადისტებმა“ საპატიმრო ადგილი მართლაც გვირაბის გავლით (და არა ჭიშკრიდან) დატოვეს. დადასტურდა ისიც, რომ ექსპრეზიდენტის მომხრეებს საქართველოს ტერიტორია არ დაუტოვებიათ. ახლა კი იმის შესახებ, თუ როგორ აღმოაჩინეს ისინი ამბროლაურიდან თხუთმეტ კილომეტრში მდებარე სოფელ ფუტიეთის (მანანა არჩვაძე-გამსახურდიას მშობლიური სოფელი) მახლობლად:

კარგად ინფორმირებული წყაროს ცნობით, ოთხი ძებნილის დაკავებამდე რამდენიმე დღით ადრე ამბროლაურის პოლიციის შენობაში (სადაც რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის სამხარეო პოლიციაც მდებარეობს) მივიდა იქაური გლეხი და მორიგე ოფიცერს უამბო, როგორ შეხვდა დაახლოებით ათ შეიარაღებულ პირს საჩხერის რაიონის ტყეში. უცნობებს უკითხავთ, რაჭველი ხომ არ ხარო. გლეხს დადებითად უპასუხია. იარაღიანებმა მას მეგზურობა უბრძანეს და ამგვარად აღმოჩნდნენ მეზობელ ამბროლაურის რაიონში, სადაც ყოფილი გამგებლის, ბიჭაშვილის სახლს მიადგნენ. უცნობებმა ხანში შესულ დიასახლისს დროებითი თავშესაფარი სთხოვეს. 83 წლის ქალბატონს მათთვის მჭადი, ყველი და ოცდახუთი ლარი მიუცია, ღამის გათევაზე კი უარი უთქვამს. შეიარაღებულებს მეგზური მამაკაცი გაუშვიათ და გაურკვეველი მიმართულებით წასულან.

ამბროლაურის პოლიციამ გლეხი დააკავა, შემდეგ სასწრაფოდ დაუკავშირდა თბილისს და მნიშვნელოვანი ინფორმაცია შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიულ მორიგეს გადასცა. სწორედ ამის შემდეგ მოხდა რაჭაში შსს-სა და უშიშროების სპეცდანაყოფების გადასროლა. სამართალდამცავები ჯგუფებად დაიყვნენ და რაიონის ჩხრეკას შეუდგნენ. მოწმდებოდა როგორც საცხოვრებელი სახლები, ასევე ტყის ზონაც. დაკავებული გლეხისა და ბიჭაშვილის ოჯახის წევრთა მრავალსაათიანი დაკითხვის შედეგად სამართალდამცავებისთვის უკვე ცხადი იყო, რომ საქმე სწორედ საპატიმროდან გაქცეულებთან ჰქონდათ. ამბროლაურის რაიონის პოლიციის უფროსის განცხადებით, 12 ოქტომბრის დილას, ფუტიეთის ტყეში შემოვლაზე მყოფმა სამმა ადგილობრივმა პოლიციელმა პირველად შენიშნა „ზვიადისტთა“ კვალი — მათ კოცონის კვამლი დაინახეს და ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობეს რაიონს, საიდანაც ფუტიეთისკენ პოლიციაუშიშროების რამდენიმე მობილური რაზმი დაიძრა.

## „ხომ გეუბნებოდით, გაძვრებოდნენ –თქო!“



დაკავების ოპერაციის დეტალები რატომღაც გასაიდუმლოებულია. ცნობილია ერთი რამ: სამართალდამცავებმა იარაღის გამოუყენებლად შეიპყრეს ოთხი ძებნილი. დანარჩენებმა გაქცევა მოახერხეს და ტოტებისგან მეტად ოსტატურად დამზადებული საკმაო მოცულობის ქოხი, ჯამ-ჭურჭელი და ორი ავტომატი ოპერმუშაკებს დაუტოვეს.

როგორც საქმეში ჩახედულები აცხადებენ, დღეისთვის რაჭაში იმყოფება შვიდი ძებნილი. ერთმა ძირითადი ჯგუფი საჩხერეში ჩასვლამდე მიატოვა. ირკვევა ისიც, რომ დასავლეთ საქართველოში „ზვიადისტები“ „ფორდის“ მარკის მიკროავტობუსით ჩასულან. პოლიციის ინფორმაციით, ამ ტრანსპორტის მძღოლი მათ გაქცევიდან სულ რამდენიმე დღეში დააკავეს, მაგრამ, ეტყობა, პატიმართა შემდგომი მარშრუტის შესახებ მან არაფერი იცოდა. სავარაუდოა, რომ გაქცეულები თავდაპირველად სამეგრელოში აპირებდნენ ჩასვლას, მაგრამ შუა გზაზე რატომღაც გადაიფიქრეს და იმერეთში დარჩნენ.

ამჟამად წვერგაპარსული ლოთი ქობალია და თმაშეღებილი გურამ აბსანძე, თავიანთ ორ მეგობართან ერთად, ორთაჭალის ციხეში, მათთვის საგანგებოდ მომზადებულ საკნებში იმყოფებიან. გაქცევისთვის პატიმრებს 8-წლიანი სასჯელი ელით, თუმცა აბსანძე, რომელსაც გვირაბში ხოხვისგან მუხლისთავები გადატყავებია, აცხადებს, რომ „ეს არ ყოფილა გაქცევა. ეს იყო პროტესტი უკანონო ხელისუფლებისადმი“...

გაურკვეველია, თუ ვის ერგება ჯილდო — 50 ათასი ლარი, რომელიც ძებნილთა დაკავებისთვის იყო გამოცხადებული.

საეჭვოა, ასეთი სოლიდური თანხა იმ რაჭველ გლეხს გადასცენ...

***მიხეილ ჩერქეზია***


იკითხეთ კვირის პალიტრის დამატება ჟურნალი „გზა“

# მმართველი პარტია თავის დამტკიცებულ აღმასრულებლებს კორუფციაში ამხელს!..

გასული კვირის საპარლამენტო მუშაობაში ყველაზე მწვავე ხასიათის დებატები, კვირის მიწურულს გამოტანილი საკითხის გარშემო გაიმართა. საკითხი, რომელიც საჯარო პირთა დეკლარაციებს ეხებოდა, პარლამენტს უმრავლესობის წარმომადგენელმა ვასილ მაღლაფერიძემ წარუდგინა და ქვეყანაში გამეფებული კორუფციული ურჩხულის სახე მეტად


ვასილ მაღლაფერიძე

შთამბეჭდავად დახატა — „მოხელეს თუ სამსახური და არსებობა სურს, უნდა მოიპაროს, ნაწილი — დაიტოვოს, ნაწილი — ზემოთ გააგზავნოს. მოქმედების პრინციპი: ბევრს უნდა მოაპარინო ცოტა, რადგან ვერ გაბედონ ხმის ამოღება, როცა ცოტა იპარავს ბევრს, არსებული სისტემა კონვეიერულად შობს დამნაშავეებს... ამ დეკლარაციებში თავიდანვე ჩადებულია მექანიზმი, რომ მისი მეშვეობით ვერაფერი იქნას გარკვეული. არსებული კანონის მიხედვით უძრავ-მოძრავი ქონება, ფირმები, შემოსავლები შეიძლება გააფორმო უახლოეს ადამიანებზე — შვილებზე, მშობლებზე, მეუღლის მშობლებზე და ისინი არ დაასახელო ოჯახის წევრებად".

ვასილ მაღლაფერიძის გამოსვლა თეორიულად მწვავე იყო და ფაქტობრივად, მმართველი პარტიის წარმომადგენლის პირით იმის ოფიციალურ დეკლარირებას წარმოადგენდა, რასაც ოპოზიცია დღედაღამ გაჰყვირის. ამიტომაც ვალერი გელბახიანმა ვასილ მაღლაფერიძის მოხსენებას უბრალოდ, ჟურნალისტის რიტორიკული მოხსენება უწოდა. სანდრო ბრეგაძემ კი მთელ ამ გამოსვლას ცივი წყალი გადაასხა და განაცხადა: „თითოეული თქვენგანი, ვინც მომხსენებელი ხართ, დარჩებით ამ ტრიბუნასთან მდგომებად, რომლებიც მხოლოდ ისაუბრებთ და არანაირი საქმე ამას არ მოჰყვება. რაც აქ ხდება, ეს არის პრინციპულობის დონემდე დაყვანილი პოპულიზმი. რადგან მმართველი პარტია იძახის — ქვეყანაშია კორუფცია და არანაირ პასუხისმგებლობას არ იღებს იმაზე, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები თავის დროზე მათ დანიშნეს, მათ შეიყვანეს მინისტრთა კაბინეტში და გაანიავებინეს მილიონობით ქონება".

მაშინ, როცა სოხუმი დაეცა, ზუსტად იმ დღეს, ზეიმის დროს, ერთი პარლამენტარი დუდაევის სურათით ხელში ცეკვავდა. ყველა ნაძირალა უნდა გაიხსნას. ყოველ შემთხვევაში, პარლამენტში ნაძირალები არ უნდა იქნენ არჩეული

საინტერესო ის იყო, რომ ამ აქტით უმრავლესობამ ოპოზიციის როლი იტვირთა და სულ მიწასთან გაასწორა ქვეყანაში კორუფციასთან დაკავშირებული ვითარება. ლოგიკურობით მაინცდამაინც ვერ დაიკვეხნის უმრავლესობის ასეთი „მამხილებელი შემტევიანობა", რადგან სამართლიანობისათვის უნდა ითქვას, რომ ქვეყანაში შექმნილ ამ მდგომარეობაში ლომის წილი თვითონ ხელისუფლებას უდევს. ამიტომაც ზოგადი დახასიათების გარდა, მმართველმა ძალამ მეტ პოლიტიკურ რისკზე წასვლა ველარ გაბედა და კონკრეტული გვარების დასახელების მოლოდინი ვერ გაამართლა. მოგვიანებით ვასილ მაღლაფერიძემ აღნიშნა, რომ დღეს გვარების დასახელება არ შეიძლება, თუმცა თავიდან საამისოდ ვიყავი განწყობილიო. სამ თვეში კი გვარების დასახელებასაც დაგვპირდა და უფრო მეტისაც. კონკრეტული პირების დასახელება კორუფციასთან მებრძოლი პარლამენტარებისთვის თუ სხვადასხვა კომისიისთვის აქილევსის ქუსლადაა ქცეული. მათი დასახელება უფრო და უფრო შორს იწევს, როგორც ეს საბიუჯეტო კრიზისის შემსწავლელი კომისიის მოხსენების შემთხვევაში იყო. ასე რომ, უახლოეს თვეებში გაერთიანებული ძალებით წარმოდგენილი მნიშვნელოვანი გვარების ცვენას უნდა ჰქონდეს ადგილი. მაგრამ მოჰყვება თუ არა ამას გვარების პატრონების თბილი სავარძლებიდან ცვენა, ეს საკითხი ფრიად გაურკვეველია. მნიშვნელოვანია, რომ მაღლაფერიძის მოხსენება 384 გამოკვლეულ დეკლარაციას ეყრდნობოდა, საიდანაც 178 პირის ქონება მილიონსა და მეტსაც შეადგენს.

თანამომხსენებელმა, ფრაქცია XXI საუკუნიდან, ჯემალ გამახარიამ მწვავე პოლიტიკური განცხადებები გააკეთა კორუფციის საკითხთან დაკავშირებით და ქვეყნის პირველი პირი რამდენჯერმე უხერხულ კონტექსტში მოიხსენია, თან დაამატა, რომ ხელისუფლება თავად არის კორუფციის წყარო, იქ ეს რეკომენდაციები არანაირად არ გამოდგება და შედეგს ვერ გამოიღებსო. პრეზიდენტის ამგვარი მოხსენიება, რა თქმა უნდა, უმრავლესობამ ვერ აიტანა და მისი დაცვა პოეტმა პარლამენტარმა ჯანსუღ ჩარკვიანმა იდო თავს. მან ზვიადისტების მისამართით ბომბივით იფეთქა და ქვეყნის გასაგონად წამოიძახა: „თავი აიშვეს, არ შეიძლება ასეთი ლანძღვა და გინება. მაშინ, როცა სოხუმი დაეცა, ზუსტად იმ დღეს, ზეიმის დროს, ერთი პარლამენტარი დუდაევის სურათით ხელში ცეკვავდა. ყველა ნაძირალა უნდა გაიხსნას. ყოველ შემთხვევაში, პარლამენტში ნაძირალები არ უნდა იქნენ არჩეული".

სანამ ბატონი ჯანსუღი მიკროფონთან ქუხდა, ჯემალ გამახარია მიკროფონის გარეშე ყრიდა ცოფებს. იგი მოგვიანებით იტყვის, რომ — „ეს არის ბოროტი ცილისწამება. ბატონი ჯანსუღი, ამ შემთხვევაში, შეცდომაშია შეყვანილი. სინანულს გამოვთქვამ იმის გამო, რომ ამ ბოროტ ჭორს აჰყვა იგი და დღემდე იმეორებს. მე ეს ამბავი ჩემს თავზე არ მიმიღია, მაგრამ რეაქცია იმიტომ მქონდა, რომ ეს არის ძველი რეციდივი, კუთხის გალიზიანებისა და შეურაცხყოფისა. პირადად მე, იმ პერიოდში გარდაცვლილი ძმა მესვენა და ძალიანაც რომ მნდომებოდა, ვერ ვიცეკვებდი და ვერ ვიმხიარულებდი".


ჯემალ გამახარია

ბატონი ჯანსუღის ამ აღტკინებას პარლამენტის დარბაზში მანამდე არმყოფი ჟვანია შემოუერთდა სასწრაფოდ და ბატონი ჯანსუღის პათოსი შემდეგი სიტყვებით ჩააცხრო: „პრეზიდენტს არ სჭირდება არც ერთი თქვენთაგანის დაცვა, ჩემო მეგობრებო. ეს არის პრეზიდენტის მიერ გაკეთებული შეფასებები და საზოგადოდ ეს საკითხი პრეზიდენტის მიერაა დღის წესრიგში დასმული".

კონფლიქტი მარტო გამახარიას გამოსვლას არ მოჰყოლია. კამათი და დებატები ძირითადმა მოხსენებამაც გამოიწვია. დეკლარაციების შესწავლის შედეგად აღმოჩნდა, რომ კონტროლის არანაირი მექანიზმი არ არსებობს და შესაბამისად ხელისუფლება გაძეძგილია კორუფციით. „ამ ვითარებაში გვარები დავასახელო კი არა, გილიოტინაც რომ აღვმართოთ და ყოველდღე თავები ვაყრევინოთ კორუმპირებულებს, ქვეყანას სისხლით მოვრწყავთ, ხოლო საქმეს ვერაფერს ვუშველით" — განაცხადა მაღლაფერიძემ.

უმრავლესობის ამგვარი გალაშქრება დეკლარაციებისა და კორუფციის მიმართ უკომენტაროდ არც საბიუჯეტო კრიზისის შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარეს, დავით გამყრელიძეს დაუტოვებია:

საკვირველია, როცა რამდენიმე თვის წინ ტაშის გრიალით ამტკიცებ აღმასრულებელ ხელისუფლებას და შემდეგ მას ექვმიტანილად აცხადებ, ცოტა უხერხულია მმართველი პარტიის მხრიდან. მე მაქვს ამის განცხადების უფლება, რადგან კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიმიღია.


ბორის კაკუბავა

დღეს მეჩვენება, რომ პრეზიდენტი და საპარლამენტო უმრავლესობა თითქოს სხვადასხვა პარტიას და ოპოზიციურ ძალებს წარმოადგენენ, რადგან გამოდის მმართველი პარტია და აცხადებს, რომ ხელისუფლება ექვმიტანილია. რომელ ხელისუფლებას გულისხმობს აქ, საპრეზიდენტოს, აღმასრულებელს, საპარლამენტოს, ცოტა გაუგებარია. ჩვენ ალბათ უნდა ვიფიქროთ იმაზე, რომ მოქალაქეთა საპარლამენტო ჯგუფი ცდილობს, დაიმკვიდროს საზოგადოებაში კორუფციასთან აქტიური მებრძოლი ძალის იმიჯი და ამის გულისთვის გარკვეული თავდასხმები მოაწყოს თავისივე წარმომადგენლებზე აღმასრულებელ ხელისუფლებაში.

ასეთია გამყრელიძის შეფასება. ხოლო მოიტანს თუ არა კორუფციასთან ბრძოლის საქმეში მმართველი ძალის შიგადაშიგ დეკლარირებული გამოსვლები შედეგს, დრო გვიჩვენებს. თუმცა, არსებული გამოცდილებიდან გამომდინარე, ამის იმედი ნაკლებად შეიძლება გვქონდეს.

### ვიგონებთ ახალ ველოსიპედს!

პარლამენტმა ფრიად საინტერესო შეტყობინება მიიღო ინტერპოლის მიერ ძებნილი ბორის კაკუბავას შესახებ. შეგახსენებთ, რომ ეს უკანასკნელი ტერორის მცდელობაშია ექვმიტანილი. კაკუბავამ დეპუტატ ჯემალ გამახარიას პირით შემოთვალა, დავბრუნდები, თუ ხელს არ მახლებთო. ამასთან, ისიც უთქვამს, პროკურატურაშიც გამოვცხადდები დაკითხვაზეო.

სამართალდამცავებმა სწორედ რომ ახალი ველოსიპედი, ანუ ძებნილის თავისი ფეხით ხლების მანამდე უცნობი მექანიზმები აღმოაჩინეს. ზემოხსენებულმა მექანიზმებმა იმდენად ეფექტურად იმუშავა, რომ ტერორში ექვმიტანილი გამახარიას შემდეგ, ელენე თევდორაძეს დაუკავშირდა. მან ჩამოსვლის ზუსტი თარიღიც კი დააკონკრეტა. მომავალ სასესიო კვირას იგი პარლამენტის წინაშე წარდგება, შემდეგ კი — პროკურატურის. ესეც სეირი. ვიმედოვნოთ, რომ ამ „ველოსიპედით" პროკურატურაში ძებნილი იგორ გიორგაძეც შეჯირითდება.

*მამუკა გიორგაძე*
*ქეთი ბერეკაშვილი*



## გაიღე, ძმაო!

### ტაშით გაცილებულ სააკაშვილს უხმაუროდ შეხვდნენ

„ჩვენ გადავდგეთ და ქვეყნის მართვა შსს-ს ან პროკურატურას ჩავაბაროთ... ისინი სხვა ენაზე ილაპარაკებენ..." ასეთი ინიციატივით მიმართა „საშემსრულებლო დისციპლინით" უკმაყოფილო პრეზიდენტმა აღმასრულებელი ხელისუფლების წევრებს. როგორც ჩანს, შევარდნაძეს ყელში ამოუვიდა მთავრობის მიერ ვიზირებული, „მწვანე შუქმიცემული" განკარგულებისა თუ ბრძანებულებების შეუსრულებლობა და მხოლოდ ქაღალდზე დაფიქსირება. უკვე პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილი 200-მდე რეზოლუცია და ბრძანებულებაა შეუსრულებელი. აქედან გამომდინარე, შევარდნაძის რეაქციაც ადეკვატურია — ის საშემსრულებლო დისციპლინის გამკაცრებაზე საუბრობს. პრეზიდენტს არ დაუკონკრეტებია რომელი განკარგულებების შეუსრულებლობამ გააღიზიანა, მაგრამ კანონით შენიღბული (კანონს მორგებული) არაკეთილსინდისიერი ჩინოვნიკების შესახებ კი მიუთითა, რომლებიც აღმასრულებელ ხელისუფლებასა და პარლამენტშიც ეგულება. ამავე კონტექსტში შევარდნაძემ დაჭერებიც ახსენა, თუმცა იქვე დასძინა — ასეთი რეპრესიები რომ არ მოხდეს, საშემსრულებლო დისციპლინა უნდა გამკაცრდესო.

როგორც ჩანს, შევარდნაძე აღმასრულებელი ხელისუფლების გარდაქმნას იწყებს — ის ფუნქციების გადანაწილებასა და ზოგიერთი პირისათვის უფლებამოსილების გაზრდას ითხოვს — გავაფართოოთ არე, რომელსაც სახელმწიფო მინისტრი, მისი მოადგილეები და პეტრე მამრაძე გააკონტროლებენ. დღის განმავლობაში ჩემთან ორი კალათა დოკუმენტი მაინც შემოაქვთ. მე ხშირად ყველაფერს ვერ ვკითხულობ და რაღაც უზუსტობაც იპარება... შეუძლებელია ყველაფრის გადახარშვა... რის შესრულებაც შეუძლებელია, დადგენილებასა და ბრძანებულებაში არ უნდა ჩაიწეროს, ნუ მივიყვანთ სიტუაციას იქამდე, რომ საანეკდოტო დაერქვას...

მთავრობის სხდომაზე პრეზიდენტმა ერთ საიდუმლოს ახადა ფარდა — თურმე კანცელარიაში დოკუმენტები პანტაპუნტით იკარგება. მავანთათვის მიულებელი „ქაღალდები" კაბინეტიდან კაბინეტში გადატანისას ისე უჩინარდება, მათ ასავალ-დასავალს ვერავინ იგებს. და აქედან გამომდინარე ბევრი რამ თვითონ პრეზიდენტისთვისაც უცნობი რჩება.

გასულ ოთხშაბათს სახელმწიფო მინისტრმა მიხეილ სააკაშვილი იუსტიციის სამინისტროში წარადგინა. ახალი სამსახურის მონახულების შემდეგ იუსტიციის ახალმა მინისტრმა კანცელარიას მიაშურა და პარლამენტში მოღვაწეობისას არაერთგზის გაკიცხულ-გაკრიტიკებულ მინისტრებს შორის მოკალათდა. კანცელარიაში სააკაშვილს მშვიდად, აპლოდისმენტების გარეშე შეხვდნენ. ხმაურიანი და „ხალხისთვის გასაგებ ენაზე მოსაუბრე" იუსტიციის ახალი მინისტრი ახალ გარემოში თავს მთლად „შინაურულად" ვერ გრძნობდა და ისე ჩუმად მიაშურა თავის სავარძელს, პრეზიდენტმა მისი მოსვლა ვერც შენიშნა. გვერდიგვერდ მოკალათებული თარგამაძე-სააკაშვილის დუეტი ბევრისთვის აღმოჩნდა საინტერესო სამზერი. ამბობენ, ძველი ოპონენტები პირზე კოცნით შეხვდნენ ერთმანეთსო (დარბაზის მიღმა). თუმცა, მთავრობის სხდომაზე არანაირად არ ჩანდა, რომ სააკაშვილი და თარგამაძე უკვე „დამეგობრდნენ". ეტყობა, სააკაშვილი ასაკით უფროსი და არაერთხელ „მოთხრილი" კოლეგის გვერდით დისკომფორტს გრძნობდა. ამაზე კი არც მეტი, არც ნაკლები, იუსტიციის ახალი მინისტრის სავარძელი ღაღადებდა, რომელიც ნელ-ნელა კულტურის მინისტრისკენ მიჩოჩავდა და თარგამაძესა და სააკაშვილს შორის დისტანციას ზრდიდა.

მაგრამ საინტერესო ის არის, რომ მთავრობის სხდომის შემდეგ, ჟურნალისტებთან საუბრისას, ორივე მინისტრი კოლეგიალობასა და თანამშრომლობაზე ალაპარაკდა. ვერაფერს იტყვი... ჯერჯერობით, ძნელია პროგნოზის გაკეთება, მაგრამ იმდღევანდელ სიტუაციას ერთი ქართული ანდაზა ნამდვილად შეეფერებოდა — ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო.

### „ჩვენი ხალხი ბევრს მოგზაურობს, მაგრამ..."

ბოლო მთავრობის სხდომაზე თვალში საცემი იყო ჩვენი მინისტრების ცარიელი სავარძლები. ის იყო ჩვენი აღმასრულებლების ჯანმრთელობის გამო დავიწყეთ წუხილი, რომ პრეზიდენტმა გაურკვევლობის ბურუსი გაფანტა — მინისტრები უცხოეთში ყოფილან. „ჩვენი ხალხი ბევრს მოგზაურობს, მაგრამ შედეგებს ვერ ვგრძნობთ" — დაიჩივლა პრეზიდენტმა და პირველი, ვისაც „უშედეგო მოგზაურობისთვის „ყვითელი ბარათი" უჩვენა, ნინო ჩხობაძე იყო.

*იზო რიკაძე*

## ძლივს — ერთი



სოჭში რომ უმნიშვნელოვანესი ღონისძიება, ტაეკვონ-დოს მსოფლიო ჩემპიონატი ტარდებოდა, მასში მონაწილე იმ 140 ქვეყნიდან, არც ერთში არ მომხდარა ამის აფიშირება. ბუნებრივია, ეს გასაიდუმლოებული არ იყო, მაგრამ ერთგვარ, არც ვიცით თავშეკავებულობისა და მოკრძალების ხასიათს ატარებდა, მითხრა ტაეკვონ-დოს საერთაშორისო ორგანიზაციის წევრმა, საქართველოში ამ სახეობის პრეზიდენტმა, მეცხრე, ერთ-ერთი იშვიათი დანის მფლობელმა ალეკო გოგაძემ. საქართველოს ნაკრებმა მოწვევა მივიღეთ, სამხედრო პირისგან, გენერალ-ლეიტენანტ სერგეი კოვალიოვისაგან, რომელიც საერთაშორისო გაერთიანებულ ფედერაციას კურირებს და მერვე, ყველაზე იშვიათი დანის მფლობელია.

ალბათ, აქვე უნდა ითქვას, რომ საერთო ხარჯი, რომელიც გუნდის უნდა გაეღო, საკმაოდ სოლიდური გახლდათ, რაც დიდი ძალისხმევითა და შემწეობით შევაგროვეთ, რადგან მონაწილეობის სურვილის გარდა, გამარჯვების დიდი იმედი გვქონდა და ამაში დავრწმუნდით მაშინ, როცა სოჭში ჩასულებმა სხვადასხვა ქვეყნის სპორტსმენებს გადავხედეთ. ჩასვლისთანავე, პირველ ოქტომბერს, ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ შეჯიბრში მონაწილეობას აფხაზები, როგორც დამოკიდებელი სახელმწიფოს წარმომადგენლები, ისე იღებდნენ. იმ დღესვე კოვალიოვთან საპროტესტო განცხადება შევიტანეთ, სადაც კატეგორიულად ვითხოვდით, რომ აფხაზეთს, როგორც დამოუკიდებელ ქვეყანას, ჩემპიონატში მონაწილეობა არ უნდა მიეღო, რადგან ჩვენ, ამ შემთხვევაში, ძალაუნებურად, მათი დამოუკიდებლობის აღიარება გამოგვივიდოდა.

გენერალმა კოვალიოვმა გვიპასუხა: არ შემიძლია ვცნო, არცნობილი სახელმწიფო და თუ აფხაზებს მონაწილეობა უნდათ, საქართველოს ნაკრების სახელით გამოვიდნენ, რასაკვირველია, თუ თქვენ ამაზე დათანხმდებითო. ვიფიქრეთ, თუ საერთო ენას გამოვნახავთ, მაშინ ჩვენი ეგიდით გამოსვლის საშუალებას მივცემდით. ჩავთვალეთ, რომ პრობლემა

# „ჯაბა იოსელიანს ვაფრთხილებ — შეეშვას უზრდელურ გამონათქვამებს...“

არის ფაქტები, რომლებიც წლების გადასახედიდან მეტ სიცხადეს იძენენ. ახალი, აქამდე უცნობი დეტალების გამომჟღავნება ზოგჯერ მთლიანად ცვლის ძველ შეფასებებსა და არგუმენტებს. გამონაკლისი ამ მხრივ არც ჩვენი ქვეყნის ბოლო ათწლეულის ისტორიაა. პიროვნებები, რომლებიც აქამდე დუმდნენ, ალაპარაკდნენ, ხოლო ვისაც ლაპარაკისა არასდროს ეშინოდა, მივიწყებულ, საინტერესო ამბებს იხსენებს. ჩნდება უამრავი კითხვა, რომელთაც პასუხი უნდა გაეცეს. „კვირის პალიტრის“ კითხვებს დღეს პარლამენტარი **ირაკლი ბათიაშვილი** უპასუხებს, რომლის გვარმაც ბოლო დროს რამდენიმე (მივიწყებული და ახალგახსენებული) ფაქტის გამო გაიჟღერა.

**— ჩვენი გაზეთისთვის მოცემულ ინტერვიუში (იხ. №40) ჯაბა იოსელიანი თქვენ და გია ყარყარაშვილს გადანაშაულებთ გრაჩოვთან მოლაპარაკების ჩაშლაში. მისი თქმით, გუმისთაზე რომ ორი რუსული ბატალიონი ჩამდგარიყო, სოხუმი არ დაეცემოდა.**

— ამ ორი დივიზიის შემოყვანის გეგმა რუსეთის გენშტაბში შემუშავდა და იმ ოპერაციის ნაწილი იყო, რაც რუსეთს ჰქონდა კავკასიის მიმართ დაგეგმილი. ორი დივიზია მთლიანად განაიარაღებდა ჩვენს ჯარს და არ შეეხებოდა აფხაზურ მხარეს. ამის შემდეგ არძინბა აუცილებლად შევიდოდა სოხუმში. რადგან პასტუხოვი დაბეჯითებით ამბობდა — სოხუმში კანონიერი ხელისუფლება უნდა აღდგეს — არძინბა უნდა დაბრუნდესო. ამ ხოცვა-ჟლეტის შემდეგ არძინბა სოხუმში შემოვიდოდა, დახვდებოდა რუსების ორი დივიზია, განიარაღებული ჩვენი ჯარი და მოხდებოდა იმაზე უარესი, რაც მოხდა — ხუთჯერ მეტი ხალხი დაიხოცებოდა. ეთნიკური წმენდა მაინც მოხდებოდა და რუსები მიაღწევდნენ უმთავრესს — ყველაფერი დაკანონებული იქნებოდა საქართველოს მოთხოვნით. ეს გახლდათ რუსების მორიგი თვალთმაქცობა, ფანდი — მათ შევარდნაძის კიდევ ერთი ხელმოწერა სჭირდებოდათ, რომ მერე — ჟენევაში იქნებოდა თუ გაეროში — ეს ქაღალდი ჩვენთვის ცხვირწინ ეფრიალებინათ.

ჯაბა იოსელიანი არასდროს ყოფილა პოლიტიკურად დიდი გამჭრიახი ფიგურა, რომ ობიექტურად და ზუსტად შეეფასებინა, რა შინაარსი და აზრი იყო ჩადებული გრაჩოვის ორი დივიზიის შემოყვანაში. აბსურდია იმის მტკიცება, რომ ამით ჩვენ სოხუმს შევინარჩუნებდით და ხოცვა-ჟლეტას თავიდან ავიცილებდით. ჯაბა იოსელიანი მე და გია ყარყარაშვილს უდიერად გვიხსენებს და ვაფრთხილებ: — შეეშვას ასეთ უზრდელურ გამონათქვამებს ჩვენსა და ჩვენი ოჯახების მიმართ. უზრდელობა ჩვენც არანაკლებად შეგვიძლია, მაგრამ ამას არც საკუთარ თავს ვაკადრებთ და არც სხვას.

**— იმავე ინტერვიუში იოსელიანი აცხადებს — კიტოვანი ძალით წავიყვანე ოჩამჩირეში, ის აფხაზეთში სულ ორჯერ ჩამოვიდაო, — ესეც არ არის მართალი?**

— არ ვიცი, ჯაბას სად და როგორ მიჰყავდა კიტოვანი და რამდენი ხვეწნა სჭირდებოდა. ასეთ თემაზე ლაპარაკი არ მიყვარს.

**— ამბობენ, იყო შემთხვევები, როცა გვარდიას უჭირდა, „მხედრიონი“ არ ეხმარებოდა და პირიქით...**

— დიახ, ამ ფაქტების მოყვანა შეუძლიათ „მხედრიონელებსაც“ და გვარდიელებსაც. ასეთი შემთხვევები ომში ხდებოდა, მაგრამ ეს არ ყოფილა შედეგი იმისა, რომ ერთი შენაერთი უკეთესი იყო და მეორე — უარესი. მიზეზი გახლდათ ჩვენს სამხედრო ძალებში არსებული ანარქია, ჯარი ჯარს არ ჰგავდა. თავდაცვის სამინისტრო არ იყო მოწესრიგებული სისტემა. ჯარში არ უნდა არსებობდეს არც „მხედრიონი“ და არც „თეთრი არწივი“. უბედურება ის იყო, რომ ჩვენი ჯარი ამ ფორმირებების ნაკრებისგან შეიქმნა, თორემ მეომრების უმრავლესობაზე ვერავინ იტყვის, შეუპოვრობა და თავგანწირვა აკლდაო.

**— მაგრამ რა ერთიანი სისტემა და მართვის მექანიზმი სჭირდებოდა იმას, რომ ომში ქართველი ქართველს უნდა მიხმარებოდა?**

— მებრძოლი მებრძოლს გასაჭირში ყოველთვის ეხმარებოდა. მე ვლაპარაკობ იმაზე, რომ ოპერაციები ერთიანი გეგმით არ ტარდებოდა, საბრძოლო მოქმედებები შეთანხმებული უნდა ყოფილიყო. მართვის ერთიან სისტემას ყველა შენაერთი უნდა დამორჩილებოდა. ზოგჯერ ერთი შენაერთი შეტევაზე აპირებდა გადასვლას, მეორე — რაღაც სხვა გადაწყვეტილებას იღებდა.

**— ზოგიერთი ომის მონაწილე აცხადებს — ვიღაც ინკოგნიტო პირების განკარგულებით დაკავებულ პოზიციებს გვატოვებინებდნენო.**

— ბრძანებებს სამხედრო ხელმძღვანელები იძლეოდნენ. როგორ შეიძლება შენაერთმა ან ჯარმა ვიღაც ინკოგნიტო ან ანონიმური პირის გაცემული ბრძანებით უკან დაიხიოს? ასე ხომ შეიძლება ნებისმიერმა დარეკოს და რაღაც ბრძანება გასცეს.

**— ამას წინათ აფხაზეთის უზენაესი საბჭოს ყოფილმა რწმუნებულმა გაგრაში, ჯონი ლატარიამ პრესაში დაასახელა აფხაზეთის დაცემაზე პასუხისმგებელი პირები. შევარდნაძესთან, ნადარეიშვილთან, ლომინაძესთან, კიტოვანთან ერთად თქვენ და გია ყარყარაშვილიც მოგიხსენიათ.**

— ბატონი ჯონი ლატარია ამ საკითხში სრულიად არაკომპეტენტურად მიმაჩნია. ახლა პატრიოტობაზე რომ დებს თავს, მაინტერესებს, სად იყო სოხუმის დაცემის დღეებში? რომელი ნაბრძოლი და მეომრებში ავტორიტეტული პიროვნება ის არის, რომ დაიწყო გაგრის დაცემაში პასუხისმგებელი პირების დასახელება?! ამ სიით ჩანს მისი ტენდენციურობა. სოხუმში მეომრები რომ შთაგვეგონებინა, მეც, გენო ადამიაც, ჯაბაც, გიგა გელაშვილიც, გია ყარყარაშვილიც და შევარდნაძეც კი, ფრონტის ხაზზე მივდიოდით. ჩვენ ყველას გვახსოვს იქ ერთმანეთი და მაინტერესებს, ვინ არის ჯონი ლატარია, რომ პასუხისმგებლობის ვერდიქტი გამოიტანოს? მას თუ ალე შუშანაშვილი და პროკურატურა აინტერესებს, მშვენივრად შეუძლია მოიძიოს დოკუმენტები უშიშროებაში, თუ ისინი იგორ გიორგაძის დროს არ გაუნადგურებიათ. ნახოს, რა ინფორმაციას აწვდიდა უშიშროება გაგრის დაცემის წინ, სოხუმზე შემოტევამდე რამდენიმე დღით ადრე. რა სიზუსტით იყო აღნუსხული გადაადგილებები და მოწინააღმდეგის შეიარაღების რაოდენობა. ჰკითხეთ უშიშროების თანამშრომლებს, პროფესიონალებს იური კეშელავას, ჯონი ხეცურიანს, ავთო იოსელიანს, რომლებიც მაშინ წარმართავდნენ მთელ მუშაობას. მაშინ უშიშროების სამსახურის საზრუნავი მხოლოდ აფხაზეთი გახლდათ. იმ ანარქიის პერიოდში უშიშროება კიდევ ყველაზე ორგანიზებული იყო. ჩვენი თანამშრომლები ამავე დროს მეომრებიც იყვნენ. საჭიროებისამებრ მზად იყვნენ ფრონტის ხაზზე გადასასვლელად. როცა ვინმე პასუხისმგებლობის საკითხს სვამს, იწყებს სიას შევარდნაძით და ამთავრებს ბათიაშვილით, ის პოლიტიკურ შეკვეთას ასრულებს. ძალიან მაინტერესებს, ვინ დგას ამის უკან და რატომ.



**— დღევანდელ პრობლემებსაც შევეხოთ. რაიმე ინფორმაციას ხომ არ ფლობთ გაქცეულთა დაკავებასთან დაკავშირებით?**

— ეს გაქცევა სინამდვილეში რასაც წარმოადგენს, ყველამ კარგად ვიცით. რა მნიშვნელობა აქვს პატიმრები გვირაბიდან გაიქცნენ თუ კარიდან. სისულელეა, გაითხაროს 32 მეტრიანი გვირაბი, ტომრები პალატაში ეწყოს და ეს არავინ იცოდეს. ეს გაქცევა გარკვეული ზემდგომი პირების უშუალო მფარველობით მოხდა. იქიდან ვინმეს გაქცევა გამორიცხულია, თუნდაც პირი შეეკრა ყველა თანამშრომელს. ამიტომ მთავარი ქობალიასა და აბსანძის დაჭერა არ არის. ჭკუა-გონება იმის გამოძიებისკენ უნდა იყოს მიმართული, ვინ გააქცია ისინი. აქ არის ძაღლის თავი დამარხული, ეს უფრო მნიშვნელოვანია. თორემ ქობალია და აბსანძე რომ გაიქცნენ, რა გასაკვირია. მათ მიეცათ საშუალება, წასულიყვნენ და წავიდნენ. მით უმეტეს, ხედავდნენ, საქმე მათ სასარგებლოდ არ მიდიოდა. ისინი თავს დამნაშავეებად არ მიიჩნევენ, პირიქით, დარწმუნებულები არიან, რომ დამნაშავეები დღევანდელ ხელისუფლებაში სხედან. მთავარი პრობლემაა ის, ვინც აქ, შუაგულ ხელისუფლებაშია მოკალათებული, ვინც მათ ასეთი აქციის ჩატარების საშუალება მისცა. ხომ ყველამ იცის, ჯონი ხეცურიანი არ ყოფილა ამ შეთქმულების მამამთავარი და ის მხოლოდ განტევების ვაცი გამოდგა.

ამ აქციის მიზანი იყო არეულობა. თუ მისი მასშტაბები გაიზრდებოდა, განხორციელდებოდა საბოლოო განზრახვა — ხელისუფლების შეცვლა. და კიდევ, მხოლოდ ამ გაქცევის ფაქტზე დაყრდნობით ძნელია იმის განსაზღვრა, ხელისუფლებაში მოკალათებული დესტაბილიზაციის თაოსნები თავად იბრძვიან პირველობისთვის, თუ ქვეყნის სათავეში თავიანთთვის სასურველი კაცის მოყვანა სურთ.

***იზო რიკაძე***

# ქართული, კაცური პროტესტი!..

გადაწყდა. რამდენჯერმე მოსალაპარაკებლად შეხვედრა ვთხოვეთ აფხაზებს. სიტყვიერი შეტყობინება გავგზავნე, რომ სადმე გვწვეოდნენ და ეს ტაეკვონ-დოს ფედერაციის წესების დაცვით გავაკეთე, რადგან (ტრაბახად ნუ ჩამითვლით) მეექვსე დანის მფლობელი ვარ და მათ რომ შევხვედროდი, ისე გამოვიდოდა, თითქოს გენერალი ეახლა პრაპორშჩიკსო, რაც წესების უხეში დარღვევა გახლავთ — მათ სპორტსმენებს ხომ დაბალი დანები ჰქონდათ. აფხაზებისაგან პასუხი არ მიგვიღია. ამასობაში ჩემპიონატის გახსნის ეტაპი დაიწყო: შეხვედრები ხელმძღვანელებს შორის, დიალოგი, ტექნიკის დემონსტრირება და ა.შ. აფხაზები არსად ჩანდნენ, მაგრამ სასტუმრო „მოსკოვში“, სადაც სპორტსმენები დავბინავდით, დადიოდა ხმები, რომ აფხაზები სიაში თავისივე სახელით მაინც შეყვანილი იყვნენ. რამდენჯერმე კიდევ შევეხმიანეთ, მაგრამ ამაოდ. დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ კი, უარი მივიღეთ, არ გვსურს თქვენთან საუბარიო. 2 ოქტომბერს ე.წ. აწონვის დღეს, მათთვის თვალი არ მოგვიკრავს. ასევე იყო სამშიც. გახსნის ცერემონიალზე რომელსაც რუსეთის აუღიარებელი მეფე ნიკოლაი რომანოვი თავის მეუღლესთან, ნატალიასთან ერთად ესწრებოდა. რუსი გენერლებიც უხვად ისხდნენ, თავიანთ გუნდს გულშემატკივრობდნენ. საზოგადოება მრავალფეროვანი გახლდათ. საგულისხმოა, რომ ამ ჩემპიონატის ყველაზე საინტერესო ნაწილი სპარინგი ანუ იგივე ჩხუბის დემონსტრირებაა, რასაც ყველა დიდი ინტერესით ელოდა. ოთხ ოქტომბერს პატივი დაგვდეს და, პირველ რიგში, ჩვენი ქართველი მსაჯები წარმოადგინეს. მეორე დღეს ორთაბრძოლები უნდა გამართულიყო, მაგრამ იმ საღამოს აფხაზები აღარ მოგვერიდნენ და როგორც ცალკე სახელმწიფო, მსაჯთა შეკრებას დაესწრნენ. თანაც ხმამაღლა გამოაცხადეს, რომ მათ ხელმძღვანელობდა ვიღაც აფხაზი გოგუა. ამაზე უკვე ცხარე კამათი გაიმართა კოვალიოვთან, რომელმაც გვითხრა, რომ ის არ არის პოლიტიკოსი და ჩემპიონატზე პოლიტიკურ საკითხებს არ წყვეტს. ეს უკვე სერიოზული განაცხადი გახლდათ და მზად ვიყავით, ფიზიკურადაც გვეჩხუბა, მაგრამ წესების უზომო დარღვევა გამოვიდოდა, რასაც სპორტული რეჟიმი კატეგორიულად გვიკრძალავს. თავი შევიკავეთ და კოვალიოვს განვუცხადეთ, რომ ჩემპიონატს დავტოვებდით. ულტიმატუმს მიყენებთო? — მკვახედ მოგვიგო, „სახელმწიფო ინტერესებს ვიცავთ“, — ვუპასუხეთ და გამოვტრიალდით. ამის შემდეგ კიდევ ვცადეთ აფხაზებთან შეხვედრა, უკვე მზად ვიყავი სპორტული იერარქიული წესები დამერღვია და თავად შევხვედროდი სასაუბროდ, მაგრამ მაინც არაფერი გამოვიდა, ისინი შეხვედრას გაურბოდნენ.

სასტუმროს დერეფანში ვიღაც ახოვანმა მამაკაცმა გამაჩერა: ნუ გავიწყდება, ბავშვები თან გყავს და აფხაზეთის საზღვარიც აქვეაო, — დამემუქრა. ამას გარდა, მართალია, დანამდვილებით ვერ გეტყვით, ვინ იყვნენ, მაგრამ ყოველ ფეხის ნაბიჯზე სადაც არ უნდა წავსულიყავით, თვალყურს გვადევნებდნენ, არ გვცილდებოდნენ. ხუთ ოქტომბერს, დილით, ორთაბრძოლის დაწყების დღეს, კიდევ რაღაცის იმედი გვქონდა და გამოვცხადდით სოჭის ცირკის დარბაზში, სადაც ჩემპიონატი ტარდებოდა. იქაურობა გადაჭედილი დაგვხვდა. საგანგებო ლოჟაში გამარჯვებაში წინასწარ დარწმუნებული რუსეთის „მეფე-დედოფალი“ თავმომწონედ ისხდნენ. გარშემო მუნდირიანი გენერლები ეხვივნენ. მოკლედ, არისტოკრატიული საზოგადოება ამაყად გადმოგვყურებდა. სხვათა შორის ე.წ. „ნოვი რუსკების“ ინტერესიც გამოვიწვიეთ. ჩემპიონატს ჩვენი ქართველი გულშემატკივრებიც ესწრებოდნენ. ორთაბრძოლებისა და გამარჯვებისთვისაც ვიყავით მზად, მაგრამ... აფხაზები გამოცხადდნენ და როგორც ყველა სახელმწიფომ, მათაც „სახელმწიფო“ დროშა გადმოფინეს თავის ტრიბუნაზე. თავის შეკავება ძალზე რთული იყო, როცა აფხაზები ჩვენ გვერდით აღმოჩნდნენ. დიდი ძალისხმევით შევიკავეთ თავი. ეს უკვე მასობრივი ხულიგნობა იქნებოდა, თორემ ერთი თქმა და აფხაზეთის 15 კაციანი დელეგაციისაგან ბდღვირი აღარ დარჩებოდა. 25 სპორტსმენმა პრეზიდენტის, ხელმძღვანელის და მენეჯერის თანხლებით, საჯაროდ მოვიხსენით მკერდზე დაბნეული სამაგრები და მასთან ერთად ვისაც, რა მოგვხვდა ხელში, სახეში მივაყარეთ კოვალიოვსა და პრეზიდიუმში მყოფ მის თანმხლებ პირებს. ხალხი სახტად დარჩა. ჯგუფმა დემონსტრაციულად დავტოვეთ დარბაზი, გარეთ გამოვედით და რას ვხედავთ: ქართველ გულშემატკივრებს მიუტოვებიათ სანახაობა და თანაგვიგრძნობდნენ, ხელს გვართმევდნენ და თითქოს გვეფერებოდნენ. ამას ვერასოდეს დავივიწყებ და ვერც აღვწერ იმ წუთების განცდას...

ასე დავკარგეთ ის სიმწრით შეგროვილი თანხა, რომლითაც ჩავედით სოჭში, სასტუმრო ვიქირავეთ და სხვ. მაგრამ ვფიქრობ, რომ კარგად მოვიქეცით, დავანახეთ ყველას, რომ საქართველო ცოცხალია, ფეხზე დგას და ბრძოლისუნარიანია... მომხდარზე საქმის კურსში ჩავაყენეთ საქართველოს წარმომადგენელი სოჭში თემურ კალანდია, სოჭში ქართული კულტურის ხელმძღვანელი სიმონ ურუშაძე. დაბრუნებულებმა საგარეო საქმეთა სამინისტროს შევატყობინეთ და ახლა ტაეკვონ-დოს ცენტრის დამაარსებელს და ფუძემდებელს კანადაში, ერთადერთი მეცხრე დანის მფლობელს პაკ-ჯუ-ტეს გავაგებინებთ, რომელიც ყველაზე მეტად დისციპლინას აფასებს.

***თამაზ ხაბეიშვილი***

# „ვახ, დედა თქვენსაო“

## „რქიანი“ ქურდები...

ახალმოსული ხელისუფლება ძველის დამხობის შემდეგ, პირველად ძეგლების აღების ბრძანებას გამოსცემს ხოლმე, რითაც იმ წყობის კერპებს ისტორიის კუთვნილებად აქცევს. მაგრამ რაგინდ ხელისუფლება შეიცვალოს, რაგინდ წყობა დაემხოს, ერის საამაყო შვილების — მწერლების, პოეტების და სხვათა მემორიალები ხელუხლებელი რჩება ხოლმე. მათ მხოლოდ მტერი თუ გაანადგურებს დამპყრობლური ომის დროს. ამით ისინი ცდილობენ ერის „პირისაგან მიწისა“ აღგვას; ზოგჯერ ამასაც არ სჩადიან, რადგან დიდი მწერლის შემოქმედება მარტო მშობელი ერის კი არა, მსოფლიო კუთვნილებაა. ეს იცის მტერმა, მაგრამ არ გვცოდნია ჩვენ — ქართველებს, რადგან მსოფლიო პოეზიისა თუ პროზის გენიად აღიარებული ვაჟა-ფშაველას ძეგლი-კომპლექსიდან ირმის რქები მოიპარეს(!!!). როგორც ჩანს, ქურდობა საკმაოდ ორგანიზებული იყო, რადგან რქებს შიშველი ხელით ვერ მოერეოდნენ, მას ამწე დასჭირდებოდა. რად სჭირდებოდათ? როგორც სპეციალისტებმა გვითხრეს, რქების ე.წ. გული ბრინჯაოსია, არც მაიცდამაინც ძვირფასი, რადგან გადამუშავების შემთხვევაში მხოლოდ რაღაც გროშები შეიძლება აიღო, რასაც დიდი შრომა სჭირდება; და როგორც ჩანს, ნაოხარის გაყიდვა ვერც მოახერხეს, რადგან ნაწილი რქებისა ყაზბეგის გამზირზე, ავტოფარეხის ტერიტორიაზეა მიყრილი, რომლის უკან დაბრუნებას მერია აგერ უკვე რამდენი ხანია, ფიქრობს, ფიქრობს და ფიქრობს... თუ რქების წაღება შეძლეს და იკადრეს, გამორიცხული არ არის, ვაჟასაც დაეჯაჯგურონ, მაგრამ ვაჟა ყველგან დიდია და იციან, ვერას დააკლებენ. ლაპარაკი შეეძლოს — ხომ ჩამოსძახებდა, „ვახ, დედა თქვენსაო“...







თუმცა იმის შემდეგ, რაც ტიციანისა და ნოდარ დუმბაძის ბიუსტების მოპარვა სცადეს, აღარაფერია გასაკვირი. მხოლოდ ერთი მინდა ვიკითხო — რამ დაგვაცარიელა და დაგვამშია ისე, რომ ამ მოკლე ხანში ამდენი ძეგლების გაძარცვა შევძელით: ვაკის პარკი — გ. ოჩიაურის „დიდების მემორიალი“, კომპოზიცია „რეკვიემი“ (ბრინჯაო, გრანიტი); ა. მონასელიძის „ბერიკაობა“ (ბრინჯაო“), ბავშვთა გალერეის წინ; ვ. თოფურიძის ლადო კეცხოველის ბიუსტი (მარმარილო), 9 აპრილის ბაღი; გ. ჯაფარიძის „პატარა მეოცნებე“ (ბრინჯაო), ბავშვთა ქალაქ „მზიურში“. კ. ტაბატაძისა და ჯ. თუშურაშვილის „თერგდალეულები“ (ბრინჯაო), საქართველოს სამხედრო გზა; ვ. ქოქიაშვილის „ვიტრაჟი“, თბილისის ფუნიკულიორის ქვედა სადგური, გ. შხვაცაბაიას „მირზა გელოვანი“ (სპილენძი), თელეთის ახალგაზრდული ქალაქი; მ. მერაბიშვილის ირაკლი ჯორჯაძის პორტრეტი (მარმარილო), მხატვრის სახლის წინ; დოდო ლორთქიფანიძის პორტრეტი (მარმარილო) — მხატვრის სახლი...

საგულისხმოა, რომ არც ერთ მათგანზე სისხლის სამართლის საქმე აღძრული არ არის, არადა კომუნისტების ზეობის ხანაში მსგავს ფაქტზე დიდი მითქმა-მოთქმაც ატყდებოდა და საზოგადოებაც შესაბამისად დაირაზმებოდა. მაგრამ ახლა, „მხატვრის სახლის“ ჩივილს ყურიც არავინ ათხოვა. როგორც ჩანს, იფიქრეს, რა დროს ეგაა, როცა ხალხი უხელფასობით იხოცებაო.

ქურდობამ პიკს მიაღწია მაშინ, როცა ვაკის პარკში დიდების მემორიალის მუდმივი ცეცხლის 200 კგ-იანი ბრინჯაოს გვირგვინი მოხსნეს (ან როგორ მოახერხეს, დაუდგენელი დარჩა). ეს ვანდალიზმი უთუოდ საქართველოს საუკუნის სამარცხვინო ქურდობად უნდა იქნეს აღიარებული, ისევე როგორც მარაბდაში ცხრა ძმა ხერხეულიძის თავის, მხრებისა და საჭურვლის მოჭრა... არ გადავაჭარბებ თუ ვიტყვი, რომ იმ ქართველს (თუ ქართველი იყო) ეროვნება უნდა ჩამოერთვას. აქვე სათქმელია, რომ სამარცხვინო სამოქალაქო ომის დროს ქართლის დედას ზურგში რამდენიმე ტყვია ესროლეს.

ამასთან ერთად, ძეგლთა ძარცვის მსგავსად, საგრძნობლად იმატა საცხოვრებელი სახლებიდან მემორიალური დაფების ქურდობამაც. მაგალითად, დაკარგულია მიხეილ ჯავახიშვილის, ეროსი მანჯგალაძის და სხვათა დაფები (ამის თაობაზე წერდა „კვირის პალიტრა“) ჯერჯერობით, დაუდგენელია, რა მიზნით ქრება ეს მემორიალური დაფები, მათაც ხომ რაიმე ძვირფასი მეტალისაგან არ ამზადებენ? დაფები მხოლოდ თავის დანიშნულების ადგილასაა ღირებული.

დაბოლოს, წერილი რომ ძალიან მძიმე არ გამოვიდეს, ვიტყვი, რომ ჩვენდა სასიხარულოდ (ჯერჯერობით!), ხელუხლებელია დედაენისა და რისთაველის ძეგლები.

**ვიამაყოთ?**

***თამაზ ხაბეიშვილი***

# „უამრავ ადამიანს ვიცნობ, რომლებიც სიზმრებში უკვე პრეზიდენტები არიან"

## „თუ გაინტერესებთ, რას ვფლობ, ნახეთ ჩემი ქონებრივი დეკლარაცია"

როგორც ეტყობა, პოსტშევარდნაძისეული ეპოქისთვის მზადების პროცესი მმართველი პარტიის — მოქკავშირის ცხოვრებაში ძალზე მტკივნეულად მიმდინარეობს. მასმედიასა და პოლიტიკურ წრეებში კი უკვე ღიად საუბრობენ საპარლამენტო უმრავლესობის შესაძლო დაშლის თაობაზე, მით უმეტეს, რომ ყველასთვის ნათელი ხდება ის სერიოზული უთანხმოებები, რაც უმრავლესობის შიგნით ვითარდება. დაიშლება თუ არა უმრავლესობა, იყო თუ არა ნიკო ლეკიშვილის გადადგომის „მცდელობა" პირდაპირ კავშირში ამ დაპირისპირებებთან, რას ემსახურება გუნდებად დაყოფის ტენდენცია საქართველოს პარლამენტში?.. ამ და სხვა ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე „კვირის პალიტრას" თავად საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი **ნიკო ლეკიშვილი** ესაუბრება.



**— ბატონო ნიკო, უმრავლესობაში ბოლო დროს განვითარებული მოვლენების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შესაძლოა, ერთ მშვენიერ დღეს უგემო კაპიტნის როლში აღმოჩნდეთ.**

— სიმართლე გითხრათ, ამის საშიშროებას ნამდვილად ვერ ვხედავ. უმრავლესობა არის ფრაქციების და არა პიროვნებების, გაერთიანება. შეიძლება ვიღაც წავიდეს, ვიღაც მოვიდეს, თუმცა მოვლენების შემდგომი განვითარების ბედი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ მოხდება ამ პროცესების რეგულირება. გეთანხმებით, პრობლემები მართლაც არის და ამის ერთ-ერთი მიზეზი, ვფიქრობ, ისიც გახლავთ, რომ უმრავლესობაში ძალიან ბევრი ლიდერია. ყველას თავისი ამბიცია აქვს. სურთ, რომ დამკვიდრდნენ, რაღაც საბჭოები და გაერთიანებები შექმნან, ანუ არის ხალხი, რომელსაც უფროსობა უნდა.

**— მოქალაქეთა კავშირი პირობითად დაყოფილია ლეკიშვილის და ჟვანიას გუნდებად. რამ განაპირობა ასეთი დაყოფა?**

— არ ვიცი, მე, პირადად, არანაირი გუნდი არ მაქვს. მე შევარდნაძის გუნდის წარმომადგენელი ვარ... თუ ვინმე პრეზიდენტთან არ არის, ეს უკვე მისი პრობლემაა და ლეკიშვილი აქ არაფერ შუაშია.

**— თავად მოქკავშირის ლიდერები არ მალავენ, რომ თქვენსა და მათ შორის უთანხმოებაა.**

— მე არაფერს მეუბნებიან და სხვაგან რას ლაპარაკობენ, არ ვიცი. თუ რაიმეში არ მეთანხმებიან, მოვიდნენ და მითხრან. რადგან არ მოდიან, ე.ი. გულწრფელები არ არიან... ალბათ იმაში ვერ შევთანხმდით, რომ შევარდნაძის მიერ პარლამენტში შემოტანილ ყველა საკითხს მე მხარს ვუჭერ, ზოგ-ზოგიერთები კი — არა. მე წესიერი თამაშის მომხრე ვარ — განსაკუთრებით, თუ საქმე პარტიის თავმჯდომარეს ეხება. უბედურება იცით, რა არის? ზოგიერთებს ავიწყდებათ ხოლმე, რომ ამ პარტიის თავმჯდომარე ედუარდ შევარდნაძეა.

**— სწორედ პოსტშევარდნაძისეული პერიოდისთვის ხომ არ მიმდინარეობს ბრძოლა და ძალთა ერთგვარი გადაჯგუფება?**

> **ერთხელ გაბრაზებულ გულზე აღმოვჩნდი სვანეთში. იქ არის ეკლესია — ერთადერთი მთელ საქართველოში — კვირიკე, სადაც შეიძლება, შენი ოჯახი დააყენო სასწორზე და თქვა, თუ ეს მართლა ასეა, ჩემს ოჯახს დაემართოს ესა და ეს, თუ არადა — იმას, ვინც ამას მაბრალებს-თქო. ჰოდა, სწორედ ასე მაქვს ნათქვამი კვირიკეს ეკლესიაში. ასე რომ, ყველა ფრთხილად იყოს.**

— არ ვიცი, ვინ რისთვის იბრძვის. ისე, უამრავ ადამიანს ვიცნობ, რომლებიც სიზმრებში უკვე საქართველოს პრეზიდენტები არიან.

**— მაინც ვინ არიან ეს „სიზმარები"?**

— რა ვიცი, გაიხედ-გამოიხედეთ. ცოტანი არიან? კიდევ ვიმეორებ, თანამდებობა არ არის ჩემთვის თვითმიზანი. ძლივს დავიხსენი თავი დაცვებისა და ჯავშნიანი მანქანებისგან. ასე რომ, ყველამ მშვიდად იძინოს. მიჩუქნია მათთვის 100-წლიანი პრეზიდენტობა და პრემიერმინისტრობა.

**— საკმაოდ მშვიდად გამოიყურებით. არადა, როგორც ამბობენ, ახალგაზრდა რეფორმატორები თქვენი და თქვენი გუნდის ჩასაძირად „მუშაობენ".**

— რა ვქნა, კაცო, რა გავაკეთო. მუშაობენ და იმუშაონ. ღმერთმა დამიფაროს, ვინმეს ვებრძოლო. სიმშვიდეს იმიტომ ვინარჩუნებ, რომ ეჭვიანი არ ვარ. სწორედ ეჭვიანობა და ჭორიკნობაა, ქვეყანას რომ ღუპავს. სხვათა შორის, როცა ქალაქკომის პირველი მდივანი ვიყავი, ძალიან კარგად გავეცანი 37-იანი და 50-იანი წლების უშიშროების დოკუმენტებს. ნეტავ არ მენახა. დღემდე ვნანობ, რომ ეს სისაძაგლე წავიკითხე. ადამიანები ერთმანეთს მხოლოდ იმიტომ აბეზღებდნენ და წირავდნენ, რომ თანამდებობები დაეკავებინათ. ეს ამბები ჩემს მეტმა არავინ იცის და ვერც გაიგებს. დაფიცებული მაქვს, არასოდეს არავისთან ვიტყვი. ძალიან მეშინია, დღესაც იგივე არ განმეორდეს. ამის ტენდენცია უკვე აშკარად იგრძნობა. რა ვქნა, თუ ვინმეს ჩემი ჩაძირვა სურს? 25-30 წლის რომ ვიყო, ნამდვილად ვიდარდებდი, მაგრამ უკვე 53 წლის კაცი ვარ. ახლა, ჩავიძირები თუ არ ჩავიძირები, ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აღარ აქვს.

**— ამ რამდენიმე თვის წინ, როდესაც უმრავლესობის ლიდერობიდან შესაძლო გადადგომის თაობაზე განცხადება გააკეთეთ, მოქკავშირზე საკმაოდ განაწყენებული ბრძანდებოდით. ახლა რამ მოგიბრუნათ გული?**

— განაწყენებული სულაც არ ვყოფილვარ. უბრალოდ, როცა ზოგ-ზოგებმა ბრალდებები წამომიყენეს და თქვეს, ნიკო ლეკიშვილი ასეთი და ისეთიაო, დავაყენე საკითხი — თუ ასეთი ვარ, მაშინ თანამდებობაზე არ უნდა ვმუშაობდე-მეთქი. ჩვენთან იცით, როგორ არის? ადამიანს შექმნილი აქვს გათახსირებული, კორუმპირებული კაცის იმიჯი, მაგრამ მაინც მუშაობს რომელიღაც თანამდებობაზე. პასუხისმგებლობის გრძნობა საერთოდ გამქრალია. ზოგმა ვერ გაიგო, რისთვის გავაკეთე ეს განცხადება. მე ცოტა გლობალურად დავაყენე საკითხი — აი, მივდივარ და გაარკვიეთ, თუ მართლა ასეთი ვარ, ამ თანამდებობაზე აღარ დავბრუნდები-მეთქი.

**— მაშინ განაცხადეთ, რომ საბოლოო გადაწყვეტილებას პრეზიდენტთან შეხვედრის შემდგომ მიიღებდით. რა გითხრათ პრეზიდენტმა ისეთი, რომ დაგიყოლიათ?**

— უპირველესად, მისაყვედურა, უჩემოდ ასეთი განცხადება რატომ გააკეთეო. სხვათა შორის, პრეზიდენტი დაეთანხმა ყველა იმ არგუმენტს, რომელიც ამ განცხადებასთან დაკავშირებით მქონდა, მაგრამ მითხრა, მოდი, ჯერჯერობით, გააგრძელე მუშაობა, კონსულტაციები და მერე ვნახოთო. ორშაბათის ერთ-ერთ რადიოინტერვიუში კი პრეზიდენტს უთქვამს — ნიკო ლეკიშვილს ვთხოვ, რომ თანამდებობაზე დაბრუნდესო. მაშინ თბილისში არ ვიყავი და რომ ჩამოვედი, კიდევ ერთხელ შევხვდი ბატონ ედუარდს. ძალიან ბევრი ვითათბირეთ, და ბოლოს, მივიღე გადაწყვეტილება, დავრჩენილიყავი.

**— ოპონენტებმა ამის გამო პოლიტიკური უპრინციპობაც კი დაგაბრალეს.**

— სად დაინახეს აქ უპრინციპობა? რა უნდოდათ, შევარდნაძეს გავმიჯნოდი და მაგათთან წავსულიყავი? თუ ვინმე ამაზე ოცნებობს, ძალიან ცდება. მე ან შევარდნაძესთან ვიქნები და ან — არავისთან.

**— აბა, ასლან აბაშიძესთან რატომღა წახვედით კონსულტაციებისთვის?**

— კაცო, ჯერ ერთი, ასლან აბაშიძე ჩემი დიდი ხნის ნაცნობია. რა ვქნა, ვიღაცების გულისთვის მეგობრებთან შეხვედრებზე უარი ვთქვა? მეორეც, მაშინ აჭარაში ჩავედი ერთი ჩემი მეგობრის დაბადების დღეზე. ნებისმიერ რეგიონში რომ ჩავდივარ, საჭიროდ მიმაჩნია, დავურეკო იმ მხარის გუბერნატორს და ვუთხრა, აქა ვარ-მეთქი. ასე იყო მაშინაც. ქობულეთში დაბადების დღეზე მივდიოდი, დავურეკე ასლანს და ვუთხარი, ამა და ამ დღეს მანდ ვიქნები-მეთქი. მითხრა, კარგი იქნება, თუ შევხვდებითო. რა ვქნა, აღარ ვიარო დაბადების დღეებზე, ქორწილებში და აღარავის შევხვდე?

**— ე.ი. ასლან აბაშიძესთან პოლიტიკაზე და უმრავლესობის ლიდერობიდან შესაძლო გადადგომის თაობაზე არ გისაუბრიათ?**

— ყველაფერზეც ვილაპარაკეთ — პოლიტიკაზეც, იმაზეც, ამაზეც. არ უნდა გველაპარაკა? მე პოლიტიკოსი ვარ, ასლან აბაშიძე კი ავტონომიური რესპუბლიკის ლიდერი. რა არის ამაში გასაოცარი, ამხელა კუდი რომ გამოაბეს? კვირაში ერთხელ, ხან ორჯერაც, ტელეფონით ველაპარაკები. მერე რა? ახლა მაგაზეც დაიწყებენ ლაპარაკს... რა ვქნათ, ერთმანეთს ხმა აღარ გავცეთ? მოსკოვში რომ ჩავდივარ, მაგალითად, ვურეკავ ლუჟკოვს, იმიტომ, რომ ჩემი დიდი ხნის მეგობარია და რომ გაიგოს, იქ ვიყავი და არ დავურეკე, ძალიან ეწყინება. ახლა, ვინმემ რამე რომ არ თქვას, აღარ დავურეკო და აღარ შევხვდე?

**— სხვათა შორის, მაშინვე ითქვა, რომ ასლან აბაშიძემ რამდენიმე სერიოზული წინადადება შემოგთავაზათ. თქვენც დაჰპირდით, მოვიფიქრებო, მაგრამ შემდგომ პრეზიდენტის ხათრმა გადაგძალათ.**

— ტყუილია. პირიქით, როცა ვუამბე, ასე და ასე მოხდა-მეთქი, მითხრა, რად გინდოდა ასე რომ მოიქეცი, ეგ არამც და არამც არ გააკეთოო. არავითარი წინადადება არ შემოუთავაზებია. კარგა ხანი ბულვარში ვისხედით და მეგობრულად ვსაუბრობდით. ეგ იყო და ეგ.

**— შესანიშნავი ნამზეური გაქვთ. ალბათ, ბათუმში გაირუჯეთ...**

— არა, თურქეთში და „ლაგუნა-ვერეზე".

**— თურქეთში ოფიციალური მივლინება გქონდათ?**

— არა, მეუღლესა და შვილიშვილთან ერთად დასასვენებლად ვიყავი.

**— რამდენიმე წლის წინ, როცა სახელმწიფო მინისტრობიდან გადადექით, განაცხადეთ, „ამ" კარიდან მივდივარ და „იმ" კარიდან დავბრუნდებიო. ეს საკმაოდ თამამი განცხადება იყო. რას გულისხმობდით?**

— ეს ერთგვარი ფრთიანი ფრაზა გახლდათ, მაგრამ არამც და არამც არ ვგულისხმობდი თანამდებობაზე დაბრუნებას. მხედველობაში მქონდა ის, რომ აქტიური პოლიტიკური ცხოვრებიდან არ მივდივარ-მეთქი. როგორ ფიქრობთ, ამ თვალსაზრისით დავბრუნდი თუ არა?

**— ამბობენ, თითქოს იმ დღეს ჟვანიამ და ბარამიძემ გაიძულეს, მთავრობის სხდომაზე ასეთი განცხადება გაგეკეთებინათ. სხდომის შემდეგ კი რესტორანში გაქეიფეს, მართალია?**

— ჯერ ერთი, არასოდეს არავის ვუქეიფებივარ. ყველას ყოველთვის მე ვაქეიფებ ხოლმე. მეორეც — მე არა ვარ ის კაცი, ვინმემ რაიმე მაიძულოს. ისეთმა ვიღაცებმა ვერ მაიძულეს, რომლებიც ქვეყანას ანგრევდნენ... მაშინ სიტუაცია შეიქმნა ისეთი, რომ რაიმე უნდა შეცვლილიყო. პარლამენტში მდგომარეობა საკმაოდ დაიძაბა. ამას დაემატა გალის მოვლენებიც. სიმართლე გითხრათ, გადადგომის ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ სახელმწიფო მინისტრად ყოფნის მანძილზე ჩემი იმედები არ გამართლდა. ეს თანამდებობა არ იყო საჩემო. სხვათა შორის, გალის ამბები რომ მოხდა, ზურა ჟვანია მეუბნებოდა, მოდი, ორივე გადავდგეთო. ერთხელ, სამხედრო საბჭოზე აფხაზეთთან დაკავშირებით რაღაც სადავო დოკუმენტზე ხელის მოწერა იყო საჭირო. აბა, ვინ მოაწერსო და მე ვთქვი, მომეცით, მე მოვაწერ და ჯანდაბას, მერე გადავდგები-მეთქი. ამ ამბის მომსწრე ძალიან ბევრი ადამიანი იყო. ერთი სიტყვით, ბოლოს და ბოლოს, გადავდექი. მთავრობის სხდომაზე გავაკეთე განცხადება, საღამოს კი მე და ჩემი ძმაკაცები — 8-9 კაცი — წავედით რესტორანში და ჩემი „თავისუფლება" აღვნიშნეთ. მოგვიანებით შემოგვიერთდნენ ჟვანია და ბარამიძე. ასე რომ, არავის ვუქეიფებივარ და არსად დავუპატიჟებივარ, იმიტომ, რომ იქით დამპატიჟებელი კაცი ვარ. სხვათა შორის, ის თვე ძალიან კარგად ვიქეიფე — „თავისუფლებას" ვზეიმობდი.

**— მოდით, ახლა თქვენს ბიზნესსაც შევეხოთ, რომელზეც ასე ბევრს ლაპარაკობენ, თვით თქვენი თანაგუნდელებიც კი. უმრავლესობის ლიდერობიდან წასვლის შესახებ განცხადების ერთ-ერთი მიზეზი ბაზრებისა და ბაზრობების ლობირებაში თქვენი დადანაშაულება შეიქნა.**

— მაგის გარდა კიდევ ბევრი რამე დამაბრალეს. ხომ არ შემიძლია, დავდგე და ვიძახო, დედას გეფიცებით, ასე არ არის-მეთქი. ყველამ დაანებოს რა, თავი ამ სისულელეებს. მე „ბაზარნიკი" და ბაზრების კაცი არ ვარ. ვიცნობდე მაინც ამ ბაზრების ხელმძღვანელებს... ერთადერთი, ლილოს ბაზრობის დირექტორს ვიცნობ. ისიც ყოფილი პარტიული მუშაკია და იქიდან. სხვათა შორის, ერთხელ გაბრაზებულ გულზე აღმოვჩნდი სვანეთში. იქ არის ეკლესია — ერთადერთი მთელ საქართველოში — კვირიკე, სადაც შეიძლება, შენი ოჯახი დააყენო სასწორზე და თქვა, თუ ეს მართლა ასეა, ჩემს ოჯახს დაემართოს ესა და ეს, თუ არადა — იმას, ვინც ამას მაბრალებს-თქო. ჰოდა, სწორედ ასე მაქვს ნათქვამი კვირიკეს ეკლესიაში. ასე რომ, ყველა ფრთხილად იყოს.

**— მაინც რა თქვით?**

— იმის გარდა, რაც დეკლარირებული მაქვს, თუ რამე გამაჩნდეს, ჩემს ოჯახს ასე და ასე დაემართოს (ძალიან ცუდი რამე ვთქვი)... თუ არადა, ვინც მაბრალებს, იმას დაემართოს-მეთქი. კვირიკეს ძალიან დიდი ძალა აქვს და, სხვათა შორის, ვიღაც-ვიღაცებს უკვე აუხდათ კიდეც.

**— სხვათა შორის, იმასაც ამბობენ, ნიკო ლეკიშვილი ჭკვიანი კაცია, ყველაფერში ე.წ. წილი აქვს, პირდაპირ კი მისი სახელი და გვარი არსად ფიქსირდებაო.**

— გაჩერდნენ რა... ყველამ თავის კომპანიებს, ფირმებსა და ბიზნესს მიხედოს. აი, გადავხედე თანამდებობის პირთა დეკლარაციებს. განა რამე ცუდი უწერიათ ამ დეკლარაციებში, მაგრამ დასაზუსტებელია, როდის შეიძინეს მათ ეს ქონება. თუ მთელი ცხოვრება პოლიტიკაში ხარ, ამდენი შპს, ბინები და აგარაკები საიდან გაქვს? მე პოლიტიკაში რომ მოვედი, უკვე ორი მანქანა მყავდა, კარგად ვცხოვრობდი და წარმატებული ბიზნესი მქონდა. კაცო, სხვებისას არავინ არაფერს ეძებს. მაინცდამაინც ჩემს ქონებას ქექავენ... იმიტომ, რომ ჩემზე დავალება აქვთ მიცემული.

**— მტრები გყავთ?**

— (იცინის). მყავს, მყავს. ბევრი მტერი მყავს, მაგრამ მაგათი კონკურენტი ნამდვილად არა ვარ და ნუ გამაბრაზებენ, კონკურენტად ნუ მაქცევენ. ჩემი ზოდიაქოს ნიშანია კურო და ჩემზე წერია, იშვიათად გამოდის მოთმინებიდან, მაგრამ თუ გამოვიდა, მტრისას, მერე ძალიან საშიშიაო. ასე რომ, თავი გამანებონ, მდგომარეობიდან ნუ გამომიყვანენ.

**— ბიზნესი როდის დაიწყეთ?**

— 1990 წლის 11 დეკემბერს (მაშინ ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე ვიყავი). დავურეკე მაშინდელი უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს და ვუთხარი, თანამდებობიდან მივდივარ-მეთქი. ჩავალაგე ჩემი ავლადიდება და წამოვედი. ერთხელ, სასტუმრო „მეტეხში" რაღაც მიღებაზე ვიყავი. საღამო ხანს იქვე, რესტორანში დავრჩით მე, თემურ ჭყონია — ჩემი დიდი ხნის მეგობარი და კიდევ რამდენიმე ადამიანი. თემურმა მითხრა — მოდი, რამე ფირმა ჩამოვაყალიბოთო. რადენიმე ხანში მართლაც ჩამოვაყალიბეთ შპს „კავკასიონი", რომელსაც ლიმონათი უნდა ეწარმოებინა. ფული გვჭირდებოდა. მივედი თენგიზ სიგუასთან და ვუთხარი, ერთი მანქანა მომეცი-მეთქი. მაშინვე მომცა ავტომანქანა „ჟიგული". პატარა ბიზნესი დავატრიალეთ — ის მანქანა გავყიდეთ და აღებული ფულით დავიწყეთ საქმიანობა. მერე ბანკიდან სესხი ავიღეთ — 3 მილიონი მანეთი. ეს იყო დაახლოებით 500 ათასი დოლარი. დავიწყეთ შაქრის და სხვა რაღაც-რაღაცების შემოტანა. ერთი სიტყვით, ბიზნესი აეწყო და თანაც ისე კარგად, რომ ბანკიდან აღებული სესხი 6 თვეში გავისტუმრეთ. ბევრმა არ იკადრა ჩვენთან მუშაობა — ითაკილეს. ამხელა თანამდებობებზე ნამუშევარი ხალხი ფიზიკურად ვშრომობდით. ძალიან ხშირ-



ად ღამის 3 საათზე დაგვირეკავდნენ ხოლმე — ვაგონები ჩამოვიდა და გადმოსატვირთიაო. წავიდოდით და მუშების საქმეს ვაკეთებდით. აბა, რა გგონიათ, საიდან მოვიდა ეს ყველაფერი? მე დიდი სანაცნობო მყავდა. ისინიც დაგვეხმარნენ. მაშინ ბიზნესი ახალი ხილი იყო. ხალხი, ძირითადად, სავაჭრო საქმიანობას მისდევდა. ფაქტობრივად, ჩვენ ვიყავით პირველები, ვინც წარმოება დავნერგეთ. ამის შემდგომ დავაარსეთ ბანკი „სიონი", რითაც ჩვენი კაპიტალი კიდევ უფრო გაიზარდა.

**— როგორც ვიცი, შპს „კავკასიონის" გენერალური დირექტორიც იყავით.**

— კი, თავდაპირველად, მე ვიყავი, მაგრამ მერე მითხრეს, მოდი, იქნებ პარლამენტში შეხვიდეო. დეპუტატი რომ გავხდი, გენერალური დირექტორობიდან წამოვედი. მართალია, მაშინ არ იყო შეთავსება აკრძალული, მაგრამ აღარ გავჩერდი. სხვათა შორის, ახლანდელი „კოკა-კოლა" სწორედ „კავკასიონის" ბაზაზე შეიქმნა, ოღონდ ლიმონათის ნაცვლად, უკვე „კოკა-კოლას" გამოშვება დაიწყო.

**— ე.ი. „კოკა-კოლას" ერთ-ერთი დამფუძნებელი ხართ?**

— კი, ერთ-ერთი დამფუძნებელი ვარ, მაგრამ 1998 წელს გადავწყვიტე, ჩემი წილი გამომეტანა. მართლაც გამოვიტანე და ბანკში დეპოზიტზე შევიტანე. იქიდან წელიწადში 15%-ს ვიღებ და ეს ოფიციალურად მაქვს განცხადებული დეკლარაციაში. საკმარისი თანხაა იმისთვის, რომ ოჯახს ეყოს. „კოკა-კოლაში" ძალიან პატარა ნაწილიღაა დარჩენილი და ჩემს ქალიშვილს ეკუთვნის. იცით რა, სიმართლე გითხრათ, მომწყინდა უკვე ამაზე საუბარი. სხვათა შორის, ერთხელ რობერტ დე ნირო იყო ჩამოსული საქართველოში და ერთმა ჟურნალისტმა ჰკითხა, რამდენია თქვენი შემოსავალიო. დე ნირომ იცით, რა უპასუხა? მე თქვენ გიჩივლებთ იმისათვის, რომ ჩემი შემოსავლებით ინტერესდებითო. კიდევ ვიმეორებ, თუ გაინტერესებთ, რას ვფლობ, ნახეთ ქონებრივი დეკლარაცია. იმის იქით არაფერი მაქვს.

**— შპს „კავკასიონს" რა ბედი ეწია?**

— ეს ორგანიზაცია ალბათ ამ წლის ბოლომდე ლიკვიდირებული იქნება და იმ თანხასაც ბანკში გადავიტან. სხვათა შორის, ძალიან პატარა თანხაა. რაც შეეხება ბანკ „სიონს", იგი „ექსპორტ-იმპორტ-ბანკად" გადაკეთდა, სადაც 60 ათასამდე აქცია გვაქვს. ახლა ამ აქციების გასხვისებას ვაპირებთ იმიტომ, რომ ჩემს ქალიშვილს შინ რემონტი აქვს, ფული სჭირდება და უნდა მივეხმარო. თუ ამ ქვეყანაში ესეც აკრძალულია, მაშინ მითხარით.

***ხათუნა ყვირალაშვილი***

# დივერსია ჩეხეთში ნაყიდი ტანკების წინააღმდეგ!

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ შეძენილ ჩეხურ ტანკებზე მკითხველს ჯერ კიდევ ორი კვირის წინ მივაწოდეთ ამომწურავი ინფორმაცია.

გასულ კვირას ეს „მძიმე" შენაძენი კოდაში, მე-11 მოტომსროლელი ბრიგადის ტერიტორიაზე თავისი სვლით, საზეიმოდ შევიდა, რაც ათობით ჟურნალისტმა დააფიქსირა.

თუმცა იმ დღეს მასმედიის წარმომადგენლებს ყურადღება არ მიუქცევიათ, რომ შეძენილ ჯავშანკოლონას ორი T-55AM2 ტანკი და ერთი გამწევ-შეჯავშნული საევაკუაციო-სარემონტო მანქანა BT-55A აკლდა.

ჩამორჩენილი ჯავშანტექნიკა „კვირის პალიტრამ" თბილისი-რუსთავის გზის იაღლუჯის გადასახვევთან, ხიდის ახლოს შენიშნა, თუმცა მაშინ ჩვენ საგანგებოდ არ გავამახვილეთ ამაზე ყურადღება — ტექნიკა ტექნიკაა და ათასი რაიმე შეიძლება გამოვიდეს მწყობრიდან.

ამასთან, როგორც მაშინ გაირკვა, ერთ ტანკს და გამწევს სულაც არაფერი სჭირდათ, უბრალოდ მათმა მძღოლ-მექანიკოსებმა დააგვიანეს ძრავისთვის საწვავის მიწოდების სისტემის გადართვა ერთი ავზიდან მეორეზე, რის გამოც ამ სისტემაში ჰაერი აღმოჩნდა და ძრავები ჩაქრა. ეს დიდი უბედურება სულაც არ არის, რადგან დროთა განმავლობაში ეკიპაჟები უკეთ აითვისებენ საბრძოლო მანქანებს და ასეთ შეცდომებს აღარ დაუშვებენ.

მეორე ტანკის გაჩერების მიზეზი კი ბევრად უფრო სერიოზული იყო — გასკდა ზეთის მიმწოდებელი ერთ-ერთი მილი და სისტემაში წნევა დაეცა, ცოტაც და, ძრავა შეიძლება გაჭედილიყო. საბედნიეროდ, მძღოლ-მექანიკოსმა ტანკი გააჩერა, გარედან შეამოწმა ტანკის უკანა, ძრავის განყოფილება და ნათელი გახდა, რომ გაგრილების სისტემის ვენტილატორი ზემოთ ასხამდა მილიდან გამოჟონილ ზეთს.

წესით, ახალგარემონტებულ და ასე დიდი ამბით მიღებულ ტანკს არ უნდა გასკდომოდა ეს მილი, რომელიც სულ ახალი იყო.

თუმცა მილის შეცვლის და ამ უკანასკნელის უფრო გულისყურით დათვალიერების შემდეგ აღმოჩნდა, რომ 15 სმ-იანი მილი რაღაც ბასრი საგნით იყო გაჭრილი!

ესღა გვაკლდა — ამდენი წვალებით ჩამოტანილ ჩეხურ ტანკებს დივერსიის კვალი აჩნდა!

არადა, ის, რომ მილს ვიღაცამ წინასწარი განზრახვით დაუსვა სამართებელი, უკვე საეჭვო აღარ არის; მაგრამ ვის შეიძლებოდა ჩაედინა ამგვარი მავნებლობა და რა დროს?



ჩეხეთიდან ჩამოტანილ ამ T-55AM2-ს ვიღაცამ ზეთის მილი გადაუჭრა

საქართველოს მიერ ჩეხეთში ნაყიდი ჯავშანტექნიკის ეს მცირე პარტია ჯერ კიდევ ა.წ. 17 მაისს დაკონსერვდა ჩეხეთის ქალაქ ნოვი იჩინში განლაგებულ ტანკსარემონტო ქარხანაში, მანამდე კი, ორი თვის განმავლობაში, ოთხი ქართველი პროფესიონალი ტანკისტი დეტალურად ამოწმებდა თითოეულ ტანკს.

ჯერ ტანკებს თავად ჩეხი ტანკისტები 40 კმ-ზე ატარებდნენ და ქართველების შენიშვნებს აფიქსირებდნენ, მათი გამოსწორების შემდეგ კი უკვე თავად ჩვენი ტანკისტები ცდიდნენ ჯავშანტექნიკას. თუმცა მას მერე, რაც ერთი იემენელი ტანკით (იემენმა იმ ქარხანაში ასზე მეტი T-55 შეიძინა) „კუკუშკა" მატარებელს დაეჯახა, უცხო ქვეყნის წარმომადგენლებს ქარხნის დირექციამ აუკრძალა ტანკების მის ტერიტორიაზე მართვა.

მაისში ქარხანაში დატოვებული ტანკები საქართველოში მხოლოდ 1 ოქტომბერს ჩამოიტანეს. დივერსანტს მილის გადაჭრა შეეძლო, როგორც ადგილზე, ქარხანაში, ისე გზაშიც, თუმცა თუ ყველა დეტალს გავითვალისწინებთ, ბევრი ვერსია გამოირიცხება.

ნოვი იჩინის ქარხნიდან ტანკები სარკინიგზო პლატფორმებზე დატვირთეს და უკრაინისკენ გამოამგზავრეს. სლოვაკეთის გავლისას პლატფორმებს ამ ქვეყნის პოლიცია აკონტროლებდა. საზღვარზე, ჩოპში, ტანკები უკვე სხვა პლატფორმაზე გადატვირთეს ამწეების გამოყენებით და სარკინიგზო შემადგენლობამ, რომელსაც უკვე უკრაინის „ომონი" იცავდა, გეზი ნიკოლაევის პორტისკენ აიღო. აქ საპორტო ამწეებით 38 ტ-იანი საბრძოლო მანქანები უკვე გერმანული სატვირთო ხომალდის ტრიუმში ჩატვირთეს და ფოთში ისე ჩამოიტანეს. ფოთში ტანკები, ისევ ამწეების საშუალებით, სარკინიგზო პლატფორმებზე გადაიტვირთა და ვაზიანში ჩამოვიდა.

ფაქტობრივად, ჩეხური ტანკები პირველად მხოლოდ ვაზიანში დაიქოქა და სპეციალური მისადგომის საშუალებით, თავისი სვლით გადმოიტვირთა.

ეს ის სპეციალური პლატფორმაა, რომელიც ჯერჯერობით ისევ ვაზიანის 137-ე რუსულ სამხედრო ბაზას ეკუთვნის და საიდანაც გაჰყავთ თავისი T-72 ტიპის ტანკები რუსებს. იქ ჩეხურმა ტანკებმა ერთი ღამე გაათიეს... ალბათ ყველაზე ფრთხილი მკითხველი სულაც არ გამორიცხავს, რომ შეიძლება რომელიმე რუსი მზვერავი სიბნელეში ხოხვით მიუცოცდა ჩეხურ ტანკს და მილი გადაუჭრა.

მაგრამ, ერთი წმინდა ტექნიკური ნიუანსი მთლიანად აქარწყლებს ასეთ მარტივ მიგნებას — ჩამოტანილ ტანკებს კოშკურები უკან ჰქონდათ მოტრიალებული მათი ტრანსპორტირების გამო. ამიტომაც უკან მოტრიალებული სატანკო ლულები გამორიცხავდა ტანკის ტრანსმისიის ხუფის ახდას, რის გარეშეც ზეთის მილამდე ვერავინ მიაღწევდა.

აქედან გამომდინარე, თითქმის გამოირიცხება დივერსიის მცდელობა ტრანსპორტირების მარშრუტზე, რადგან კოშკურის მოტრიალებას ტანკში ჩაძვრომა სჭირდებოდა, არადა მისი ლუკები დალუქული იყო.

მაშინ ვის უნდა გადაეჭრა ზეთის მილი?

ქართველი სამხედროები სულაც არ გამორიცხავენ ასეთ ვერსიას — უშუალოდ ჩეხეთში, ტანკსარემონტო ქარხნიდან სარკინიგზო პლატფორმაზე დატვირთვისას, ტანკები აამუშავეს, რომლის დროსაც ამ საბრძოლო მანქანების ყველა აგრეგატი შეამოწმეს და მათ შორის, რა თქმა უნდა, ძრავაც. სწორედ ამ დროს ქარხნის რომელიღაც მუშამ, რომელსაც შეიძლება გარკვეული უთანხმოება ჰქონდა ტანკების მიმღებ ქართველ სპეციალისტებთან (პირველ რიგში კი, ამ უკანასკნელთა ძალზე სკრუპულოზური შემოწმებისა და შენიშვნების გამო), გარკვეული შურისძიების მიზნით, არ „დაიზარა" სამართებლის დასმა ზეთის მიმწოდებელ რეზინის მილზე.

ალბათ, აუცილებელი იქნება დანარჩენი ჩამოტანილი მძიმე ტექნიკის კიდევ ერთხელ დეტალური დათვალიერება, რათა სადმე არ იდოს „ნელი მოქმედების ნაღმი".

**არსენალი**

***ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენათა ფონზე მკითხველისათვის საინტერესოა, რას წარმოადგენს ისრაელის არმია და რა ტექნიკითაა აღჭურვილი მისი სამხედრო ძალები. გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ამის შესახებ.***

***გ. ანთაძე***

# ებრაელები „მერკავების" იმედად არიან

ბოლო დღეებში ელვისებურად განვითარებული მოვლენები ცხადყოფს, რომ ახლო აღმოსავლეთში ახალი შეიარაღებული კონფლიქტი თითქმის გარდაუვალია.

მოსალოდნელია, რომ დაიწყოს ისრაელ-არაბეთის მეექვსე ომი, რომელიც თავისი მასშტაბებით ერთ-ერთი ყველაზე სისხლისმღვრელი იქნება XX საუკუნის ზღურბლზე.

1948-82 წლებში ამ რეგიონში ხუთჯერ გაჩაღდა ფართომასშტაბიანი საბრძოლო მოქმედებები, რომლებშიც დაპირისპირებული მხარეები აქტიურად იყენებდნენ შეიარაღების ყველა სახეობას, განსაკუთრებით კი ტანკებს.

თუკი 1948-49 წლებში მებრძოლი მხარეები შედარებით მცირე ინტენსივობის ომს ახორციელებდნენ, 1956 წლის ოქტომბრის ბოლოსთვის ისრაელმა, ინგლისისა და საფრანგეთის დახმარებით, ეგვიპტეს შეუტია და ბრძოლაში ასობით ტანკი ჩართო. 1967 წელს, მესამე ისრაელ-არაბეთის ომში, ორივე მხარემ ბრძოლებში უკვე ათასზე მეტი ტანკი გამოიყენა, ხოლო 1973-82 წლების ომის დროს მძიმე საბრძოლო ტექნიკის რაოდენობა 3 ათასს აჭარბებდა.

დღესაც ებრაელები ძირითადად თავისი ტანკების იმედად არიან, რომელთა ელვისებურმა შეტევებმა არაბების თავდაცვითი ზღუდეები უნდა გადალახონ.

ებრაელების თავდაჯერებულობას ამტკიცებს ის გარემოებაც, რომ მათ შეიარაღებაში აქვთ მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ტანკი "MERKAVA".

„მერკავა" წმინდა ებრაული ტანკია. საკუთარი ტანკის შექმნა ებრაელებმა საბოლოოდ მაშინ გადაწყვიტეს, როდესაც დარწმუნდნენ, რომ ამერიკელების ნაქები M-60 ტიპის ტანკები არაფრით სჯობდა საბჭოთა T-62-ებს, რომლებითაც სირიისა და ეგვიპტის არმიები იყვნენ აღჭურვილნი.

1967 წლის ომის დროს ებრაელებმა არაბებს 500-ზე მეტი საბჭოთა წარმოების T-54, T-55 და T-62 ტიპის ტანკი წაართვეს. ბევრი მათგანი გადააკეთეს და შეიარაღებაში დატოვეს, მაგრამ ბევრიც წმინდა საცდელი მიზნებისთვის გამოიყენეს. სწორედ ასეთი გამოცდების შემდეგ შეიქმნა ებრაული „მერკავა", რომელიც, შეიძლება ითქვას, მსოფლიოში ყველა სხვა ტანკზე უკეთაა კონსტრუირებული საგანგებოდ საბჭოთა ტანკების წინააღმდეგ საბრძოლველად.



პირველი „მერკავები" ებრაელებმა 1977 წელს გამოუშვეს და 1982 წელს მათ ლიბანში ბრძოლების დროს თავი გამოიჩინეს.

ამჟამად ისრაელი "MERKAVA" Mk3 ტიპის ტანკებს უშვებს. ამ ტანკს უყენია 120 მმ კალიბრის გლუვლულიანი ქვემეხი. მას შეუძლია თითქმის ნებისმიერი რუსული ტანკის — T-72C, T-80 თუ T-90C-ის დაზიანება, რადგან ამერიკული წარმოების, გაღარიბებული ურანის შემცველ ჯავშანგამტან ჭურვებს ისვრის — მათ კი 2000 მ-იდან 600-680 მმ სისქის ჰომოგენური ჯავშნის ეკვივალენტი დაცვის გარღვევა ძალუძთ, T-90C-ის წინა ჯავშანი კი 550 მმ-ის ეკვივალენტია.

„მერკავას" თავისებურებას ის წარმოადგენს, რომ მსოფლიოს თითქმის ყველა თანამედროვე ტანკისგან განსხვავებით, მისი 1200 ც.ძ. სიმძლავრის დიზელის ძრავა წინა ნაწილშია განთავსებული, რაც ეკიპაჟს დამატებითი დაცვის გარანტიას აძლევს.

ტანკის შეიარაღებაში ქვემეხის გარდა, კიდევ სამი, 7,62 მმ კალიბრის ტყვიამფრქვევი და რაც ყველაზე საოცარია, ერთი ნაღმსატყორცნიცაა. 60 მმ კალიბრის ნაღმსატყორცნის დატენა ჯავშნიანი კოშკურის შიგნიდან ხდება — იქ, სადაც ტანკის ქვემეხი ვერ წვდება (ძალზე ახლო მანძილზე და მთების უკანა მხარეს), ნაღმსატყორცნი შეუცვლელი იარაღია.

ჩეხეთში ნაყიდი ქართული ტანკების მსგავსად, „მერკავასაც" გააჩნია ლაზერული დეტექტორი ლაზერული დასხივების აღმოსაჩენად. ამასთან, იგი აღჭურვილია რადიოლოკაციური დეტექტორითაც — დროულად აღმოაჩინოს შეტევაზე გადმოსული მოწინააღმდეგის თვითმფრინავის საბორტე რადიოლოკატორის მუშაობა და თავშესაფარი იპოვოს.

„მერკავა" 61 ტ-ს იწონის — კონსტრუქტორებმა განსაკუთრებით იზრუნეს ტანკის შეჯავშნაზე. მძიმე წონამ მისი მაქსიმალური სიჩქარე გზატკეცილზე 55 კმ/სთ-მდე შეამცირა, თუმცა ძლიერმა ჯავშანმა ტანკის ეკიპაჟის ცოცხლად გადარჩენის შანსი შესამჩნევად გაზარდა. თუკი რუსულ ტანკებში (T-72, T-80, T-90) ეკიპაჟი ფაქტობრივად, ქვემეხის ჭურვებს ზედ „აზის" და მათი დეტონაციის შემთხვევაში გადარჩენის არავითარი შანსი არ რჩება, „მერკავაში" თითოეული ჭურვი სპეციალურ კონტეინერშია მოთავსებული, რომელიც, თავის მხრივ, ცეცხლგამძლე მასალისგანაა დამზადებული.

ტანკის წინა ნაწილში ძრავის გადატანამ „მერკავას" უკანა მხარე გაუთავისუფლა, სადაც დამატებითი ჭურვები ან მებრძოლები შეიძლება განთავსდნენ, ხოლო უკანა კარები ეკიპაჟის 4 წევრს ტანკის უხიფათოდ დატოვების საშუალებას აძლევს.

თანამედროვე ოპტიკურ-ელექტრონული სისტემების გამოყენებამ „მერკავა" ერთ-ერთ ყველაზე „კომპიუტერიზებულ" ტანკად აქცია. იგი ერთნაირი წარმატებით ასრულებს საბრძოლო დავალებებს როგორც დღისით, ისე ღამით.

დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, ებრაელების „მერკავები" შეიძლება არაბების T-62-სა და T-72-ს დაუპირისპირდნენ. ამ შემთხვევაში კი ებრაელებს დიდი უპირატესობა ექნებათ, რადგან „მერკავას" ბოლო მოდიფიკაცია "MERKAVA" Mk3 1989 წლიდან იწარმოება (წელიწადში ებრაელებს დაახლოებით 100 ამგვარი ტანკის დამზადება შეუძლიათ), ხოლო არაბების შეიარაღებაში კვლავ მოძველებული T-72 რჩება. საბჭოთა კავშირის დაშლის გამო ვერც სირიამ და ვერც ეგვიპტემ T-80-ებისა და, მით უმეტეს, T-90-ების ყიდვა ველარ მოასწრეს.

***გვერდი მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა***

## ქართული იარაღი და აღჭურვილობა

# ესროლე მტერს დამალულმა



ალბათ ბევრს ახსოვს, აფხაზეთის ომში (თუ თავად არ უნახავს, ვიდეოკადრებით მაინც) ბევრი ახალგამომცხვარი ქართველი მებრძოლი თავზემოთ აწეულ ავტომატს როგორ ესროდა მოწინააღმდეგეს.

ჯერ დამიზნებითაც საკმაოდ ძნელია, რომ „კალაშნიკოვიდან" გრძელი, ავტომატური ჯერით მოწინააღმდეგეს შორი მანძილიდან მოარტყა და, წარმოიდგინეთ, რა შედეგი შეიძლება ჰქონოდა თავზემოთ აწეული ავტომატის და ისიც დაუმიზნებლად სროლას?!

თავად ის გარემოება, როდესაც მებრძოლი ცდილობს, ისე ისროლოს, რომ მისი სხეულის, რაც შეიძლება მცირე ნაწილი იყოს საფრიდან ამოწეული, ბუნებრივია, სიფრთხილის ინსტინქტია.

ზოგიერთ ქვეყანაში და მათ შორის საბჭოთა კავშირშიც, ამისთვის მოღუნულლულიან იარაღს ამზადებდნენ. საბჭოთა იმპერიის საზღვრებზე არსებულ გამაგრებულ რაიონებში (მათ შორის სომხეთიც) „დოტებში" მოღუნულლულიან „კალაშნიკოვის" ტყვიამფრქვევებს ჰქონდათ თავები ამოყოფილი, თავად მსროლელები კი დაცულ საფრებში ისხდნენ.

თუმცა ამ მეთოდს ბევრი ნაკლი ჰქონდა. პირველ რიგში, რთული იყო მოღუნული ლულის დამზადება. აქედან გამომდინარე, კონსტრუქტორებმა მოიფიქრეს, რომ იარაღი ტრადიციული სახის დარჩენილიყო, ხოლო შეეცვალათ მისი დამიზნების მოწყობილობა.

სწორედ ასე წარმოიშვა ქართული ბოჭკოოპტიკური სამიზნე. ეს იდეა ორიგინალური ნამდვილად არ არის, დაახლოებით ამგვარი პატენტები თითქმის ათობით ქვეყანაშია გაცემული, მაგრამ აქ მთავარი ის გარემოებაა, რომ ბევრი ქართული იარაღისა თუ აღჭურვილობისგან განსხვავებით, ეს სამიზნე წმინდა ქართული წარმოშობისაა და არაფერი აქვს საერთო საბჭოთა თუ რუსულ ანალოგებთან.

როდესაც 1995 წელს რუსეთის მასმედიამ აურზაური ატეხა ერთი რუსი პროპორშჩიკის „აღმოჩენაზე" — დრეკადი ოპტიკური სამიზნე გამოიგონაო, იმ დროისათვის საქართველოში უკვე მეორე წელი იყო, ცდიდნენ ეროვნულ ბოჭკო-ოპტიკურ სამიზნეს.

1994 წელს შექმნილი ამგვარი სამიზნის პირველი მოდელი ძირითადად საჯარისო დანიშნულებისა იყო, მაგრდებოდა მუზარადზე და ჯარისკაცს საშუალებას აძლევდა, სანგრიდან თავის ამოუყოფლად, დამიზნებული სროლა ეწარმოებინა. თუმცა როგორც რეალობამ აჩვენა, მასობრივად საჯარისო დანაყოფების ამ სამიზნეებით აღჭურვა ძალზე ძვირი დაჯდებოდა და შეიძლება გამართლებულიც არ ყოფილიყო.

ამიტომაც სამიზნის მეორე მოდელის დამზადებისას ძირითადი აქცენტი საგანგებო დანიშნულების რაზმებსა და ანტიტერორისტული ჯგუფების მებრძოლებზე გაკეთდა — ცალ თვალზე დამაგრებული ოკულარი ბოჭკო-ოპტიკური სადენით იყო შეერთებული ავტომატზე დამაგრებულ ოპტიკურ სამიზნესთან და პროფესიონალს საშუალებას აძლევდა, კედლის კუთხიდან ან სხვა ამოფარებული ადგილიდან კიდეც ეთვალთვალა და ზუსტადაც ესროლა.

ამ ბოჭკო-ოპტიკური სამიზნეების იდეა, ისევე, როგორც ბევრი სხვა ოპტიკური სამიზნისა, ეკუთვნის საქართველოს პრეზიდენტის გამგებლობაში მყოფი სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრის „დელტას" ავტომატური სისტემების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს „სხივს" და პირადად მის დირექტორს, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატს ალექსანდრე ქურასბედიანს.

უსათუოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ თავად ბოჭკო მზადდება საქართველოში, მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტის ერთ-ერთ განყოფილებაში, რომელსაც პროფესორი ხანზერიფა გაფრინდაშვილი ხელმძღვანელობს.

ბოჭკო-ოპტიკურ სამიზნეებს ფართოდ იყენებენ დასავლეთში და არა მარტო საბრძოლო სისტემებში, მრავალი ქვეყნის სპეცსამსახურები სწორედ ბოჭკო-ოპტიკური სადენებითა და მინიატურული ვიდეოკამერებით აწარმოებენ საიდუმლო გადაღებებსა და ტოტალურ თვალთვალს.

ქართული ბოჭკო-ოპტიკური სამიზნე დიდად არ ჩამოუვარდება დასავლურს, მაგრამ სიძვირის გამო (ჯდება 500 დოლარამდე), თითქმის შეუძლებელია ჩვენს სამხედრო ძალებში მისი ფართოდ დანერგვა. თუმცა სავსებით შესაძლებელია, რომ რომელიმე დანაყოფს, საბრძოლო ოპერაციის დროს, თან ჰქონდეს ერთი-ორი ბოჭკო-ოპტიკური სამიზნეც, რადგან ამ უკანასკნელს კრიტიკულ შემთხვევაში არაერთი მებრძოლის სიცოცხლის გადარჩენა შეუძლია, რაც არავითარი დოლარებით არ განისაზღვრება.

# ბათუმელი ქალბატონი და მისი ვაჟი მოსკოველებს შიშის ზარს სცემდნენ



***საბჭოთა კავშირის შსს ორგანიზებულ დანაშაულთან მებრძოლი სამმართველოს დოსიედან (1991 წელი): „ვიქტორ იულიანის ძე ნიკიფოროვი — კანონიერი ქურდი, მეტსახელად „კალინა“, დაბადებული 1963 წელს, მოსკოვის მკვიდრი. დამნაშავეთა სამყაროში იცნობენ, როგორც ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ქურდის, ვიაჩესლავ ივანკოვის („იაპონჩიკის“) უკანონო შვილს. სწავლობდა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საიდანაც 1983 წელს გაირიცხა. 1983-1985 წლებში ხულიგნობისთვის იხდიდა სასჯელს. დაახლოებულია პოპულარული მოსკოველი მომღერლების, კომპოზიტორების, მწერლების წრეებთან. მეგობრობს ცნობილ ამიერკავკასიელ ბოროტმოქმედებთან: რანტიკ საფარიანთან, დათო ციხელაშვილთან („ტაშკენტსკი“), რაფიკ ბაღდასარიანთან („სვო“), ძმებ კვანტრიშვილებთან, ავთანდილ ჩიხლაძესთან („კვეჟო“). ერუდირებულია. გამოირჩევა ფეთქებადი ხასიათით. ნარკოტიკებს არ იღებს. წამსვლელია ნებისმიერ დანაშაულზე...“***

## „ნათლია“

როგორც ამბობენ, თავად „იაპონჩიკი“ სასტიკი წინააღმდეგი იყო, რომ ვაჟი მის კვალს დასდგომოდა და ქურდი გამხდარიყო. ამ საქმეში გადამწყვეტი როლი ვიქტორის დედამ, კალია ნიკიფოროვამ ითამაშა. იგი შეუჩნდა თავის ოფიციალურ ქმარს — კანონიერ ქურდს, რუბენ სარქისიანს („პროფესორი“). ამ უკანასკნელმაც თხოვნით მიმართა ავტორიტეტულ კოლეგებს და საქმეც გაიჩარხა. ქალბატონ კალიას სასიხარულოდ, მისი 21 წლის შვილი ვიქტორი ბაშკირეთის ერთ-ერთ საპატიმროში ქურდად „მონათლეს“ და დედამისის პატივსაცემად, მისივე მსგავსი სახელი „კალინა“ დაარქვეს.

საერთოდ, კალია ნიკიფოროვას ფიგურა დამნაშავეთა სამყაროში უდავოდ უნიკალურია და, ალბათ, უფრო ახლო გაცნობასაც იმსახურებს. 1941 წელს 5 თვის გოგონა მშობლებმა ალყაშემორტყმული ლენინგრადიდან ბათუმში ჩაიყვანეს. კალიამ იქვე დაამთავრა საშუალო სკოლა, 19 წლისა კი ინსტიტუტში ჩასაბარებლად მოსკოვს გაემგზავრა, მაგრამ სასწავლებლის ნაცვლად ბანდაში მოხვდა. იმხანად მოსკოვში მოღვაწეობდნენ ბათუმელი კანონიერი ქურდები — ნიკოლოზ აკოფოვი და სიმონ ხაჩატურიანი, რომლებმაც თანაქალაქელ კალიას იმთავითვე მეურვეობა გაუწიეს და დაჯგუფების წევრად აქციეს. ბანდა, ძირითადად, ბინების გაქურდვითა და უცხოური ტანსაცმლის ყიდვა-გაყიდვით იყო დაკავებული. 1962 წელს კალიამ გაიცნო თანატოლი ბანდიტი, ვიაჩესლავ ივანკოვი. მათ ერთმანეთი შეუყვარდათ, რამდენიმე თვეში კი კალია სპეკულაციისთვის დააპატიმრეს, თუმცა ციხეში ფეხმძიმობის გამო არ ჩასვეს. ივანკოვი ამ დროს სადღაც გაუჩინარდა და მიტოვებული ქალი, ჩვილი ბავშვით ხელში, ბათუმში, მშობლებთან დაბრუნდა.

70-იან წლებში ნიკიფოროვა კვლავ მოსკოვშია და ხელმძღვანელობს ხუთკაციან ბანდას, რომელიც ჩეკების ერთ-ერთ მაღაზია „ბერიოზკას“ აკონტროლებს. მაშინ ეს მაღაზია მეტად მსუყე ლუკმად ითვლებოდა. მის გარშემო მუდმივად ფუსფუსებდნენ გადამყიდველები და თაღლითები, რომლებიც ყოველდღიურად ათასობით მანეთის არალეგალურ ოპერაციას აწარმოებდნენ. ამის გამო „ბერიოზკაზე“ კონტროლის მოპოვების სურვილი არაერთმა ავტორიტეტულმა ბანდიტმა გამოთქვა, მაგრამ ქალბატონი კალია კონკურენტებს გაუგონარი სისასტიკით გაუსწორდა: ერთს თითები დააჭრა, მეორეს თვალები დასთხარა, მესამე მდინარეში დაახრჩო... ამის შემდეგ დამფრთხალი განგსტერები სათოფეზეც აღარ ეკარებოდნენ ნიკიფოროვას — მოსკოვის იმჟამინდელი კრიმინალური სამყაროს ერთ-ერთ „ნათლიას“.

1985 წელს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტმა მნიშვნელოვანი აგენტურული ინფორმაცია მიიღო: სომხეთის ქალაქ ლენინაკანში რამდენიმე პირი სამგზავრო თვითმფრინავის გატაცებას გეგმავდა. სუკი ეჭვმიტანილთა თვალთვალსა და მოსმენას შეუდგა. მალე დადგინდა, რომ რვაკაციანი ჯგუფი, სადაც სამი სახელგანთქმული კანონიერი ქურდიც იყო, მართლა აპირებდა ავიალაინერის ხელში ჩაგდებას და მილიონობით მანეთის ღირებულების ანტიკვარიატისა და ხატების საზღვარგარეთ გატანას. ჯგუფის ლიდერი აღმოჩნდა სიმპათიური ქალბატონი, მოსკოვის მილიციისთვის კარგად ცნობილი კალია ნიკიფოროვა. 1986 წელს ჩეკისტებმა დამნაშავეთა გეგმები ჩაშალეს და ბანდის რვავე წევრი დააპატიმრეს. ნიკიფოროვა რამდენიმე თვის შემდეგ ციხეში, გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა.

## „კალინა“

ასეთი მშობლების პატრონი თავად რომ წესიერი კაცი გამოსულიყო, „კალინა“ უთუოდ ბევრს გააკვირვებდა, თუმცა 20 წლამდე ვიქტორი მართლაც არაფრით ჰგავდა დედ-მამას. კარგად სწავლობდა, სპორტით იყო გატაცებული, მერე ინსტიტუტშიც ჩაირიცხა, მაგრამ ერთხელ, ჩხუბის გამო, მილიციას ჩაუვარდა ხელში. მისი მშობლების ბიოგრაფია რომ შეიტყო, მოსამართლეს ბევრი აღარ უფიქრია და ახალგაზრდა კაცს ორწლიანი პატიმრობა მიუსაჯა. ციხიდან ვიქტორი უკვე კანონიერი ქურდის ტიტულით გამოდის და უმალ შავბნელ საქმეებში ერთვება. მისი ერთ-ერთი ახალშეძენილი მეგობარი ემილი, ცნობილი ქართველი პოეტის ვაჟი, რომელსაც მკვლელობისთვის 15-წლიანი პატიმრობა ჰქონდა მოხდილი, „კალინას“ ბინის გაქურდვას სთავაზობს. ბინა ემილის მამის საუკეთესო მეგობარს, კომპოზიტორ არნო ბაბაჯანიანს ეკუთვნის.

საქმეზე დღისით გავიდნენ — იცოდნენ, რომ ამ დროს შინ არავინ იქნებოდა. ემილმა კარის საკეტი სპეციალური ხელსაწყოთი გახსნა. ბინას ის მშვენივრად იცნობდა და მაშინვე შუა ოთახს მიაშურა, სადაც ოქრო-ვერცხლის ანტიკვარული ნივთები და ვიდეომაგნიტოფონი ეგულებოდა. უკან „კალინაც“ მიჰყვა. რამდენიმე წუთში აავსეს ორი უზარმაზარი ჩანთა და გარეთ ისე გამოვიდნენ, ვერც კი შეამჩნიეს ბინაში მყოფი მოხუცი ქალბატონი — კომპოზიტორის ნათესავი, რომელიც კარადას ამოჰფარებოდა და გვერდით ოთახში მოფუსფუსე დაუპატიჟებელ სტუმრებს ჩუმად ათვალიერებდა.

ეშმაკმა მოხუცმა ემილი იცნო და დატოვეს თუ არა ქურდებმა ბინა, მაშინვე მილიციას დაურეკა — ეს წუთია არნო ბაბაჯანიანის ბინა გატეხეს და ერთ-ერთი დამნაშავე ამა და ამ კაცის შვილიაო. ემილი და მის ბინაში მყოფი „კალინა“ ორიოდ საათის შემდეგ დააკავეს, როცა ქურდები ნადავლს იყოფდნენ. მათ უეჭველი პატიმრობა ელოდათ, მაგრამ საქმეში თავად გაქურდული კომპოზიტორი ჩაერია და გავლენიანი ნაცნობების დახმარებით, დამნაშავეები გაათავისუფლა.

## კლანების ომი

„კალინას“ კანონიერ ქურდთა ახალი ტალღის ყველაზე გამორჩეულ წარმომადგენლად მიიჩნევდნენ. გარეგნობით ის ძალიან ჰგავდა ცნობილ რუს მომღერალ სერგეი კრილოვს — ისეთივე მსუქანი, ლოყებღაჟღაჟა, მოღიმარი და, ცოტა არ იყოს, სასაცილოც იყო. ერთი სიტყვით, იგი სრულიადაც არ წააგავდა და არც ცდილობდა, დამსგავსებოდა ტიპურ დამნაშავეს. ამასთან, ვიქტორი სისტემატურად არღვევდა ქურდულ ტრადიციებსა და კანონებს, მაგრამ ყველაფრის მიუხედავად, ავტორიტეტს არ კარგავდა.

გორბაჩოვისეული „გარდაქმნის“ დაწყებისთანავე „კალინამ“ ბრწყინვალე ბიზნესმენის ნიჭი გამოავლინა, ეფექტურად გამოიყენა დედამისის მიერ ნაგროვები ფული და მოსკოვში რამდენიმე რესტორნის ოფიციალური მფლობელი გახდა. მანვე დააარსა ქალაქში

დედა-შვილი ნიკიფოროვები



ყველაზე პოპულარული კაფე „აისტი“. სანქტ-პეტერბურგში, იქაურ №1 ბანდიტთან — მალიშევთან ერთად, აკონტროლებდა სასტუმრო „პულკოვსკაიას“, სოჭში, პლაჟ „მაიაკს“, მთელ რუსეთში კი ცნობილ სააქციონერო საზოგადოებას „რუსკი მეხს“.

1990 წლის ივლისში მოსკოვის სისხლის სამართლის სამძებრომ „კალინასა“ და მოსკოვში დამკვიდრებული ჩეჩენი დამნაშავეების ერთ-ერთი ლიდერის სულეიმანოვის („ხოზა“) შეხვედრის ფარული ვიდეოგადაღება მოახერხა. საუბარი მოწმეების გარეშე, სასტუმრო „სპარტაკში“ შედგა. მისი კორექტირებული ვარიანტი პრესაში სულ ახლახან გამოაქვეყნეს.

— „ხოზა“, შენი ბიჭები ყველგან ცხვირს ყოფენ. მე და ჩემს უფროს მეგობრებს ეს არ მოგვწონს. გუშინ შენებმა ერთი კარგი ბიჭი დაჭრეს, რამდენიმე დღის წინ ჩემს ნაცნობებს მანქანები და ფული წაართვეს. აქამდე ჩუმად ვიყავი, მაგრამ იცოდე, აწი აღარაფერს შეგარჩენ.

— ვერ გავიგე, რას ამბობ. ჩემი ბიჭები არაფერ შუაში არიან. აქ ქართველები და სომხები ებრძვიან ერთმანეთს. ვიღაც მანუკიანის მოტაცებასაც მაბრალებენ. ის კაცი ქართველებმა წაიყვანეს, ნამდვილად ვიცი. აი, კიდევ რა: შენს ძმაკაცს, „კვეჟოს“ უთქვამს, „ხოზას“ გულს ამოვაგლეჯო. გადაეცი, შემომაკვდება.

— იცოდე, უკანასკნელად გაფრთხილებ: მსგავსი სისულელე აღარ გაიმეორო! ხომ იცი, შემწევს ძალა, რომ ყველანი ჯოჯოხეთში გაგამგზავროთ, თუნდაც ამისთვის ციხეში დავლპე. მოკლედ, ჩემი პირობა ასეთია — თავს ანებებ „ლუჟნიკების“ ბაზრობებსა და ავტოსერვისებს, იპოდრომს, დანის ქნევას და სანაცვლოდ, სუნთქვის საშუალებას გაძლევ.

— ვიფიქრებ და სამ დღეში საბოლოო პასუხს შემოგითვლი.

შეხვედრამ სულ რამდენიმე წუთს გასტანა. „ხოზამ“ სასტუმრო ხუთი პირადი მცველის თანხლებით დატოვა. ორი დღის შემდეგ ჩეჩნებმა „კალინას“ მიერ კონტროლირებადი დიდი ავტოსერვისი დაარბიეს. დალეწეს ოცამდე მანქანა, ცეცხლი წაუკიდეს სამსართულიან შენობას და იქ მომუშავე პირებს სასტიკად სცემეს. ეს, ფაქტობრივად, ომის დაწყებას ნიშნავდა. ვიქტორ ნიკიფოროვი თავის ასაკოვან მეგობართან, რანტიკ საფარიანთან ერთად, სამი კვირით ბიჭვინთაში გაემგზავრა. იქ მათ ჩეჩნებთან ბრძოლის გეგმა უნდა შეემუშავებინათ. რანტიკმა და ვიქტორმა „სხოდკა“ მოიწვიეს.

რამდენიმე დღის შემდეგ ბიჭვინთაში ოცამდე მოსკოველი ქურდი და ავტორიტეტი შეიკრიბა. „შავებმა“ რუსეთის დედაქალაქიდან ჩრდილოკავკასიელების განდევნა გადაწყვიტეს. „სხოდკის“ თითოეულმა მონაწილემ მინიმუმ ერთი ჩეჩენის მოკვლა ითავა ვალდებულებად...

1990-1991 წლებში მოსკოვი მკვლელობების არნახულმა ტალღამ წალეკა. ჩეჩენი ბანდიტების გვამებს, სულ მცირე, კვირაში ერთხელ პოულობდნენ, თუმცა დაღუპულთა რიგები მალევე ივსებოდა ჩრდილო კავკასიიდან ჩამოსული ახალგაზრდა დამნაშავეებით.

## განგსტერული ქრონიკები

სურათი პირველი: ურიცხვი დელიკატესის სიმძიმისგან მაგიდა ჩაზნექილიყო. სუფრას დათო ციხელაშვილი თამადობდა. გვერდით „კალინა“ ეჯდა, შემდეგ — რანტიკ საფარიანი, რაფიკ ბაღდასარიანი და იოსიფ კობზონი ისხდნენ. მაგიდის მეორე მხარეს რაფაელ ხეოციანი, ალექსანდრე კუდრევიჩი და გივი ბერაძე ჩამწკრივებულიყვნენ. კობზონის გარდა, ყველა ცნობილი კანონიერი ქურდი იყო. სუფრას ორი მანდილოსანი ემსახურებოდა. „შავი“ სამყაროს ლიდერებს ათზე მეტი შეიარაღებული პირი იცავდა. ისინი მეზობელ ოთახსა და ეზოში განლაგებულიყვნენ და მზად იყვნენ ტყვიით შუბლი გაეხვრიტათ ნებისმიერისთვის, ვინც კი მათ ბოსებს დროსტარებაში ხელს შეუშლიდა. სიტყვა „კალინამ“ აიღო:

— მე ასე ვიტყოდი: გაუმარჯოს ჩვენს ძმობას! დაე, გამარჯვება მუდამ ჩვენს მხარეს იყოს!

ასაკოვანი ქურდები მოწიწებით შეჰყურებდნენ ვიქტორს — ახალგაზრდა სტუდენტი სულ



მომღერალი იოსიფ კობზონი, კანონიერი ქურდი „ტაივანჩიკი“ და „კალინა“

რამდენიმე წელიწადში მაგარ ქურდად ჩამოყალიბდა. ამასთან დაკავშირებით, რაფიკ-„სვოს“ რაღაც უნდა ეხუმრა, მაგრამ მოულოდნელად, კარი გაიღო და ოთახში ერთ-ერთი მოქეიფის პირადი მცველი, ორმეტრიანი რუსი გოლიათი შემოიჭრა:

— წეღან ქალაქიდან ბიჭებმა დარეკეს და მაცნობეს, რომ ჩვენი აგარაკისკენ რამდენიმე მანქანა და „იკარუსი“ მოდის. ბიჭების აზრით, ჩეჩნები არიან, დაახლოებით ორმოცი კაცი. საომრად მოდიან...

ყველა იმწამსვე გამოფხიზლდა. ორჯერ მეტ მოწინააღმდეგესთან ბრძოლის დაწყება უაზრობა იყო, თანაც იარაღი მხოლოდ მცველებს ჰქონდათ. კიბე კისრისტეხით ჩაირბინეს, მანქანებში ჩახტნენ და პირდაპირ ტყეში შეცვივდნენ. აქეთ სამანქანო გზა არ იყო, მაგრამ ნახევარ კილომეტრში ავტომაგისტრალი ეგულებოდათ და როგორმე იქამდე უნდა მიეღწიათ.

ბედად, ტყე არც ისე ხშირი იყო და ტრასამდე გასვლა რამდენიმე წუთში მოახერხეს. სწორედ ამ დროს მიადგნენ ჩეჩნები „კალინას“ აგარაკს და ყუმბარებით, ტყვიამფრქვევებითა და ავტომატებით სახლი მიწასთან გაასწორეს.

სურათი მეორე: მოსკოვში, ჩაიკოვსკის ქუჩაზე მდებარე ფირმა „არგუნის“ ოფისში ხუთი ჩეჩენი მამაკაცი შედის. შენობის შესასვლელს ორი შეიარაღებული ჩრდილოკავკასიელი იცავს. უცებ, სახლის სიღრმიდან გამაყრუებელი აფეთქების ხმა ისმის. მცველები ოფისში შერბიან და თავიანთი ბოსების დაფლეთილ გვამებს პოულობენ.

ქუჩის მეორე მხარეს გაჩერებული შავი „ვოლვოდან“ სამი ახალგაზრდა მამაკაცი შენობას აკვირდება. როგორც კი აფეთქება მოხდა, „ვოლვოც“ მაშინვე მოსწყდა ადგილს — „კალინამ“ ბრძანა, ოპერაცია რომ დასრულდება, სასწრაფოდ მაცნობეთო...

სურათი მესამე: ხუდო გასოიანი — თბილისელი კანონიერი ქურდი შუა აზიიდან მოსკოვში შემოტანილ ნარკოტიკებს აკონტროლებდა და ამის გამო მუდმივი კონფლიქტი ჰქონდა მილიციასა და ჩეჩენ ბოროტმოქმედებთანაც. მისი მოკვლა რამდენჯერმე სცადეს, მაგრამ ხუდოს საოცარი ინტუიცია გააჩნდა, სახიფათო ადგილებს მუდამ გვერდს უვლიდა და ამის წყალობით 1996 წლამდე იცოცხლა. ერთხელ, ქალაქგარეთ მორიგი ქეიფის შემდეგ, როცა „კალინასთან“ ერთად მოსკოვში ბრუნდებოდა, მდევარი შენიშნა. უცნობებით სავსე ორი მანქანა, თეთრი „ჟიგული“ და შინდისფერი „ვოლგა“, გასოიანის „მერსედესს“ აედევნა.

„მერსედესში“ ოთხნი ისხდნენ, მძღოლი, ნიკიფოროვის მცველი და უკანა სავარძლებზე — თავად ქურდები. „სიჩქარეს მოუმატე!“ — ბრძანა ხუდომ და „ტეტე“ დააძრო. ამ დროს პირველი გასროლის ხმაც გაისმა. „ჟიგულიდან“ ნასროლმა ტყვიამ „მერსედესის“ უკანა მინა გახვრიტა. წინ მჯდომი მცველი კისრის არეში დაიჭრა. გასროლას ავტომატის ჯერიც მოჰყვა. თუმცა აღარავინ დაშავებულა.

მანქანები გიჟური სისწრაფით მიქროდნენ ავტოსტრადაზე და ერთხანს ქურდებმა საკმაო მანძილით ჩამოიტოვეს მდევარი, მაგრამ შემდეგ „მერსედესს“ რაღაც დაუზიანდა და მძღოლი იძულებული გახდა, მანქანა გზის პირას გაეჩერებინა. „კალინას“ მცველს სიცოცხლის ნიშანწყალიც აღარ ეტყობოდა. იგი მანქანაშივე დატოვეს და საცხოვრებელი კორპუსებისკენ თავქუდმოგლეჯილები გაიქცნენ. ორიოდ წუთის შემდეგ უკვე შენობის სადარბაზოდან უყურებდნენ, როგორ მიცვივდნენ მდევრები „მერსედესთან“ და როგორ დააცალეს ავტომატების ჯერი უკვე მოკლულ პირად მცველს. ქურდების რისხვას საზღვარი არ ჰქონდა. ჩეჩნებისთვის ერთხელ და სამუდამოდ უნდა ესწავლებინათ ჭკუა, მაგრამ, საბოლოოდ, პირიქით მოხდა. კანონიერი ქურდების დიდი ნაწილი ჩრდილოკავკასიელებმა საიქიოს გაისტუმრეს, თავად ჩეჩნების მოსკოვიდან განდევნა კი მხოლოდ სამი წლის შემდეგ მოხერხდა, როცა რუსეთმა ჩეჩნეთში საომარი მოქმედებები წამოიწყო.

## „სისხლის აღება მომავალში მოხდება“

1991 წლის მეორე ნახევარში მოსკოვის ცენტრალური იპოდრომი ყველა ჯურის დამნაშავისთვის მიმზიდველ ადგილად იქცა. იქ მუშაობდა ტოტალიზატორი, რომლის საშუალებითაც ბანდიტები ფულს „ათეთრებდნენ“. იქვე ტრიალებდნენ ჯიბგირები და სათითეებით მოთამაშენი. იპოდრომის ტერიტორიაზე მდებარე შენობები საროსკიპოებად იყო ქცეული. სამართალდამცავები იქ მოღვაწეთა ქმედებებზე თვალს ხუჭავდნენ და ამისთვის სოლიდურ ჰონორარსაც იღებდნენ. იპოდრომი ოფიციალურად ქალაქის ადმინისტრაციის დაქვემდებარებაში იყო, რეალურად კი ამ ვეებერთელა ტერიტორიას „კალინა“ განაგებდა.

იპოდრომის ხშირი სტუმრები მარტო კრიმინალური ელემენტები როდი იყვნენ. დოღის მაყურებელთა შორის მუდმივად ხედავდნენ ცნობილ პოლიტიკოსებსა თუ კულტურის მოღვაწეებს, რომლებიც სულაც არ თაკილობდნენ დამნაშავეთა სამყაროს გენერლებთან ურთიერთობას. ამით თითქოს ხაზს უსვამდნენ თავიანთ წონას — ხომ ხედავთ, გავლენა და ნაცნობობა არა მხოლოდ ჩვენ სფეროში მოგვიპოვებიაო. იქ უკვე აღარავის უკვირდა ერთ ლოჟაში გამოჭიმული ოთარ კვანტრიშვილის, პრეზიდენტობის მომავალი კანდიდატის — ბრინცალოვის, „გოსდუმის“ დეპუტატის — ივანოვის, გენერალ სამოხინისა და „კალინას“ ერთად ხილვა. იპოდრომზე ძალიან დიდი ფული ტრიალებდა და ამ ფულის მოპოვების მსურველი თითოეული მათგანიც იყო.

1992 წლის 14 იანვარს ნიკიფოროვმა იპოდრომზე შეკრებილი რუსეთის მთავრობის წარმომადგენლებისთვის დიდებული ბანკეტი გამართა. შეზარხოშებული სტუმრები ღამის პირველ საათზე დაიშალნენ. „კალინა“ თავის პირად მძღოლს გვერდით მიუჯდა და შინ წაყვანა უბრძანა. მძღოლი — ალექსი — ახალბედა იყო და პირადი მცველის მოვალეობასაც ასრულებდა. ნიკიფოროვმა ის ერთი თვის წინ, საუნაში გაიცნო და სამუშაოდ თავისთან მიიწვია. „კალინამ“ მანქანის მაგნიტოფონი ჩართო და ხმას ბოლომდე აუწია. დღევანდელი საღამოთი კმაყოფილი იყო. ერთ-ერთმა სტუმარმა, გავლენიანმა პოლიტიკოსმა რაღაც საქმეში თანადგომა აღუთქვა.

ერთ-ერთ ჩაბნელებულ მოსახვევთან ალექსიმ მოულოდნელად დაამუხრუჭა და მანქანიდან გადმოხტა. იმავე წამს „კალინას“ პისტოლეტშემართული ვიღაც მამაკაცი მიუახლოვდა. უცნობმა სწრაფად გამოაღო მანქანის კარი და ქურდს სახეში რამდენჯერმე დაახალა ტყვია. ნიკიფოროვი ადგილზევე გარდაიცვალა.

ხუთი დღის შემდეგ მოსკოვი გრანდიოზული სამგლოვიარო ცერემონიის მოწმე გახდა. დამწუხრებული ქურდები, მსახიობები და პოლიტიკოსები უკანასკნელ გზაზე მიაცილებდნენ თავიანთ ახალგაზრდა, მაგრამ უკვე სახელმოხვეჭილ მეგობარს. 4 ათას დოლარიან კუბოში ჩასვენებულ ქურდს შავი „შევროლეთი“ დაატარებდნენ ქალაქის უბნებში — „კალინას“ დროსტარება ამ ადგილებში უყვარდაო, ამბობდნენ მგლოვიარენი.

ვიქტორ ნიკიფოროვის მკვლელობის ორგანიზატორი, როგორც ჩანს, დღემდე არ დასჯილა. რამდენიმე თვის წინ რუსი ჟურნალისტებისთვის მიცემულ ინტერვიუში, ამერიკის ერთ-ერთ ციხეში მყოფმა „იაპონჩიკმა“ ასეთი ფრაზა წარმოთქვა: „მაშინ რუსეთში სრული განუკითხაობა სუფევდა და ნაძირალებმა ძალიან ბევრი კარგი ადამიანი მოკლეს. მათ შორის იყო ვიქტორ ნიკიფოროვიც, ჩემთვის მეტად ახლობელი კაცი... სისხლის აღება, ალბათ, მომავალში მოხდება...“

***გვერდი მოამზადა მიხეილ ჩერქეზიამ***

# ცხოვრებისეული კურიოზები

## შაქრო, საიდან?



სტუდენტობის პერიოდში ნაქირავებ ბინაში ვცხოვრობდით მე და ჩემი მეგობარი, კახელი გიორგი წიწრიაშვილი — უაღრესად პატიოსანი, ალალმართალი ბიჭი.

ამხანაგურად „ვაშაყირებდი“ ხოლმე და ვტკბებოდი მისი გულუბრყვილობით.

ერთხელ ქორწილში წავიდა თავის რაიონში. ჩემი პიჯაკი ჩაიცვა, თან დამპირდა, პატივისცემა ჩემზე იყოსო. ორი დღე არ ჩამოსულა და ის დღეები მოკლესახელოიანი პერანგით (გვიანი შემოდგომა იყო) ვკანკალებდი ლექციებზე. მესამე დღეს, უფრო სწორად, საღამოს, ჩამობრძანდა. მძინავს. შემოგლიჯა კარი და მაღვიძებს. ვხედავ, მთვრალია.

— გოჭი ხორცი გინდა?

— კი, როგორ არა! — გავახილე თვალები ნახევრად მშიერმა. ვიფიქრე, გამოაყოლა ხელს რამეთქი.

— ძალიან გინდა? — მეკითხება ისევ.

— გულით, — არ დავმალე მე.

— აბა, ადექი და რესტორან „იმერეთში“ მიდი, უთხარი, გოჭი ხორცი მინდა-თქო.

— კი მაგრამ, ფული?

— არა გაქ, ჯო?! (ვიფიქრე, ახლა მაჯახებს თუმანს-მეთქი).

— აბა, საიდან, კაცო, სტიპენდიამდე 8 დღეა.

— აბა, რა გოჭი ხორცი აგიტყდა ამ შუაღამეს? გადაბრუნდი და დაიძინე, შე ვირო, შენა!!!

პირი დავაღე.

თურმე, ერთ ჩვენს კურსელ იმერელს უსწავლებია ეს „შტუკა“ და ამიღო „აბაროტი“.

***მურმან მერკვილიშვილი***

## ბრუნვის გეგმა



შემოქმედელი რომანოზ გოლიაძე ერთ-ერთი უპატიოსნესი კაცი იყო 30-იანი წლების გურიაში და ალბათ, მთელ საქართველოშიც. ერთხელ მოხდა ისე, რომ ეს სანთელივით წმინდა კაცი, სოფლის კოოპერატივის თავმჯდომარედ დანიშნეს.

მართალ კაცს ვაჭრობაში, როგორც წესი, ყოველთვის უჭირდა, მით უფრო, მაშინდელი რეჟიმის პირობებში. მძიმე სიტუაციაში აღმოჩნდა ბატონი რომანოზიც. ჰოდა, როგორც მოსალოდნელი იყო, რომანოზს ახალ სამსახურში, ყოველდღიურად ახალ-ახალი პრობლემა ექმნებოდა, რასაც მეტისმეტად მტკივნეულად განიცდიდა. შინ მისული ბორგავდა და ბოლთას სცემდა.

ერთ საღამოსაც, სამუშაოდან დაბრუნებული რომანოზი ჩვეულებისამებრ სამზარეულოში, კერიის გარშემო წრიალებდა და ღრმად ჩაფიქრებული ხშირ-ხშირად ამოიხვნეშებდა-ხოლმე.

— რა გჭირს, რომანოზ, რაცხა ფარსაგი ხომ არ არის შენს თავს, ხომ მშვიდობაა?! — ჰკითხა შეწუხებულმა მეუღლემ.

— რაღა რა მჭირს, ბრუნვის გეგმას ვერ ვასრულებ (ბრუნვის გეგმაში საქონელბრუნვას გულისხმობდა) და ხვალ რაიკომის ბიუროზე ვარ დაძახებული, — უპასუხა რომანოზმა.

— რასაც შენ კერიის გარშემო ბრუნავ, გეგმა შესრულებული კი არა, გადაჭარბებულიც გექნება, შე კაცო! — „ანუგეშა“ მეუღლემ.

***როლანდ თავაძე, ოზურგეთი***

## „უდარ მაგანა...“



ნუგზარ კ., მეტსახელად გოფა, სოფელ ორსანტიას კოლორიტი იყო. ვის აღარ ახსოვს მისი ენაკვიმატობა.

ერთხელ სოფელში სიმინდის მოსავლის ასაღებად მოიყვანა რუსი მუშა. მეგრულად ნამგალს „მაგანა“ ჰქვია, ხოლო ჩალას „ჭა“. რუსულზე ცოტა უკაცრავადაა ნუგზარი, მაგრამ ახლა თავი გამოიდო და რუსს მოსავლის აღებას ასწავლის:

— ვოტ მაგანა, ვოტ — ჭა, უდარ მაგანა, უმერ — ჭა.

***ინგა, ზუგდიდი***

## ვერსად ვერ გამაჩერებს



„მარშრუტკაში“ ვზივარ. მანქანა მიუახლოვდა ერთ ადგილს, სადაც კოლგოტები იყიდებოდა. მგზავრმა გოგონამ მძღოლს სთხოვა:

— ბატონო, კოლგოტებთან რომ მიხვალთ, გააჩერეთ.

მძღოლი მიუბრუნდა:

— რას ამბობ, გოგონი, კოლგოტებამდე თუ მივედი, რაღა გამაჩერებ!

ყველას სიცილი აგვიტყდა.

***„კუნა“***

## ჩვენც მოგვიკვდება ჯამლეთი!



სოფელ ჯიმითში კაცი გარდაიცვალა. ქელეხზე ჭირისუფლებმა ერთი მეზობელი არ დაპატიჟეს, რომელმაც განაწყენებულმა დაიქადნა:

— არ დამპატიჟეს, ხომ? — კაი, ბატონო, ჩვენც მოგვიკვდება ჯამლეთი (მისი ძმაა).

***კობა ხატისაშვილი, საგარეჯო***

## — დუშელებს ვენაცვალე...



საბჭოთა პერიოდში ჩვენი დაწესებულების მუშაკები ექსკურსიაზე გავემგზავრეთ ვარძიაში (რა თქმა უნდა, მანქანა პურმარილით გვქონდა დატვირთული). ახალციხეში თადარიგი დავიჭირეთ — ექსკურსიიდან მობრუნებულებს სასტუმროში გვინდოდა დაგვესვენა, მაგრამ ამდენი ხალხისთვის ადგილები არ აღმოჩნდა. ევა და სანდრო ქავთარაძეებმა შემოგვთავაზეს: გზის ბოლოს, სამ კილომეტრში არის სოფელი იდუმალა, სადაც ჩვენი რაიონიდან გადასახლებული ოჯახები ცხოვრობენ და შრომობენ (საბჭოს თავმჯდომარე, სკოლის დირექტორი, კოლმეურნეობის ბუღალტერი), ღამის გასათევს არ დაგვამადლიანო.

დასრულდა ექსკურსია და ვსხდებით მანქანაში, იდუმალაში წასასვლელად. ამ დროს ერთი ნასვამი ახალგაზრდა კაცი მოგვიახლოვდა, ამოიკითხა ავტობუსზე მიწერილი — „დუშეთი“ და აყვირდა, — დუშელებს ვენაცვალეო. ჩვენც ხელის ქნევით მადლობას ვუხდიდით. როგორც კი მანქანა დაიძრა, ისევ მოირბინა ჩვენთან იმ ახალგაზრდამ და გვთხოვა, უფროსი ამხანაგი დამეთრო და იქნებ იდუმალას გადასასვლელამდე წამაყვანინეთო. მანქანაში მყოფთა უმრავლესობამ უარი განაცხადა, — უცხო კაცი მხიარულ განწყობილებას გაგვიფუჭებსო და უარი ვუთხარით. წამოვედით იდუმალაში. გზაში, მაღაზიასთან გავჩერდით, ვიკითხეთ, სად ცხოვრობდა ის „ჩვენიანი“ და გავაგრძელეთ გზა. მალე ოჯახშიც მივედით. ჭიშკართან დავიძახეთ...

ოჯახიდან ის ახალგაზრდა გამოვიდა, რომელმაც მთვრალი კაცის წამოყვანა გვთხოვა. ჩვენ რომ დაგვინახა, პასუხი არ გაუცია, გადააფურთხა და გაიქცა. მალე სახლიდან ის მთვრალიც გამოვიდა, რომლის წამოყვანაც ყველამ ერთად ვიუარეთ, ყველანი დაგვკოცნა და სიხარულით შეგვიპატიჟა შინ. მძღოლს უთხრა, — ეს რა კარგი ხალხი მომიყვანე, ახლა შენი მანქანის გასაღები მაჩვენეო, — გამოართვა გასაღები, ჩაკეტა მანქანის კარი (ავტობუსში ხბო, ცხვარ-ღვინო და სხვა რამეები გვქონდა), დაგვიპატიჟა მეზობლები და მთელი ღამე გვაქეიფა. მეორე დღეს სკოლის დირექტორმა (აბულაძემ) დაგვპატიჟა, იქაც გვაქეიფეს და როგორც იქნა, გამოგვგზავნეს.

მინდა ჩემი დაგვიანებული მადლობა ვუთხრა მათ. მინდა გითხრათ: ადამიანები გემრიელები უნდა ვიყოთ — ღმერთიც ამას ამბობს: სიკეთე ჰქენიო. ჩვენ კი...

***სერგო ალიკაშვილი, დუშეთი***

# მკითხველის საყვარელი ანეკდოტი



მიხომ ჩიტი დაიჭირა და არ იცის, სად დაამწყვდიოს. მიასწავლეს, მეორე სოფელში რომ მიტო ცხოვრობს, ის მოგცემს გალიასო (თურმე მიტოს ცოლს გალია ერქვა). მივიდა მიხო მიტოსთან და ეუბნება:

— გალია მინდა!

— რად გინდა?

— ჩიტი უნდა შევსვა.

გაცეცხლებულ მიტოს ძლივს გამოასწრო მიხომ ეზოდან.

***თამაზი, კარდენახი***



სვანი მივიდა ლატარიის გამყიდველთან და ეკითხება:

— ყველაზე დიდი მოგება რამდენია?

— 10.000 ლარი.

— კარგია! გათამაშება როდის არის?

— ერთი კვირის შემდეგ.

— ცუდია! მე ფული ხვალ მინდოდა.

***ზურა და ზვიადი, არალი***



მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეს:

— დავუშვათ, მამაშენმა დედაშენს ორმოცდაათი დოლარი მისცა და ოცდაათი უკან გამოართვა, რა მოქმედება ხდება ამ დროს?

— ჩხუბი და აყალმაყალი.

***ნინო ჩიკვაიძე, თბილისი***



ოსს გატენილი თოფი მისცეს.

— კალოშს აგიგდებთ მაღლა, — ესროლე, თუ მოარტყამ.

აუგდეს. ესროლა. გასინჯეს კალოში და უთხრეს:

— ვერ მოგირტყამს.

— თუ ვერ მოვარტყი, სენი წილიმე, მაშ რათ ჩამოვარდა? — გაუკვირდა ოსს.

***დავით მაისურაძე, თელავი***



კახელმა თქვა: ქართლელებზე ანეკდოტის დაწერა მინდოდა, ვწერე, ვწერე და ჩემზე გამოვიდაო.

***ზურა და ზვიადი, არალი***

***ბატონო მკითხველო, რედაქცია კვლავ ელის თქვენგან კურიოზებსა და ანეკდოტებს. გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე.***

## მოსკოვი სამხრეთ ოსეთში საკონსულოს გახსნას აპირებს

ვლადიმირ პუტინმა ჯერ კიდევ პრემიერობის დროს დაავალა საგარეო საქმეთა სამინისტროს, მოლაპარაკებოდა საქართველოსა და აზერბაიჯანს რუსეთთან საზღვრებზე სავიზო რეჟიმის შემოღების შესახებ. ამას იმით ხსნიდა, რომ დამნაშავე ელემენტები რუსეთში




სწორედ საქართველოდან და აზერბაიჯანიდან გადადიან. მაშინ გატარებული ღონისძიებები სხვა ელფერს ატარებდა (არადიპლომატიურს). დღეს არავინ ფარავს რუსეთის მიმდებარე ქვეყნების მხრიდან ჩეჩენი ფორმირებების მიმართ აქტიურ მხარდაჭერას. თანამედროვე ეტაპზე კავკასიაში სიტუაცია შეიცვალა, რაც უკავშირდება საქართველოდან რუსეთის ჯარების გაყვანას. თავად რუსეთს ჯერ კიდევ ვერ გადაუწყვეტია აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრობლემები. არ არის გამორიცხული, რომ საქართველო ახლო მომავალში აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში განლაგებულ იმ სამშვიდობო ჯარების გაყვანას მოითხოვს, რომლებიც დღეს ერთადერთი სამშვიდობო გარანტიაა ადგილობრივი მოსახლეობის (მათ შორის რუსულენოვანის) უფლებების დაცვის საქმეში. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი ათი წლის მანძილზე სამხრეთ ოსეთის მცხოვრებთა უმეტესობა რუსად „გადაიქცა“, მიიღეს რუსეთის მოქალაქეობა. ოსი ლტოლვილები, რომლებიც რუსეთის ტერიტორიაზე რამდენიმე წელიწადი ცხოვრობდნენ, ანუ უკვე რუსეთის მოქალაქეები, შინ ბრუნდებიან. მათ ემატებათ რუსი სამხედროები, რომლებიც სამშვიდობო ჯარებში მსახურობენ და სამხრეთ ოსეთის მუდმივი მცხოვრებლები არიან. ამგვარად, გამოდის, რომ სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის ნახევარს არა აქვს სამართლებრივი მხარდაჭერა თავისი სახელმწიფოსგან და ვერ სარგებლობს მოქალაქეობრივი უფლებებით. საქართველოში რუსეთის საელჩოს საკონსულო განყოფილებაში რეგულარულად შემოდის განცხადებები რუსეთის მოქალაქეობის მიღების მოთხოვნით. რაც მთავარია, განცხადებები მხოლოდ სამხრეთ ოსეთიდან კი არა, საკუთრივ საქართველოს მოსახლეობიდანაც მოდის. ამიტომაც სულაც არ არის გასაკვირი, რომ სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელობამ არაერთხელ მიმართა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს თხოვნით — გაიხსნას ცხინვალში რუსეთის საკონსულო. საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია, თუ გავითვალისწინებთ რუსეთის განცხადებას ბიშკეკის ხელშეკრულებიდან გასვლის თაობაზე. გადაწყვეტილებამ შესაძლოა შეცვალოს ისედაც რთული ვითარება საქართველო-ოსეთის კონფლიქტში და არ არის გამორიცხული, სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელობამ უფრო მკაცრად დააყენოს საკითხი რუსეთის წინაშე. დაძაბულმა შინაპოლიტიკურმა სიტუაციამ შესაძლოა სოციალური აფეთქებაც გამოიწვიოს. შეგახსენებთ, მხარეთა შორის მოლაპარაკებებში რუსეთს შუამდგომლის ფუნქცია ეკისრება და იგი ყველა ვალდებულების შესრულების გარანტიაა. დღეისთვის უამრავ დოკუმენტს მოეწერა ხელი კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების თაობაზე.

როგორც ცნობილი გახდა, რუსეთის მთავრობა საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებასთან შეთანხმების დადებას (ეკონომიკის აღდგენა ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში და ლტოლვილების დაბრუნება) აპირებს. შეიქმნება კონფლიქტის ზონაში სახელმწიფოთაშორისი ურთიერთქმედების პროგრამა. ახალი დოკუმენტი შეცვლის 1993 წლის 14 სექტემბრის ძალადაკარგულ ხელშეკრულებას, რომელიც სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი მხარდაჭერის არარსებობის გამო არც იყო რეალიზებული, მაგრამ ახალი გეგმების განხორციელება შესაძლოა კვლავ ჩიხში მოექცეს. გადაწყვეტილებათა მიღების გართულებული სისტემა თანამედროვე მოთხოვნებს ვერ უპასუხებს. ამ ეკონომიკური განახლების ახალი პროგრამის რეალიზაციისთვის (მუშახელი, ტრანსპორტი, შრომის ანაზღაურება და სხვა) და აგრეთვე რუსეთის ორგანიზაციების ინტერესების დასაცავად უდიდეს როლს შეასრულებს რუსეთის საკონსულო, რომლის გახსნისთვის იღვწის სამხრეთ ოსეთის ხელისუფლება.

პრაქტიკულად საკონსულოები მხოლოდ პასპორტებისა და ვიზების გაფორმებით როდი არიან დაკავებულნი. პირველ რიგში, ისინი იცავენ მოქალაქეთა ინტერესებს, აგრეთვე თავისი ქვეყნის ინტერესებს სავაჭროეკონომიკურ და ქონებრივ-სამართლებრივ საკითხებში. თავდაპირველად თბილისში რუსეთის საელჩოს თანამშრომლები საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს თანხმობით შეძლებენ განსაზღვრულ დღეებში ცხინვალში შესვლას, იქ მცხოვრებ თანამოქალაქეთა საკონსულო მომსახურებისათვის. რუსეთის საკონსულოს გახსნა სამხრეთ ოსეთში არა მარტო უზრუნველყოფს სხვადასხვა ეკონომიკური და ჰუმანიტარული პროგრამების განხორციელებას კონფლიქტის ზონაში, არამედ დაეხმარება ურთიერთნდობისა და სტაბილურობის დამყარებაში. ეს სერიოზული მხარდაჭერა იქნება სამშვიდობო პროცესის დარეგულირებაში.

მოცემული აქტი იქნება უშიშროებისა და სტაბილურობის საერთაშორისო-სამართლებრივი გარანტია არა მხოლოდ სამხრეთ ოსეთის მოსახლეობისთვის, არამედ მთელი რეგიონისთვის. ამ რთულ საკითხში ურთიერთგაგების მიღწევა ძალზე მნიშვნელოვანია როგორც რუსეთისთვის, ასევე საქართველოსთვის, რადგანაც იგი პასუხობს ორივე ქვეყნის ინტერესებს.

***ნეზავისიმაია გაზეტა №191***

## საქართველო და აზერბაიჯანი ტერიტორიებს ცვლიან

დაკარგა რა საქართველომ ომების შედეგად თავისი მიწების დაახლოებით მეოთხედი, მეტი მზრუნველობით მოეკიდა თავის ტერიტორიას. დელიმიტაციის კომიტეტის თანამშრომლებმა თბილისის არქივებში მოიძიეს დოკუმენტები, რომლის თანახმად, ჩეჩნეთის მიმდებარე სოფელი — ფიჭვნი საქართველოს ეკუთვნოდა. სოფელი ორი თვის წინ დაიკავეს რუსეთის მესაზღვრეებმა, როგორც ჩეჩნეთის დასახლებული პუნქტი.



ამის შემდეგ სოფელ ფიჭვნის ადგილობრივმა მოსახლეობამ, ძირითადად ქართველებმა, დატოვეს თავიანთი სახლები. ქართული მხარე ახლო მომავალში სახელმწიფოებრივი საზღვრის დემარკაციისა და დელიმიტაციის კომისიის რუსეთთან ერთობლივ სხდომაზე ამ ტერიტორიის დაბრუნების საკითხს წამოჭრის. საქართველოს სახელმწიფოებრივი საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარე ვალერი ჩხეიძე აღიარებს სადავო ტერიტორიების არსებობას არა მარტო რუსეთთან, არამედ სომხეთთან და აზერბაიჯანთანაც. ეს ცოტა არ იყოს, უცნაურად გამოიყურება, რადგან საქართველოსა და მის ახლო მეზობლებთან ხელშეკრულებაა დადებული ტერიტორიული პრეტენზიების არარსებობის შესახებ. სომხეთთან სადავო საზღვრისპირა ტერიტორიების შესახებ ჯერ არაფერი გამოქვეყნებულა, ხოლო აზერბაიჯანთან ალბათ დაიდება მეგობრული შეთანხმება დაახლოებით 70 ჰექტარი ტერიტორიის გაცვლის შესახებ. ლაპარაკია ქართული სოფლის ერისიმედის მიმდებარე მიწებზე. აქ საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარი გადის მდინარე ალაზანზე, რომელმაც ბევრჯერ შეიცვალა კალაპოტი. ამჟამად ერისიმედის მცხოვრებლებმა, იმისათვის, რომ თავიანთ მინდვრებზე სამუშაოდ გავიდნენ, მიმდებარე სახელმწიფოს ტერიტორია უნდა გაიარონ, რაც იწვევს სახელმწიფო საზღვრის ფორმალურ დარღვევას. საბოლოო შესწორებებს გეოგრაფიულ რუკაზე შეიტანენ საქართველოსა და აზერბაიჯანის დელიმიტაციური კომისიის სათანადო შეთანხმებაზე ხელმოწერის შემდეგ.

***იზვესტია №188***

## „პატარა“ გამარჯვება

ერთმა ჭკვიანმა ხელოვანმა თქვა: სამწუხაროდ, ქართველებს საექსპორტო არაფერი გვაქვს, გარდა კულტურისაო. მართლაც, დღეს ვერავის ვერაფრით ვაკვირვებთ. იმას კი, რასაც უცხო კაცი აღფრთოვანებაში მოჰყავს, ქართული სიმღერა და ცეკვა ჰქვია.

საოცრებაა სცენაზე მონარნარე ჰაეროვანი და თვალხატულა გოგოს გოგმანი, არწივივით მხრებგაშლილი ბიჭის ფეხის წვერებზე შემოვლა, „ასსას“ შეძახილით თვალებდაკვესილი ცეცხლოვანი „მთიულურისა“ თუ „ხანჯლურის“ მოცეკვავენი. ყველგან, სადაც არ უნდა აჩვენონ ქართული ფოლკლორი, ყველაზე რაფინირებული ინტელიგენტი მაყურებელიც კი ივიწყებს ზომიერების გრძნობას და აღტაცებული ხმამაღალი ოვაციით ყვირის: „ბიის“.

ეგვიპტეში, ქალაქ ისმაილიაში სამ წელიწადში ერთხელ მსოფლიოს ხალხთა ცეკვების საერთაშორისო ფესტივალი იმართება. წელს, საქართველოს იერსახეს თბილისის ბავშვთა ესთეტიკური აღზრდის რესპუბლიკურ ცენტრთან არსებული ანსამბლი „ჩირაღდანი“ წარმოადგენდა, რომლის შექმნა-ჩამოყალიბებას სათავე დაუდო ცნობილმა ქორეოგრაფმა და პედაგოგმა, საქართველოს დამსახურებულმა არტისტმა — ნუგზარ კაპანაძემ. მის „მარჯვენა ხელად“ ითვლება ქორეოგრაფი გოჩა ჩიხრაძე, რომელმაც თავისი ანსამბლის — „მარულას“ წევრებიც „შეაშველა“ 1972 წელს დაარსებულ „ჩირაღდანს“.

წარმოიდგინეთ მრავალი ათასი კილომეტრის იქით, სრულიად უცხო და იდუმალი ქვეყნის უზარმაზარ, ჩაბნელებულ და გალურსულ დარბაზში, აჟღერებული ქართული მუსიკის ფონზე, განათებულ სცენაზე მოცეკვავე შავჩოხიანი ბიჭები და დალალდაწნული გოგონები... მათკენ მიპყრობილია უამრავი ინტერესიანი თვალი...

**ნუგზარ კაპანაძე** (ანსამბლის ხელმძღვანელი და მთავარი ქორეოგრაფი): მრავალ ფესტივალსა და კონცერტზე გამოვსულვარ, მაგრამ ჩემი ბავშვების სცენაზე გამოჩენისას სწორედ ისეთი პირველყოფილი გრძნობა მიპყრობს, ხელოვნების დიდ გზაზე ახალფეხშედგმულ მოცეკვავეს რომ ეუფლება ხოლმე.



## ოქროს გასალეები — „ჩირაღდანს“

რა თქმა უნდა, ამჯერადაც ვღელავდი. დიდი გზა გავიარეთ, ჩვენ ხომ ეგვიპტემდე ავტობუსით ჩავედით. ფესტივალის მესვეურებმა ჩასვლისთანავე გვაცნობეს, რომ იმ საღამოსვე უნდა გვეცეკვა. პირველ გამოსვლას კურიოზებიც ახლდა: ზოგ გოგონას ჩიხტიკოპი მოძვრა ცეკვის დროს, ბიჭებს კი მასრები გადმოუცვივდათ. ბავშვების დაბნეულობით მეც და გოჩაც დაზაფრულები ვიდექით, მაგრამ ცეკვის ბოლოს ისეთმა ტაშმა იფეთქა, რომ მივხვდი, პირველი რთული ბარიერი გადალახული გვქონდა. ბავშვებმა სცენაზე „ცეცხლი“ დაანთეს. ათი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა კონცერტები, ფინალს თანდათან აკლდებოდნენ მონაწილეები. ჩვენი ბავშვები კი „ჯიუტად“ მიიწევდნენ ფინალური გამარჯვებისკენ. იმდენად დიდი იყო ქართველი მოცეკვავეებისადმი ინტერესი, რომ კონცერტის ბოლოს, ეგვიპტელი მაყურებლები ცდილობდნენ, როგორმე ხელით შეხებოდნენ ჩვენს პატარებს, არადა იქაურ „დაცვას“ სცენასა და დარბაზს შორის დიდი „კორიდორი“ გაეკეთებინა. მათ აინტერესებდათ ჩვენი ეროვნული ტანსაცმლის თითოეული დეტალიც კი — ჩოხის თეთრი მასრებიდან დაწყებული „აზიურების“ ლეკვერთხებით დამთავრებული.

**გოჩა ჩიხრაძე** (ანსამბლის ქორეოგრაფი): ფესტივალში 35 ქვეყნის მოცეკვავეები იღებდნენ მონაწილეობას. ფინალში ბევრი ვერ გავიდა. ბავშვებმა განსაკუთრებული „ფურორი“ ბოლო დღეს მოახდინეს. დიდი მოწონება დაიმსახურეს სოლისტებმა, „ქართულის“ წყვილმა ეკა კალმახელიძემ და გიორგი დაუშვილმა, „ჯეირანის“ შემსრულებელმა დალი ვაჩნაძემ. ჩვენს წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვით მუსიკოსებს ზურა საღირაშვილსა და ნუგზარ ზურაბაშვილს. საოცრად ამაღელვებელი წუთები იყო, როცა საპრიზო ადგილებზე გასული ანსამბლების დასახელება დაიწყო. ზეიმის დასასრულს გამოაცხადეს, რომ პირველი ადგილი და ფესტივალის ჯილდოები (მედალი და ოქროს გასალები) მიეკუთვნა საქართველოდან ჩამოსულ ანსამბლსო. ჩვენმა ბავშვებმა გამარჯვების ყიჟინა ატეხეს, მთელი დარბაზი ფეხზე ადგა და ისე გვიკრავდა ტაშს.

„ჩირაღდანის“ ხელმძღვანელს სამომავლო გეგმების შესახებ ვკითხე, მიპასუხა, რომ ნოემბერში ირანში აპირებენ საგასტროლოდ გამგზავრებას. იქ საქართველოს დღეები გაიმართება და ყოველივე ქართულს მონატრებულ ფერეიდნელებს ჩვენი ფოლკლორით უნდა წარვუდგეთო. შეხვედრა და ოვაცია იქ იქნება, თუ იქნებაო, — მითხრა ბატონმა ნუგზარმა.

...ცეკვა კი გრძელდება ქართული სულით და ქართული სიყვარულით, ახალი ფიქრებით, ოცნებებითა და მიზნებით.

***მარინა ბაბუნაშვილი***

## რას გვეტყვი, მამაო?

*მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს არქიმანდრიტი მამა რაფაელი.*

**— როგორ უნდა მოვიქცეთ, როდესაც ცუდი გუნება-განწყობა გვეუფლება და ვერაფრით ვძლევთ თავს?**

— უპირველეს ყოვლისა, მადლი შევწიროთ უფალს, რომ მან ჩვენ ცხოვრება მოგვანიჭა; შემდეგ გავიხსენოთ, რამდენ ადამიანს უჭირს ახლა ჩვენზე მეტად... უამური გუნება-განწყობის დროს განსაკუთრებულად დაგეხმარებათ ფსალმუნთა კითხვა და თუ ძალგიძთ, — ფსალმუნთგალობაც. ხოლო თუ ყოველივე ეს არ გიშველით, მიიღეთ თქვენი მდგომარეობა, როგორც გამოცდა და კარნახი თქვენი ცოდვების მოსანანიებლად.

**— მონათლული ვარ ოჯახში, ბებიის დასაფლავების დღეს. ვითვლები თუ არა მონათლულად, თუ კიდევ ერთხელ უნდა მოვინათლო?**

— თუ ნათლობა შესრულდა მართლმადიდებლობის ყველა წესის დაცვით, სულერთია, ჩატარდა იგი ოჯახში თუ ეკლესიაში, თქვენ მონათლულად ითვლებით.

**— არაერთხელ შემინიშნავს სულიერი იერარქების კვერთხზე პირდაღებული გველი, რომელიც დედამიწის გვერდით ენას ასისინებს. რას ნიშნავს ეს?**

— გველი — მრავალმხრივი სიმბოლოა. იგი არა მარტო ბოროტ ძალას განასახიერებს, არამედ ზოგ შემთხვევაში სიბრძნესაც. გველის თავი, სასულიერო იერარქების კვერთხზე, მიუთითებს სიბრძნესა და წინდახედულებაზე.

**— ვართ ერთი ოჯახის შვილების ნათლიები — დისა და ძმის. გთხოვთ განგვიმარტოთ, შეგვიძლია თუ არა ერთმანეთზე დაქორწინება?**

— თუ ერთი და იმავე ბავშვის ნათლიები არა ხართ, მაშინ უფლება გაქვთ იქორწინოთ.

**— ვართ ერთი ბავშვის მიმრქმელები, გვინდა დაქორწინება, რაზეც ეკლესიამ უარი გვითხრა. გთხოვთ, მიგვითითოთ კონკრეტული წყარო, სადაც აღნიშნულია, რომ ჯვრისწერა ასეთ შემთხვევაში დაუშვებელია.**

— საზოგადოდ, ეკლესია კურთხევას არ იძლევა ქორწინებისთვის, თუ საქმე ეხება სულიერ ნათესაობას. ეს საკითხი თუ არ არის შეტანილი დიდ სჯულის კანონში, მხოლოდ იმიტომ, რომ იქ იგულისხმება მხოლოდ ერთი ნათლია. სამაგიეროდ, არსებობს საეკლესიო გადმოცემები, რომლებიც შეტანილია ლიტურგიაში.

**— ერთმა ნაცნობმა მითხრა, რომ მართლმადიდებელი ქრისტიანისათვის ცოდვად ითვლება იოგას სისტემით ვარჯიში და მირჩია, თავი დამენებებინა მისთვის. თქვენ რას გვეტყვით, მამაო?**

— თვით იოგების სისტემა საკმარისად რთული აღნაგობისა გახლავთ — იქ არის ფიზიკური ვარჯიშების წყება, აღებული სახალხო მედიცინიდან და არის კიდევ ფსიქიკური და მედიტაციური — რომელთაც აქვთ მკვეთრად გამოხატული ოკულტური ხასიათი. თუ ეს სისტემები ეფუძნება შივაისტურ მოძღვრებას, კატეგორიულად უნდა უარვყოთ, რადგან შეიძლება ორგანიზმში (მათ შორის, სექსუალურ სფეროში) არასასურველი გამოვლინებანი გამოიწვიოს (ე.წ. ჩაკრების გზით). ამიტომ ამ ვარჯიშებს ძალზე ფრთხილად უნდა მოვეკიდოთ — რჩევა ვკითხოთ იმ პირებს, ვინც უწყის, რომელი ვარჯიშია ადამიანის ფსიქიკისა და ფიზიოლოგიისთვის უხიფათო და რომელი აზიანებს ქრისტიანის სულსა და სხეულს!

**— არსებობენ თუ არა ენერგეტიკული ვამპირები; შეიძლება თუ არა, მართლმადიდებელი ადამიანი იყოს ენერგეტიკული ვამპირი და თუ შეიძლება, როგორ უნდა გამოსწორდეს?**

— როცა ვხმარობთ ტერმინს „ენერგეტიკული ვამპირი“, თავიდანვე უნდა შევიმეცნოთ, რომ ეს არ არის მართლმადიდებელი ეკლესიის ენა — ეს არის ოკულტიზმის ენა. ამიტომ, პასუხში ქრისტიანობისთვის ამ უცხო ტერმინოლოგიის გამოყენებით, შეგვიძლია წინასწარ დავამახინჯოთ პასუხის არსი. ენერგეტიკული ვამპირები, როგორც ასეთნი, არ არსებობენ. თუმცაღა უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის სულიერი არსი არ რჩება მხოლოდ მის სულიერ თვითარსად, არამედ გარშემომყოფთაც გადაეცემა. ამიტომ, სხვადასხვა ადამიანის სიახლოვე სხვადასხვაგვარად მოქმედებს ჩვენზე. ღვთისგან მადლმინიჭებულ ადამიანთა გვერდით გეუფლებათ სიმშვიდე, სათნოება, ძალების მოკრების საშუალება გეძლევათ; და პირიქით — უზნეო, ამორალურ პიროვნებებთან ურთიერთობა გვთენთავს, სასიცოცხლო ძალებს გვაცლის...

ქრისტიანობამ თავისი ენა გამოიმუშავა და ამიტომ არ ეგების, მივმართოთ ლინგვისტურ ნეოლოგიზმებს. თუ თქვენ გსურთ, არ გადატვირთოთ თქვენი მოსაუბრე, წაიკითხეთ თქვენთვის გულში იესოს ლოცვა, იქონიეთ მის მიმართ კეთილი განწყობა, შეიძელით, არა მარტო ლაპარაკის, არამედ მოსმენის უნარიც გამოიმუშავოთ. მღვდელმსახურებს, მაგალითად, ღლიან ის ადამიანები, ვინც ბევრს რასმე ეკითხებიან, მაგრამ თავად არაფერს ასრულებენ. ასეთ დროს ის გრძნობს, რომ მასა და მრევლის ამ წარმომადგენელთა შორის აღმართულია გაუვალი კედელი, რადგან ეს უკანასკნელნი კითხვასაც ცნობისმოყვარეობის გამო სვამენ და არა საქმის კეთების და გაწონასწორების სურვილით.

*თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ იხ. გვ. 32*

***თქვენს შეკითხვებს პასუხობენ მართლმადიდებელი მამები***



ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო! კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. მადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.



## პაწაწინები გვიცინიან

**4 წლის ქრისტინე ესაძე** ტახტის ქვეშ რაღაცას ეძებდა.

— რას ეძებ? — შეეკითხა დარეჯან ბებია.

— ფეხის სამშობლოს.

— რაო? ფეხის სამშობლო რას ჰქვია, ბებო?

— ფეხსაცმელს.

— ვინ გითხრა?

— შენ არ მითხარი, სადაც ადამიანი ცხოვრობს, იმ ადგილს სამშობლო ჰქვიაო?!

***

**1 წლის და 10 თვის გიორგი გუგულაშვილს** დედა ლექსს უკითხავს:

— ერთს რომ ერთი მივუმატოთ, რამდენია ბაჭია? არ დაიბნა ბაჭია, ორი ყური აწია.

შემდეგ დედა გიორგის ეკითხება:

— ერთს რომ ერთი მივუმატოთ, რამდენია?

გიორგი პასუხობს, — ყურები.

***

სად არის ჩემი ნათლია? — დაინტერესდა **პატარა შალვა**.

— კოჯორში ისვენებს, — უპასუხა დედამ.

— კოჯორში ჯორები ცხოვრობენ? — იკითხა შალვამ.

***

**3 წლის სერგის** დედა აბანავებს. სერგიმ საპონს შეხედა და გაკვირვებულმა დედას ჰკითხა:

— დედა, საპონი გახდა?

***

ციური დეიდა **პატარა დიტოსთან** ერთად სოფელში მისეირნობს. გზის პირას ცხვრის ფარაა, ცხვრები ბალახს წიწკნიან.

— აი, ცხვრები. შეხედე რამდენია! — ეუბნება ციური დეიდა დიტოს.

— მერე კომბლე სად არის? — კითხულობს პატარა.

## გამოიცანით გამოტოვებული ასოები და წაიკითხეთ ისრის მიმართულებით

III





## IV

გამოიცანით ფოტოზე გამოსახული მულტიპლიკატორი და გამოიცანით სხვისი მულტფილმი



ა) ფიფქია და შვიდი ჯუჯა;

ბ) ბემბი;

გ) აბა, დამაცადე!;

დ) მიკი მაუსი.

## იპოვეთ 12 განსხვავება





## I გამოცანაკროსვორდი





**თარაზულად:** 1. რძისგან დანაბადია, თეთრია და მჟავეა; 8. გათლილი ხისა ძირია, მეცხვარეს ცხვარში სჭირია; 10. თავქოლგა და ფეხშიშველა, ნაწვიმარზე ეძებს ყველა; 11. ზამთარში მოკლე, ზაფხულში გრძელი, გამოსაცნობად არ არის ძნელი; 12. არის ყვითელი ნაყოფი რამე, შიგნით მჟავეა და ქერქი მწარე; 13. ცივია და ტკბილი, არ სჭირდება კბილი; 14. ოთხფეხია, ტანად დიდი, რქებიანი, წყნარი, მშვიდი, იგი თავის მზრუნველ პატრონს, აძლევს კარაქს, ყველს და მაწონს; 15. არის ხისგან ნაკეთები ხარატული ერთი რამე, მას დედიკო მზრუნველობით თავს ევლება დღე და ღამე, შიგნით უწევს გულის ვარდი, სიხარული და სიამე.

**შვეულად:** 2. შეხედულებით ზღარბია, ტყეებში ხეზე აბია; 3. მოხრილია, როგორც რკალი, როცა მიდის, რჩება კვალი; 4. სახლის თავზე კოხტად ვდგავარ, სიტყვებს ვიჭერ, აბა რა ვარ? 5. არცა ენა აქვს და არცა თვალი, ხან მოამბეა, ხან მომღერალი; 6. დასაბმელი-გასაბმელი, ზოგი — მოკლე, ზოგი — გრძელი; 7. არის ფრთამალი ფრინველი ერთი, თევზიჭამია, თოვლივით თეთრი; 9. ელითა, მელითა, ბუზებს იჭერს ქსელითა.

## მოთხრობა–გამოცანა

ირაკლის და ლუკას აქვთ 5 ჩემოდანი და 5 გასაღები, მაგრამ არ იციან, რომელი გასაღები რომელი ჩემოდნისაა. რამდენი ცდა დასჭირდებათ იმისათვის, რომ ყოველ ჩემოდანს თავისი გასაღები მოარგონ?

(პასუხი გამოგვიგზავნეთ წერილობით)

***მოგვაწოდა 15 წლის ნინო ტომარაძემ***

***წინა ნომერში შემოთავაზებული მოთხრობა-გამოცანის ყველაზე სწორი პასუხები გამოგვიგზავნეს:*** ლევან ორბელაძემ, ზურა არველაძემ, გიორგი ქამუშაძემ, მაიკო დ ვაკო ფაჯიშვილებმა, გიორგი და ლაშა სამხარაძეებმა, თორნიკე გაგნიძემ, ნინო და დავით კავკასიძეებმა, სოფიკო გძელიშვილმა, ეკატერინე შამათავამ, ალეკო უშარაულმა, სოსო კუპრაშვილმა, ლევან და ნატა ხვადაგიანებმა, ხვთისო იმერლიშვილმა, მაია და გიაჩო გიგანებმა, თამუნა ფუნჩიაშვილმა, მარიამ მერაბიშვილმა, ნათია ქააძემ, თამუნა და მეგი ზურაბიშვილებმა, მევლუდ გულბანმა, ტარიელ წირღვავამ, ლელა ოჩხიკიძემ, ნინო ტომარაძემ, ზურა და მონიკა ტყეშელაშვილებმა .

***სწორი პასუხი კი ასეთი გახლავთ:*** 3 ცალი წინდა.

## პატარების წერილები ღმერთს

— მივხვდი, რომ შენ დედამიწაზე ყველაზე მთავარი ხარ, ხომ არ გადაგირჩევენ?

— ვაითუ ხალხს კი არ უყვარხარ, არამედ ეშინია?

— არ გწყინდება, ყოველთვის მართალი რომ ხარ?

— სოფელში ვნახე პატარა, თეთრი ეკლესია, დიდი ხეების ჩრდილი ეფინა, უკან ლამაზი ტყე ჩანდა. ეს შენი აგარაკია?

— დედამიწაზე როცა ისვრიან, არ გესმის, ღმერთო?

— როცა პირველად შეგხვდები, არაფერს გთხოვ, შენ იფიქრებ — რა კარგი ბიჭიაო და „მერსედესს“ მაჩუქებ.

## გამაფერადე ფერადი ფანქრებით

შეაერთეთ წერტილები თანმიმდევრობით და თავად მიხვდებით, რასაც მიიღებთ.



## V

მოძებნეთ საერთო დასაწყისი რვავე სიტყვისთვის





## II რებუსი





ძვირფასო მშობლებო! გთხოვთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით გამოგვიგზავნოთ თქვენი პატარების ბრძნული გამონათქვამები და კურიოზული ამბები. ჩვენ კი მათ გამოქვეყნებას გპირდებით. გთხოვთ მიუთითოთ რუბრიკა „საბალღო-სალაღო“

პასუხები იხილეთ 25-ე გვერდზე

გვერდი მოამზადა მაკუკა ხუციშვილმა

CMYK

# ...ნახატები გამოფენიდან რომ მოვაბრუნე, – ნუ გეშინიათ, უკვე შინა ხართ-მეთქი, _ მოვეფერე

ამ სამყაროში შემოსულს ყოველდღიურობის პროზაულობასთან ერთად თითქოს ფეხქვეშ მიწაც გეკარგება. ხორცით დაუმძიმებელი სულიც ნეტარ სიმსუბუქეს გაგრძნობინებს და კარგა ხნით გარინდდები...

რაც არ უნდა უწოდო მას — თვითნასწავლი მხატვარი თუ პრიმიტივის-



ტი, ღმერთისაგან ხელდასხმული ხელოვანია უპირველესად. მის მიერ გაცოცხლებული დიდი ვაჟა, ზნემაღალი მინდია თუ ტკივილით გულშეკუმშული ალუდა, უბრალო კახელები, ლაღი თუშები, ჭიამაიები, წითელ ბაბთაშებმული ბატკნები მართლაც ცოცხლები არიან და ისეთი სიკამკამიდან იღებენ სათავეს, ყველა მათგანი თეთრი ყვავილებით დაწინწკლული გეჩვენება.

ჩვენს ღრმად განსწავლულ ეპოქაში რომ იშვიათობაა, ისეთი მასპინძელი მყავს, — დაუფარავად, შეულამაზებლად რომ იტყვის, რასაც ფიქრობს და მიუხედავად ყველა გასაჭირისა, „ბილწთ არ შაეკვრის ზავითა“:

— ყველანაირ სიმდიდრეს მე ჩემი საქართველო, მისი ორღობე მირჩევნია. ჩემი საუნჯე ვაჟას ერთი სტროფია, ოღონდ წამაკითხე, მერე გინდაც მშიერი მომკალი. გერმანიაში ვიყავი თოთხმეტი დღით. ქართული რომ არ მესმოდა, თავს გადაგდებულად ვგრძნობდი. ჩამოვედი. აქ შიმშილი დამხვდა, ჩვენი მოუვლელი ქუჩები, მაგრამ მაინც ეს მირჩევნია. აქ თითქოს ჩემს დედასთან ვარ.

**— ეს საოცარი სურათები, თქვენი სულის მშვენიერი ნაწილია. რა გასაზრდოებთ მათი შექმნისას?**

— ჩემი ბავშვობა, სოფლად გატარებული 12 წელიწადი. სოფელ ლალისყურში ვიზრდებოდი. ვუყურებდი, როგორ ლეწდნენ კევრით კალოს, წისქვილში სარეკელა მღეროდა. ბავშვები იქვე ღარებში ვბანაობდით. მერე მეწისქვილე ზღაპრებს გვიყვებოდა. მოხუცი ნუცა ბებო გვყავდა. მის ეზოში ძერწავდნენ კეცებს, ჭინჭილებს... აი იქ, ოთხი წლის ასაკში გამოვძერწე პირველი თიხის თოჯინა.

პირველი გამოფენაც ლალისყურში მოვიწყვე. ჩემი თიხის თოჯინები ქვითკირის სახლის კედელთან ჩამოვამწკრივე. გავიქეცი ტყრუშულ ღობესთან და დავუწყე ყურება...

**— თქვენს სურათებში ადამიანებისადმი, მცენარეებისა და ცხოველებისადმიც კი ისეთი სიყვარული იგრძნობა...**

— ბუნებაში ვარ გაზრდილი. მესმოდა, მწყერები როგორ კვიტკვიტებდნენ, როგორ დარბოდნენ კურდღლები, ახლა სად ნახავ ტყის პირზე კურდღელს, უგუნური გახდა ხალხი, სიყვარული დაკარგეს და ისპობა ყველაფერი. დედაჩემი იას არ მომაწყვეტინებდა, აკოცებდა და მოფერებას მასწავლიდა ყვავილისას...

მზის ამოსვლა იყო ჩემთვის ბედნიერება. ყანაში რომ ყაყაჩო გაიშლებოდა და მზე ამოგორდებოდა კავკასიონზე, ისეთი საოცრება იყო!..

ზოგჯერ ყვავილს ხელს წავატან, მინდა მოვწყვიტო. გავჩერდები... სიცოცხლე არ უნდა წავართვა-მეთქი, ვფიქრობ. ზოგჯერ, მინდორში თუ მოვხვდი, წამიცდება ხელი, მოვწყვეტ ყვავილს, მერე კი ვნანობ. თუმცა ზოგი ყვავილი უნდა დაიკრიფოს, თორემ აღარ იყვავილებს...

**— ირგვლივ ყველაფერი თქვენი ნახელავი ყოფილა: ეს ბუხარი, კიბე... არ გიჭირთ ვაჟკაცური საქმის გაკეთება?**

— ადამიანი როცა მარტო დარჩება და არავინ ეყოლება მშველელი, პირველ რიგში დამოუკიდებელი ხდება. მე ბავშვობიდან მარტო დავრჩი. თავიდან მიხდებოდა მეზრუნა ჩემს თავზე... აქ რომ შემოვედი საცხოვრებლად, არაფერი არ დამხვედრია გაკეთებული, კედლები გაჯით გავლესე, საპირფარეშოც კი ჩემი ხელით ჩავდგი. ახლა როცა წვიმს, გარედან, გაულესავი ადგილებიდან სულ შიგნით ასხამს წყალი. ვდგავარ თასებით და ვცდილობ მის შეკავებას... რამდენი ნახატი გამიფუჭდა...

**— თავს მარტო არ გრძნობთ ან სასოწარკვეთა არ გეუფლებათ?**

— სასოწარკვეთილი რად უნდა ვიყო... ოთარაანთ ქვრივისა არ იყოს, მარტო თქვენა ხართ, ზოგიც ჩემს გულში ჩაიხედეთ! მარტო ის არის, ვინც ქმარ-შვილთან ცხოვრობს, ოჯახი კი პატიოსნების საძირკველზე არ აქვს დამყნობილი... ზოგი მარტო ჭამაზე რომ ფიქრობს, ისიც მარტოა. მე კი ერთ ლუკმას შევჭამ და ვიფიქრებ: აბა დღეს, მე ვის რა ვარგო?

მარტო რად ვიქნები, ჩემს ნახატებს ველაპარაკები, სამი ნახატი რომ დავაბრუნე სახლში გამოფენიდან, ვუთხ-



არი: ნუ გეშინიათ, ახლა უკვე შინ ხართ-მეთქი. ოცნება მაქვს: ჩემი სიკვდილის მერეც გამოუჩნდეთ პატრონი — მართალი, უანგარო, მათთან ჩურჩული რომ შეეძლოს, ისეთი, რომ ქართველ ხალხს ხელუხლებლად დარჩეს ჩემი შემოქმედება, რომ ქართველი გაიზარდოს ქართულ სულზე.

ჩემი შვილები არიან, აბა, შვილს ვინ გაიმეტებს: ინგლისელი ბარონესა იყო ჩამოსული, სოლიდურ თანხას



მიხდიდა. არ მივყიდე. რად მინდა მდიდარი ვიყო და ღამით არ მეძინოს.

როცა ცუდად ვარ, ეს ნახატები და ჩემი ლექსები მშველიან. მოვკვდებოდი, ესენი რომ არ მყავდნენ!

**— რა გენატრებათ?**

— ხელოვანს ყოველთვის ენატრება სითბო: დედაშვილური, უანგარო... დედას ვერავინ შემიცვლის, ვერც ჩემი ნახატები... გულს იმით ვიმშვიდებ, რომ საქართველოში ვარ. ესეც ხომ ჩემი დედაა! ძალიან მინდა ლალისყურში დამმარხონ, დედის გვერდით. იქ ჩემი პატარა, შიშველი ფეხები დარბოდნენ... იქ საფლავის ქვაზე ჩამომჯდარი, ცხვრებს ვმწყემსავდი და სალამურს ვთლიდი, იქ გამთბარა მიწა ჩემი ცრემლებით. ერთხელ დედამ წითელი პლასტმასის თევზი მომიტანა. ისე მომეწონა, თვალს ვერ ვაშორებდი. დავდებდი სადმე, გავიქცეოდი მოშორებით და ვუყურებდი. შემდეგ, უკვე ჩემი სახლის ნანგრევებთან მისულმა, იმ თევზის ნამტვრევები დავინახე! ტირილი დავიწყე: ეს არის ჩემი სიმდიდრე!

აქ ბევრი მეგობარი მყავს, მაგრამ აქ ცივა... მაინც ცივა...

ქალბატონ რუსუდან ტოზაშვილის ერთ-ერთ ლექსში ასეთი სტრიქონებია:

„ნისლო, დიდი დრო გავიდა
ჩემი ბალღობის დღიდანა,
წაგიველ, ისევ მოგიველ
თმებდათოვლილი გზიდანა“...

საოცარი სევდა დამეუფლა. ჩვენ გვერდით ცხოვრობს ხელოვანი, რომელსაც ვერც დრომ, ვერც თოვლივით ჭაღარამ სული ვერ დაუმძიმა. თავადაც სჯერა და მისი შემხედვარე შენც იჯერებ მისივე სიტყვების უტყუარობას — ადამიანი რომ დაიბადება ბავშვად, ისევ ბავშვად კვდება... ყველა ადამიანი...

***ლელა ჯიყაშვილი***

# პრიზი „მარტოობის ორდენის კავალერს“

ქართულმა ფილმმა კიდევ ერთხელ მოიპოვა გამარჯვება. რიგის საერთაშორისო კინოფესტივალზე „უმაღლესი პრიზი — „საუკეთესო რეჟისორი“ მიენიჭა კინორეჟისორ ალეკო ცაბაძის ფილმს „მარტოობის ორდენის კავალერი“. გვესაუბრება ფილმის პროდიუსერი გიორგი ხარაბაძე, რომელიც ფილმში გალაკტიონის როლის შემსრულებლის, ცნობილი ქართველი მსახიობის ბატონ გოგი ხარაბაძის ვაჟი გახლავთ.

— რიგის კინოფესტივალს არ ჰყავს ჟიური. საფესტივალოდ შერჩეულ 400 ფილმს მაყურებელი 8 დღის მანძილზე ნახულობს, მათგან 17 საუკეთესო განკუთვნილია ძირითადი ჩვენებისთვის და ყველა მათგანს ერთი უმაღლესი პრიზი — „საუკეთესო რეჟისორი“ გადაეცემა. ფესტივალის ორგანიზატორების თქმით, არ არსებობს ქვეყნად ისეთი ჟიური ან ადამიანი, რომელსაც საუკეთესო ფილმებიდან საუკეთესოს დასახელების უფლება ჰქონდეს, ამიტომ უჩვეულოდ ხდება ფულადი ჯილდოს — 10.000 დოლარის გადაცემა. სცენაზე 17 მუქი ფერის ჭიქით ეროვნული სასმელი შემოაქვთ. ფესტივალის პრეზიდენტი მკერდზე მიმაგრებულ ვერცხლის ღილს იჭრის და თავზე შავმოსასხამგადაფარებული, რომელიღაც ჭიქაში აგდებს და ასე მიართმევენ ჭიქებს 17-სავე რეჟისორს, რომელთა შორის ყველაზე იღბლიანი ღილთან ერთად 10 ათასი დოლარის მფლობელიც ხდება. ეს ბედნიერება წილად ხვდა ახალგაზრდა ინგლისელ კინორეჟისორ ქალს. საერთოდ, ფესტივალში მხოლოდ ფირზე გადაღებული ფილმები მონაწილეობს. ჩვენი ფილმი კი „ბეტაკამითაა“ გადაღებული. ამასთან, ფილმში ხომ მთლიანად გალაკტიონის ლექსები და ფრაზებია. მოგეხსენებათ, მისი თარგმნის ხელოვნება კინოს ფარგლებს სცილდება და რთული საქმეა. მიუხედავად ამისა, „მარტოობის ორდენის კავალერი“ საუკეთესო ფილმად დასახელდა იმ რეჟისორთა ნამუშევრებს შორის, როგორიც არის ბატონი ოთარ იოსელიანი (ამ შემთხვევაში საფრანგეთიდან), ალექსანდრ სოკუროვი და სხვ. სიამაყით ვივსებოდი, როდესაც დაჯილდოების ცერემონიალზე 2 წუთის



გიორგი ხარაბაძე

მანძილზე უამრავ, სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ადამიანებით სავსე დარბაზში ეკრანიდან გალაკტიონის ლექსები ისმოდა, სცენაზე კი საუკეთესო რეჟისორებს შორის რიგით მეშვიდე იდგა ალეკო ცაბაძე, პირველი კი — ოთარ იოსელიანი.

ბატონი ოთარის მიერ ფესტივალზე წარდგენილ არაჩვეულებრივ ფილმს ერთი თავისებურება აქვს — მისი სახელწოდება ყოველ ენაზე თითქმის სხვადასხვაგვარად ითარგმნება. ფრანგულად მას ჰქვია — „მშვიდობით, ძროხების ქვეყანავ“.

ფესტივალზე კიდევ ორი ქართველი კინორეჟისორის ფილმები იყო წარმოდგენილი — ალექსანდრე რეხვიაშვილის დოკუმენტური ფილმი „დაბრუნება“ და კახა კიკაბიძის „ტბა“.

**— „მარტოობის ორდენის კავალერი“ სხვა ფესტივალების სტუმარი თუ იქნება?**

— ახლახან ფილმი მიიწვიეს ამერიკაში, კლივლენდის კინოფესტივალზე, მანამდე კი იგი როტერდამს, ბაქოს, ლონდონს, კასელსა და კოტბუსს მოივლის...

P.S. აქვე მინდა მკითხველს ერთი საინტერესო ინფორმაცია მივაწოდო. ბატონ გოგი ხარაბაძის მეორე ვაჟიც პროდიუსერია. ამჟამად ჰოლივუდში ერთ-ერთ სერიოზულ კინოკომპანიას ხელმძღვანელობს. იგი გახლავთ ცნობილი ფილმის — „პრეზიდენტის თვითმფრინავი“ (ჰარისონ ფორდის მონაწილეობით) ხმის რეჟისორი.

წარმატებებს ვუსურვებთ!

***ეკა ლომიძე***

# 2000 წლის მსოფლიოს საუკეთესო ვიოლეტა — ეთერ ჭყონია-ლამორისი თბილისში

თბილისელებს მუსიკალური ავტორიტეტებით ვერ გააკვირვებ, ამ მხრივ ჭეშმარიტად განებივრებულია ქართული აუდიტორია. და მაინც... ეთერ ჭყონიას გასტროლს განსაკუთრებული ვნებათაღელვით ელოდა მსმენელი. ქალბატონი ეთერი ერთადერთი ქართველი მომღერალია, რომელსაც მსოფლიო მუსიკალურ გრანდებთან — ლუჩანო პავაროტისთან, პლასიდო დომინგოსა და ხოსე კარერასთან მოუხდა შემოქმედებითი მოღვაწეობა. წელს ეთერ ჭყონია აღიარეს ჯუზეპე ვერდის ოპერა „ტრავიატაში“ ვიოლეტას პარტიის საუკეთესო შემსრულებლად.

8 ოქტომბერს კონსერვატორიის დიდმა დარბაზმა ვოკალური მუსიკის დღესასწაულზე მიგვიწვია. სამწუხაროდ, არც ამ კონცერტმა ჩაიარა ტრადიციული ქართული კურიოზის გარეშე: აფიშები თავდაპირველად გვამცნობდნენ, რომ პროგრამაში შესრულდებოდა ბახის, ჰაიდნის, მოცარტის და სხვა კომპოზიტორთა ნაწარმოებები, შემდეგ, რატომღაც, ახალი აფიშები გამოიკრა ასეთი წარწერით — „პროგრამაშია ვირტუოზული ფოლკლორული ნაწარმოებები“. მოგეხსენებათ „ფოლკლორი“ ხალხურ შემოქმედებას ნიშნავს და არა იოჰან სებასტიან ბახის „ავე მარიას“, ჯუზეპე ვერდის ოპერა „ტრავიატას“ და ა.შ. ამდენად, მუსიკოსები ცოტა დაიბნენ კიდეც ამგვარი „რეკლამით“, მოგვიანებით თავად სოლისტმაც გამოთქვა სინანული ასეთი არაპროფესიული შეცდომის გამო, თუმცა... კონცერტი შედგა და მიუხედავად იმისა, რომ მასზე დასწრება საკმაოდ ძვირი სიამოვნება გახლდათ, კონსერვატორიის 500 ადგილიანი დარბაზი მაყურებელს ვერ იტევდა.

კონცერტში მონაწილეობდა ტელევიზიის ორკესტრი ბატონ ზაზა აზმაიფარაშვილის ხელმძღვანელობით. ბატონი ზაზა აზმაიფარაშვილის სადირიჟორო ოსტატობის და ორკესტრანტთა საერთო ძალისხმევით კონცერტი წარიმართა ისე, როგორც ეს მსოფლიო დონის ვოკალისტს ეკადრებოდა.

**ზაზა აზმაიფარაშვილი:** ტელევიზიის ორკესტრი მაქსიმალურად მძიმე პირობებშია. ზაფხულში ჩვენ უხელფასო შვებულებაში გაგვიშვეს. მიუხედავად ამისა, ორკესტრი მუშაობდა და დღეს ღირსეულად წარვდექით მსმენელის წინაშე. ქალბატონ ეთერისთან სხვა სიმაღლეებზე უნდა იფიქრო, იგი ხომ უბრალოდ არ მღერის — იგი მუზიცირებს, ამასთან აუცილებელია შეიქმნას სათანადო განწყობა.

ეთერ ჭყონიამ ჯერ სიმღერით მოგვხიბლა, შემდეგ კი სარეპეტიციო ოთახში შეკრებილი ჟურნალ-



ისტები გაგვაოგნა:

**— ქალბატონო ეთერ, როგორ დაიწყეთ სიმღერა?**

— მოგეხსენებათ, დედა — ლამარა ჭყონია ოპერის სოლისტი გახლდათ, სახლში სულ სიმღერა მესმოდა. პირველად სამი წლისამ ვიმღერე „გოგოვ, გოგოვ, შავთვალა“. დედა ყოველდღე, ვოკალის გაკვეთილებს მაძლევდა, მე სხვა პედაგოგი არც მყოლია, ექსპერიმენტულ სკოლაშიც და კონსერვატორიაშიც მის კლასში ვიყავი, მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ, საშინლად არ მინდოდა მომღერალი გავმხდარიყავი. სულ სხვა რაღაცებით ვიყავი გატაცებული: ჩოგბურთში ლეილა მესხის პარტნიორი გახლდით. მოზარდებში პირველთანრიგოსანი ვიყავი. მქონდა ჩემებური დარტყმაც, რომელსაც „ჭყონიას დარტყმა“ უწოდეს, მოკლედ, სერიოზული წარმატებები მელოდა, მაგრამ... დედამ ჩოგბურთიდან გამომიყვანა. კონსერვატორიაში სწავლისას უნივერსიტეტში დავდიოდი თავისუფალ მსმენელად ფსიქოლოგიის ლექციებზე. ძალიან ვიყავი გატაცებული ხატვით. ვოკალისტი რომ გავხდი, ჩემს კურსელებს უნდა ვუმადლოდე — თითქმის გადაწყვეტილი მქონდა სიმღერისთვის თავის დანებება, რომ მათ ტრადიციული ქართული წამოძახებებით გამაღიზიანეს — ჭყონიას ქალიშვილს კონსერვატორიას ძალით ამთავრებინებენო, სიმღერა არ იცისო და სხვა მრავალი. ამ დროს შემეძინა ბავშვიც... და მოხდა არნახული რამ — თითქოს ხმა ათმაგად მომემატა და ლამაზი გახდა.

მე თვითონ უკვე ძალიან მომწონდა ჩემი ხმა. კურსელებზე აღშფოთებული ჩავიკეტე სამი თვით შინ და ფაქტობრივად ყველა ურთულესი არია ამ დროში მოვამზადე. მოგვიანებით ამბობდნენ — სად ისწავლა ჭყონიამ სამ თვეში სიმღერაო!

**— ალბათ ფორტუნაც გწყალობდათ?**

— ჩემი საოპერო დებიუტი ოპერა „აბესალომ და ეთერში“ შედგა. შევასრულე მარეხის პარტია და სპექტაკლი პირდაპირი ეთერით გადაიცა. ალეკო ხომერიკი ამბობდა — ათი წელია ოპერაში ვმღერი, ხალხი არ მიცნობს, ამან „ერთი პირი გააღო“ და მთელმა საქართველომ გაიცნოო! ბედი ნამდვილად მაქვს. ესპანეთში ცხოვრებისას დავუახლოვდი გონსალესების ოჯახს. იქ ძირითადად კონკურსებზე მოპოვებული ფულადი პრიზებით ვცხოვრობდი, მოხდა ისე, რომ ფული ცოტაღა მქონდა, დაახლოებით 500 დოლარი. ეს თანხა იქ უაღრესად მიზერულია. ჩემმა ნაცნობებმა მირჩიეს, ყოველი შემთხვევისთვის ბანკში შემეტანა ფული, დავუჯერე და... ბანკმა ლატარია გაათამაშა და ჩემი შემნახველი საკნის ნომერმა მოიგო 3000 დოლარი. ეს თანხა გამწვდა პირველ კონტრაქტამდე. შემდეგ უკვე ესპანური პასპორტიც ავიღე, მომივიდა მიწვევებიც...

**— თქვენს პარტნიორებზე რას გვეტყვით?**

— ცნობილი სამეულიდან მაინც პლასიდო დომინგოს გამოვყოფდი. იგი განსაკუთრებით უშუალო ადამიანია და, რაც მთავარია, მეგობრული. ძალიან დამეხმარა დიდი სცენის კომპლექსის მოხსნაში.

**— ცნობილია, რომ ლუჩანო პავაროტი სცენაზე გაღუნული ლურსმნის გარეშე არ გადის, თქვენ თუ გაქვთ რაიმე თილისმა?**

— არა, პირიქით, ვცდილობ, რაც შეიძლება ჩვეულებრივი იყოს ის დღე — დავდივარ მაღაზიებში, სასეირნოდ. ყოფილა ისე, რომ იმდენი მიფიქრია შესრულებაზე, ცუდად გამოვსულვარ. ძალიან დამეხმარა ფსიქოლოგიის ლექციები, მომღერალს განსაკუთრებული მომზადება ესაჭიროება, იგი პირდაპირ უყურებს ათასობით მსმენელს, ოდნავი აღელვება და ხმა აღარ დაგემორჩილება!

**— ლამორისი გვარია თუ?..**

— საზღვარგარეთ ძალიან უცნაურად ჟღერს ჭყონია, ლამორისი ჩემი დედ-მამის სახელების შერწყმაა. მინდოდა ლამორი დამეწერა, მაგრამ ძალიან იტალიურად ჟღერდა და ისევ ლამორისი ვარჩიე.

**— მიიჩნევთ თუ არა თავს ბედნიერად და აუხდენელი ოცნება თუ გაქვთ?**

— ბედნიერი ნამდვილად ვარ, ოცნება არ მაქვს, ვცდილობ, დაგეგმვის გარეშე ვიცხოვრო.

**— კლასიკური მუსიკის გარდა, რომელ ჟანრს ანიჭებთ უპირატესობას?**

— ძირითადად პოპ-მუსიკას ვუსმენ, მიყვარს ფრენკ სინატრა, უითნი ჰიუსტონი, ანსამბლი „ქვინი“. ჯაზი შედარებით ნაკლებად მიტაცებს, თუმცა ხანდახან მეც ვერთობი იმპროვიზაციებით.

**— კიდევ როდის გვეწვევით?**

— მივემგზავრები საფრანგეთში, შემდეგ აშშ-ში, იტალიასა და უნგრეთში. მომავალ წელს შეიძლება ჩამოვიდე იტალიელ ტენორთან ერთად და შევასრულო ვერდის მუსიკა...

***ალექსანდრე ბერიძე***

# ფრაგმენტებიანი კროსვორდი



## თარაზულად:



**7** ტანისა და კუნთების დაჭიმვით გაშლა-გამართვა

**8** ტელეფონ-ავტომატი



**10** „ჭურჭელი“



**11** ტროპიკული და სუბტროპიკული უღრანი ტყე



**12** თევზის საჭერი რკინის წვრილი წვეტიანი კაუჭი



**16** მაღალი და კოხტა, ტანწერწეტა



**18** თივის დიდი გროვა

**19** თბილისის ერთ-ერთი ძველი უბანი



**20** წყლის ზედაპირზე მოსრიალე მოტორიანი ნავი



**21** დედამიწის უმაღლესი მთის მასივი



**25** ფენა, სადაც ვიტამინ „C“-ს შემცველობა უდიდესია



**26** „ენნი ჰოლი“, „მანჰეტენი“, „კაიროს მეწამული ვარდი“ (კინორეჟისორი)



**27** საქონლის ხორცის ნეკნებს შუა ნაწილი



**30** ღონიერი მტაცებელი ფრინველი

**33** იტალიის ფეხბურთელთა ასოციაციის მიერ საუკუნის მოთამაშედ აღიარებული სპორტსმენი



**34** მრავალწლიანი მცენარე



**35** მედიცინაში, ლუდისა და თამბაქოს წარმოებაში გამოყენებული ტკბილი ფესვის მქონე მცენარე

**36** დამოუკიდებლობა მართვა-გამგეობაში, თვითმმართველობა

## შვეულად:



**1** ელვა თავისი არსით



**2** ლიტერატურის ერთ-ერთი ჟანრი, რომელსაც არ თაკილობდა სერვანტესი



**3** დაწესებულება





**4** პლანეტის სახელის მატარებელი ბორცვი



**5**





**6** მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ნახევარკუნძული



**9** (ეროვნება)



**13** მცირე საინჟინრო-არქიტექტურული ფორმა, რომელიც ნებისმიერ ქალაქს ამშვენებს

**14** f(X), f ფუნქციაა, X — ?





**15** ხსნადი ყავა



**17** ქვეყანა, სადაც მძვინვარებს „ნილოსის ციებ-ცხელება“, რომლის გადამტანიც კოღოა



**22** დედამიწა +აღვწერ (ბერძნულად)



**23** ზღვის პატარა კიბო



**24** უმარტივესი ერთუჯრედიანი ცხოველი, რომელიც ცხოვრობს მტკნარ და მლაშე წყლებში



**28** ქვეწარმავალი



**29** პოტენციური ლითონი



**31** პროდუქტი



**32** ხელსაქმე

---

კროსვორდი შეადგინა **რამაზ ალანიამ**

**„კვირის პალიტრა“ №41 კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 5. ბერგამოტი; 6. მეტეორიტი; 9. მელიქიშვილი; 10. კოდალა; 12. კრამიტი; 13. ელფერი; 17. არბიტრი; 18. აორტა; 20. ართრიტი; 21. გერმანია; 22. ჰანემანი; 26. პაშტეტი; 27. აქატი; 28. ნარგილე; 31. გიტარა; 33. მისტიკა; 34. რაინდი; 35. პულმონოლოგი; 36. ინჰალაცია; 37. ევკალიპტი.

**შვეულად:** 1. კაზმვა; 2. სტაიერი; 3. ველვეტი; 4. კორიფე; 5. ბულდოზერი; 7. იუმორისტი; 8. დიამეტრი; 11. არქიტექტურა; 14. ფიბრინოგენი; 15. პრიმატი; 16. ტრამვაი; 18. აფიშა; 19. არაყი; 23. გარნიტური; 24. კაროტინი; 25. კლავდიუსი; 29. ჟიამაია; 30. ჩკალოვი; 32. ამპულა; 34. როიალი.




*ფასები მოყვანილია ეროვნულ ვალუტაში (ლარი) დღგ-ს ჩათვლით.

თბილისი: ბაქოს ქ. 2; კოსტავას ქ. 35. საინფორმაციო ცენტრი 928.

# ავტოინდუსტრიის „მამები“

**ნიკოლ-ჟოზეფ კიუნო (1715-1804)**

ფრანგი ინჟინერი, ავტორი პირველი მოქმედი ორთქლისძრავიანი ტრანსპორტისა. იგი დღემდე არსებობს და საფრანგეთის საავტომობილო მუზეუმში ინახება.

**ნიკოლა-ავგუსტ ოტო (1832-1891)**

გერმანელი კომერსანტი, პირველი ოთხტაქტიანი შიდაწვის ძრავის ავტორი. ავტოძრავები დღესაც მისი დანერგილი „ოტოს ციკლით“ მუშაობენ.

**გოთლიბ დაიმლერი (1834-1900)**



ავტოინდუსტრიის ყველაზე ღვაწლმოსილი ინჟინერი. შექმნა დღესაც მოქმედი „V“ ტიპის ძრავა, რომელიც თხევად საწვავზე მუშაობდა. მასვე, კ. ბენცთან ერთად, ეკუთვნის №34926 პატენტი (1885წ) მსოფლიოში პირველი ავტომობილის გამოგონებისათვის.

**რუდოლფ დიზელი (1858-1913)**

ავტორი „დიზელის“ ძრავისა, რომელიც ბენზინის გამოყოფის შედეგად დარჩენილ ნავთობზე მუშაობს. „დიზელის“ ძრავი ბენზინისაზე 1,5-ჯერ ეკონომიურია და იაფიც.

**ანდრე სიტროენი (1878-1935)**

ცნობილი ფრანგი ავტომეწარმე. მან პირველმა გადმოიღო ამერიკელებისაგან ევროპაში რუსული ავტოწარმოება. ცნობილია იმითაც, რომ „სიტროენის“ რეკლამისთვის ზღაპრულ ფასად დაიქირავა ეიფელის კოშკი. მოგვიანებით „რენოსა“ და „პეჟოსთან“ კონკურენციას ვერ გაუძლო და „მიშელინის“ მფლობელობაში გადავიდა. შეინარჩუნა მხოლოდ მარკა — „სიტროენი“.

**კარლ ბენცი (1844-1929)**



გერმანელი კონსტრუქტორი, პირველი ავტომობილის ერთ-ერთი ავტორი (პატენტი №37435, 1885წ.) ის და გ. დაიმლერი ახლო ქალაქებში ცხოვრობდნენ და მსოფლიოში პირველი ავტომობილები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად შექმნეს. ერთმანეთი არასოდეს გაუცნიათ, თუმცა XXს-ის 20-იან წლებში მათი ფირმები დღეს ცნობილ ავტოკონცერნად, „დაიმლერ-ბენცად“ შეერთდა.

**ანდრე და ედუარდ მიშელინები (1853-1931); (1859-1940)**

შექმნეს პირველი პნევმატური (გასაბერი) საბურავი ავტომობილისთვის. იმავე სახელწოდების ფირმა დღესაც წარმატებით მუშაობს, თუმცა მისი პირველი საბურავი 200 კმ-ის გავლის შემდეგ გადასაგდები ხდებოდა.

**ლუი რენო (1877-1944)**

ფრანგი კონსტრუქტორი, ამავე სახელის ავტოკონცერნის ფუძემდებელი. სრულიად ახალგაზრდამ გამოიგონა „კარდანი“ და სამსიჩქარიან გადაცემათა კოლოფი, სრულყო და დღევანდელ სახემდე მიიყვანა საჭე.

**ფრედერიკ ჰენრი როისი (1860-1930)**

თუკი ფორდმა თავისი „-ლიზი“ მოდელით ავტომობილის ყოლის საშუალება ყველას მისცა, როისმა ჩარლზ როლსთან ერთად „როლს-როისით“ მათგან უმდიდრესთა გამორჩევა შეძლო და ეს დღემდე ასე გრძელდება.

**ჰენრი ფორდი (1863-1947)**



ირლანდიური წარმოშობის ამერიკელი. ახალგაზრდობაში ჯერ მუშად, შემდეგ კი ზეინკლად მუშაობდა. პირველი ავტომობილი 1893 წელს ააწყო. 1903 წელს დააარსა საკუთარი კომპანია — დეტროიტში. იგი მსოფლიოს სერიული ავტოწარმოების ფუძემდებელია (ვრცლად იხილეთ მომდევნო ნომრებში ციკლიდან „ავტომობილის ისტორია“.

**ეტორე ბუგატი (1881-1947)**

ამავე სახელწოდების ავტოფირმის ფუძემდებელი. იგი მილანის ნატიფ ხელოვნებათა სკოლაში სწავლობდა და მშვენიერებისადმი მიდრეკილება დღემდე გამოჰყვა მის მოდელებს. ისინი დიდი სისწრაფით არა, მაგრამ მოხდენილობითა და გამძლეობით გამოირჩევიან.

**ენცო ფერარი (1898-1988)**



იგი სპორტული ავტომობილების უდიდეს კონსტრუქტორად ითვლება. თავიდან ავტომრბოლელი იყო და „ალფა-რომეოს“ ჯგუფში გამოდიოდა. 1929 წელს დააარსა საკუთარი ავტოქარხანა, სადაც ყველაზე უკეთ შეძლო „ფერარის“ მოდელთან სპორტული და სამგზავრო მანქანების „შეჯვარება“.

**ჰენრი ლილანდი (1843-1932)**

ამერიკელი კონსტრუქტორი, ფირმა „კადილაკის“ დამაარსებელი. ეს ავტომობილები დღესაც კომფორტულობითა და მდგრადობით გამოირჩევა.

**ფერდინანდ პორშე (1875-1951)**

უნიჭიერესი გერმანელი კონსტრუქტორი, ავტორი „ხოჭო-მანქანისა“ და „პორშეს“ დამაარსებელი. ჯერ კიდევ XXს-ში გამოიგონა გადაცემათა კოლოფის ელექტროსისტემა, რომელიც მხოლოდ ახლახან, 80-იან წლებში გამოიყენეს...



**„ავტოსალონი“ განახლებული სახით კვლავ თქვენ წინაშეა. ამიერიდან ამ გვერდზე უამრავი საინტერესო, ფერადად ილუსტრირებული ინფორმაცია დაგელოდებათ. მათ შორის მუდმივი რუბრიკები — „ავტომობილის ისტორია“, „ავტოქრონიკა“, „მიღწევები“, „ავტომობილი და რეკორდები“; „ქართული ავტომობილი“; „ავტომოზაიკა“; და ა.შ. მაშ ასე, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება „კვირის პალიტრის“ ავტოსალონში!**

## ავტომობილის ისტორია

# ნაწილი I. ისინი ფიქრობდნენ ავტომობილზე...

უკვე XV საუკუნეში მსოფლიოში ათობით თვითმავალი თუ თვითმოძრავი საშუალება გამოჩნდა. მაშინდელი ევროპა „საავტომობილო-შემოქმედებით“ ალში იყო გახვეული. ავტომობილის იდეით შეპყრობილი ადამიანები ათასნაირ საჭირო თუ უსარგებლო კონსტრუქციას იგონებდნენ (ლეონარდო და ვინჩი, ალბერტ დიურერი და სხვ.) ამ საავტომობილო რიარიაში დაიბადა ველოსიპედიც, თუმცა, დამეთანხმებით, რომ მას არაფერი აქვს ავტომობილთან საერთო. ამ ეპოქის ადამიანები, შეიძლება ითქვას, „მასობრივი მაზოხიზმით“ იყვნენ დაავადებულნი — უცნაური კონსტრუქციები იშლებოდა, ფეთქდებოდა ან იმსხვრეოდა. მათთან ერთად იმტვრეოდნენ ადამიანებიც, მაგრამ ისინი არ ჩერდებოდნენ — ისინი ფიქრობდნენ ავტომობილზე...




ბოლოს და ბოლოს, XV საუკუნეში ფრანგმა ინჟინერმა, ვინმე კიუნომ, მოახერხა რეალურად მოქმედი პირველი „ავტომობილი“ აეგო. მის ორთქლისძრავიან მარხილს წინ უშველებელი ორთქლის ქვაბი ეკიდა — მარხილის სამართავად მძღოლის გარდა ცეცხლფარეში, ე.წ. „კაჩიგარიც“ იყო საჭირო. იგი მგზავრობისას გაცივებულ ქვაბს ნახშირით ახურებდა, რასაც იმდენივე დრო უნდოდა, რამდენიც მგზავრობას. კიუნო გამალებით ცდილობდა თავისი მანქანის სრულყოფას, რაც იმით დამთავრდა, რომ მორიგი „გასვლისას“ ორთქლის ქვაბი აფეთქდა. თავად კიუნო და მისი ცეცხლფარეში გვარიანად დაშავებულნი, ხოლო პარიზის საზოგადოება გვარიანად შეშინებული დარჩა.

ორთქლის ავტომანქანები ნელ-ნელა განვითარდა, გაუმჯობესდა და სამგზავრო დილიჟანსებად გარდაიქმნა. მათ მგზავრები გადაჰყავდათ შორ მანძილზე და დიდ კონკურენციას უწევდნენ მატარებლებსა თუ საფოსტო ცხენებს. მათმა მესვეურებმაც ყველაფერი გააკეთეს ორთქლის დილიჟანსების „დასასამარებლად“ — პარლამენტს გადასახადები გააზრდევინეს, ხოლო მოსყიდულმა ჟურნალისტებმა პრესაში დიდი ბუმი ატეხეს „ესოდენ საშიში ტრანსპორტის“ წინააღმდეგ. შედეგად, გადასახადებით დამძიმებულ ავტოპიონერებს მგზავრობის დროს ადგილობრივი მოსახლეობა ქვებს უშენდა, რის შემდეგაც ეს ტრანსპორტი მართლაც რომ „საშიში“ შეიქნა.

სხვათა შორის, საინტერესოა, რომ იმავე მოსაზრებას იზიარებდა მსოფლიოში პირველი ორთქლის ძრავის მომგონი, ჯეიმს უატიც, რომელსაც სულაც არ მოსწონდა მის დაუკითხავად ორთქლის ძრავების გამოყენება, რის გამო საჩივარიც აღძრა პარლამენტის წინაშე, „საზოგადოებისთვის საშიში ორთქლის ტრანსპორტის“ აკრძალვის მოთხოვნით.

ავტომობილიზმს უჭირდა. საჭირო იყო უფრო კომპაქტური, ძლიერი და იოლად სამართავი ნამდვილი ავტომობილის შექმნა, რომელიც ღირსეულ კონკურენციას გაუწევდა მეტოქეებს...

***მომავალში შემოგთავაზებთ II ნაწილს: „მათ შექმნეს ავტომობილი“***



# ხვალის ავტომობილი

მსოფლიოს თითქმის ყველა ცნობილი ავტოკონცერნი გამალებით მუშაობს ალტერნატიული ავტომობილის შექმნისათვის. ისინი ეძებენ ენერგიის წყაროს, რომელიც არ მოიხმარს ბუნებრივ რესურსებს, იქნება გარემოსადმი მეგობრული და ამასთან რესპექტაბელურიც.

„ტოიოტამ“ უკვე ჩაუშვა სერიულ წარმოებაში „ჰიბრიდი“ ავტომობილი, იგი შეთავსებით, ბენზინსა და ელექტროძრავებზე მუშაობს. ამ უკანასკნელის ბატარეები ჩვეულებრივი „შტეფსელიდან“ იტენება, ან — შორს მანძილზე მგზავრობისას მომუშავე ბენზინის ძრავიდან, რომელზეც გენერატორიც არის დამონტაჟებული.

„ტოიოტა“ ავტომობილს 100 ათას კმ-ს ანუ 5 წლის გარანტიას აძლევს.

## ავტომოზაიკა

### ვირთხა ყაჩაღებს ეხმარება

უკრაინაში ვირთხებს მშვენივრად იყენებენ — საკმარისია, ქალბატონი ძვირფასი ავტომობილით წითელზე გაჩერდეს, რომ მაშინვე ვირთხას „უგორებენ“კალთაში... პატრონი წივილ-კივილით გარბის ქუჩაში, მის ავტოს კი მძარცველები მიაქროლებენ.

### საცოდავი მანქანის ქურდები

ჩინეთში, ალბათ, აღარასოდეს მოიპარავენ მანქანას — აქ ეს დანაშაული სახალხოდ დახვრეტით ისჯება.

### პირველი რეკლამა ავტომობილისთვის

1907 წელს „კადილაკის“ დირექტორმა, ჰენრი ლილანდმა სამი ავტომობილი ააწყო, სპეციალურად დამუშავებული დეტალებით. თავისი მანქანების სიმარტივე და გამძლეობა რომ დაემტკიცებინა, სამივე ავტომობილი ხალხით სავსე სტადიონზე გაიყვანა და ხელოსნებს ყველას თვალწინ დააშლევინა. თანაც ისე, რომ ოსტატები ნაწილებს უწესრიგოდ ყრიდნენ. როდესაც სამი შიშველი ძარა და ნაწილების უსწორმასწორო გროვა აღიმართა, ხელოსნებმა ისევ დაიწყეს აწყობა — ნაწილებს კვლავ უწესრიგოდ იღებდნენ და სადაც ხერხდებოდა, იქ აყენებდნენ. ასე ააწყვეს სამივე ავტომობილი, რომლებითაც შემდეგ 800 კილომეტრი გაიარეს ყოველგვარი შეფერხებისა და დაზიანების გარეშე. ასე იქცა „კადილაკი“ საოცნებო, ყველაზე გამძლე და პრესტიჟულ მანქანად.

## ავტომობილი და რეკორდები

**ავტომობილივით ავტომობილის შექმნამ ადამიანი არ დააკმაყოფილა. ახლა მას მოუნდა, აეწყო ყველაზე სწრაფი, ყველაზე ძლიერი, ყველაზე ფართო, ყველაზე გრძელი და ა.შ. ავტომობილი. ერთი სიტყვით, მთავარი იყო, ავტომობილის წინ სიტყვა „ყველაზე“ ყოფილიყო ნახსენები...**

**მაშ, ასე:**

**ყველაზე გრძელი** ავტომობილი ოცდაექვსბორბლიანია და 30მ (!) სიგრძისაა. აწყობილია ჯეი ორბერგის მიერ. ამ ლიმუზინში აუზი, ლუქსი-საძინებელი, სამზარეულო და კაბინეტია მოწყობილი. მას, ძირითადად, ფილმებში გადაღებისათვის იყენებენ.



**ყველაზე მძლავრი** სერიული ავტომობილია „ფერარი — F40“, მისი ძრავი 470 ცხენის ძალას წარმოშობს. გამოშვებულია 170 ცალი;

**ყველაზე მძიმე** სერიული ავტომობილია საბჭოთა ლიმუზინი „ზილი“. იგი 3,3 ტონას იწონის. სპეცდაკვეთით დამზადებული გორბაჩოვის „საძინებელი“ „ზილ-ლიმუზინი“ 6,6 ტონას იწონიდა.




**ყველაზე სწრაფი** სერიული წარმოების ავტომობილია „ლამბორჯინი“ DIABLO. მის „კაპოტქვეშ“ 12 ცილინდრიანი, ტიტანური ძალის ძრავი გუგუნებს და 202 მილს ავითარებს საათში.

# მიღწევა

როგორც იტყვიან, ამერიკელები „ჭკუაზე არ არიან“. ბოლო მოდელის „კადილაკში“, სხვა ათას სიკეთესთან ერთად, ზემძლავრი კომპიუტერული სისტემაა დამონტაჟებული, რომელიც კომპაქტურად იკეცება თავისივე ბუდეში. კომპიუტერი მუდმივ თანამგზავრულ კავშირზეა და მისი საშუალებით შეგიძლიათ სამასამდე ტელეარხის ყურება, სატელეფონო ვიდეოკავშირი მთელ მსოფლიოსთან და ინტერნეტით სარგებლობა. გარდა ამისა, მასში გან-



თავსებული სანავიგაციო სისტემა ისევ თანამგზავრის საშუალებით თქვენს მდებარეობას მთელი დედამიწის მასშტაბით სულ 3-6 კმ-ის ცდომილებით დაგიდგენთ; ხოლო თუ იმ ქვეყნის გზები, სადაც იმყოფებით, დისკეტზეა გადატანილი, ამ მდებარეობას უზუსტესად გადაგიტანთ კონკრეტულ გზაზე, ქუჩაზე და გიჩვენებთ თქვენი შესაძლო მარშრუტების ვარიანტებს. ერთი სიტყვით, ასეთი მანქანით მართლა არ დაიკარგებით!

**„კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით შეგიძლიათ მოგვმართოთ თქვენთვის საინტერესო საკითხებზე, სპეციალურად ამისთვის უახლოეს ნომრებში „ავტოსალონში“ გამოყოფილი იქნება რუბრიკა „ავტოსაგზაო საკითხებზე“.**

**გვერდი მოამზადა დაჩი გრძელიშვილმა**

CMYK

# ქონების მართვის მინისტრის პასუხისმგებლობის დასმის საკითხი დგას...

ზესტაფონის ფეროშენადნობთა და ჭიათურმანგანუმის საწარმოებში არსებულ არასახარბიელო მდგომარეობასთან დაკავშირებულმა საუბრებმა უკვე უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში გადაინაცვლა და პარლამენტის ვნებათაღელვის საგნად იქცა.

ქონების მართვის სამინისტრომ ჭიათურმანგანუმის კომბინატის ღირებულება თავის დროზე 20.000 დოლარად შეაფასა, რაც სამინისტრომ საწარმოს დიდი ვალებით ახსნა. ჭიათურმანგანუმზე ტენდერის ჩატარების შემდეგ ჩეხურმა კომპანია „საგაპრინტმა“ საწარმო 300.000 დოლარად იყიდა. ქონების მართვის სამინისტროს მცდელობამ შედეგი ვერ გამოიღო, პირიქით, მას შემდეგ, რაც „საგაპრინტი“ ჭიათურმანგანუმში შევიდა, საწარმოს ვალებმა საგრძნობლად იმატა — აგვისტოში ჩეხური კომპანიის მთლიანმა დავალიანებამ 30 მლნ ლარი შეადგინა. ვალდებულებათა შეუსრულებლობის გამო სექტემბერში გამართული მოლაპარაკების შედეგად კონტრაქტის პირობები შეიცვალა და „საგაპრინტს“ კიდევ ერთხელ მიეცა შანსი მდგომარეობის გამოსწორებისა. ამანაც ვერ უშველა — ჩეხურმა კომპანიამ არ შეასრულა დაპირება, ჭიათურმანგანუმის კომბინატის თანამშრომლებს ხელფასების დავალიანება ვერ გაუსტუმრა. მიუხედავად იმისა, რომ ამ მოლაპარაკებების შემდეგ „საგაპრინტმა“ ბოლო სამი თვის ხელფასები დაარიგა და წარმოებაში 500.000 დოლარის ინვესტიცია ჩადო, ჩეხმა ჰალკომ ნდობის მოპოვება მაინც ვერ შეძლო.

პარლამენტში ამბობენ, ქონების მართვის სამინისტრომ საწარმოს შეფასებისას სერიოზული შეცდომები დაუშვაო. დეპუტატები არც ფინანსურ მაქინაციებს გამორიცხავენ. ამასთან იმასაც ამტკიცებენ, რომ ჩეხების უკან საწარმოთი დაინტერესებული ქართველი ბიზნესმენები დგანან. „საგაპრინტსა“ და ქონების სამინისტროს შორის დადებული ხელშეკრულების თითქმის ყველა პუნქტი ირღვეოდა, მთელი ერთი წლის განმავლობაში წარმოების აქციათა 75%-ის მფლობელ ჩეხურ კომპანიას არც მილიონიანი ინვესტიცია განუხორციელებია, არც 170 000 ტ კონცენტრატი გამოუშვია და არც დაზარალებულთა კომპენსაციაზე უზრუნია. ამ ერთწლიანი ეპოპეიდან გამომდინარე, პარლამენტმა მოითხოვა „საგაპრინტის“ მუშაობის მუდმივი მეთვალყურეობა და დღის წესრიგში დააყენა ქონების მართვის სამინისტროს დიდჩინოსანთა პასუხისმგებლობის საკითხის დასმაც.

— კომპანიამ, რომელიც მთელი თავისი არსებობის მანძილზე მხოლოდ პოლიგრაფიულ სფეროში მოღვაწეობდა, ხელში ჩაიგდო საქართველოს ერთ-ერთი უმსხვილესი საწარმო, საიდანაც სახელმწიფოს სტრატეგიული მნიშვნელობის შემოსავლები აქვს, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ჭიათურა და მთელი ის რეგიონი დამოკიდებული იყო სწორედ ამ საწარმოს გამართულ მუშაობაზე, — აცხადებენ დეპუტატები.

სამწუხაროდ, „საგაპრინტი“ პირველი უცხოური კომპანია არ არის, რომელიც ტენდერის შემდეგ ვალდებულებებს ვერ ასრულებს. ტენდერების ჩატარება მასში მონაწილე კომპანიების შეუმოწმებლად და საკანონმდებლო ბაზის სისუსტე, ხშირ შემთხვევაში, იწვევს საეჭვო რეპუტაციის მქონე კომპანიების შემოსვლას საქართველოში; შემდგომ მდგომარეობის გამოსწორება კი ძალზე რთულდება. „შეირჩა ისეთი კომპანია, რომელსაც დიდი ფინანსური სირთულეები აქვს. ეს უკვე სერიოზულადაა შესამოწმებელი, რადგან ეს მაინც სახელმწიფოსია და სახელმწიფოა პირველ რიგში ვალდებული, ამას თვალი ადევნოს, ამ შემთხვევაში ქონების მართვის სამინისტრომ“, — ასეთია ბატონ ნიკო ლეკიშვილის კომენტარი ამ საკითხზე.

დეპუტატები ვარაუდობენ, დადგება ქონების მართვის მინისტრის, მიხეილ უკლებას პასუხისმგებლობის საკითხიც. მით უმეტეს, რომ პრეზიდენტმა კონტროლის პალატას სამინისტროს საკითხის შესწავლა სწორედ პრივატიზაციის პროცესში შემჩნეული დარღვევების გამო დაავალა. კონტროლის პალატის დასკვნა, რომელიც, სავარაუდოდ, საკმაო დარღვევებს ეხება, რამდენიმე დღეში იქნება მზად.

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნისა და ჭიათურმანგანუმის კომბინატის საკითხის ასე სპონტანურად წამოჭრა და პარლამენტში განხილვა უარყოფითად შეაფასა იმერეთის გუბერნატორმა. თემურ შაშიაშვილი ამუშავებული ქარხნების საკითხის დასმას კონკრეტული ინტერესების ლობირებად და პირადად მის წინააღმდეგ მიმართულ კამპანიად ნათლავს(?!).

— ასეთ ვითარებაში თანამდებობაზე მუშაობა აღარ ღირს. რა ქვეყანაში ვართ... რა არის ეს?! — გაოცებულია ბატონი თემური.

ხოლო რაც შეეხება „საგაპრინტთან“ დაკავშირებულ რთულ მდგომარეობას, თუ ასე გაგრძელდა, შეიძლება ჩეხურ კომპანიას საქართველო დაატოვებინონ. თუმცა ასეთ რადიკალურ ღონისძიებასაც ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს. მოქალაქეთა ფრაქციის წევრი კობა იმედაშვილი თვლის, რომ დეტალურად უნდა იქნეს შესწავლილი, რატომ არ ასრულებს „საგაპრინტი“ ვალდებულებებს და ამ შეუსრულებლობაში ქართველების ხელიც ხომ არ ურევია. ობიექტურად უნდა იყოს განხილული ეს საკითხი იმიტომ, რომ ინვესტორის გაშვება ადვილია, მეორის მოყვანა კი — ძნელი.

***მამუკა გიორგაძე***

# „სიმენსი“ ინვესტირების გზით აუმჯობესებს წარმოებას



გერმანიის ელექტრონულმა კორპორაციამ „სიმენსმა“ განაცხადა, რომ აპირებს 1 მლრდ ევრო გამოყოს ინტერნეტში თავისი ოპერაციების ჩასატარებლად. კომპანიას სურს, მიაღწიოს „ღრმა ინტეგრაციას ინტერნეტში“ და უზრუნველყოს თავისი 440 ათასი მოსამსახურე მსოფლიო ინტერნეტის ქსელით სარგებლობის უფლებით. კომპანიის პირველი ინტერნეტ-ცენტრი მიუნხენის აეროპორტში გაიხსნა. „სიმენსის“ პრეზიდენტმა ჰენრიხ ფონ პირერმა პრესკონფერენცია გამართა ამის თაობაზე. მისი თქმით, „წარმოების ყველა ეტაპი კომპიუტერიზებული იქნება. ინტერნეტის შესაძლებლობების გამოყენება „სიმენსს“ ახალ კომპანიად აქცევს“. მილიარდი ევრო 18 თვის მანძილზე იქნება ინვესტირებული და ექსპერტების შეფასებით, ბიუჯეტში კომპანიის წარმოების ტექნოლოგიის სრულყოფის ხარჯზე დაბრუნდება.

***იზვესტია №187***

# კითხვა–პასუხი

***შაქარს „თეთრ სიკვდილს“ უწოდებენ. მაინტერესებს, რა საფუძველს ემყარება ასეთი გამოთქმა?***

***ი. კიკნაძე***

რაფინირებული შაქარი დიდი რაოდენობით შეიცავს საქაროზს, რომელიც ასეთი ჭარბი შემადგენლობით არც ერთ ბუნებრივ პროდუქტში არ მოიპოვება. იგი ორგანიზმისთვის სასურველი არ არის, რადგან იწვევს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ფუნქციის მოშლას, ხელს უწყობს ათეროსკლეროზის, დიაბეტისა და სხვა დაავადებების განვითარებას. ამიტომაც უმჯობესია, შაქარ-რაფინადზე უარი ვთქვათ და უპირატესობა მივანიჭოთ თაფლს, რომლის გლუკოზაც ადამიანის ჯანმრთელობისთვის შეუცვლელია. ალბათ ამითაცაა განპირობებული, რომ თაფლის მომხმარებელნი გაცილებით დიდხანს ცოცხლობენ და ჯანმრთელობითაც გამოირჩევიან.

***ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტი***

***როგორც ცნობილია, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, შტატების შემცირება არ ეხება დეკრეტულ შვებულებაში მყოფ დედებს. გვაინტერესებს, აღნიშნული კანონი ვრცელდება თუ არა დედის მაგივრად დეკრეტულ შვებულებაში მყოფ ბებიაზე?***

***ნინო მუშკუდიანი, თბილისი***

ბებიას, რომელიც დედის მაგივრად იმყოფება დეკრეტულ შვებულებაში, არ ეხება შტატების შემცირება, ისევე როგორც — დეკრეტულ შვებულებაში მყოფ დედას. მაგრამ, თუ დაწესებულების ლიკვიდაცია მოხდა, ბუნებრივია, შტატების შემცირება გარდაუვალია.

***ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო***

***ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამინისტრო***

***დღევანდელი კანონით, რომელ ცხოველზე ან ფრინველზე იკრძალება ნადირობა საქართველოში?***

***რუხაძე***

დღევანდელი კანონით, სამონადირეო მეურნეობის ფარგლებში, ნებისმიერი სახეობის ცხოველსა და ფრინველზე შეიძლება ნადირობა, ოღონდ აუცილებელია ლიცენზიის ქონა. რაც შეეხება გადამფრენ ფრინველებს, მათზე სანადიროდ აუცილებელია გარემოს დაცვის სამინისტროდან მიღებული ნებართვა.

***ბიომრავალფეროვნების დაცვის დეპარტამენტი***

***გთხოვთ გვიპასუხოთ, მანქანის მისაღებად შეძენილი ობლიგაციები როდის ანაზღაურდება?***

***მკითხველი ქუთაისიდან***

მანქანის მისაღებად შეძენილი ობლიგაციების ანაზღაურება, წლევანდელი ბიუჯეტიდან გამომდინარე, მიმდინარე წელს დაგეგმილი არ არის.

***ფინანსთა სამინისტროს საშინაო ვალის დეპარტამენტი***

***შვილად აყვანის დროს მნიშვნელობა ენიჭება თუ არა ბავშვის ასაკს და შეიძლება თუ არა მოზრდილი ბავშვის შვილება?***

***მკითხველი***

შვილად აყვანის დროს დასაშვებია მხოლოდ არასრულწლოვანი ბავშვის შვილება. სრულწლოვანი პირის შვილად აყვანა კი შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ მშვილებელსა და შვილად ასაყვანს შორის უკვე არსებობდა მშობლისა და შვილის მსგავსი დამოკიდებულება და იგი ზნეობრივადაც მისაღები აღმოჩნდება.

***ადვოკატთა კოლეგია***

***ასაკში შესულს გამიჩნდა რაიმე მაგარი საგნის მსხვრევის სურვილი. მაინტერესებს, ამშვიდებს თუ არა ეს ნერვებს?***

***მოქალაქე***

თუ ასაკში შესულ პირს იმდენად დაუმძიმდა შინაგანი მოთხოვნილება, რომ მსხვრევით ცდილობს დამშვიდებას, ეს არ არის გამოსავალი, რადგან აგრესიულობას უფრო გაამძაფრებს. ამიტომ უმჯობესია, მსხვრევის სურვილი სხვა ასპექტში გადაიტანოს, რეცხოს ან ხელოვნების სხვადასხვა დარგში ეძიოს გამოსავალი.

***რუსუდან ფხაკაძე, ფსიქოლოგი, საკონსულტაციო ცენტრის ხელმძღვანელი***

***რა შეღავათით სარგებლობს სახელმწიფოსგან ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ქველმოქმედებას ეწევა?***

***მკითხველი***

ქველმოქმედება თავისთავად გულისხმობს კეთილშობილურ მისიას გაჭირვებულ თანამოძმეთა დასახმარებლად (თუნდაც ეს წიგნის გამოცემას შეეხებოდეს), ამიტომ ქველმოქმედმა (ფიზიკურმა თუ იურიდიულმა პირმა) დახმარება უნდა გაიღოს თავისი წმინდა მოგებიდან, რომელიც არ იბეგრება და მასთან რჩება შემოსავლების მიღების შედეგად რეზერვის სახით. ამიტომ სახელმწიფოს წინაშე მისი გადასახადების შემცირება არ არის გათვალისწინებული.

***საგადასახადო ინსპექცია***

# ჩვენ გვწერენ!

## აი, ასეთი გვნამს პოლიცია

***„გაზეთ „კვირის პალიტრის“ მეშვეობით გვინდა მადლობა გადავუხადოთ გლდანი-ნაძალადევის რაიონის პოლიციის მე-3 განყოფილების თანამშრომლებს: ავთო ხორავას, ხვიჩა ფალავას, გუგული ქოქოშვილს, პავლე გოგებაშვილს, ნუგზარ ზანდურაშვილს და განსაკუთრებით გოჩა გიორგობიანს, ჩვენთვის მხარში ამოდგომისთვის, სამართლიანობისა და კანონიერების დაცვისთვის.***

***ღმერთმა დალოცოს შინაგან საქმეთა ორგანოს ასეთი თანამშრომლები.***

***151-ე ბაგა-ბაღის თანამშრომლები***

რა ხანია, ქართული პოლიციის თავკაცები გვარწმუნებენ, პოლიციელებს უნდა მოეფეროთ, თორემ საქმეზე გული აუცრუვდებათო, ხელფასი თუ არ აიღეს, თავიანთ მოვალეობას ვერ შეასრულებენო. დღე არ გავა, პოლიციისთვის ვინმემ სალანძღავი სიტყვა არ გაიმეტოს. საქებარი? საქებარი, თუ მეხსიერება არ გვღალატობს, 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ არაფერი გვსმენია. ამიტომ, ცხადია, 151-ე ბაგა-ბაღის თანამშრომლების წერილით ძალზე დავინტერესდით. როგორც გავარკვიეთ, ამ შემთხვევაში 9 აპრილს გამოჩენილი გმირობის მსგავს ქმედებასთან საქმე, მართალია, არ გვაქვს, სამაგიეროდ, პოლიციელებს თავიანთი ყურადღებით, კეთილგანწყობით, სწრაფი და გულისხმიერი მოქმედებით 134 ბავშვისთვის ბაღის შენობა შეუნარჩუნებიათ. ბაგა-ბაღის დირექტორმა მარინა ღონღაძემ გვითხრა, რომ გლდანი-ნაძალადევის რაიონის პოლიციის თანამშრომლები მათ არაერთხელ დახმარებიან, როცა ბაღის შენობაში შეჭრილი ლოთები და უსაქმურები უსიტყვოდ და უმტკივნეულოდ გაუყვანიათ ხოლმე შენობიდან. წყნარად, ვინმესთვის შეურაცხყოფისა და ტკივილის მიყენების გარეშე შეძლეს მათ თურმე, ბაღის შენობიდან საცხოვრებლად შეჭრილი აფხაზეთიდან 25 დევნილის გამოყვანაც. ეს 6 სექტემბერს, ჯერ კიდევ ბაღში ბავშვების გამოჩენამდე მომხდარა, გამთენიისას. ბაგა-ბაღის თანამშრომლები გაკვირვებულნი დარჩენილან პოლიციელთა დიპლომატიური ნიჭით, რომლის წყალობითაც, მათ სულ რამდენიმე საათში დაარწმუნეს დევნილები, შენობა დაეტოვებინათ.

ასეთ, ერთი შეხედვით, წვრილ-წვრილ კეთილ საქმეს იქნებ ბევრი პოლიციელიც აკეთებს, უბრალოდ, კეთილი საქმისთვის კეთილი სიტყვის საჯაროდ შეწევას გადავეჩვიეთ — მოდაში აღარ არის. არადა, იქნებ მართლაც გავითვალისწინოთ ხოლმე, პოლიციის შეფების თხოვნა და მადლობა მაინც ვუთხრათ კეთილისმქნელ პოლიციელებს — დანარჩენებისთვის მაგალითიც იქნება და წახალისებაც.

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 14 ოქტომბრიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | | |
|---|---|---|
| აშშ დოლარი | | 1,9701 |
| გერმანული მარკა | | 0,8799 |
| ინგლ. გირვანქა სტერლინგი | | 2.8970 |
| ევრო | | 1,7210 |
| რუსული რუბლი | | 0,0706 |
| თურქული ლირა | (10.000) | 0,0293 |


ICT აცხადებს მიღებას შემდეგ კურსებზე:
• სინქრონი; • ტოეფელი, • ინგლისური სპეცკურსი; • საქმიანი ინგლისური; • ფინანსური აღრიცხვა; • ბუღალტრული აღრიცხვა საერთაშორისო სტანდარტები; • კომპიუტერი.
მის: ზ. ჭავჭავაძის ქ. №6 (ყოფ. შეროზია). ☎ 95-98-98

ფირმა «გარანტი»
აწარმოებს ბრტყელი სახურავების, ღია აივნების, ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოებს იმპორტული მასალით, საუკეთესო ხარისხით.

გარანტია — 10 წელი
მის: წერეთლის გამზ. №142, „სამთო ქიმიის“ შენობა, მე-3 სართ, ოთახი 78
☎ 34-05-52; 63-05-26; 877-43-85-69

შტამპების და ფირმების რეგისტრაცია აუდიტი არასამთავრობო ორგანიზაციები
რუსთაველის 22
☎99-86-09; 38-37-89

სამრეცხაო „თეთრი გედი“
გთავაზობთ ქალაქში, თეთრეულისა და ხალიჩების ინდივიდუალურად, საუკეთესოდ რეცხვას შეღავათიან ფასად, უფასო ტრანსპორტირებით.
მის: ძმ. ზუბალაშვილების 48
ტ: 93-63-62

# „მშვიდობიანი პროცესი მკვდარია“



ახლო აღმოსავლეთში საომარი მოქმედებები დაიწყო. მდინარე იორდანეს ნაპირზე ქალაქ რამალაში პალესტინელებმა ოთხი ისრაელელი დაატყვევეს, ორი მათგანი გამძვინვარებულმა ბრბომ მოკლა. საპასუხოდ ისრაელის შვეულმფრენებმა რაკეტები დააყარეს პალესტინელთა ლიდერის იასირ არაფატის რეზიდენციებს რაზასა და რამალაში, აგრეთვე პალესტინის ტელეცენტრს. „მშვიდობიანი პროცესი მკვდარია, არაფატმა ომი ირჩია“ — განაცხადა ისრაელის ვიცე-პრემიერმა ბენიამინ ბენ ელიეზერმა. თავის მხრივ, არც პალესტინელი ლიდერები ისწრაფვიან შერიგებისკენ, მათ არაბული ქვეყნების სოლიდური მხარდაჭერის იმედი აქვთ. იასირ არაფატმა, მისი პრესსამსახურის განცხადების თანახმად, ისრაელელ სამხედროთა მოქმედებას ომის გამოცხადება უწოდა და გაეროს უშიშროების საბჭოს მიმართა თხოვნით, მოიწვიოს სასწრაფო თათბირი. პირველივე დარტყმის შემდეგ არაფატი დაუკავშირდა ამერიკის პრეზიდენტს და აცნობა, რაც ხდება. სიტუაციის გამძაფრებამ გაეროს გენერალური მდივანი კოფი ანანი აიძულა, შეეწყვიტა ვიზიტი ლიბანში და სასწრაფოდ ისრაელში დაბრუნებულიყო.

სრულმასშტაბიან ომზე ლაპარაკი ნაადრევია. სიტუაცია კონტროლს ემორჩილება. ისრაელმა არაფატი დარტყმამდე სამი საათით ადრე გააფრთხილა. დაბომბვის შემდეგ ისრაელის გენშტაბის წარმომადგენელმა განაცხადა, მშვიდობიანი მოლაპარაკება შესაძლებელი გახდება, თუ არაფატი შეწყვეტს ძალადობასო.

ახლო აღმოსავლეთში სიტუაციის გამწვავებამ ნეგატიურად იმოქმედა მსოფლიოს საფონდო და სასაქონლო ბაზრებზე. ნავთობის ფასმა 8-10%-ით აიწია.

***რუსული პრესის მიხედვით***

# პრეზიდენტის ტრიუმფი



პოლონეთის პრეზიდენტის პოსტზე საარჩევნო კამპანიაში ალექსანდრ კვასნევსკი ლიდერობდა და ფინიშზეც გავიდა. არავითარი სასწაული არ მომხდარა. მსგავსად იუგოსლავიისა, ამჟამინდელმა სახელმწიფოს მეთაურმა პირველსავე ტურში გაიმარჯვა (ხმათა 53% მოაგროვა). კვასნევსკის კიდევ ხუთწლიანი პრეზიდენტობა გარანტირებული აქვს. კონკურენტების ვერც სკანდალებმა და ვერც კომპრომატებმა აზრი ვერ შეაცვლევინა პოლონელებს. ოპოზიცია ვერ ისვენებს, ახალ სამხილს ეძებს კვასნევსკისა და მის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაზე.

მისი პრეზიდენტობის წლებში საგრძნობლად შეიცვალა პოლონეთის საერთაშორისო სტატუსი — იგი ნატოს წევრი გახდა. ამჟამად კვასნევსკის მთავარი ამოცანაა პოლონეთის ევროკავშირში შეყვანა.

საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვება კვასნევსკის პირველმა — მეუღლემ მიულოცა, შემდეგ კი, რუსეთის პრეზიდენტმაც. სატელეფონო საუბრისას კვასნევსკიმ ვარშავაში მიიწვია პუტინი. რუსეთის პრეზიდენტმა მიწვევა მიიღო, მაგრამ ვიზიტის დრო ჯერ არ არის დანიშნული.

***იზვესტია №191***

# ევრაზიის ეკონომიკური თანამეგობრობა

ყოფილი საბჭოთა კავშირის ხუთი რესპუბლიკის ლიდერმა (ბელორუსიის, რუსეთის, ყირგიზეთის, ყაზახეთისა და ტაჯიკეთის) ასტანაში ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, ევრაზიის ეკონომიკური თანამეგობრობის შექმნის შესახებ. ეს გაერთიანება, ჯერჯერობით, ევროკავშირი არ არის, მაგრამ არც დსთ-ა.

ასტანაში ვლ. პუტინს „კულტურული პროგრამა“ ელოდა: „პრეზიდენტთა ხეივანში“ დარგო ხე, შეხვდა თანამემამულეებს, რომლებმაც თავიანთი უკმაყოფილება მოახსენეს პრეზიდენტს. პუტინი ცდილობდა საუბრის თემის შეცვლას, რაც ყველამ შენიშნა და ერთგვარი უხერხულობაც ჩამოვარდა. რუსეთის პრეზიდენტს ევრაზიის უნივერსიტეტში პროფესორის საპატიო წოდებაც მიანიჭეს.



ევრაზიის ეკონომიკური თანამეგობრობა ამ ხუთი ქვეყნის საბაჟო კავშირის ევოლუციური გაგრძელებაა. „ხუთეული“ აპირებს საგარეო ვაჭრობის და საბაჟო პოლიტიკის სრულ უნიფიცირებას, აგრეთვე ვალუტის რეგულირებასა და კონტროლს. შეიქმნება ანგარიშსწორების ეფექტიანი ფუნქციონირების მექანიზმი. რაც მთავარია, როგორც ვლ. პუტინმა აღნიშნა, ეკონომიკური საკითხების გადაწყვეტა არ უნდა იყოს თვითმიზანი და საჭიროა, მოსახლეობისათვის პოზიტიური შედეგი გამოიღოს. მაგრამ რუსეთისა და ბელორუსიის ურთიერთობის (ერთიანი ეკონომიკური სივრცის) გამოცდილება გვიჩვენებს, რომ რეფორმებით წინ წასული მოსკოვი სულაც არ ჩქარობს თავის საზიანოდ „მოძმე მეზობლის“ განვითარებას. ეს ხელს არ უშლის მოსკოვს, მინსკის პოლიტიკურ საქმეებზე მოახდინოს ზეგავლენა. ეტყობა, რუსეთის ხელისუფლება აპირებს ბელორუსიასთან მუშაობის გამოცდილების გავრცელებას პოსტსაბჭოურ აზიაში.

უნდა აღინიშნოს, რომ თანამეგობრობის მმართველობის ორგანოები არც მოხელეთა ახალ შტატს და არც დამატებით თანხას არ ითხოვენ, თანამეგობრობაში შესასვლელად კარი ყველასთვის ღიააო. სხვათა შორის, ამის სურვილი სომხეთმა გამოთქვა. დიდ ინტერესს იჩენს ამ ორგანოს მიმართ უკრაინაც.

ასე დაიწყო პოსტსაბჭოური მიწების შეგროვება.

***სეგოდნია №228***

# აჩრდილი განდევნილია ევროპიდან



სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესია დემოკრატიას უჭერს მხარს

სლობოდან მილოშევიჩი — სერბეთში, ფრანიო თუჯმანი — ხორვატიაში, ალია იზბეტგოვიჩი — ბოსნიაში ხელისუფლების სათავეში იმ ტალღამ მოაქცია, რომელმაც დაანგრია იოსიფ ბროზ ტიტოს მიერ შექმნილი იუგოსლავია. პოლონეთის, ჩეხეთის, უნგრეთისა და სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, რომლებიც იდეოლოგიური დიქტატურიდან ნელ-ნელა დაიძრნენ დემოკრატიზაციისაკენ ცხოვრების ყველა სფეროში, ახალი საზოგადოებრივი წარმონაქმნები ბალკანეთში თანდათანობით ავტორიტარულ ნაციონალიზმში ჩაეფლნენ. ვერ ვიტყვით, რომ არავინ შეეწინააღმდეგა ამ პროცესს, მაგრამ ომებმა და მტრობამ ჩაახშო „ახალ დისიდენტთა“ ხმები. აღმოსავლეთ ევროპის არც ერთ პოსტკომუნისტურ ქვეყანაში არ ჩატარებულა არჩევნები იმდენჯერ, რამდენჯერაც ჩატარდა ბოლო ათი წლის განმავლობაში იუგოსლავიაში. არჩევნები კი, როგორც წესი, ყოველთვის ადასტურებდა რეჟიმის ლეგიტიმურობას.

დემოკრატიულობის იმიტაცია სრულყოფილებამდე იყო მიყვანილი, ფორმალურად დიქტატურაზე ლაპარაკის საფუძველი არ არსებობდა. წინასწარ ვერავინ განჭვრეტდა იმ სიტუაციას, რომელიც მილოშევიჩის გადადგომას ერის ერთიანობის სიმბოლოდ აქცევდა. კოშტუნიცას გამარჯვება შესაძლებელი გახდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც იუგოსლავიის ოპოზიცია გამოვიდა ნატოს მიერ დაბომბვების წინააღმდეგ, მკვეთრად გააკრიტიკა დასავლეთი სანქციებისათვის, მილოშევიჩი კი არა იმისთვის, რომ იგი „დიდი სერბეთის პატრიოტია“, არამედ იმიტომ, რომ იგი ცუდი პატრიოტია.

იუგოსლავიის ახალმა პრეზიდენტმა ძალიან მოხერხებულად გაათამაშა ეს კოზირი. მან არაერთხელ ამხილა ამერიკელები და მათი მოკავშირეები, თანაც ისე, რომ მშვენიერი ურთიერთობა შეინარჩუნა.

ერთი სიტყვით, დასავლეთმა იუგოსლავიაში ისეთი პატრიოტი მიიღო, ვისთანაც მზად არის საქმის დასაჭერად, მაგრამ იუგოსლავიის ახალი პრეზიდენტისა და დასავლეთის „თაფლობის თვე“ შესაძლოა დიდხანს არ გაგრძელდეს. თუნდაც იმიტომ, რომ ამერიკა ითხოვს მილოშევიჩის ჰააგის ტრიბუნალისთვის გადაცემას, კოშტუნიცამ კი ამაზე უარი განაცხადა, რადგან ეს ეწინააღმდეგება იუგოსლავიის კანონებს.

კოშტუნიცამ ისიც თქვა, იუგოსლავიის ფედერაციას განვამტკიცებო, მაგრამ ეს იოლი გასაკეთებელი ვერ იქნება. დისიდენტმა პროფესორმა პირველივე ბრძანებით გააუქმა პოდგორიცასადმი მიმართული სანქციები და ამით ხელი გაუწოდა ჩერნოგორიის პრეზიდენტ მილო ჯუკანოვიჩს. მისგან პასუხი ჯერ არ მიუღია, ამ რესპუბლიკის სუვერენიზაცია საკმაოდ შორსაა წასული (კერძოდ, ჩერნოგორიელებმა იუგოსლავიური დინარი გერმანული მარკით შეცვალეს და არც საპრეზიდენტო არჩევნებში მიუღიათ მონაწილეობა). კვლავ ცუდადაა საქმე კოსოვოსთან დაკავშირებით. თავის სეფესიტყვაში კოშტუნიცამ განაცხადა, რომ აუცილებლად აღადგენს იუგოსლავიის სუვერენიტეტს კოსოვოში, მაგრამ როგორ უნდა მოხდეს ეს მშვიდობიანად, სრულიად გაუგებარია. ამგვარად, კოშტუნიცას ტრიადა — არ გასცეს მილოშევიჩი, არ გაუშვას ჩერნოგორია, დაიბრუნოს კოსოვო — სულაც არ არის დასავლეთთან იუგოსლავიის მომავალი უღრუბლო ურთიერთობის საწინდარი.

***იტოგი №41***

# შრი-ლანკას ექსპრემიერს გულმა უმტყუნა



შრი-ლანკაში საპარლამენტო არჩევნები ტრაგიკული მოვლენით დამთავრდა — გარდაიცვალა ექსპრემიერი, ქვეყნის ახლანდელი პრეზიდენტის, ჩანდრიკი კუმარატუნგის დედა სირიმავო ბანდარანაიკე.

1960 წელს სირიმავო ბანდარანაიკე მსოფლიოში პირველი პრემიერი ქალი გახდა. მას ეს პოსტი მთლიანობაში 18 წელს ეკავა და საყოველთაოდ ცნობილიც გახდა, თუმცა სამშობლოში მის მიმართ ყველა ერთგვაროვნად როდი იყო განწყობილი. ქალბატონი ბანდარანაიკეს ბოლო საპრემიერო ვადა 1994 წელს დაიწყო, როცა პრეზიდენტად მისი ქალიშვილი ჩანდრიკი კუმარატუნგი აირჩიეს. წლეულს ზაფხულში კი ასაკის (84 წლისაა) და ჯანმრთელობის გაუარესების გამო (სირიმავო ბანდარანაიკე ინვალიდის ეტლით მოძრაობდა) გადააყენეს.

მის ქალიშვილს უფრო ახალგაზრდა და ენერგიული პრემიერი დასჭირდა, მით უფრო, რომ ქვეყანა მძიმე პრობლემების წინაშე დადგა. უკვე 17 წელია გრძელდება სამოქალაქო ომი, მის შესაწყვეტად პრეზიდენტმა კუმარატუნგიმ საკონსტიტუციო რეფორმები წამოიწყო, რომლებიც მიმართულია შრი-ლანკას ჩრდილოეთით მცხოვრები ტამილოების ავტონომიისათვის უფრო ფართო უფლებების მისანიჭებლად. პრეზიდენტმა პარლამენტში ხმების ორი მესამედი, რომელიც საჭირო იყო კონსტიტუციაში ცვლილებების შესატანად, ვერ მიიღო, ამიტომაც საჭირო შეიქნა არჩევნების ვადამდე დანიშვნა. სამთავრობო კოალიციასა და ოპოზიციურ ნაციონალურ პარტიას დაახლოებით თანაბარი შანსი აქვთ. ვარაუდობენ, რომ ქალბატონი ბანდარანაიკეს სიკვდილმა შესაძლოა ამომრჩევლებს განწყობა შეუცვალოს და უპირატესობა მის ქალიშვილს მიანიჭონ. შრი-ლანკას ექსპრემიერი გულის შეტევით გარდაიცვალა მას შემდეგ, რაც თავის მშობლიურ ქალაქ გამპაჰაში ხმა მისცა თავის ქალიშვილს.

***კომერსანტი №190***

# «ოჯახი» სერბიულად

იუგოსლავიის დამოუკიდებელი სააგენტო „ბეტას“ ცნობით, იუგოსლავიის ექსპრეზიდენტის ვაჟმა მარკო მილოშევიჩმა ქვეყანა საიდუმლოდ დატოვა და მოსკოვში გაფრინდა. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ეს ინფორმაცია უარყო, თუმცა კერძო გამოძიებით ცნობილი გახდა, რომ მარკო მილოშევიჩი ცოლშვილთან ერთად, მართალია, გაიქცა მოსკოვში, მაგრამ სხვისი გვარით, მარკო იოვანოვიჩის სახელს ამოფარებული.

ექსპრეზიდენტის ვაჟი მამის მმართველობის დროს აკონტროლებდა ქვეყანაში სიგარეტისა და ალკოჰოლის შეტანას, იგი ბალკანეთის ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანი გახდა. მას ეკუთვნოდა სათამაშო სახლები და კლუბები. დისკვალიფიცირებულ ავტომრბოლელ მარკო მილოშევიჩს სპორტული მანქანებისა და იახტების კოლექცია ჰქონდა. იგი მთელ იუგოსლავიას ეჯავრებოდა, უფრო მეტადაც კი, ვიდრე დედამისი. მარკო დაკავშირებული იყო მაფიასა და ბანდიტებთან. იუგოსლავიელები მას რუმინელი დიქტატორის, ჩაუშესკუს ვაჟს ადარებდნენ. მარკო მილოშევიჩს შერემეტიევოს აეროდრომზე დახვდა ბიძა — იუგოსლავიის ელჩი რუსეთში. 8 ოქტომბერს შერემეტიევოდან პეკინის მიმართულებით გაფრინდა თვითმფრინავი. „აეროფლოტის“ მგზავრებს შორის იყო დიპლომატის პასპორტით აღჭურვილი მარკო მილოშევიჩი. „აეროფლოტის“ თანამშრომელმა, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, განაცხადა — მარკო მილოშევიჩი მართალია ჩაფრინდა პეკინში, მაგრამ ჩინელმა მესაზღვრეებმა იგი უვიზოდ ქვეყანაში არ შეუშვეს და უკან, მოსკოვში გამოისტუმრესო.

იუგოსლავიაში ძალიან აწუხებთ მილოშევიჩის ოჯახის ბედი. ბელგრადში ამბობენ, რომ ექსპრეზიდენტს შეიძლება ბრალდებად წაუყენონ არჩევნების გაყალბება და ქვეყნის ოქროს მარაგის გაძარცვა. იუგოსლავიიდან ოქროს მარაგის გატანასთან დაკავშირებული სკანდალი ძალას იკრებს, მით უმეტეს, რომ ახალმა ხელისუფლებამ მისი კვალი ვერ იპოვა ქვეყნის მთავარ ბანკში.

***კომერსანტი №189***

# მოკლედ

**კიევში** 76 წლის ასაკში გარდაიცვალა ლავრენტი ბერიას ვაჟი — სერგო გეგეჭკორი

**ლუქსემბურგის** აეროპორტში რამდენიმე შეიარაღებული პირი თავს დაესხა დაცვას, თვითმფრინავში ოქროს ზოდებისა და საბანკო ბანკნოტების ჩატვირთვის დროს. დაჭრილია 6 ადამიანი, აქედან ერთი თავდამსხმელია. დანარჩენებმა მოახერხეს ძვირფასი ტვირთის გატაცება.

წლეულს შემოდგომა **საბერძნეთში** ჩვეულებრივზე ადრე დაიწყო. კოკისპირული წვიმები წყალდიდობის მიზეზი გახდა. პრაქტიკულად გარე სამყაროს მოწყდა ჰალკიდიკის ნახევარკუნძულის ათობით დასახლებული პუნქტი, დაინგრა ასობით საცხოვრებელი სახლი, დაიღუპა ორი ადამიანი.

**ჩეჩნეთში**, შატოის რაიონში ფედერალებმა დაცხრილეს ერთ-ერთი ცნობილი გენერალი ბაუდი ბაკუევი. რუსეთის სპეცსამსახურების მონაცემებით, მისი მითითებით მოიტაცეს ვალენტინ ვლასოვი, გენადი შპიგუნი და რუსეთისა და უცხოეთის სხვა ბევრი მოქალაქე.

**ბრიტანეთის** საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ „წელიწადის ქალები“, მსოფლიოში პირველ კოსმონავტ ქალს — ვალენტინა ტერეშკოვას „საუკუნის ქალის“ წოდება მიანიჭა.

**აშშ-ის** კონგრესმა ხმათა უმრავლესობით (340 ხმა 75-ის წინააღმდეგ) მიიღო კანონპროექტი, რომლის თანახმად ამერიკელებს კუბასთან სურსათითა და მედიკამენტებით ვაჭრობის ნება მიეცათ. შემდგომში ალბათ, აკრძალვა გაუქმდება სხვა სახის საქონელზეც.

# ინფარქტით ხარბი, ძალაუფლებისმოყვარე ადამიანები ავადდებიან

ნებისმიერი შინაგანი დაავადება, არაცნობიერი სიგნალია ადამიანის სულიერი წონასწორობის დარღვევისა. უარყოფითი ემოციების სიმრავლე, ცხოვრების არასწორი წესი ისჯება სხვადასხვა ავადმყოფობით. როდესაც დაავადებას ვებრძვით, უპირველეს ყოვლისა, მის გამომწვევ მიზეზებში უნდა გავერკვეთ.

**ღვიძლის დაავადება** — სიბრაზე, შური, თვითკმაყოფილება, ნარცისიზმი;

**კუჭის, კუჭუკანა ჯირკვლის, ნაღვლის ბუშტის დაავადება** — მუდმივი შფოთიანობა, მლიქვნელობა, პირფერობა, უპატივცემულობა ხელქვეითების მიმართ;

**თირკმლის დაავადება** — დაქვეითებული თვითშეფასება მოწინაალმდეგე სქესთან, პატივმოყვარეობა;

**ფილტვების დაავადება** — ნაღველი, მწუხარება, მელანქოლია;

**ბრონქიტი** — მუდმივი დაძაბულობა ოჯახში, ნერვული ატმოსფერო;

**ტუბერკულოზი** — ეგოიზმი, მესაკუთრეობა, სიმკაცრე, შურისძიების გრძნობა;

**გულ-სისხლძარღვთა უკმარისობა** — შიში, გარემომცველი სამყაროს მიუღებლობა, არასრულფასოვნების კომპლექსი;



**სახსრების ტკივილი** — სიამაყე, განებივრებულობა, დანაშაული სხვის მიმართ;

**რევმატიზმი** — მუდმივი უკმაყოფილება, სხვათა გაკიცხვა, განსჯა;

**კუჭის წყლული** — სულმდაბლობა, უმსგავსი საქციელი;

**ანგინა** — ხანგრძლივი შურისძიების გრძნობა, შემოქმედებითი კრიზისი, გამოუსწორებლობა, ქრონიკული გაღიზიანება;

**გრიპი** — წვრილ-წვრილი წყენა, ჩოჩქოლი, დაბნეულობა;

**ქალური დაავადებები** — ანგარებიანობა, მამაკაცებთან არასწორი ურთიერთობები, სექსუალურ ცხოვრებაზე იძულებით თუ ნებსით უარის თქმა.

ძვირფასო ავადმყოფებო! გააანალიზეთ თქვენი ქცევები, შეცვალეთ დამოკიდებულება ადამიანებსა და გარე სამყაროსთან. დაიმუხტეთ დადებითი ემოციებით, გრძნობებით და შესაბამისად დადებით ენერგიასაც დაიმსახურებთ.

*ვოტ ტაკ №39*


ექიმი კარდიოლოგი
გია მაზავრაშვილი
- სუ ჯოკ აკუპუნქტურა;
- ჰომეოპათია და ფიტოთერაპია;
- კვებისა და ფიზიკური რეჟიმის კორექცია (აპრობირებულია სპორტულ მედიცინაში).

მის: თბილისი, ვაჟა-ფშაველას 83/11, სუ ჯოკ თერაპიის ცენტრი
☎31-55-35; 38-67-56; 899-10-71-09




## „ქვირის პალიტრის“ რედაქციას

*გთხოვთ აგვიხსნათ, რას ნიშნავს ტერმინი კრიპტორხიზმი.*

*თ. ანთაძე*

# კრიპტორხიზმი — ბავშვთა პათოლოგია

კრიპტორხიზმი ბავშვთა ასაკის სქესობრივი განვითარების დარღვევის ერთ-ერთი საკმაოდ ხშირი ფორმაა და იგი სათესლე პარკში ერთი ან ორივე სათესლე ჯირკვლის არარსებობაში გამოიხატება. პათოლოგიის განვითარების ალბათობა მატულობს ნაადრევი მშობიარობისა და უმწიფარი ნაყოფის შემთხვევაში. კრიპტორხიზმი ერთმხრივი (რაც 4-ჯერ უფრო ხშირია) ან ორმხრივია, თანაც მარჯვენა მხრივი პათოლოგია მნიშვნელოვნად სჭარბობს მარცხენა მხრივს. კრიპტორხიზმი — სქესობრივი განვითარების ანომალია, სათავეს ჯერ კიდევ ნაყოფის მუცლადყოფნის პერიოდში იღებს. სქესობრივი დიფერენციაციის პროცესში, სათესლე ჯირკვლები თირკმელთან ახლოს მდებარეობენ, უკანასკნელი 6 თვის განმავლობაში კი მათ მცირე მენჯის ღრუს გავლით, საზარდულის არხამდე უნდა მიაღწიონ, შემდეგ არხში გადაადგილდნენ და ბავშვის დაბადების (ან თუნდაც სიცოცხლის 1 წელს) დროისათვის სათესლე პარკში დაიდონ ბინა. ეს სათესლე ჯირკვლების ფიზიოლოგიური, ბუნებით დაკანონებული გზაა, რომელიც ორმხრივ, დედისა და ნაყოფის ჰორმონებით კონტროლირდება. მაგრამ ზოგჯერ ნატიფად აწყობილი სისტემის რომელიმე რგოლი ირღვევა და შედეგიც არ აყოვნებს...

**გამომწვევი მიზეზები...**

**1.** მექანიკური. ამ დროს სათესლე ჯირკვლების გასავლელ გზაზე ანატომიური დეფექტის წყალობით დაბრკოლება იქმნება და წარმონაქმნები დანიშნულ ადგილს ვეღარ აღწევენ.

**2.** ჰორმონალური უკმარისობა, რასაც ზოგჯერ ე.წ. აუტოიმუნური პროცესიც (ანტისხეულების გამომუშავება) დაერთვის თან.

**3.** კრიპტორხიზმის განვითარებას ხელს უწყობს შემაერთებელი ქსოვილის განვითარების პათოლოგიაც.

**გზიდან „აცდენილი“ ჯირკვალი.** ამ მიზეზების წყალობით სათესლე ჯირკვალი „მოგზაურობისას“ ფიზიოლოგიური გზის რომელიმე ეტაპზე „ყოვნდება“. შედეგად კი კრიპტორხიზმის სხვადასხვა ფორმა ვითარდება. ესენია: მუცლის, საზარდულის არხის და ა.შ. თუკი სათესლე ჯირკვალი გზიდან აცდება და „არასწორი“ მიმართულებით გადაადგილდება, კრიპტორხიზმისაგან განსხვავებული პათოლოგია, ე.წ. ექტოპია ვითარდება. ამ დროს სათესლე ჯირკვალი სათესლე პარკის ახლომდებარე „ადგილებში“ ზოგჯერ კანქვეშ და თქვენ წარმოიდგინეთ, ბარძაყის არეშიც შეიძლება აღმოაჩინოთ! ასევე შესაძლებელია და აღწერილია ერთ სათესლე პარკში ორი ჯირკვლის არსებობის შემთხვევებიც.

**რატომ არის მნიშვნელოვანი ჯირკვლების სათესლე პარკში დაბინავება?** სათესლე ჯირკვალში ფიზიოლოგიურად ე.წ. სპერმატოგენეზის (სპერმატოზოიდების წარმოშობა და მომწიფება) პროცესი მიმდინარეობს. ეს ორგანიზმის უმნიშვნელოვანესი ფუნქცია მხოლოდ განსაკუთრებულ პირობებში, განსაზღვრულ ტემპერატურაზე ხორციელდება. სათესლე პარკში (ის სხეულის ზედაპირზე მდებარეობს) მუცლის ღრუსთან შედარებით ტემპერატურა სულ მცირე 2-3$^0$ C უფრო ნაკლებია. სათესლე უჯრედები კი ტემპერატურის მიმართ დიდი მგრძნობელობით გამოირჩევა. ამიტომაც ჯირკვლების არაფიზიოლოგიურ პირობებში მოხვედრის შემთხვევაში მკვეთრად ირღვევა სპერმატოგენეზის პროცესი. შედეგად კი უშვილობა ვითარდება!

**კლინიკა...** პაციენტები დისკომფორტს, ფიზიკური დატვირთვისას უსიამოვნო შეგრძნებებს უჩივიან. აღინიშნება ტკივილები საზარდულის არეში, სქესობრივი უძლურება და უშვილობა. კრიპტორხიზმი დამოუკიდებელი პათოლოგიაა, თუმცაღა ის შესაძლოა სხვადასხვა დაავადების თანმხლები სიმპტომიც იყოს. კრიპტორხიზმით დაავადებულებს ხშირად მუცლადყოფნის განვითარების სხვა ანომალიებიც აღენიშნებათ.

**გართულებები:** პათოლოგიას თან ახლავს რიგი გართულების განვითარების საშიშროება, რომელიც სასწრაფო ქირურგიულ დახმარებას საჭიროებს: თიაქრის გაჭედვა, სათესლე ჯირკვლის შემოგრეხა, ძალზე საშიშია არაფიზიოლოგიურ ადგილას „გაჩხერილი“ სათესლე ჯირკვლის არსებობაც. განსაკუთრებით მაშინ, თუკი ორგანიზმში ძლიერი ჰორმონალური ძვრებია (პუბერტატიული ასაკი). ასეთი ჯირკვლის ავთვისებიანად გადაგვარების რისკი 35-ჯერ მატულობს. კრიპტორხიზმს ხშირად თან ახლავს მეორადი სასქესო ნიშნების განუვითარებლობაც.

**დიაგნოზი:** კრიპტორხიზმის არსებობისას დიაგნოზის დასმა დიდ სირთულეს არ წარმოადგენს. განსაკუთრებით მაშინ, თუკი ჯირკვალი ვიზუალურად ჩანს ან ხელით ისინჯება. მნიშვნელოვანია ჭეშმარიტი და ცრუ კრიპტორხიზმის ერთმანეთისაგან გამიჯვნაც. ცრუ კრიპტორხიზმის დროს მოძრავი ჯირკვალი საზარდულის არხშია, რომელიც მსუბუქი ზეწოლით ადვილად გადაადგილდება. ასეთი სათესლე ზოგჯერ (მაგ., თბილი აბაზანის მიღების ან საწოლში წოლისას) საკუთარი „ნებით“ ბრუნდება სათესლე პარკში, მაშინ, როდესაც ჭეშმარიტი კრიპტორხიზმის დროს სათესლე ჯირკვალი არც ერთხელ არ უნდა იყოს პარკში „ნამყოფი“. თუკი სათესლე ჯირკვალი არც თვალით ჩანს და არც ხელით ისინჯება, სპეციალური გამოკვლევები ტარდება.

**მკურნალობა.** დამტკიცებულია, რომ კრიპტორხიზმის დროს სათესლე ჯირკვლებში პათოლოგიური ცვლილებები 2 წლამდე ასაკის ბავშვებში არ აღინიშნება. ამიტომაც მკურნალობა სწორედ ამ პერიოდშია რეკომენდებული. კარგი შედეგია 7 წლამდე ასაკის ბიჭუნებშიც. თავდაპირველად, პათოლოგიის მედიკამენტური მკურნალობა უნდა ჩატარდეს, რომელიც ჰორმონებით ხორციელდება. სათესლეს შემდგომი ნორმალური ფუნქციონირებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა მკურნალობის დროულ დაწყებასაც ენიჭება. ქირურგიული მკურნალობა მხოლოდ კონსერვატული მკურნალობის არაეფექტურობის შემთხვევაში ტარდება. მკურნალობის შემდეგ აუცილებელია ექიმის მეთვალყურეობა, დისპანსერული დაკვირვება. ერთმხრივი კრიპტორხიზმის შემთხვევაში ჰორმონალური და რეპროდუქციული ფუნქციების შესრულებას თავის თავზე მეორე, ფიზიოლოგიურ ადგილზე მდებარე ჯირკვალი იღებს.

გაითვალისწინეთ! ექტოპიის შემთხვევაში სასწრაფო ოპერაცია, ხოლო ცრუ კრიპტორხიზმის დროს ყოველგვარი ჩარევისაგან თავის შეკავებაა რეკომენდებული.

*მაია მუხიგული*


რადიკულიტები, ოსტეოქონდროზები (მარილები), სქოლიოზები, კიფოზები (ხერხემლის გამრუდებები), თავის ტკივილები, თავბრუსხვევა, მეწალისებური და ქათმისებური გულ-მკერდი.



**ამ დაავადებებს მრავალი წლის განმავლობაში დიდი წარმატებით მკურნალობს ცნობილი მანუალური თერაპევტი, ექიმი სოსო ფირცხალაიშვილი, რუსეთსა და საზღვარგარეთ დამუშავებული მეთოდით.**

მობრძანდით 11სთ-დან 20 სთ-მდე აღმაშენებლის 60-ში, კატასტროფების საავადმყოფოში (ყოფილი მიხაილოვის), 1 სართ. მანუალური და ფიზიოთერაპიის კაბინეტი. ტელ: 75-06-14; 877-44-01-08



ხერხემლის დაავადებათა (ოსტეოქონდროზი, დისკოზი, ართროზი, სპონდილოზი) და მათი ნერვული, კუნთოვანი, მყესოვანი, სახსროვანი და სისხლძარღვოვანი გართულებების კომპლექსური მკურნალობა

ექიმი ვერტებრონევროლოგი, მანუალური თერაპევტი დავით ქურთუბაძე

თბილისი, ივ ჯავახიშვილის 51, I სართ, ოთახი 9
ტელ: 96-95-69; 877-43-31-26

პირველად საქართველოში ლალის კრისტალით მინიჭებული მშვენიერება



ლალის ლაზერული ეპილაცია ეს თქვენი სილამაზისა და მშვენიერების საუკეთესო გარანტიაა. ასეთი უკონტაქტო (ნემსის გარეშე) ეპილაცია პრაქტიკულად უმტკივნეულოა, ძლიერ სწრაფი და ამასთან, უვნებელია. კანის წინასწარი ტესტირებით.

მობრძანდით, ენდეთ ლალის კრისტალურ ეპილაციას.

**20 ოქტომბრამდე 10%-იანი ფასდაკლება!**

მის ირ. აბაშიძის ქ. №29 ☎ 25-18-88; 25-18-90

გერმანული წარმოების ულტრათანამედროვე აპარატი „RUBY STAR“



SGS - მსოფლიო სექსოლოგთა ასოციაციის და ევროპის სექსოლოგთა ფედერაციის წევრი
SGS - თანამედროვე ტექნიკური ბაზა
SGS - მაღალკვალიფიციური ექიმი-სექსოლოგები და ფსიქოლოგები
SGS - განკურნების მაქსიმალური გარანტია
SGS - აბსოლუტური ანონიმურობა

ჩვენი პროფესიონალიზმი თქვენი თვითდაჯერების გარანტიაა!!!

**ექიმი-სექსოლოგები, ფსიქოლოგები და ფსიქოთერაპევტები მზად არიან დაგეხმარონ ყველა სახის სექსუალური დარღვევის, ნევროზული სიმპტომების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში.**

1. სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, მათ შორის: „პირველი საქორწინო ღამის“ პრობლემები.
2. სქესობრივი აქტის გახანგრძლივება ან ნაადრევი დამთავრება.
3. იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება.
4. კონფლიქტები ოჯახში და მის გარეთ.
5. დეპრესია, ძილის დარღვევა, აკვიატება და ენერგეტიკული დაქვეითება.
6. კონტაქტის შიში და ურთიერთობის პრობლემები.

ფსიქოლოგიური და სექსოლოგიური სამსახური SGS
თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №5 (ყოფილი „ლეჩკომბინატი“), მე-2 სართ. კაბ. 21-22-23-24. ტელ: 29-34-39. მიღება 10-19 სთ-მდე




„HERBAL V“ „ჰერბალ ვი“

სექსუალური აქტივობის გაუმჯობესების აბსოლუტურად უსაფრთხო, მაღალეფექტური მცენარეული საშუალება

**HERBAL V Y — მამაკაცებისათვის.** – აბსოლუტურად უსაფრთხო მათთვისაც კი, ვინც დაავადებულია მაღალი წნევით, გულის დაავადებით ან სხვა დაავადებებით; — აუმჯობესებს ლიბიდოს, ასტიმულირებს ნევრო-სექსუალურ ფუნქციას, როგორც ფიზიკურ, ასევე ფსიქოლოგიურ ასპექტში; — წარმატებით ხსნის სექსუალური დარღვევებით გამოწვეულ ტკივილებს წელისა და მუცლის არეში, მატებს ენერგიას და სიცოცხლის ხალისს; — რთული, ორგანული მიზეზებით განვითარებული იმპოტენციის დროს, აუცილებელი სერიოზული მედიკამენტოზური სამკურნალო კურსის განსაზღვრულ ეტაპზე „ჰერბალ ვი“ ქმნის შესანიშნავ ფონს და ახანგრძლივებს მათ ეფექტს; — „ჰერბალ ვი“-ს უკომპლექსოდ იყენებენ აბსოლუტურად ჯანმრთელი მამაკაცებიც, რომლებსაც ნერვიული დაძაბულობისა და გადაღლილობის გამო დროდადრო დაქვეითებული აქვთ სექსუალური აქტიურობა.

**HERBAL VX — ქალებისათვის.** — სექსუალური პრობლემები მავნე ზემოქმედებას ახდენს როგორც მამაკაცის, ასევე ქალის მთელ ორგანიზმზეც და იწვევს ნევროზებს და რიგ სერიოზულ დაავადებებს. „ჰერბალ ვი“-ს ქალების ვარიანტი აძლიერებს სექსუალურ ლტოლვას, ააქტიურებს სასიცოცხლო ძალებს, ამცირებს წინამენსტრუალურ და პრეკლიმაქსურ დაძაბულობას და მატებს ენერგიას.

**HERBAL VY** და **HERBAL VX** – მამაკაცებისა და ქალებისათვის – „ვიაგრას“ უაღრესად პოპულარული მცენარეული ალტერნატივა მთელ მსოფლიოში! **ინგლისურ-შვეიცარული კომპანია „სვისჰელსის“ ნაწარმი.**

აიღეთ ცხოვრებისგან საუკეთესო!

**მოიკითხეთ სააფთიაქო ბაზებსა და აფთიაქებში.**

„სვისჰელსის“ ექსკლუზიური დისტრიბუტორი კომპანია „ფლორენტი“ ☎: 99-87-37

ალექსანდრიტი ალმასზე ძვირფასია ?!

ლაზერული ტექნოლოგია უსწრაფესად ვითარდება. ფიზიკო-ქიმიური, სტრუქტურული და კრისტალოგრაფიული გამოკვლევები ცხადყოფს, რომ ძვირფასი ქვების უმეტესობა, მათ შორის ალმასი, ზურმუხტი, ფირუზი და სხვა, ლაზერს ვერ გამოასხივებს.

ადამიანის ჯანმრთელობისთვის უვნებელი ლაზერული გამოსხივება, ბუნებრივი ძვირფასი ქვებიდან, მხოლოდ ალექსანდრიტის და კორუნდის ზოგიერთი სახეობისთვის ყოფილა შესაძლებელი. სწორედ ამიტომ, ეს კრისტალები იქნა გამოყენებული, უდიდესი პრობლემის - ჭარბთმიანობის, ლაზერული ეპილაციით მკურნალობისთვის.

სადღეისოდ, პირველი კატეგორიის ძვირფას ქვებს შორის საუკეთესო აღმოჩნდა ალექსანდრიტზე მომუშავე ლაზერული დანადგარი. იგი ჭარბთმიანობისგან განკურნების სრულ გარანტად მოევლინა კაცობრიობას.

ალექსანდრიტის ლაზერით ჩატარებული ეპილაციის დროს გამორიცხულია კანის დამწვრობა, ლაქების და პიგმენტაციის განვითარება, რადგანაც კანი დაცულია სპეციალური, დინამიური სისტემით, რომელსაც ანალოგი არ გააჩნია. პროცედურა ტარდება ჩხვლეტის გარეშე და საკმაოდ კომფორტულია.

2000 წელს კონსტრუირებული ალექსანდრიტის ლაზერული საეპილაციო დანადგარი, საქართველოში, ფუნქციონირებს ფირმაში **„მედი“**, სადაც კვალიფიციური და გულისხმიერი პერსონალი, მსოფლიოს მოწინავე ტექნოლოგიას ყველასთვის ხელმისაწვდომს ხდის.

ასობით განკურნებული პაციენტი ჩვენი სიამაყეა.

ი.ჭავჭავაძის გამზ. 70. წინასწარი სატელეფონო ჩაწერა: 25 02 02; 22 50 43

# ურყევი მტკიცებულებანი

პალეოკონტაქტებზე უამრავი რამ დაწერილა და ბევრიც დაიწერება. მიუხედავად ამისა, ისტორიული ძეგლები კვლავ ამოუწურავი წყაროა ასეთი კონტაქტების რეალობის დასამტკიცებელი დამატებითი არგუმენტებისათვის.

მაგალითად, როგორ აიხსნება ეს სიტყვები: „ჩვენთან შენ ვერ ამოხვალ! შენი წელიწადით შენამდე ვერ მივაღწევთ, ჩვენით თვით შენამდე ვერ ჩამოვალთ“. ეს ციტატა ჩ.წ. XV საუკუნის ბაბილონური პოემიდანაა და აღწერს ადამიანისა და ღმერთის საუბარს. ჩვენს თანამედროვეობამდე, ათასწლეულებით ადრე, პოემის ავტორისათვის ცნობილი ყოფილა დროის ფარდობითობა. ეს ერთადერთი მაგალითი როდია მსოფლიოს ხალხთა ლიტერატურაში. მაგალითად, სომხურ ხალხურ ეპოსში „დავით სასუნელი“ მოთხრობილია ერთი ქალიშვილის ამბავი, რომელიც ღვთიური ცეცხლის მოსატანად გაგზავნეს თანასოფლელებმა. გოგონა გზად შემთხვევით კლდეს გადააწყდა, რომელიც დროდადრო იხსნებოდა ხოლმე. სწორედ იმ დროს კლდე ღია იყო, შიგ ლამპარი მოჩანდა. გოგონამ იგი მიიჩნია ღვთიურ ცეცხლად და შევიდა. კლდე ელვის უსწრაფესად დაიხურა. ახლობლები დიდხანს ელოდნენ დაკარგულს, გავიდა ერთი წელიწადი და უეცრად გოგონა დაბრუნდა.



სწორედ აქ იწყება ყველაზე საინტერესო: ახლობელთა კითხვას, სად იყავი ამდენ ხანსო, გოგონა გაოცებული პასუხობს — სულ ერთი წუთი დავყავი კლდეშიო. ვერაფრით დაუჯერებია, რომ იქ მთელი წელიწადი გაატარა.

ეპოსში სხვა ბევრი მაგალითია, რომლებიც შეიძლება სხვა ცივილიზაციის წარმომადგენლებთან შეხვედრად ჩაითვალოს. მაგალითად, კერპთაყვანისმცემლებთან ბრძოლისას უეცრად გამოჩნდება „მანათობელი კაცი ელვისმფრქვეველი ხმლით“ და უმალ ანადგურებს მტერს. ხმალი დედამიწის წიაღშიც კი შედის, მისთვის არ არსებობს დაბრკოლება. ხომ არ გაგონებთ ეს ხმალი ზემძლავრ ლაზერულ მოწყობილობას?

რუსულ, ქართულ, სომხურ და ალბათ სხვა ქრისტიანულ საეკლესიო ფრესკებზეც შეიძლება ვიპოვოთ ობიექტების გამოსახულებანი, რომლებიც ამო-დ ან კოსმონავტიკის ატრიბუტად შეიძლება მივიჩნიოთ (გავიხსენოთ, სვეტიცხოვლის ერთ-ერთი ცნობილი გამოსახულება ფრესკაზე).

იურისპრუდენციაში არსებობს ცნება — ურყევი მტკიცებულება, რაც ფაქტობრივი მონაცემების ჭეშმარიტების დასადგენად გამოყენების შესაძლებლობას ნიშნავს. ისტორიული ძეგლებიც, გარკვეულწილად, შეიძლება მივიჩნიოთ ურყევი მტკიცებულებების ერთ-ერთ გარანტად. აქედან გამომდინარე, გამოდის, კაცობრიობას წარსულში უფრო მეტი მასალა აქვს პალეოკონტაქტის საკვლევად, ვიდრე დღეს, ჩვენს სინამდვილეში.

***ნლო №40***

# ზეციური ყინულცვენა

2000 წლის დადგომისთანავე უცნაური ამბები მოხდა ჯერ იტალიაში, მერე კი ესპანეთში: ციდან ყინულცვენა დაიწყო, თანაც ყინულის ნაჭრები საკმაოდ მოზრდილები იყო. ამგვარი მოვლენები, რამდენიმე ასწლეულია, არცთუ იშვიათია.

2000 წლის 27 იანვრის საღამოს იტალიის ქალაქ დაკილას მონასტრის ღვთისმსახურთა ყურადღება გამაყრუებელმა გრუხუნმა მიიპყრო. მონასტრის ეზოში უზარმაზარი, უფორმო ყინულის ნაჭერი ჩამოვარდნილიყო — წონით 2 კგ-ს აღწევდა. მისი წარმოშობა ვერაფრით ვერ დაადგინეს.

ესპანეთში ყინულცვენა 10 დღეს გრძელდებოდა. ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე დაფიქსირებულია ათეულობით შემთხვევა, როცა ციდან ცვიოდა 4 კგ-მდე ყინულის ლოდები. ზოგიერთმა იქაურმა მცხოვრებმა ტრავმაც მიიღო.

ამგვარი მაგალითები ისტორიამაც შემოგვინახა:

XV საუკუნის ბოლოს ინდოეთში ვეებერთელა ყინულის ლოდი ჩამოვარდა. იგი სამ დღეს დნებოდა.

1849 წელს შოტლანდიაში ნახევარტონიანი ყინულის ლოდი ჩამოვარდა, დიამეტრით 6 მეტრს აღწევდა. ლოდი მინასავით გამჭვირვალე იყო.

ერთი საუკუნის შემდეგ, 1950 წელს, შოტლანდიის ქალაქ ბუმბარტონის მახლობელ ტრასაზე ჩამოვარდნილი ყინულის ლოდი დაიმსხვრა და მისი ნამსხვრევების საერთო წონამ 50 კგ შეადგინა.

1951 წელს გერმანიის ქალაქ კემპტონის მცხოვრები სახლის სახურავს აკეთებდა. მრგვალი, მონოლითური ყინულის ნაჭერი, რომელიც სიგრძით 1,8 მ და დიამეტრით 15 სმ იყო, დაეცა და საბრალო ადგილზევე გაათავა.

ამ გამოუცნობი მოვლენის ოთხი შესაძლო ახსნა არსებობს: ცნობილია, რომ ფრენისას თვითმფრინავის ფრთებზე წარმოშობილი პატარ-პატარა ყინულის ნაჭრები ტყდება. თანამედროვე მანქანებს აქვთ საგანგებო მოწყობილობა, რომლითაც პერიოდულად ხდება ფრენის დროს გაჩენილი ყინულის მოცილება. მაგრამ ეს ვერსია ნაკლებსარწმუნოა ზემოთ ჩამოთვლილი შემთხვევების ამოსახსნელად, რადგან ჩამოცვენილი ყინულის ზომები ძალზე დიდია.

სეტყვა ბუნებრივი მოვლენაა, თუმცა ყველაზე დიდი სეტყვის ყინული დიამეტრით 12,5 სმ იყო და 1კგ-ზე მეტს იწონიდა, თანაც ყინულცვენა სეტყვისას კი არა, დღისით-მზისით, მოწმენდილი ციდან დაიწყო.

კომეტები ყინულისა და მტვრისგან შედგება, თეორიულად შესაძლებელია მათი შემოფრენა ჩვენს ატმოსფეროში და მიწაზე ცვენა. მაგრამ როგორც ესპანელი პროფესორი მარტინესი ამბობს, კომეტები ატმოსფეროში შემოსვლისას აუცილებლად ჩანან რადარების ეკრანებზე, ჩამოცვენილი ყინულის ლოდები კი აპარატურას არ დაუფიქსირებია.

და მეოთხე ვერსია: ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ყინულცვენა ამოუცნობი მფრინავი ობიექტების ბრალია. მაგრამ ნუთუ მათ ზესრულყოფილ ტექნიკას არა აქვს ის მოწყობილობა, რაც ჩვენს, დედამიწელების, თვითმფრინავებს? იქნებ, როგორც იტალიელი უფოლოგი ეუფემიო დელ ბუონო მიიჩნევს, ეს „არამიწიერთა გაფრთხილებაა“?

***ტაინაია ვლასტ №15***

# ანგელოზები თუ დემონები?

ამერიკული ლაბორატორიის „ჯეთ ფროფალშენის“ ექსპერტები ორბიტულ ტელესკოპ „ჰაბლზე“ გადაღებულ ფოტოებს დიდი ხანია იკვლევენ. ფოტოებზე აშკარად ჩანს მფრინავი ანგელოზების მსგავსი ფიგურები. მეცნიერებმა ჯერჯერობით ვერ შეძლეს მათი ჭეშმარიტი არსის დადგენა. „ფიგურები დაახლოებით 20მ სიმაღლისა იყო, — ამბობს პროექტ „ჰაბლის“ ინჟინერი ჯონ პრატჩერსი, — ფრთები თანამედროვე აერობუსის ზომისა ჰქონდათ. ყველა მათგანი საოცარ შუქს ასხივებდა; ჯერჯერობით არ ვიცით, რა წარმოშობისანი არიან, მაგრამ მოგვეჩვენა, რომ ფოტოგრაფირება სურდათ“.



„ჰაბლის“ ფოტოებით ვატიკანიც დაინტერესდა. თურმე ანგელოზის მსგავსი ფიგურები, ნასა-ს ექსპერტების თქმით, სიახლე სულაც არ არის. ისინი სხვადასხვა კოსმოსურ ხომალდს დაუფიქსირებია, მაგრამ ინფორმაცია აქამდე გასაიდუმლოებული იყო, ეშინოდათ საზოგადოების რეაქციისა.

ამასთან დაკავშირებით, 1985 წლის ამბავს გავიხსენებთ. საბჭოთა კოსმოსურ სადგურ „სალუტ-7“-ზე გაუთვალისწინებელი რამ მოხდა. ფრენის 155-ე დღე იდგა. ეკიპაჟი ჩვეულებისამებრ მუშაობდა. „სალუტ-7“-ს წინ ნარინჯისფერი ღრუბელი აესვეტა. სანამ კოსმონავტები მკითხაობდნენ, რა იყო ეს, ამასობაში „სალუტ-7“ ღრუბელში შევიდა. წამით მოეჩვენათ, რომ ნარინჯისფერი გაზი ორბიტულ კომპლექსშიც შეიჭრა. ნარინჯისფერ ნათებაში მოექცა თითოეული კოსმონავტი, თვალისჩინი დაეკარგათ და შესაძლებლობა წაერთვათ, დაენახათ, რა ხდებოდა ირგვლივ. საბედნიეროდ, მხედველობა მალევე აღუდგათ და ილუმინატორებს მისცვივდნენ — ზეგამძლე მინის მილში 7 გიგანტური ფიგურა მოჩანდა. კათოლიკური ეკლესია კოსმოსში ანგელოზების ნახვის შესახებ ინფორმაციას ცივად, თავშეკავებით შეხვდა და დააეჭვა ფიგურების ანგელოზურმა ბუნებამ. პაპმა იოანე-პავლე -მ ისიც ბრძანა, ვინ იცის, იქნებ ის ფიგურები დემონებიც იყვნენ, მათაც ხომ აქვთ ფრთებიო.

***კალეიდოსკოპი №41***

# რწმენის კუნძული

ძველთაგანვე ბიბლიური მითები და მეცნიერება ორ, ერთმანეთის საწინააღმდეგო „სფეროდ“ ითვლებოდა. რიგი გამოკვლევებისა ხელაღებით უარყოფს საეკლესიო დოგმებს, სხვებს, ჩვენთვისვე მოულოდნელად, ადასტურებენ ძველი და ახალი აღთქმის ზოგიერთი მოვლენის უტყუარობას.

მაგალითად, არცთუ ისე დიდი ხნის წინ, იერუსალიმის შემოგარენში, ისტორიაში პირველად იპოვეს ჯვარზე გაკრული კაცის სამარხი. არქეოლოგების მიერ აღდგენილი დასჯის სურათი საოცრად ემთხვევა ახალაღთქმისეულ აღწერილობას.

1990 წელს გასართობი პარკის მშენებლები წააწყდნენ საძვალეს, რომელიც ჩვენი წ.აღ-ის საუკუნითაა დათარიღებული. ერთ-ერთი წარწერა გვამცნობდა, რომ აქ კაიაფას ვაჟის, იოსების ნეშტი განისვენებდა.



მონასტრის ბერი

ისტორიკოსების აზრით კი, ეს მღვდელმთავარ კაიაფას ნეშტია, რომელმაც ქრისტეს დაპატიმრება ბრძანა, დაჰკითხა იგი და შემდგომ იუდეის პროკურატორს პილატე პონტოელს გადასცა დასასჯელად. რაც შეეხება პილატეს, მისი არსებობა კარგა ხანია დადასტურებულია. ნაპოვნია ქვის ფილა ტექსტით: „პილატე პონტოელმა, იუდეაში რომის პრეფექტმა ააგო ეს ტაძარი კესარიის ხალხისთვის, იმპერატორ ტიბერიუსის პატივსაცემად“. ამგვარად, არქეოლოგებმა არაერთხელ დაამტკიცეს წმინდა წერილის უტყუარობა.

რაც შეეხება ძველ აღთქმას: არცთუ ისე დიდი ხნის წინ, სინაის მთაზე, რომელიც თანაბრად წმინდაა როგორც იუდეველებისა და ქრისტიანებისთვის, ასევე მუსულმანებისათვის, იპოვეს სიწმინდე, რომელიც ძალზე ახლოა ებრაელთა პატრიარქ მოსეს დროსთან. შემდგომი გათხრები ალბათ დაადასტურებს ბიბლიური პატრიარქის ცხოვრების დეტალებს.

ძველი ამბების, უხსოვარი დროის ბეჭედი აზის იერუსალიმის მიწის თითოეულ მონაკვეთს. აქ, სინაის მთის ძირთან, არის ოაზისი, რომელსაც ხშირად რწმენის კუნძულსა და ხსოვნის მცველს უწოდებენ.

აქვე დგას უძველესი ბერძნული — მართლმადიდებლური წმინდა ეკატერინეს სახელობის მონასტერი, რომელიც დაარსებულია ადრეული ქრისტიანობის ხანაში. სწორედ იმ ადგილას იდგა დაუწველი ლეგენდარული მაყვლის ბუჩქი, სადაც ღმერთი გამოეცხადა მოსეს.

როგორც გადმოცემა გვამცნობს, V საუკუნის დამდეგს, ეგვიპტურ ალექსანდრიაში ქრისტიანების დევნის დროს, ქალწულ ეკატერინეს პოლემიკა ჰქონდა ყველაზე განათლებულ 50 ფილოსოფოს-კერპთაყვანისმცემელთან, რის შედეგადაც ყველა მათგანი ქრისტეს რჯულზე მოაქცია. ამისთვის რომაელმა იმპერატორმა მაქსენციუსმა ქალწულს სიკვდილი მიუსაჯა — მას თავი მოჰკვეთეს. სიკვდილის წინ წმინდა ეკატერინემ შესთხოვა უფალს, დაე, ჩემი სხეული ვერავინ იპოვოსო და ღმერთმა ისმინა მისი ვედრება. ანგელოზებმა წამებულის სხეული მოსეს მთაზე აიტანეს.

იმპერატორ კონსტანტინე დიდის დროს, როცა ქრისტიანობა საბოლოოდ დაკანონდა, V საუკუნეში აქ სამრეკლო ააგეს, სადაც წმინდანის ნაწილები ინახებოდა. სწორედ იმ დროს დასახლდნენ აქ განდეგილი ბერები. დღეს მათი რაოდენობა სამ ათეულს აღწევს.

ბერების ცხოვრება თითქოს შორეულ წარსულში მიედინება: ყოველ დილით, 3სთ-სა და 30 წუთზე მათ მონასტრის ზარი აღვიძებს. ზარი სულ 33-ჯერ რეკავს. 4-დან 7 სთ-მდე ცისკრის ლოცვა მიმდინარეობს. შუადღისას სადილობენ — მთელი დღის მანძილზე ეს ერთადერთი ტრაპეზია. დანარჩენ დროს ძმები ლოცულობენ და შრომობენ.

ძველთაგანვე ეს მონასტერი რუსი მომლოცველების მოსალოცი ტრადიციული ადგილი იყო — აქ ბევრია რუსული ხატი, ძველებური წიგნები და სხვა საეკლესიო ნივთი. ყველაფერს სიძველის ბეჭედი აზის — დაწყებული იუსტინიანეს დროინდელი გალავნით და დამთავრებული ე.წ „თავის ქალების ოთახით“, სადაც გარდაცვლილ ბერ-მონაზონთა ნეშტები ინახება.

„თავის ქალების ოთახს“ იცავს... წმინდა სტეფანუსის ჩონჩხი. იგი შავ მანტიამოსხმული ზის — ყელს ჯვრიანი ძეწკვი უმშვენებს. კაპიუშონით დაფარული თავი გვერდზე აქვს გადახრილი — თითქოს სძინავსო, ისეთი შთაბეჭდილება ექმნება მნახველს. სხვათა შორის, სიცოცხლეში (წმინდა სტეფანუსი დაახლოებით 580 წელს გარდაიცვალა) იგი დარაჯობდა მონასტრიდან სინაის მთაზე მიმავალ კიბეს.

ისევე, როგორც პირველი ქრისტიანების დროს, 3000 საფეხური უნდა განვლო, რომ წმინდა მთის მწვერვალზე ახვიდე — სწორედ აქ გადასცა ღმერთმა მოსეს ქვის ეტრატები.

***ორაკული №10***

# მესამე რაიხს უჩინარი ადამიანი ეხმარებოდა

გერმანიის ელჩმა ინდოეთში გიუნტერ დილემ 1970 წელს, ზაფხულში, საგარეო საქმეთა სამინისტროდან საიდუმლო დეპეშა მიიღო. მას ევალებოდა, მოეძებნა ლეგენდარული გერმანელი დიპლომატი ედმუნდ დრეკერი, რომელიც 1969 წლის შემდეგ უგზოუკვლოდ დაკარგულად ითვლებოდა.

დრეკერის შესახებ საერთაშორისო დიპლომატიურ წრეებში ათეული წლების მანძილზე დადიოდა მრავალმნიშვნელოვანი ხმები. ბევრს იგი გერმანიის შინაპოლიტიკის ნაცრისფერ კარდინალად მიაჩნდა. მას მიაწერენ ახლო აღმოსავლეთში, ლონდონსა და მოსკოვში საიდუმლო მისიების ხელმძღვანელობას.

1969 წელს დრეკერმა გადადგომა მოითხოვა, მაგრამ უკვალოდ გაქრა, ისე, რომ არც კი დაელოდა საგარეო საქმეთა სამინისტროს გადაწყვეტილებას. მას შემდეგ ინფორმაცია დრეკერის შესახებ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან მოდიოდა, მაგრამ, როგორც წესი, არ დასტურდებოდა. დავალება, რომელიც ელჩ დილეს მისცეს, საკმაოდ რთული იყო, მაგრამ მან საქმეს თავი ბრწყინვალედ გაართვა.

ერთი თვეც არ იყო გასული, რომ ბერლინში გაიგზავნა დეპეშა, რომელიც იტყობინებოდა, რომ ედმუნდ დრეკერი ერთ პატარა სოფელში იქნა აღმოჩენილი, ქალაქ ნიუდელის მახლობლად. 82 წლის დიპლომატი შიშველი იჯდა ინდური ქოხის წინ. თმა და წვერი ინით შეეღება. მის წინ ლოტოსის პოზაში იჯდა ორი ინდუსი ქალი, რომელთაც დრეკერი ტანტრიზმის ფილოსოფიას ასწავლიდა. თეორიულ მასალას დრეკერი ვარჯიშებით განამტკიცებდა, პრაქტიკული მეცადინეობისათვის კი ქოხში ხან ერთი ქალი შეჰყავდა, ხანაც მეორე.

ასე რომ, სულაც აღარ არის გასაკვირი, რომ მან უარი თქვა ინდური მითოლოგიის ლექტორის საპატიო ადგილზე, ბერლინის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტში. ასეთი იყო ბოლო ცნობა ედმუნდ დრეკერის შესახებ.

ძალიან მალე გაზეთ „ველტის“ ინდოელი კორესპონდენტი ლეგენდარულ დიპლომატს მიყრუებულ ინდურ პროვინციაში შეხვედრია, მოხეტიალე ასტროლოგის ამპლუაში; ხოლო რამდენიმე ხნის შემდეგ გერმანიაში მოვიდა ცნობა დრეკერის გარდაცვალების შესახებ. ერთი ვერსიის თანახმად, ედმუნდ დრეკერი ბენგალიურმა ვეფხვმა დაგლიჯა, სხვა ვერსიით, მან თავი დაიხრჩო მდინარე განგში.

დაბოლოს, დაირხა ხმები, რომ მონაზვნების საიდუმლო სექტამ, რომელმაც დრეკერში თავისი გურუ შეიცნო, მოახდინა მისი ცოცხლად მუმიფიცირება.

***პოსლედნიე ნოვოსტი №39***

## „საზალდო-სალაღო“ გვერდის პასუხები

**I გამოცანავორდი**

**თარაზულად:** 1) მაწონი; 8) კომბალი; 10) სოკო; 11) დღე; 12) ლიმონი; 13) ნაყინი; 14) ძროხა; 15) აკვანი;

**შვეულად:** 2) წაბლი; 3) ნალი; 4) ანტენა; 5) რადიო; 6) თოკი; 7) თოლია; 9) ობობა.

**II რებუსი**

ტყუილს მოკლე ფეხები აქვს.

III მერცხალი

IV უოლტ დისნეი; „აბა, დამაცადე!“

V „დარ“

## რა მოაქვს კომპიუტერულ სამყაროს?

ამერიკელმა პედაგოგებმა და ფსიქოლოგებმა დაადგინეს, რომ კომპიუტერთან ურთიერთობა ბავშვის განვითარებას ანელებს.

აშშ-ის ხელისუფლება მილიარდობით დოლარს ხარჯავს საბავშვო ბაღებისა და სკოლების თანამედროვე ტექნოლოგიით აღსაჭურვად, უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე ამერიკის სახელმწიფო სკოლებისთვის მხოლოდ კომპიუტერებზე 27 მლრდ დოლარი დაიხარჯა. დღეს ამერიკული სკოლების 95% ინტერნეტთან არის მიერთებული. ერთი მხრივ, ეს შესანიშნავია, მაგრამ კერძო არაკომერციულმა ორგანიზაციამ Alliance for Childhood, რომელიც ბავშვთა განვითარების საკითხებს შეისწავლის, გამოაქვეყნა ანგარიში, რომელშიც ამტკიცებს, რომ კომპიუტერი და ინტერნეტი ბავშვების ერთმანეთთან (და უფროსებთანაც) ურთიერთობას ხელს უშლის. „ბავშვებს ჯანსაღი განვითარება სჭირდებათ, რასაც კომპიუტერი ვერასოდეს მისცემს, ბავშვებს ცოცხალ ხალხთან — ცოცხალი ურთიერთობა ესაჭიროებათ, —



აცხადებს ორგანიზაციის კოორდინატორი. „ბავშვს დღითი დღე აკლდება ურთიერთობის სითბო და სინამდვილის აღქმის უნარი. ამის მიცემა მხოლოდ პედაგოგს, ცოცხალ ადამიანს შეუძლია. ადრეული ასაკიდან კომპიუტერთან დამეგობრება შემოქმედებით უნარს უკარგავს ბავშვს, ეძაბება თვალები, ემუქრება ქრონიკული სტრესი და გასუქება. იმათ, ვინც ხშირად ხატავს კომპიუტერით, სიზარმაცე ეუფლებათ და აღარ შეუძლიათ ხელით ხატვა“, — ამბობენ ფსიქოლოგები. სპეციალისტების აზრით, კომპიუტერის მოყვარული ბავშვი ნაკლებად მგრძნობიარე და უემოციოა. ბავშვებს ერთმანეთთან არა აქვთ ურთიერთობა. ისინი წარმოსახვით სამყაროში ცხოვრობენ და არა რეალურში. ფსიქოლოგთა მეორე ნაწილის აზრით, უმოძრაო, მჯდომარე მოღვაწეობა, რასაკვირველია, გასუქების რისკის წინაშე გვაყენებს, მაგრამ წიგნის კითხვაც ხომ უმოძრაობას მოითხოვსო. ისინი ამტკიცებენ — კომპიუტერი სასარგებლოა ბავშვის სწავლების პროცესში, ოღონდ დაწყებითი სკოლის შემდეგ.

***კომსომოლსკაია პრავდა***

## ჯანგად დააკვირდით ბავშვებს



ხშირად ბავშვებს ავტომატურად ვაძლევთ შენიშვნებს: „შუბლს ნუ იჭმუხნი“, ან „სახეს ნუ მანჭავ“ და მისთანები. მიგვაჩნია, რომ ამგვარი საქციელი ცუდი აღზრდის ან ცუდი ჩვევის შედეგია.

კარგად დააკვირდით ბავშვს...

— იგი „იმანჭება“. მისდა უნებურად ახამხამებს განუწყვეტლივ თვალებს; უმიზეზოდ შეყრის წარბებს, ცხვირსაც იჭმუხნის.

— სისტემატურად წამოახველებს; ტუჩებს იკვნეტს და ილოკავს;

— დროდადრო უაზროდ იქნევს ხელებს, ტანისამოსს ისწორებს, ღილს იკრავს და იხსნის წამდაუწუმ. ყოველივე ეს იმის ნიშანია, რომ პატარას ტიკი აქვს და ბავშვი ნევროპათოლოგმა უნდა გასინჯოს. მარტივი და რთული ტიკის პროვოცირება შეიძლება მოახდინოს სკოლაში გადაღლამ, სტრესმა, დეპრესიამ, შინ რთულმა გარემოებამ, შეშინებამ.

**გახსოვდეთ:** 1. ტიკს ძალით ვერ მოერევით და ამიტომ ნუ გაუწყრებით ბავშვს; 2. გაარკვიეთ რა არის დაავადების მიზეზი და აღკვეთეთ, იგი; 3. აუხსენით მასწავლებლებს, მეგობრებსა და ნათესავებს, რომ ბავშვის არაადეკვატური ქცევის გამო, არც დასცინონ და ნურც ნოტაციებს წაუკითხავენ; 4. ნებისმიერი მკურნალობის თაობაზე შეუთანხმდით ექიმს; 5. გაუძლიერეთ ნერვული სისტემა სამკურნალო ბალახებითა და მედიკამენტოზური თერაპიით ერთდროულად. კვირაში ერთხელ მაინც მოუმზადეთ ანტისტრესული კოქტეილი: 1ს/კ გამხმარ სალბს დაასხით 1 ჭიქა ცივი რძე, წამოადუღეთ (10 წუთი ნელ ცეცხლზე). გააცივეთ, კვლავ წამოადუღეთ, 1/2 ჭიქა დაალევინეთ. ფიტოთერაპიას შეგიძლიათ დაუმატოთ მასაჟი. საჩვენებელი თითით ნიკაპის ცენტრზე ცხრაჯერ დაზილეთ საათის ისრის მიმართულებით და შემდეგ პირუკუ. ბავშვის ოთახის ინტერიერი ნაზი ფერებით მორთეთ.

***ოტდოხნი***

## უსაქმური ხშირად ავადდებიან...

ავიცენამ ჯერ კიდევ 3 ათასი წლის წინათ აღმოაჩინა, რომ ნებისმიერ ასაკში აქტიური ცხოვრება პროფილაქტიკური საშუალებაა და ყველა დაავადებას კურნავს. იგი ამტკიცებდა, — უსაქმურობა ჰბადებს არა მარტო უმეცრებას, არამედ დაავადების მიზეზიცააო.

ადამიანი ყოველთვის აიდეალებს წარსულს, განსაკუთრებით, ბავშვობას... ათასნაირი ეპითეტით ამკობს მას — ბედნიერს, ვარდისფერს, უღრუბლოს, ოქროსფერს უწოდებს — მშობლები ბავშვებს პატარაობისას უფრთხილდებიან, არანაირ საქმეს არ ავალებენ, ჩუქნიან სათამაშოებს, ცდილობენ ისეთ სკოლაში მიაბარონ, სადაც ნაკლებად დატვირთავენ, წრეებსა თუ სექციებში არ წერენ, ბავშვს ბავშვობა უნდა ჰქონდესო.

ფსიქოლოგებმა დაასკვნეს, რომ „დედიკოს შვილები“, რომლებიც სკოლის გარდა, არსად ყოფენ ცხვირს, უფრო ხშირად ხდებიან ავად, ვიდრე კონტაქტურები. ორგანიზმს იცავს დადებითი ემოციები. სპეციალისტების აზრით, საყვარელი საქმიანობის შედეგად მიღებული სიხარული იმუნურ სისტემას აძლიერებს. ასე რომ, ნუ დაუშლით შვილებს იარონ ხატვის წრეზე, სპორტზე, მუსიკაზე, იცეკვონ... თქვენი მიზანია, გამოიცნოთ პატარას ნიჭი და დაეხმაროთ მას განვითარებაში. ყურადღებას მოკლებული ბავშვები ვერ აღწევენ განსაკუთრებულ წარმატებებს. დააკვირდით პატარა ენთუზიასტს: სხვადასხვა გატაცების წყალობით იგი დროის ყადრს ისწავლის. ეს თვისება მას მომავალშიც გამოადგება. კარდინალი რიშელიე პირად მდივნად ირჩევდა საქმეში ყელამდე ჩაფლულ ადამიანს, მხოლოდ ასეთი ადამიანი შეასრულებს ადვილად მასზე დაკისრებულ უამრავ დავალებასო. მაგრამ გახსოვდეთ: დაიცავით ზომიერება, არ გადატვირთოთ პატარები.

***ზდოროვიე***

## თამაშს დანატრებული ბავშვობა

იცოდეთ, ბავშვად ყოფნა იოლი არ გახლავთ...

მთლიანად იყო დამოკიდებული უფროსზე, ასრულებდე ყველა მის მოთხოვნას, არ დაარღვიო არც ერთი აკრძალვა, მუდამ აკეთო ის, რაც არ გსურს — ყოველივე ეს დამღლელია ბავშვის ფსიქიკისათვის. ხსნა მხოლოდ თამაშია. მხოლოდ თამაში დაეხმარება პატარას, მოიპოვოს ფსიქოლოგიური თავისუფლება და ჩამოიშოროს დაგროვილი ნერვიული დაძაბულობა. დღეს, ბავშვებს ლამის აკვანში ასწავლიან ანბანს, საბავშვო ეტლიდან მალე მინი-ლიცეუმის მერხზე დასვამენ; მშობლები „უაზრო“ თოჯინებს, ინტელექტუალურ კონსტრუქტორებსა და დიდაქტიკურ ლაბირინთებს ამჯობინებენ. პატარები იზეპირებენ ლექსებსა და ზღაპრებს, რაც სულაც არ ნიშნავს სკოლისათვის მზადყოფნას. დაზეპირებული ლექსების მიღმა, მშობლებს რჩებათ შეუცნობელი სამყარო, რომელსაც ბავშვები თამაშის საშუალებით უნდა გასცნობოდნენ. სპეციალისტები გვარწმუნებენ, რომ ყველა საბავშვო თამაში — საქმიანია. გინდათ ბავშვს რაიმე შეასწავლოთ? — ითამაშეთ მასთან ერთად. მაშინ გაიზრდებიან ისინი თავის თავში დარწმუნებულნი და ფსიქო-



ლოგიურად დაცულნი. აი, ისტორიული მაგალითი: პატარა პაგანინის მამა, ვიოლინოსთან ერთად სარდაფში ამწყვევდა, რათა მეტი ეშრომა. ნიკოლოს ძვირად დაუჯდა თავისი გენიალობა, — იგი ფსიქიკურად დაავადდა. მაესტროს მძიმე ბავშვობამ მთელ მის ცხოვრებას დაასვა დაღი. ფსიქოლოგთა აზრით, დაწყებითი კლასების მოსწავლეებს, რომლებიც გაძლიერებული პროგრამით სწავლობენ, აუცილებლად უნდა გამოეყოთ დამატებითი სათამაშო დრო. ვისაც ბავშვობაში თამაში დააკლდა, მომავალში უჭირს გარემოსთან ადაპტაცია და იგი ფსიქოთერაპევტის პოტენციური პაციენტი ხდება.

***ზდოროვიე***

## „პამპერსი“ მშობლებს უადვილებს ცხოვრებას, ბავშვებს კი...

გერმანელმა ექიმებმა გამოიკვლიეს, სასარგებლო არის თუ არა ბავშვისთვის ის საფენი, რომელსაც ასე გულმოდგინედ უწევენ რეკლამას. ისინი შემაშფოთებელ დასკვნამდე მივიდნენ, საქმე ის არის, რომ ერთჯერადი პლასტიკურგარსიანი საფენი აფერხებს, ვნებს მამაკაცის სასქესო უჯრედების მომწიფებასა და ფორმირებას. ამიტომაც ექიმები ურჩევენ ახალგაზრდა დედებს, ბიჭუნებს არ ახმარონ პამპერსი, რათა არ შეიქმნას „სათბურის ეფექტი“. ამ დელიკატური ორგანოს გადახურებამ, ყველა ზემოთ ნათქვამთან ერთად, შეიძლება მომავალში უშვილობაც გამოიწვიოს. გერმანელი მკვლევარები სწორედ პამპერსების უარყოფით გავლენას მიაწერენ ევროპაში უკანასკნელი 25 წლის მანძილზე უშვილო მამაკაცთა სიმრავლეს. საფენების ხანგრძლივი ხმარების შემდეგ ბავშვებს ტემპერატურა 1 გრადუსით ეწევათ, რაც ორგანიზმისთვის ძალზე მნიშვნელოვანია.

სხვათა შორის, სიცხის დროს „დელიკატური ადგილი“ უფრო ხურდება. ამიტომ ხანგრძლივი და სისტემატური სიცხიანობა არღვევს საკვერცხეების ფორმირებას. პამპერსების მწარმოებლები კი საერთოდ უარყოფენ ამ საკითხს. გერმანელი ექიმები პამპერსების მწარმოებლებს ურჩევენ, შესაფუთზე აღნიშნონ გაფრთხილება, რომ პამპერსი ბიჭებს არ ახმარონ მთელი დღე, მხოლოდ სეირნობისას გამოიყენონ.



***იზვესტია***

## რა გაქვთ, ბავშვებო, ჩანთებში?

ჩანთის ზომა ბავშვის წონას უნდა შეესაბამებოდეს. დიდ ჩანთებში ბავშვები აწყობენ საჭირო და არასაჭირო ნივთებს, რის გამოც იგი მძიმდება და ცუდად მოქმედებს ხერხემალზე. რაც შეეხება მასალას, რისგანაც არის შეკერილი ჩანთა, უმჯობესია, იყოს ნატურალური. თუ ჩანთას ასდის მკვეთრი, ქიმიური სუნი, მასზე უარი თქვით, იგივე შეეხება პენალებსაც.



მშობლებისათვის, რომლებიც გერმანულ ან ამერიკულ სასკოლო ნივთებს დიდ უნივერმაღებში ყიდულობენ, პრობლემა არ წარმოიქმნება. სანდოა აგრეთვე რუსული ნაწარმი, რადგან ყოველგვარი „გოსტები“ ჯერ კიდევ მოქმედებს რუსეთის წარმოებებში, მაგრამ ზოგჯერ კრიტიკას ვერ უძლებს ბაზრობებზე შეძენილი იაფი პროდუქცია ჩინეთიდან, კორეიდან და თურქეთიდან. ფერადი ფლომასტერები ძალიან ხშირად საეჭვო ქიმიური ნივთიერებითაა დატენილი და გამოსცემენ სპეციფიკურ სუნს. ეს ეხება აგრეთვე პლასტილინს. კოლოფზე ხშირად არის გამაფრთხილებელი წარწერა: „ხმარების შემდეგ გულდასმით დაიბანეთ ხელები“, მაგრამ ასეთ პროდუქციაზე უმჯობესია, საერთოდ ვთქვათ უარი.

„გრინფისის“ მიერ ჩატარებული გამოკითხვით დადგინდა, რომ მოსწავლეები ხშირად წვავენ პლასტიკატის სახაზავებს, ეს ძალზე საშიშია, რადგან მისი წვის შედეგად გამოიყოფა გაზი — ფოსგენი, რომელიც XX საუკუნის ომებში გამოიყენება, როგორც მომწამვლელი გაზი. მისმა შესუნთქვამ შეიძლება დიდი ზიანი მიაყენოს ჯანმრთელობას. ამიტომ უპირატესობა ხის სახაზავს მიანიჭეთ, განსაკუთრებით პირველ კლასში.

საშიშია აგრეთვე რვეულებისა და წიგნების პოლივინილქლორიდის გადასაკრავები, რომელიც, მაგალითად პირის ღრუში მოხვედრისას გამოყოფს საშიშ ნივთიერებას — ვინიქლორიდს.

მაგრამ ყველაზე საშიში საკანცელარიო ნივთებში თურმე ჩვეულებრივი ფერადი ფანქარია. თვალით ამის გარკვევა შეუძლებელია, ამიტომ უნდა მოითხოვოთ გამყიდველისაგან ჰიგიენური სერტიფიკატი. რაც შეეხება რვეულებს, უნდა შეამოწმოთ, გლუვია თუ არა ზედაპირი და მკაფიოდ ჩანს თუ არა ხაზები.

***ოტდოხნი***

## იქნებ შინ ვუნდერკინდი გყავთ...

ნიჭიერი ბავშვები — ბუნების იშვიათი საჩუქარი როდია... ამგვარ პატარებს იშვიათ მოვლენად იმიტომ მიიჩნევენ, რომ მშობლებმაც და მასწავლებლებმაც დროულად ვერ „აღმოაჩინეს“ ისინი. ნიჭიერი ბავშვი სამ წლამდე უნდა შეიცნოთ.

**მშობლებს რამდენიმე რჩევას ვთავაზობთ:**

— ნიჭიერი ბავშვი წლამდე იწყებს სიარულსა და ლაპარაკს;

— გამოირჩევა ლექსიკური მარაგით;

— მას რთული კონსტრუქციის თამაშები იზიდავს და უპირატესობას მარტოობას ანიჭებს;

— სკოლაში უხალისოდაა, რადგან სწავლების რიტმი შენელებული ეჩვენება;

**როგორ დავეხმაროთ ნიჭიერ ბავშვებს?**

ცნობისმოყვარე პატარა უამრავ შეკითხვას დაგისვამთ, უპასუხეთ მისთვის გასაგებ ენაზე;

ნუ გაუწყრებით ოთახში არეულობისთვის, თუკი ეს შემოქმედებით შრომასთან არის დაკავშირებული და დალაგება ვერ მოასწრო;

ნუ მოარიდებთ თქვენს ვუნდერკინდს ყოველდღიურ საქმიანობას.

მოამარაგეთ ბავშვი საყვარელი წიგნებით. ნუ მოაკლებთ საინტერესო მოგზაურობებს. ნუ გამოგრჩებათ ნებისმიერი მისი წარმატება, შეაქეთ. ნუ დასცინებთ შეცდომებისთვის. წაახალისეთ, იოცნებოს, გამოიგონოს...

სპეციალისტის მეშვეობით შეუდგინეთ სწავლების ინდივიდუალური პროგრამა.

***ლიზა***



# ორსახოვანი სალმანი

**ჩეჩენი ტერორისტი რადუევი რუსეთის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობდა და თავდაცვის სამინისტროს თანამშრომელთა თხოვნით ვაჭრობდა იარაღით.**

ცნობილი ჩეჩენი საველე მეთაური სალმან რადუევი სინამდვილეში რუსეთის ერთ-ერთი სპეცსამსახურის აგენტია და მის დავალებას ასრულებს. დიდი ხანია, რაც ამ ვერსიას განიხილავს ბევრი სამხედრო ანალიტიკოსი და მასობრივი ინფორმაციის საშუალება. მაგრამ ამ ბოლო დროს მომხდარი მოვლენები და ფაქტების შელამაზების მცდელობა ნებას იძლევა, უფრო მეტად ვენდოთ ამ ვერსიას. სპეცსამსახურებისა და სამხედრო უწყებათა ზოგიერთი თანამშრომელი, რომლებიც ინკოგნიტოდ დარჩენას ამჯობინებენ, ადასტურებენ, რომ



სალმან რადუევის პომპეზური დაპატიმრება საპრეზიდენტო არჩევნების წინ სულაც არ იყო შემთხვევითი. ზოგიერთი ინფორმაციის თანახმად, რადუევს მისი მფარველი უწყებიდან შეხვედრაზე დაუძახეს. მისთვის თითქოს ახალი ინსტრუქცია უნდა მიეცათ. სწორედ მაშინ დააკავეს რადუევი და მოსკოვში გადაიყვანეს.

არჩევნები ახლოვდებოდა, სიტუაცია კი ჩეჩნეთში, საზოგადოებრივი აზრის თვალსაზრისით, სულაც არ იყო სახარბიელო. არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე დაიღუპნენ მედესანტეები, ომონის კოლონა უდიდესი მსხვერპლით და, საერთოდ, ვითარება რესპუბლიკაში გაცილებით უარესი იყო, ვიდრე კრემლის იდეოლოგები ამბობდნენ.

## როგორ აკონტროლებდა რადუევი იარაღის ექსპერტს აეროპორტ „სევერნიდან“

ამბობენ, სალმანი რუსეთის ერთ-ერთმა სპეცსამსახურმა ჯერ კიდევ 90-იანი წლებიდან შენიშნაო. მოგვიანებით იგი მოსკოვს ასლან მასხადოვის მოწინააღმდეგედ დასჭირდა. მასხადოვსა და რადუევს შორის ყოველთვის დაძაბული ურთიერთობა იყო. მასხადოვს მიაწერენ რადუევზე რამდენიმე თავდასხმას.

გარდა ამისა, რადუევი საჭირო იყო რამდენიმე საჩოთირო დავალების შესასრულებლად. მაგალითად, ჩვენმა წყარომ გვაცნობა ერთი ძალზე საინტერესო ოპერაციის თაობაზე — იარაღის მიწოდება სამხრეთ იემენისთვის 1994 წელს. ამ წელს, მაისივნისში იემენში სამოქალაქო ომი დაიწყო. ურიგო არ იქნებოდა კონფლიქტის პრეისტორიის გახსენება. 80-იანი წლების ბოლომდე სამხრეთი და ჩრდილოეთი იემენი ორი დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო. ამასთან, ჩრდილოეთ იემენს პროამერიკული ორიენტაცია ჰქონდა, სამხრეთს კი — პროსაბჭოური. მიუხედავად ამისა, 1990 წელს ორი იემენი გაერთიანდა და ქვეყანაში ეკონომიკური აღმასვლა დაიწყო. იდილია 1994 წლამდე გრძელდებოდა. სამხრეთ იემენმა კვლავ მოისურვა დამოუკიდებლობა და აჯანყდა. ამასთან, როგორც ამბობენ, კონფლიქტი პროვოცირებული იყო საუდის არაბეთის მიერ გეოპოლიტიკური მიზნით: საჭირო იყო ხელი შეეშალათ, რათა იემენი ძლიერ და სტაბილურ ქვეყნად არ ქცეულიყო. და რადგან იემენში იმ დროისათვის შეიქმნა საბჭოთა იარაღის დეფიციტი, საჭირო გახდა მისი ხელახალი შეძენა. რუსეთის სამხედრო უწყებათა რომელიღაც წარმომადგენელთან გაჩაღდა მოლაპარაკება და დაიდო შეთანხმება, რომ რუსეთის არმიის არსენალიდან იემენს გამოეყოფოდა იარაღი.

როგორც ჩვენი წყაროები ვარაუდობენ, თავდაცვის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ არსენალიდან ჩამოწერა „სათადარიგო ნაწილების განსაზღვრული ნომენკლატურა, შეიარაღება და ტექნიკა“. იმ დროს რუსეთში სრული ქაოსი სუფევდა და სახელმწიფო აქტივებს, რასაც უნდოდათ, იმას უშვრებოდნენ. სახელმწიფოს ხელისუფლება და საგარეო საქმეთა უწყება კი ვერაფერს ხვდებოდა. სიმბოლურია, მაგრამ სწორედ ამ დროს მიაღწია აფეთქებათა პიკმა საომარ მასალათა საწყობებში.

მაგრამ როგორ უნდა გაეგზავნათ იარაღი? ბუნებრივია, რუსეთის ცენტრალურ ხელისუფლებას არ შეეძლო ლეგალურად მიეწოდებინა იარაღი იმისთვის, ვისაც მსოფლიო საზოგადოებრიობა სეპარატისტებად და აჯანყებულებად მიიჩნევდა. სამაგიეროდ, აქვე იყო ჩეჩნეთი დუდაევის რეჟიმით. ჩეჩნეთის რესპუბლიკის ტერიტორიას გაცილებით მეტი შესაძლებლობები გააჩნდა იარაღის გადასატანად. ფორმალურად ხომ დუდაევის იჩქერია მოსკოვს არ ემორჩილებოდა და იმას იზამდა, რასაც მოინდომებდა.

ამასთან, შეგახსენებთ, რომ არ არსებობდა არავითარი ჩეჩნეთის იზოლაცია — გაიხსენეთ თუნდაც რუსი ოლიგარქების, ბიზნესმენებისა და დეპუტატების, კერძოდ კი ვლადიმირ ჟირინოვსკის ვიზიტები ჩეჩნეთში.

მას შემდეგ, რაც ზოგიერთმა რუსმა სამხედრო პირმა შეძლო მოლაპარაკებოდა დუდაევს, იარაღი იგზავნებოდა გროზნოს აეროპორტ „სევერნიდან“. დუდაევის მხრიდან პროცესს რადუევი აკონტროლებდა, რუსეთის მხრიდან კი აეროპორტში იმყოფებოდა რუსეთის ერთ-ერთი სპეცსამსახურის წარმომადგენელი, რომელმაც შემდეგ იური მასლუკოვის მრჩევლის პოსტი დაიკავა (როცა მასლუკოვი მთავრობაში მუშაობდა). ზოგიერთი მონაცემით, სამხრეთ იემენში მაშინ 40 მილიონი დოლარის სამხედრო ტექნიკა გაიგზავნა, საიდანაც 15% დუდაევს და მის ხალხს დარჩა.

## როგორ მკურნალობდა რადუევი გერმანიაში და როგორ გადაჭრა მან ნახევარი ევროპა ლიტვური პასპორტით

ჩვენმა წყაროებმა კიდევ ერთი საინტერესო ამბავი გვაცნობეს — იმის შესახებ, როგორ გაიყვანეს რადუევი საოპერაციოდ გერმანიაში. 1996 წელს რადუევი პირველად დაიჭრა თავში მასზე განხორციელებული თავდასხმის დროს. ჭორების თანახმად, ერთობ მძიმე მდგომარეობაში მყოფი რადუევი აზერბაიჯანიდან თურქეთში გადაიყვანეს, შემდეგ კი გერმანიაში. საინტერესოა, მაგრამ ზოგიერთი ინფორმაციის თანახმად, რადუევის მკურნალობაში ჩაბმული იყო კონსტიტუციის დაცვის გერმანული უწყება. განკურნების შემდეგ, როგორც ამბობენ, რადუევი სერიოზული სპეცსამსახურების მეშვეობით გადაიყვანეს ჯერ მიუნხენში, შემდეგ კი ბერლინში. იქიდან სალმანი ლიტვური პასპორტით და ვიზით გადაიყვანეს ბარსელონაში და ამ ესპანური ქალაქიდან — მოსკოვში. მოსკოვიდან გეზი — მინერალურ წყლებზე გავლით, მანქანით ჩეჩნეთში გადის. ყოველივე ამის შემდეგ სალმან რადუევი მკვდრეთით აღმდგარივით ჩნდება ტელეეკრანებზე. საოცარი მხოლოდ ის არის, როგორ მოხდა, რომ მსოფლიოში ცნობილმა ტერორისტმა ისე გადალახა ამდენი საზღვარი, რომ ვერავინ იცნო.

უშიშროების ფედერალური სამსახურის ერთმა ექსპერტმა გვიამბო, ჩვენი აზრით საკმაოდ ცინიკური ვერსია იმის თაობაზე, თუ როგორ აიღო რადუევმა ყიზლარი. მისი ვარაუდით, მთელი ეს დაპყრობა ძალოვან უწყებათა შორის კონკურენტული ბრძოლის შედეგი იყო. მაშინ, როგორც ცნობილია, მძაფრი კრიტიკის ქვეშ გატარდა ისეთი უწყებები, როგორიცაა ФСБ და МВД, შესაბამისად ბარსუკოვი და კლიკოვი; გარდა ამისა, საჯაროდ გაამათრახეს მთავარი მესაზღვრე ნიკოლაევი. ხელშეუხებელი დარჩა მხოლოდ პაველ გრაჩოვი, რომელმაც დაახლოებით ამგვარი რამ განაცხადა: „აი, ჩემთვის რომ მოეცათ მართვის უფლება, ამგვარ სირცხვილს არ ვჭამდით“.

ჩვენი წყაროები ადასტურებენ, რომ რადუევი მაშინ, ყიზლარში უმართავი გახდა და ვერტმფრენთა ბაზის ნაცვლად საავადმყოფო აიღო.

## როგორ კინაღამ წამოსცდა რადუევს ზედმეტი და როგორ შეიძლება იგი მოულოდნელად გაქრეს

იგივე წყაროს მტკიცებით, მიუხედავად იმისა, რომ ახლა თავად რადუევის გაწირვას აპირებენ (შეწირავენ რა მას არჩევნებს), მას ჯერ კიდევ შეუძლია გამოადგეს განსაზღვრულ ძალებს. ამგვარ რამეს ისიც გვაფიქრებინებს, რომ სალმანი ცენტრალური ტელევიზიით გამოვიდა ოლეგ ვაკულოვის გადაცემაში და გააკეთა რიგი მინიშნებებისა, რომ ჩეჩნეთის ორივე ომის პროგნოზირება და დაფინანსება მოსკოვიდან ხდებოდა. როგორც ვარაუდობენ, მეორე ნაბიჯად უნდა იქცეს მონათხრობი იმის თაობაზე, ვინ აკეთებდა ამას კონკრეტულად. აქ კი ფანტაზიის მინდორი ჯერ კიდევ მოუხნავია და შესაძლოა რადუევმა დაასახელოს ვინმე, ვინც „ვიღაცას“ არ მოეწონება. ეს „ვიღაც“ შესაძლოა ხელისუფლების უმაღლესი ეშელონებიდან იყოს. მაგალითად, ჰიპოთეზური სიდოროვი, რომელიც ვეღარასოდეს მოიშორებს ამ ლაქას, რადგან საზოგადოებრიობა დაუჯერებს რადუევს.

სხვათა შორის, საინტერესო დეტალი: რადუევი ეკრანზე სრულიად ნორმალურად გამოიყურებოდა, გონიერ ადამიანად და არა იდიოტად, როგორადაც მივეჩვიეთ მის ხილვას და რაღაცით უცებ დაემსგავსა, ვთქვათ, ჟირინოვსკის. ისიც ხომ მასხარას შთაბეჭდილებას ტოვებს, სინამდვილეში კი სრულიად კონკრეტული, საღად მოაზროვნე ბიზნესმენია პოლიტიკიდან. ასე რომ, სალმან რადუევს აქვს შანსი, კვლავ სერიოზულად გამოვიდეს არენაზე. როგორც სპეციალისტები ამბობენ, მისი რესურსები ჯერ კიდევ არ ამოწურულა. რადუევი ჯერჯერობით საჭიროა.

შემდეგ კი შესაძლოა ყველაფერი დაემართოს — შეიძლება იგი შეშლილად აღიარონ და სამკურნალოდ გაგზავნონ, შესაძლოა გულის შეტევით გარდაიცვალოს და ვერავინ ვერავითარ საბუთს ვერ მიაგნებს. შეიძლება იგი უბრალოდ გაქრეს და ყველამ დაივიწყოს მისი არსებობა...

***ვერსია №38***

# სად გაქრა ქალაქი ვინეტა?

ბალტიის ზღვის სანაპიროზე მდებარე ქალაქ ვინეტას არსებობა ბურუსითაა მოცული. მხოლოდ ლეგენდები შემორჩა მის შესახებ. რა დაემართა ვინეტას? სად გაქრა შუა საუკუნეების ევროპის ყველაზე დიდი ქალაქი? იქნებ ბალტიის ზღვის ფსკერზე განისვენებს?..



ძველ ნორვეგიულ ლეგენდებში ნათქვამია, რომ საპორტო ქალაქი ვინეტა, რომელშიც ცხოვრობენ ბერძნები, სლავები და საქსები, მთელ მსოფლიოშია ცნობილი, როგორც ერთ-ერთი „ყველაზე ლამაზი ქალაქი ევროპაში“.

ვინეტაში გოგონები თმის ვარცხნილობას ოქროს ჩხირებით იმაგრებდნენ, ტაძრებს სუფთა ოქროსაგან ჩამოსხმული ზარები ამშვენებდა. პირველი გერმანელი გეოგრაფი — ბრემენელი ადამი 1075 წელს საგულდაგულო სიზუსტით აღწერს ლეგენდარული ქალაქის ადგილმდებარეობას და მას იუმნესს ან უიმნესს უწოდებს, — რაც აღნიშნავს ადგილს, სადაც ოდერი ზღვას უერთდება. შუა საუკუნეების დროინდელი ავტორი აღნიშნავს, რომ ქალაქი ყველაზე დიდი იყო მთელ ევროპაში და იქ თავს იყრიდა ბერძნების მნიშვნელოვანი სავაჭრო გზები.

100 წლის შემდეგ უკვე სხვა ისტორიკოსმა — ჰელმოდმა თავის „სლავურ ქრონიკებში“ მთელი თავი მიუძღვნა ცნობილ ქალაქს. თანაც, ის



ვინეტას დაღუპვას აღწერს, როგორც უკვე მომხდარ ფაქტს: „დანიის მეფე დაესხა ამ მიწებს, ეტყობა სიმდიდრის გამო. მან ძალიან დიდი ფლოტი გაგზავნა და მთლიანად გაანადგურა იქაურობა. ნანგრევები დღემდეა შემორჩენილი“.

მოგვიანებით აღმოჩენილ 1158 წლის დოკუმენტში ჯერ კიდევ ნახსენებია ქალაქი ვინეტა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ იგი გაქრა 1158 და 1175 წლებს შორის.

XX საუკუნის დასაწყისში მეცნიერთა შორის გავრცელდა თეორია, რომლის თანახმადაც, „ბალტიის ვენეცია“ განლაგებული იყო ოდერის მარცხენა (დასავლეთ) სანაპიროზე. ვინეტას ადგილმდებარეობის სიზუსტემ კამათი გამოიწვია. სპეციალისტებისთვის კარგად არის ცნობილი, თუ რამდენად საშიშია ძველი ხელნაწერების ნდობა. ტექსტების გადამწერები ხშირად უშვებდნენ შეცდომებს, უზუსტობას, ხანდახან შეგნებულად „ასწორებდნენ“ ორიგინალს ან გაცილებით ადრეულ ასლს, შეგნებულად ცდილობდნენ წინა ტექსტის შეცვლას, — ისტორიული ადგილების ენობრივი ისტორიის გზა-კვალის არევას.

ჩვენს დროში მეცნიერები დაინტერესდნენ ვინეტასა და ჩრდილოეთ გერმანული მიწების სლავური წარსულით. 1997 წლის ზაფხულში წყალდიდობამ მდინარე ოდერზე და იმავე წელს თანამგზავრიდან გადაღებულმა ფოტოებმა მოულოდნელად დაადასტურა მეცნიერთა ვარაუდი, რომ ადამმა ზუსტად იცოდა ვინეტას გეოგრაფიული მდებარეობა.

მაინც რატომ გაქრა ვინეტა ასე უეცრად და სამუდამოდ?

მეცნიერები, რომლებიც კლიმატურ ცვლილებებს შეისწავლიან ერთსულოვნად ადასტურებენ, რომ ამ ადგილებში ზღვის დონეს მნიშვნელოვანი ცვლილებები არ განუცდია ბოლო 5000 წლის მანძილზე.

ახალ ჰიპოთეზას საფუძვლად დაედო მკვლევართა არქეოლოგიური გათხრების შედეგები. ზღვის სანაპიროზე მცხოვრებმა სლავებმა ათასწლეულის მანძილზე შექმნეს ჰიდროტექნიკური ნაგებობების ქსელი მრავალრიცხოვანი კაშხალებით. ისტორიკოსები ვარაუდობენ, რომ დანიელმა დამპყრობლებმა დაანგრიეს ნაგებობები, რომლებიც ზღვისაგან იცავდა შენობა-ნაგებობებს.

ზღვის წყალი თავისუფლად შეიჭრა ხმელეთზე და ყველაფერი ჩაძირა.

ამბობენ, რომ წყნარ საღამოებში ზღვის სიღრმიდან დღესაც ისმის ზარების გუგუნი, ხოლო წყალში თითქოს ჩაძირული ქალაქის სახლების სახურავები მოჩანს... ამას დღესაც დაგიდასტურებთ იქაური მოსახლეობა...

***კალეიდოსკოპი №37***

# უცნობი ფაქტები კონან დოილზე

მსოფლიოში ცნობილი შერლოკ ჰოლმსის ავტორს საშინელი ეჭვის ჩრდილი მიადგა. სქოთლენდ-იარდმა ერთი თვითმკვლელობის გამოძიება დაიწყო, რომელიც 93 წლის წინ მოხდა და ყველა სამხილი მიდის მწერალ არტურ კონან დოილთან (1859-1930).

კონან დოილის თხზულებიდან, ლიტერატორთა აზრით, საუკეთესოა „ბასკერვილების ძაღლი“. ნაწარმოებში მოქმედება ხდება ნისლიან დარტმურში. კონან დოილი აღნიშნავდა, ნამდვილი ამბავი მოვუთხრე მკითხველსო. დარტმურელმა ჟურნალისტმა როჯერ გარიკ-სტალმა ყურადღებით შეისწავლა ყველა არქივი, ესაუბრა დაბის მოსახლეობას, და დაასკვნა, რომ ნაწარმოების იდეა კონან დოილმა მოჰპარა თავის მეგობარს ბერტრამ ფლეტჩერ რობინსონს, რომელიც საიდუმლო ვითარებაში გარდაიცვალა. გარიკ-სტალის აზრით, ის კონან დოილმა მოწამლა.

რობინსონი და დოილი პირველად 1900 წელს შეხვდნენ. ბერტრამმა დოილს უამბო ის ლეგენდა და ამის მიხედვით ჩაწერილი თავისი მოთხრობაც კი აჩვენა.

1901 წელს გამოდის კონან დოილის წიგნი. 1902 წელს მწერალს რაინდის წოდება მიანიჭეს. ხოლო ძალიან მალე ბუკინგემის სასახლეში პაკეტი მივიდა — ჭუჭყიანი თეთრეული მისტერ შერლოკ ჰოლმსის სახელზე. იმ დროს ეს ნიშნავდა, რომ ბატონ მწერალს სინდისი მაინცდამაინც სუფთა ვერ უნდა ჰქონოდა. შესაძლოა, პაკეტის გამომგზავნი იყო ზუსტად ის განაწყენებული რობინსონი, რომელიც 1907 წელს 36 წლის ასაკში გარდაიცვალა. ვარაუდობდნენ, რომ სიკვდილის მიზეზი იყო ტიფი.

ჟურნალისტმა გარიკ-სტალმა დაადგინა, რომ დოილს რომანი ჰქონია რობინსონის ცოლთან და როცა ეს უკანასკნელი დაემუქრა, მთელ ქვეყანას შეგიყრი, როგორ მომპარე ცოლი და ნოველის თემაო, დოილმა ოპიუმის ნაყენით მოწამლა იგი, რომლის სიმპტომები ძალიან ჰგავს ტიფის სიმპტომებს.

ინგლისის პოლიცია საცოდავი რობინსონის ნეშტის ექსჰუმაციას აპირებს.

***პოსლედნიე ნოვოსტი №39***

Z ყველაფერი PET წარმოებისთვის

✓ გაზირებული და არაგაზირებული სასმელების ჩამოსასხმელი ხაზები.
✓ მცენარეული და ქიმიური ზეთების ჩამოსასხმელი ხაზები.
✓ PET ბოთლების დასამზადებელი მოწყობილობები.
✓ PET ფორმამდელი ფორმების დასამზადებელი მოწყობილობები.
✓ კონცენტრატები და კონსერვანტები უალკოჰოლო სასმელებისთვის.

ქ. ქუთაისი, ინდ. მეწარმე „გიორგი ზახაროვი“
საკონტაქტო ტელეფონებია: (231)7.28.63; 8(97)57.18.42

ვმკურნალობთ
ქრონიკულ პროსტატიტს

— ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წუთში;
— ექოსკოპია, თანამედროვე იაპონური აპარატურით;
— კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით და აპარატურით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის მეთოდით, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.

**მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №20 (სპორტის სასახლის უკან) 10-14 სთ.**

ქაღალდი პოლიგრაფიისთვის
ადგილზე მიტანით



ფურცლებში და რულონებში
ტელ: 71-04-14
877-43-28-62
სხვადასხვა ფორმატი
A1; A2; A3

# «ჯანაშიას მე ვუთხარი, რომ არ ჩამოსულიყო!»

**ამბობს საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი რევაზ ძოძუაშვილი და გულშემატკივარს გაისადაც კარგ ფეხბურთს ჰპირდება**

*არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ საქართველოს ნაკრების ორი თამაშის ერთ-ერთი მთავარი შედეგი, იმ სამი ქულის გარდა, რომელიც მათ 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ცხრილში ჩაიწერეს, ის იმედიც გახლავთ, გულშემატკივარსა და თვით ფეხბურთელებსაც რომ დაუბრუნდათ. იმედი, რომ ქართული ფეხბურთი ჯერ კიდევ ცოცხალია და რომ იტალიელთა მწვრთნელის — ჯოვანი ტრაპატონისეული შეფასება ჩვენი ეროვნული გუნდისა, ლიტონი სიტყვები არ ყოფილა.*

*როდესაც საქართველოს ნაკრების სათავეში ფეხბურთის ფედერაციამ მწვრთნელთა ტანდემი დააყენა რევაზ ძოძუაშვილისა და დავით ყიფიანის შემადგენლობით და ნაკრების ამხანაგური მატჩების კალენდარიც შედგა, ჩვენ მაშინ ვესაუბრეთ ბატონ რეზოს და ის ინტერვიუ „კვირის პალიტრის“ დამატების — ჟურნალ „გზის“ პირველ ნომერში გამოქვეყნდა. მაშინ — გაზაფხულზე, ძოძუაშვილმა ხაზგასმით აღნიშნა — ფაქტობრივად, „პირობა მისცა“ გულშემატკივარს, რომ ფედერაციისაგან ხელშეწყობის შემთხვევაში, საქართველოს ნაკრები ჩემპიონატის საგზურისთვის რეალურად იბრძოლებდა. მაშინვე შევთანხმდით, რომ წლევანდელი სანაკრებო თამაშების შემდეგ შევხვდებოდით და ვრცლად ვისაუბრებდით.*

*ეს ინტერვიუც სწორედ ზემოთ ხსენებული „დაპირების“ შეხსენებით დავიწყე:*

**— „წიწილებს შემოდგომაზე ითვლიანო...“ შემოდგომაც მოვიდა და ვფიქრობ, თქვენი პირობაც არ დაგირღვევიათ.**

— დღევანდელი პირობებიდან გამომდინარე, ალბათ, შესაძლებლის მაქსიმუმთან მიახლოება შევძელით, თუმცა ამისათვის ბევრი წინააღმდეგობის დაძლევა და ბევრი დაუმსახურებელი კრიტიკული შენიშვნის მოსმენა მოგვიხდა. ფეხბურთის ფედერაციამ ყველა პირობა შეგვიქმნა ნორმალური მუშაობისათვის. თვით ნაკრების ხელმძღვანელობის ორგანიზაციულმა ფორმამ — მწვრთნელთა საბჭომ, ჩემის აზრით, გაამართლა თავისი არსებობა. მისი დამსახურებაა, რომ ჩვენ დაახლოებით სამოცი ფეხბურთელი გვყავდა სანაკრებო აღრიცხვაზე და თითოეულ მათგანს სისტემატურად ვაკვირდებოდით, რამაც დიდი არჩევანის საშუალებით უზრუნველგვყო. ალბათ თქვენც დარწმუნდით, რომ ასეთი პოლიტიკის შედეგად ნაკრებში აღმოჩენილმა ახალწვეულებმა თავი არ შეირცხვინეს.

ერთ საკითხს მინდა ხაზი გავუსვა, რამაც დიდი მითქმა-მოთქმა, ჭორები და პრესისგან ქილიკი გამოიწვია: სპარინგ-პარტნიორების შერჩევა. მაშინაც ვამბობდი და ახლაც ვიმეორებ — ცხადია, ესპანეთსა და და ინგლისთან თამაში სჯობს, მაგრამ სუსტი ნაკრებები აღარ არსებობენ, რაც გასული კვირის თამაშებმაც დაადასტურა და ამიტომ მერწმუნეთ, რომ თუ დღეს, ლიტვასა და იტალიაში ჩვენი გუნდის ღირსეულ გამოსვლაზე ვსაუბრობთ, ეს იმ „სუსტ“ ესტონეთთან, სომხეთთან, ირანსა და აზერბაიჯანთან ნათამაშები სპარინგ-მატჩების შედეგიცაა. მე, ცხადია, ვერავის დავუშლი საკუთარი აზრის გამოთქმას, მაგრამ კარგი იქნებოდა, ეს აზრი უფრო ობიექტური და პროფესიონალური ყოფილიყო, ვიდრე აქამდე იყო. ამაში თქვენი — ჟურნალისტების თანადგომაც მნიშვნელოვანია.

**— გასულ მატჩებს დავუბრუნდეთ. როდესაც იტალიაში თამაში უნდა დაწყებულიყო, ლიტვა-უნგრეთი უკვე დამთავრებული იყო — უნგრელებმა 6:1 მოიგეს და სიმართლე გითხრათ, ამან ჩვენი 4:0-ც ცოტა გააუფერულა და იტალიელებთან მატჩის წინ შიშიც შეგვეპარა.**

— ერთი შეხედვით, შეიძლება მართლაც ასე იყოს, მაგრამ მაინც ვერ დაგეთანხმებით. ჯერ ერთი — ლიტველთა პირველი მატჩი გაიხსენეთ რუმინეთში, როდესაც მათ არაფერში დაუდეს ტოლი მასპინძლებს, რამდენიმე აშკარა საგოლე მომენტიც შექმნეს და მხოლოდ ბოლო წუთზე გატანილი გოლით დამარცხდნენ და მეორეც — დარწმუნებული იყავით, ჩვენ რომ სამი დღით ადრე არ გაგვენადგურებინა ლიტვის ნაკრები, რასაც ისინი არაფრით არ ელოდნენ, არც უნგრეთს გაუადვილდებოდა ამგვარად მათი ძლევა. ვფიქრობ, რომ იმ 4:0-ით არა მხოლოდ სამი ქულა მოვიპოვეთ, არამედ ერთი მეტოქე საბოლოოდ ჩამოვაშორეთ საგზურისთვის ბრძოლას.

**— ანკონის მატჩის პირველი ტაიმი ალბათ საუკეთესო იყო, რისი ჩვენებაც ჩვენს გუნდს შეუძლია...**

— მიკერძოებაში არ ჩამითვალოთ და პირდაპირ ვიტყვი: მეტოქე ყველა კომპონენტში დავჯაბნეთ. საქმე მხოლოდ უბრალო სტატისტიკაში არ არის, რასაც ტაიმის ბოლოს ტელეეკრანზე იხილავდით: ბურთის ფლობის პროცენტი, კარში დარტყმა, კუთხურების რაოდენობა, ჯარიმები და ა.შ. თუმცა ამასაც მნიშვნელობა აქვს და ამაშიც ვაჯობეთ. უფრო მნიშვნელოვანი ის არის, რომ ტექნიკური წუნი, ელემენტარული შეცდომები, ჩვენს თამაშში გაცილებით ნაკლები იყო, ვიდრე მეტოქისაში და რაც მთავარია — სამი საგოლე მომენტი შეიქმნა იტალიელთა კართან, რომლებიც, სამწუხაროდ, ტოლდოსა და ფორტუნის „წყალობით“, გამოუყენებელი დარჩა. ჩვენს კართან შექმნილ ვერც ერთ სიტუაციას საგოლეს ვერ უწოდებ. სხვათა შორის, ვერც იმას, კობიაშვილმა კარის ხაზიდან რომ გამოიტანა ბურთი — როგორც შემდეგ გავიგე, ქართველ ტელეკომენტატორს რამდენჯერმე აღუნიშნავს, რომ გადავრჩითო. სწორედ ეს შემთხვევაა, არაპროფესიონალიზმს რომ



ვუწოდებ და მერე სწყინს ხოლმე ზოგიერთ თქვენს კოლეგას — ის იყო სტანდარტული მდგომარეობა, რომლის დროსაც მეკარე ერთ კუთხეს ფარავს, რადგან შესაძლებელია, ბურთი მეორე კუთხეში აღმოჩნდეს, იქ კი ყოველთვის დგება მცველი, რომელიც უპრობლემოდ იგერიებს ბურთს. ასე იყო ახლაც და ყოველგვარ „გადარჩენაზე“ საუბარი სისულელეა.

რაც შეეხება მეორე ტაიმს — დარწმუნებული ვარ, ერთადერთი თუ არა, მთავარი, რაც ტრაპატონიმ თავის ფეხბურთელებს შესვენებისას დაავალა, იყო, რომ პირველი შესაძლებლობისთანავე წაქცეულიყვნენ საჯარიმო მოედანზე. ისინიც პროფესიონალები არიან და „ხუთიანზე“ შეასრულეს მწვრთნელის დავალება. (ეს ასე იყო და ახლაც ასეა — იტალიაა, უნდა მოიგოს და მსოფლიო ჩემპიონატს არ უნდა დააკლდეს, ამიტომ რამდენჯერაც წაიქცევა, იმდენჯერ პენალტს დაუდებენ, რამდენჯერაც სადავო თამაშგარე მდგომარეობა იქნება, თუ გაუჭირდათ — სადავო კი არა, აშკარაც, იმდენჯერ მათ სასარგებლოდ გადაწყვეტენ). ასე იქნება, სანამ მსაჯობაში კომპიუტერი და ტელეკამერები არ ჩაერევა, რისი კატეგორიული წინააღმდეგეებიც არიან ფიფა და უეფა. ადრე არც მე მიმაჩნდა ეს მიზანშეწონილად, მაგრამ ამდენი უმსგავსობის შემხედვარე, ახლა ყველანაირად მივესალმებოდი ასეთ სიახლეს.

მსაჯი მხოლოდ მეორე ტაიმში კი არ „გადაგვკიდებია“ — თუ იგი მკაცრად დაიცავდა ფიფას ახალ წესებს, უკვე პირველ ოც წუთში უნდა გაეძევებინა, ორი თუ არა, ერთი იტალიელი ფეხბურთელი მაინც, ყვითელ ბარათებზე რომ აღარაფერი ვთქვა. იმ პენალტებზე კი, დარწმუნებული იყავით, საპირისპირო კართან რომ შექმნილიყო ანალოგიური სიტუაცია, ჩვენს თავდამსხმელს ორჯერვე გააფრთხილებდა ან სიმულაციისთვის გააძევებდა.

ერთი სიტყვით, რომ არა ფიფას ე.წ. „კონსერვატიულობა“, პროტესტის შეტანის ყოველგვარი საფუძველი გვექნებოდა.

**— საქართველოს ნაკრების დაცვა — ჩვენი „აქილევსის ქუსლი“, „განკურნებული“ ჩანდა.**

— კიდევ გავიმეორებ, რომ საქართველოში ნიჭიერი ფეხბურთელების პრობლემა არასოდეს იქნება. თავადაც ნახეთ, რა დონეზე ითამაშეს ხიზანიშვილმა, რეხვიაშვილმა და სილაგაძემ, აღარაფერს ვამბობ უფრო გამოცდილ, მაგრამ ასევე ახალგაზრდა კალაძესა და კობიაშვილზე. ეს, სწორედ, რაზედაც ზემოთ ვისაუბრეთ, იმ „პოლიტიკისა“ და მწვრთნელთა საბჭოს დამსახურება და აგრეთვე იმ აზრის გაბათილებაა, რასაც ზოგიერთი ვაი-პროფესიონალი და ვაი-ჟურნალისტი გვიკიჟინებდა — რომ „ქართული ფეხბურთი მოკვდა“, რომ „ეროვნული ჩემპიონატი არაფრის მომცემია ნაკრებისთვის“ და ა.შ. იგივე ზურაბ ხიზანიშვილი, რომელმაც ბრწყინვალედ ითამაშა, ხომ თბილისის „ლოკომოტივში“ თამაშობს და მისი „პრაქტიკაც“ ხომ მხოლოდ ეროვნული პირველობით განისაზღვრება. ჩემი და ყიფიანის მუშაობის მიზანი ეროვნულ პირველობაში მონაწილე გუნდებში, სწორედ ესეც არის — არც ერთი ფეხბურთელი, რომელსაც რაიმე სარგებლობის მოტანა შეუძლია ნაკრებისათვის, მხედველობის მიღმა არ დარჩეს.

შეიძლება გადამეტებულად გეჩვენოთ, ჩემ მიერ ასე ხშირად უკმაყოფილების გამოხატვა პრესისა და ზოგიერთი „გულშემატკივრის“ მიმართ, მაგრამ გული მტკივა, როდესაც მხოლოდ ასეთი კრიტიკით „გვეხმარებიან“, მაშინ, როდესაც ჩვენ მზად ვართ კონსტრუქციული შენიშვნების მოსასმენად და მეტიც — აუცილებლად მიგვაჩნია ისინი.

ისევ დაცვას დავუბრუნდეთ — ცხადია, გეთანხმებით მის მაღალ შეფასებაში, მაგრამ ის დრო წავიდა, როდესაც მცველს მარტო დაცვა ევალებოდა და თავდამსხმელს — მხოლოდ გოლის გატანა. იგივე კობიაშვილი და სილაგაძე მშვენივრად ერთვებოდნენ თავდასხმაში და თავის მხრივ — ქეცბაია, ნემსაძე და წინა ხაზის სხვა მოთამაშეებიც არ თაკილობდნენ მცველების დახმარებას ან ბურთის მოსაპოვებლად საკუთარ ნახევარზე დაბრუნებას. ჩვენს მცველთა ინდივიდუალურ ოსტატობასთან ერთად, ალბათ, ეს ტაქტიკაც გახდა საიმედო დაცვის გარანტი.

**— პრესაში გამოითქვა მოსაზრება, რომ ჩვენი გუნდის თამაშზე იმ სამმა შეცვლამ უარყოფითი გავლენა იქონია.**

— ქეცბაიამ უზარმაზარი სამუშაო გასწია, მთელ მოედანზე მოძრაობდა და ძალზე გადაღლილი იყო. გარდა ამისა, იტალიელი მცველებისგანაც გვარიანად მოხვდა ფეხებში. ქინქლაძესაც ტრავმამ შეახსენა თავი. ასე რომ — ეს შეცვლები იძულებითი იყო. რაც შეეხება არჩილ არველაძეს, არ მგონია, რომ დემეტრაძით მისმა შეცვლამ რაიმე დააკლო თავდასხმაში ჩვენი გუნდის შესაძლებლობებს.

**— ალექსანდრე იაშვილს რატომ არ მიეცა არც ერთ თამაშში გამოსვლის საშუალება?**

— დამეთანხმებით, რომ იტალიაში ორი ან სამი გამოკვეთილი თავდამსხმელით თამაში, მაშინ, როდესაც თვით მეტოქე ერთი ფორვარდით გეთამაშება საკუთარ მოედანზე, არცთუ გონივრულია. მიუხედავად იმისა, რომ დაცვაში ჯდომას არ ვაპირებდით, უბრალოდ, არ გვინდოდა, მეტოქისთვის ერთ თავდამსხმელზე მეტი „გვეჩვენებინა“. ამავე დროს, ნახევარმცველებს უნდა ეაქტიურათ და ამან გაამართლა კიდეც.

რაც შეეხება იაშვილს — ვფიქრობთ, რომ იგი ისეთივე დონის ფეხბურთელია, როგორებიც აჩიკო არველაძე და დემეტრაძე არიან. ყოველ შემთხვევაში, სადღეისოდ მათი მზადყოფნის დონეებს შორის განსხვავება მაქსიმუმ ხუთი პროცენტია. ასე რომ, არველაძის ან დემეტრაძის მაგივრად იაშვილის გამოყვანით, ბევრი არაფერი შეიცვლებოდა.

ცხადია, როდესაც უკვე 0:1-ს ვაგებდით, იაშვილის — მეორე ნომინალური თავდამსხმელის გამოყვანა უპრიანი იქნებოდა, მაგრამ, როგორც გითხარით, ქინქლაძის და ქეცბაიას ტრავმებმა არ მოგვცა ამის საშუალება.

**— გვარამაძეც არცთუ საიმედოდ გამოიყურებოდა...**

— მჯობნის მჯობნი არ დაილევა და გვარამაძემაც ისე ვერ ითამაშა, როგორც იგივე ფრანჩესკო ტოლდომ. რა თქმა უნდა, მის არასაიმედობაში გაშვებულ გოლებს არ გულისხმობთ, სხვა შემთხვევებში კი უხეში შეცდომა, ჩემის აზრით, მას არ დაუშვია. თუ იმ გამოსვლებზეა საუბარი, როდესაც ის ბურთს ვერ შეწვდა, ან იმ მომენტებზე, როდესაც უმჯობესი იყო, გამოსულიყო კარიდან და არ გამოვიდა — დამერწმუნეთ (შეიძლება, ეს ტელეეკრანებზე არ ჩანდა), საჯარიმოში ისეთი ხელის კვრა და მაისურზე ქაჩვა იყო გაჩაღებული, რომ ისეთ სიტუაციაში მაღალი ბურთისთვის ბრძოლას კარგი არაფერი მოჰყვებოდა. თანაც თუ მსაჯის იმდღევანდელ „ხასიათს“ გავითვალისწინებთ, შეიძლება მესამე პენალტისთვის ან მეკარის გაძევებისთვისაც გამოგვეკრა ხელი.

ცხადია, იმას არ ვამტკიცებ, რომ გვარამაძემ უნაკლოდ ითამაშა-მეთქი. მის სპორტულ ფორმას თავის კლუბში პრაქტიკის არქონამაც დაასვა დაღი, მაგრამ დღეისათვის სხვა მეკარეებს ისევ „კოშკა“ ვარჩიეთ. გაზაფხულამდე დიდი დროა — ისიც მოუმატებს თამაშს და სხვა მეკარეებზეც განვაგრძობთ დაკვირვებას.

**— არ შემიძლია ჯანაშიას „ინციდენტზე“ რომ არ გკითხოთ. რა მოხდა? ნუთუ მართლა შეგნებულად არიდებს თავს ნაკრებში თამაშს?**

— ძალიან კარგია, რომ მკითხეთ. ყველას გასაგონად მინდა ვთქვა: ჯანაშიას მე ვუთხარი, რომ არ ჩამოსულიყო მოსკოვიდან! იმ თამაშის შემდეგ, როდესაც იგი მოსკოვში დაშავდა, დამირეკა და მითხრა, რომ ბილეთი აღებული მაქვს და დღესვე შემიძლია გადმოვფრინდე, მაგრამ ტვინის შერყევის ნიშნები მაქვსო. მე უარი ვუთხარი ჩამოსვლაზე, რადგან თუ 10% მაინც არის იმის შანსი, რომ ფეხბურთელი ნაკრებს არ გამოადგება, უმჯობესია, ადგილი არ გააცდინო და მის მაგივრად სხვა წაიყვანო. სხვა საკითხია, რომ მას არ აღმოაჩნდა მძიმე ფორმის შერყევა და სამი დღის შემდეგ, როდესაც ჩვენ უკვე იტალიაში ვიყავით, თამაშიც შეეძლო. მაგრამ ლიტვიდან ჩასულებმა, იტალიაში ვინმეს დამატება აღარ ჩავთვალეთ მიზანშეწონილად, მით უმეტეს, რომ თავდამსხმელების დეფიციტს არ განვიცდიდით.

ასე რომ, სანამ ისეთი კატეგორიული აზრი გამოითქმება, როგორებიც პრესაში წავიკითხე, უმჯობესი იქნება, გაერკვნენ სიტუაციაში, მწვრთნელებს ან თვით ფეხბურთელებს დაელაპარაკონ და მერე სიმართლე გამოაქვეყნონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, დამიჯერეთ, ეს დამთრგუნველად იმოქმედებს ფეხბურთელებზე. თქვენი ყველაზე დაინტერესებული მკითხველები ხომ თვით ისინი და მათი ოჯახის წევრები არიან და წარმოიდგინეთ, რამხელა სტრესია მათთვის საქვეყნოდ ნათქვამი დაუმსახურებელი სალანძღავი სიტყვა.

ეს არის ჩემი თხოვნა — გაგვაკრიტიკეთ, კი, ბატონო, მაგრამ ისე, რომ ამაში ნაკლის გამოსწორების სურვილი ჩანდეს და არა ნიშნის მოგება. მობრძანდით, დაესწარით მწვრთნელთა საბჭოს შეკრებებს, გვესაუბრეთ ჩვენ, ფეხბურთელებს და ასე ერთად მოვახერხებთ საერთო მიზნამდე მიღწევას.

**— ბატონო რეზო, გაზაფხულზე თქვენ მსოფლიო ჩემპიონატის საგზურისათვის ბრძოლას „დაგვპირდით“. ჯერჯერობით ეს პირობა სრულდება. სამომავლოდ რას გვეტყვით?**

— კარგი იქნებოდა, ბედი იმაში მაინც გვქონოდა, რომ წელს სამი თამაში მოგვესწრო. დარწმუნებული ვარ, რომ ამ განწყობით და შემართებით რუმინულ ბარიერსაც დავძლევდით და უნგრულსაც, მაგრამ რას ვიზამთ, ჯერჯერობით ამით უნდა დავკმაყოფილდეთ და აღებულ კურსს მივყვეთ — ეროვნული ჩემპიონატი ახალი დაწყებულია, უამრავი ახალგაზრდა, მონდომებული ფეხბურთელია, რომელსაც ვაკვირდებით. ლეგიონერებიც თვალთახედვის არეში გვეყოლებიან.



ზაზა ჯანაშია გაისად ალბათ საქართველოს ეროვნული ნაკრების სახელითაც გაიტანს გოლებს

ეროვნული ნაკრების ინტერესები კვლავაც პრიორიტეტული იქნება ფეხბურთის ფედერაციის საქმიანობაშიც, იმედია, ამხანაგური თამაშების ორგანიზებასაც მოახერხებს, რაც აუცილებლად გვჭირდება ნაკრების იმ კანდიდატების საქმეში სანახავად, რომლებიც უკვე შერჩეული გვყავს — თოდუა, ქემოკლიძე, სიჭინავა... რამდენიმე ახალგაზრდა ნიჭიერი მეკარის გამოცდაც გვინდა.

კიდევ ვიმეორებ — შანსი ყველას მიეცემა. მთავარია, ის დამოკიდებულება შევინარჩუნოთ, რომელიც ჩვენს ფეხბურთელებს დღეს აქვთ: „მაქსიმალურად უნდა გამოვავლინო ჩემი შესაძლებლობა, რადგან საქართველოს ნაკრებს დიდი შანსი აქვს, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე წავიდეს და არ მინდა, რომ ეს ჩემ გარეშე მოხდეს“.

მოკლედ, „პირობას“ რაც შეეხება, ერთ რამეს ნამდვილად გპირდებით: მომავალი წელი კიდევ ერთხელ დაადასტურებს, რომ ქართული ფეხბურთი არ მომკვდარა და საქართველოს ნაკრებს სერიოზული და არგუმენტირებული პრეტენზია ექნება მსოფლიო ჩემპიონატის საგზურის მოპოვებაზე.

***ესაუბრა ზვიად გურული***

# რას „გვერჩოდა“ შვედი არბიტრი?

11 ოქტომბერი. ანკონა, 26.000 მაყურებელი.

იტალია-საქართველო 2:0 (0:0).

**იტალია**: ტოლდო, კოკო, ბერტოტო, ალბერტინი, კანავარო, ნესტა, დი ლივიო, ფიორე (პანკარო 76), დელვეკიო (გატუზო 52), ტოტი, დელ პიერო.

**საქართველო**: გვარამაძე, სილაგაძე, კობიაშვილი, რეხვიაშვილი, ხიზანიშვილი, კალაძე, ნემსაძე, ყაველაშვილი, ქეცბაია (მენთეშაშვილი, 68), ქინქლაძე (ჯამარაული (61), ა. არველაძე (დემეტრაძე 61).

**გოლები**: დელ პიერო (47; 88) ორივე პენალტით.

**მსაჯი**: კ. ნილსონი (შვედეთი)



ფრანჩესკო ტოტი უმოწყალოდ ურტყამდა ქართველებს

რას გვერჩოდა შვედი არბიტრი? ეს კითხვა ეკერა პირზე თითქმის ყველას, ვინც წინა დღეს იტალიისა და საქართველოს ნაკრებთა შეხვედრა იხილა. ყველა თავისებურად გამოთქვამდა არბიტრის მიმართ გულისწყრომას, ზოგი სინანულით, ზოგიც უშვერი ლანძღვაგინებით. მსაჯის გაკიცხვის მიზეზს აღარ შეგახსენებთ, არც თამაშის ეპიზოდურად აღწერას მოვყვებით, ალბათ თითოეული მომენტი კარგად გახსოვთ, უბრალოდ ზოგიერთ ჩვენს მოსაზრებას შემოგთავაზებთ.

ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი — საქართველოს ნაკრებმა ანკონაში მართლა ფეხბურთი ითამაშა, ისეთი ფეხბურთი, როგორსაც 3-4 წელია ველით და ისეთი, როგორიც მხარდასაჭერადაც ღირს და სანერვიულოდაც — გვარიანადაც გვანერვიულეს და სულ მათი ბრალი არ არის, რომ წააგეს. ჩვენებს იმ დღეს თავი არ დაუზოგავთ, თამაშში ჩააქსოვეს ყველაფერი, რაც იცოდნენ და რაც შეეძლოთ. უბრალოდ, იტალიელებს ჩვენზე მეტი სცოდნიათ. და მაინც — შეიძლებოდა თუ არა, იტალიაში რომ მოგვეგო? — ალბათ შეიძლებოდა, თუმცა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფორტუნა ჩვენკენ გადმოიხრებოდა. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. იტალია მოსაგებად გავიდა მინდორზე და მოიგო კიდეც, როგორ და რაგვარად, ამას საბოლოოდ არავითარი მნიშვნელობა არ ექნება. მოდით, ნუ დავაბრალებთ ყველაფერს მსაჯს — პირველ შემთხვევაში მას პენალტის დანიშვნის საბაბი ჰქონდა — ჩვენს მცველს ფრანჩესკო ტოტისთან კონტაქტი ჰქონდა, ფეხი ფეხზე მოუხვდა. ამის შემდეგ პენალტის დანიშვნა-არდანიშვნა უკვე ტოტის ოსტატობის საქმე იყო, თავდამსხმელმა, რომელსაც იმწამს უკეთესი გაგრძელება არ ჰქონდა, მშვენივრად იცოდა, რომ მსაჯი, რომელიც დადარაჯებით უცდის ასეთ მომენტს, ხელს პენალტის ნიშნულისაკენ გაიშვერდა. შეიძლება იმ მომენტში ფრანჩესკო ტოტი ჯენტლმენურად არ მოქცეულა, მაგრამ მოიქცა ისე, როგორც მის გუნდს სჭირდებოდა, როგორც ნამდვილ პროფესიონალს შეჰფერის. შორს ნუ წავალთ, ის მომენტები გავიხსენოთ, ვოვა გუცაევი ოსტატურად რომ გაიშოტებოდა მეტოქის საჯარიმოში და მსაჯს რომ პენალტს გამოსტყუებდა, ჩვენი სტადიონი ლამის ოვაციისაგან ინგრეოდა. დაახლოებით ანალოგიურ სიტუაციაში დაინიშნა მეორე პენალტიც. დელ პიერო მიხვდა, რომ ის კუთხე, სადაც ვითომდა წესების დარღვევას ჰქონდა ადგილი, მსაჯისათვის შეუმჩნეველი იყო, წაქცევის ზუსტი იმიტაცია გააკეთა და მატჩის ბედიც საბოლოოდ გადაწყვიტა. არადა, რომ არ წაქცეულიყო, შეიძლება ბურთისათვის უკვე კარის ხაზს მიღმა მიესწრო. სხვა საკითხია, დანიშნავდა თუ არა არბიტრი პენალტებს ანალოგიურ სიტუაციებში იტალიელთა კარში? — ალბათ არ დანიშნავდა. ეს უნდა სცოდნოდათ ჩვენს მწვრთნელებს და იცოდნენ კიდეც. როგორც კი დასახელდა ჩვენი ჯგუფის შემადგენლობა, ნათელი შეიქნა — იტალია ჯგუფიდან უნდა გასულიყო. არ შეიძლება მსოფლიო ჩემპიონატი იტალიის, ბრაზილიისა და მათი მსგავსი თითო-ოროლა გუნდის გარეშე. ეს დაახლოებით იგივეა, რაც ქართული ცეკვის ფესტივალი უჩვენოდ. ის 4-5 საგოლე მომენტი, რომელიც მასპინძელთა კართან შეიქმნა, უბრალო საქმე არ გეგონოთ. ისეთი მცველების გარემოცვაში, როგორებიც ნესტა და კანავარო არიან, თითოეული ასეთი მომენტი, ლიტვისა და მისი მსგავსი გუნდების კარში გატანილ ორ გოლს მაინც უდრის. რა ჩვენი ბრალია, იტალიას რომ ტოლდო ჰყავს? ახლა აზრი აღარა აქვს იმაზე ლაპარაკს — რა მოხდებოდა, ჩვენებს რომ იმ მომენტებიდან ერთ-ერთი მაინც გამოეყენებინათ, ან მსაჯს რომ ჩვენს კარში პენალტები არ დაენიშნა და ა.შ. მთავარი ის გახლავთ, რომ ქართველებმა მინდორი თავაწეულებმა დატოვეს, იტალიელებს ათქმევინეს — ჯგუფის მთავარი მეტოქე რუმინეთი გვეგონა და ქართველები ყოფილანო, გულშემატკივარს კი ლიტვაში ჩასახული იმედი კიდევ უფრო გაუღრმავეს. ერთადერთი, რაც გულდასაწყვეტი გახლდათ, ის იყო, რომ პირველი გოლის შემდეგ ჩვენი ნაკრები ფსიქოლოგიურად გატყდა და ლაღად და თავისუფლად მხოლოდ მაშინ ათამაშდა, როცა მეორე გოლიც გავუშვით და თამაშის ბედი საბოლოოდ გადაწყვეტილი იყო.

ამ ნაკლის გამოსწორება შეიძლება, მით უმეტეს, მომავალ მატჩებამდე ჯერ საკმაო დროა. მთავარია, ჩვენებმა მალე დაივიწყონ ანკონაში გამართული მატჩი. ყველაფერს უიღბლობას ნუ მიაწერენ და იცოდნენ: კარგ თამაშს ადრე, თუ გვიან, შედეგიც მოჰყვება: ერთი დაძახებით იტალიას ვერ გადავახტებით, ისიც გმირობის ტოლფასი იქნება, რუმინეთი და უნგრეთი თუ უკან ჩამოვიტოვეთ. ამის შესაძლებლობა რომ გვქონია — ანკონაშიც დამტკიცდა. საქართველო ისევ მოიცვა საფეხბურთო ბატალიებმა, ისევ მოუთმენლად უნდა ველოდოთ ჩვენებურთა მიერ ბურთის გაგორებას, თანაც ამჯერად შინ — ეროვნულ სტადიონზე. მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის პირველ ორ მატჩში მწვრთნელთა მიერ არჩეული სწორი გზის კონტურებიც მოიხაზა, ვინ იცის, იქნებ ამ გზამ კორეა-იაპონიამდეც მიგვიყვანოს.



ალექსანდრო დელ პიერო და ზურაბ ხიზანიშვილი

# ზიდანი ორი მატჩით დასაჯეს

მსოფლიოს 1998 წლის საუკეთესო ფეხბურთელი, საფრანგეთის ნაკრებისა და ტურინის „იუვენტუსის“ ნახევარმცველი ზინედინ ზიდანი ჩემპიონთა ლიგის უახლოეს ორ მატჩს გამოტოვებს „იუვენტუსის“ შემადგენლობაში. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო უეფას დისციპლინარულმა კომისიამ. შეგახსენებთ, რომ ზიდანმა წითელი ბარათი მიიღო „იუვენტუსისა“ და „დეპორტივოს“ მატჩში, რომელიც ტურინში გაიმართა. შედეგად, მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი ვერც 18 ოქტომბერს დაეხმარება „ბებერ ქალბატონს“ იმავე „დეპორტივოსთან“ და ვერც 24 ოქტომბერს საშინაო მატჩში „ჰამბურგთან“.

## საჭადრაკო კლუბი

**„კვირის პალიტრა“ აქვეყნებს საჭადრაკო ამოცანებს, მათი ამოხსნისათვის საჭადრაკო დაფა არ არის აუცილებელი.**

შავების დაშამათება არ უნდა გაგიჭირდეთ (თუ, რა თქმა უნდა, მოინდომებთ).
წინა ამოცანის ამოხსნა: 1. მd4-b3!

თეთრები იწყებენ და აკეთებენ შამათს **ორ** სვლაში.



# მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი
# 11 ოქტომბერი, ევროპა

### I ჯგუფი
**რუსეთი-ლუქსემბურგი 3:0**
**სლოვენია-შვეიცარია 2:2**

რუსებმა საკმაოდ იოლად სძლიეს ლუქსემბურგს. სხვაგვარ შედეგს არც არავინ ელოდა. რომანცევის გუნდი ჯგუფის ლიდერია და არც ისეთი მეტოქეები ჰყავს ჯგუფში, პირველ ან მეორე ადგილს რომ შეეცილონ. ჯგუფის შემადგენლობიდან და აღებული სტარტიდან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ რუსები კორეა-იაპონიაში ითამაშებენ. ბევრად საინტერესო იყო სლოვენია-შვეიცარიის შეხვედრა. მასპინძლები 38-ე წუთიდან რიცხობრივ უმცირესობაში თამაშობდნენ და მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ორჯერ შეძლეს ანგარიშის გათანაბრება.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 6 |
| სლოვენია | 3 | 1 | 2 | 0 | 6:5 | 5 |
| შვეიცარია | 3 | 1 | 1 | 1 | 7:4 | 4 |
| იუგოსლავია | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| ფარერები | 2 | 0 | 1 | 1 | 3:7 | 1 |
| ლუქსემბურგი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:7 | 0 |

### II ჯგუფი
**ჰოლანდია-პორტუგალია 0:2**
**ირლანდია-ესტონეთი 2:0**



ევროპის ჩემპიონატის ორი ნახევარფინალისტი განგებამ მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ერთ ჯგუფში გადაჰყარა ერთმანეთს. მიუხედავად იმისა, რომ პორტუგალიის ნაკრებმა ევრო-2000-ზეც ბრწყინვალედ იასპარეზა და ახალ ტურნირშიც ნორმალური სტარტი აიღო, სპეციალისტები მაინც ჰოლანდიელებს მიიჩნევდნენ ფავორიტად როტერდამში გასამართი მატჩის წინ. ჰოლანდიამ თავის სტილში ითამაშა, თავიდანვე შეუტია და... პასუხად ორი გაშვებული გოლი მიიღო, თანაც პირველივე ტაიმში. ორბურთიანი სხვაობის შენარჩუნება კი ფიგუსა და მისი პარტნიორებისათვის ოსტატობის საქმე იყო.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 7 |
| ესტონეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 4:6 | 6 |
| ირლანდია | 3 | 1 | 2 | 0 | 5:3 | 5 |
| ჰოლანდია | 3 | 1 | 1 | 1 | 6:4 | 4 |
| კვიპროსი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:6 | 3 |
| ანდორა | 3 | 0 | 0 | 3 | 3:6 | 0 |

### III ჯგუფი
**ისლანდია-ჩრდ. ირლანდია 1:0**
**დანია-ბულგარეთი 1:1**
**მალტა-ჩეხეთი 0:0**

ისლანდიელები მთელი მატჩის მანძილზე უტევდნენ, გოლი კი მატჩის მიწურულს 89-ე წუთზე გაიტანეს და პირველი გამარჯვებაც მოიპოვეს. ბევრი მოელოდა, რომ დანიის ნაკრებს შინ არ უნდა გასჭირვებოდა ბოლო ხანს დასუსტებულ ბულგარეთთან, მასპინძელთა დიდი სათამაშო უპირატესობის მიუხედავად, გუნდებმა თითო გოლი გაიტანეს და მშვიდობიანად დაშორდნენ ერთმანეთს. დღის მთავარი სენსაცია კი უდავოდ მალტელებმა მოახდინეს და ამ ბოლო დროს ევროპის საფეხბურთო ელიტაში დაბრუნებულ ჩეხეთის ნაკრებს შინ ორი ქულა დაატოვებინეს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩეხეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:0 | 7 |
| დანია | 3 | 1 | 2 | 0 | 4:3 | 5 |
| ბულგარეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:2 | 4 |
| ჩრდ. ირლანდია | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| ისლანდია | 3 | 1 | 0 | 2 | 2:6 | 3 |
| მალტა | 3 | 0 | 1 | 2 | 0:4 | 1 |

### IV ჯგუფი
**მოლდოვა-მაკედონია 0:0**
**სლოვაკეთი-შვედეთი 0:0**
**აზერბაიჯანი-თურქეთი 0:1**

სლოვაკეთისა და შვედეთის ნაკრებთა შეხვედრა მეტად მძიმე საყურებელი გახლდათ. ფაქტია — ევროპის ჩემპიონატის შემდეგ შვედებმა ფორმა დაკარგეს და ასე თუ კარგეს ქულები, მსოფლიო ჩემპიონატი მათ გარეშე ჩაივლის. აზერბაიჯანელებმა და თურქებმა რჯულის ერთიანობა არად ჩააგდეს და მუშტი-კრივიც გაუმართეს ერთმანეთს. ერთადერთი გოლი სტუმრებმა 72-ე წუთზე გაიტანეს. მასპინძლებსაც ჰქონდათ გათანაბრების შანსი, მაგრამ ვერ გამოიყენეს. მოლდოველებმა მთელი თამაში მაკედონიელთა საჯარიმოში გაატარეს. უამრავი საგოლე მომენტი შექმნეს და ვერც ერთი ვერ გამოიყენეს. შედეგად, პირველი ქულა მოიპოვეს, თუმცა სამ ქულასაც იმსახურებდნენ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თურქეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 4:1 | 7 |
| სლოვაკეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 3:0 | 7 |
| შვედეთი | 3 | 1 | 2 | 0 | 2:1 | 5 |
| მაკედონია | 3 | 1 | 1 | 1 | 3:2 | 4 |
| მოლდოვა | 3 | 0 | 1 | 2 | 0:3 | 1 |
| აზერბაიჯანი | 3 | 0 | 0 | 3 | 0:5 | 0 |

### V ჯგუფი
**ნორვეგია-უკრაინა 0:1**
**პოლონეთი-უელსი 0:0**
**ბელარუსი-სომხეთი 2:1**

უკრაინამ, მართალია, მოიგო, მაგრამ მაინც ვერ დატოვა იმ გუნდის შთაბეჭდილება, მსოფლიო ჩემპიონატზე თამაშს რომ იმსახურებს. უკრაინელებმა სერიოზულად 3-4-ჯერ შეუტიეს. ანდრეი შევჩენკოსათვის ერთი მომენტიც საკმარისი აღმოჩნდა, თავისიანებისათვის სამი ქულა რომ მოეტანა. მასპინძლებმა ბევრი იწვალეს, მაგრამ შოვკოვსკის კარი მაინც ვერ დალაშქრეს, შედეგად ჯგუფის ფავორიტები მეხუთე ადგილზე დაქვეითდნენ უკრაინისა და ბელარუსის ძლევის შემდეგ, პოლონელებს თითქოს არც უელსის წინააღმდეგობის დაძლევა უნდა გასჭირვებოდათ, მაგრამ შინ მხოლოდ ერთ ქულას გამორჩნენ, ბელარუსმა კი, როგორც მოსალოდნელი იყო, სომხეთს მოუგო და მეორე ადგილზე აღმოჩნდა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პოლონეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 7 |
| ბელარუსი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:5 | 6 |
| უკრაინა | 3 | 2 | 0 | 1 | 5:5 | 6 |
| უელსი | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | 2 |
| ნორვეგია | 3 | 0 | 2 | 1 | 1:2 | 2 |
| სომხეთი | 3 | 0 | 1 | 2 | 3:5 | 1 |

### VI ჯგუფი
**ხორვატია-შოტლანდია 1:1**

შოტლანდიელებმა მეტად მნიშვნელოვანი ქულა წამოიღეს ხორვატიიდან და ახლა ჯგუფის ფავორიტები არიან, ვინაიდან დარჩენილი 5 მატჩიდან — ოთხს შინ გამართავენ. ორივე გოლი პირველ ტაიმში გავიდა. ალან ბოქშიჩის ზუსტ დარტყმას, კევინ გალაჰერმა უპასუხა. ამის შემდეგ გუნდებმა თითო-ოროლა საგოლე მომენტი შექმნეს და ერთმანეთს მშვიდობიანად დასცილდნენ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შოტლანდია | 3 | 2 | 1 | 0 | 4:1 | 7 |
| ბელგია | 2 | 1 | 1 | 0 | 4:0 | 4 |
| ხორვატია | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| სან მარინო | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| ლატვია | 2 | 0 | 0 | 2 | 0:5 | 0 |

### VII ჯგუფი
**ავსტრია-ესპანეთი 1:1**
**ისრაელი-ბოსნია 3:1**

ავსტრიელებმა დამსახურებული ქულა მოიპოვეს შინ, ესპანელებთან. გოლები აქაც პირველ ტაიმში გავიდა. ჯერ ავსტრიელმა ბაურმა ისახელა თავი, შემდეგ ესპანელმა ბარახამ. ესპანეთი ჯგუფის უპირობო ფავორიტია. მეორე ადგილს ავსტრიელებს ალბათ მხოლოდ ისრაელი თუ შეეცილება. ებრაელებმა მათთვის უმნიშვნელოვანესი სამი ქულა მოიპოვეს შინ, ბოსნიასთან. აღსანიშნავია, რომ ბოსნიელთა ყველაზე ცნობილი ფეხბურთელი — სალიჰამიჯიჩი მატჩის მიწურულს მინდვრიდან გააძევეს.



| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 7 |
| ისრაელი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:3 | 6 |
| ავსტრია | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ბოსნია | 2 | 0 | 0 | 2 | 2:5 | 0 |
| ლიხტენშტაინი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | 0 |

### VIII ჯგუფი
**ლიტვა—უნგრეთი 1:6**

ჯგუფში, სადაც ჩვენი ნაკრები გამოდის, კიდევ ერთი შეხვედრა გაიმართა. ქართველებთან შერცხვენის შემდეგ, ლიტვის ნაკრები შინ, უნგრეთთან განადგურდა, 1:6, უნგრელთა მიერ ბურთების ასეთი სხვაობის შექმნა ჩვენთვის სასიხარულო არ გახლავთ, მაგრამ რას იზამ. სტუმრებმა ერთი ამოსუნთქვით „გადაურბინეს“ მასპინძლებს და ჩვენები მესამე ადგილზე ჩამოაქვეითეს. მეორე ადგილისათვის ბრძოლაში ჩვენებს რუმინეთთან ერთად, უნგრეთთანაც მოუწევთ ურთიერთობის გარკვევა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 3 | 2 | 1 | 0 | 7:2 | 7 |
| უნგრეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 8:3 | 4 |
| საქართველო | 2 | 1 | 0 | 1 | 4:2 | 3 |
| რუმინეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:3 | 3 |
| ლიტვა | 3 | 0 | 0 | 3 | 1:11 | 0 |

### IX ჯგუფი
**ფინეთი-ინგლისი 0:0**
**ალბანეთი-საბერძნეთი 2:0**

ინგლისელები ჯერ კიდევ ვერ მოსულან გონს გერმანიასთან სამარცხვინო წაგების შემდეგ. კიგანის გარეშე დარჩენილმა ბრიტანელებმა შინ დაკარგულ სამ ქულას ჰელსინკში ორიც მიამატეს და ახლა სატურნირო ცხრილის ბოლო საფეხურზე იმყოფებიან. ყველასგან მოულოდნელად ალბანელებმა საკმაოდ დამაჯერებლად სძლიეს ბერძნებს. თითოეულ ალბანელ ფეხბურთელს პრემიად 10.000 დოლარიც ჩამოურიგეს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 6 |
| ფინეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| ალბანეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| საბერძნეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 1:4 | 3 |
| ინგლისი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |

*მოამზადა მათე კბილაძემ*

# ვარსკვლავები და ახალი რუსები

ქალის ბედნიერება ნაკლებადაა დამოკიდებული ქმრის პროფესიაზე, მაგრამ ტრადიციად იქცა, რომ მსახიობი ქალები ცოლად მსახიობებს მიჰყვებიან, მომღერლები — მუსიკოსებს. ადრე შემოქმედებითი კავშირები მოდაში იყო. დღეს სხვაგვარადაა: ვარსკვლავები ახლა სულ უფრო ხშირად ირჩევენ ცხოვრების თანამგზავრებად ბიზნესმენებს ანუ ახალ რუსებს.

— ცხოვრება ახლა სულ სხვაგვარ მოთხოვნებს აყენებს, ამიტომაც შეიქნა იშვიათი „შემოქმედებითი“ ქორწინებები, — ამბობს ლარისა გუზეევას მეუღლე იგორ ბუხაროვი, — ადრე მსახიობები იმდენს ილებდნენ, ჩრდილოვანი ბიზნესის წარმომადგენლებს შურდათ კიდეც მათი. ახლა კინოს გადაღება გაჭირდა, ამიტომაც ვარსკვლავები შეძლებული ქმრების ხარჯზე ცდილობენ თვითრეალიზაციას.

**ლარისა გუზეევას** მეუღლე რესტორნების ქსელის, მათ შორის, ცნობილი „ნოსტალჟის“ მეპატრონეა. მსახიობმა თავად გააკეთა არჩევანი, თავის დროზე იმდენად მოაბეზრა თავი შემოქმედი ქმრების კაპრიზებმა, რომ გადაწყვიტა ცოლად დიდი ხნის ნაცნობ იგორ



ბუხაროვს გაჰყოლოდა. „მზად ვარ, ორჯერ მეტი გადავუხადო ლარისას, ვიდრე კინოში უხდიან, ოღონდ შინ იჯდეს და ბავშვებს უვლიდეს“, — ამბობს ბიზნესმენი.

**კრისტინა ორბაკაიტეს** მეუღლე რუსლან ბაისაროვი ორი მაღაზიის, რამდენიმე რესტორნის, სერგეი ზვერევის სალონის, კლუბ-კაზინო „ინფანტის“ და სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის „ატლანტის“ მეპატრონეა. როგორც რუსლანი ამბობს, იგი კრისტინას სახელმა კი არა, მისმა შესანიშნავმა ხასიათმა მიიზიდა. „მის პოპულარობას ჩემთვის არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, — ირწმუნება ბიზნესმენი, — ერთი სიტყვით, ნორმალური ოჯახი გვაქვს“.

ალბათ, ასეც არის, თუ არ ჩავთვლით ამასწინანდელ შემთხვევას, როცა რუსლანმა ახლობელ-ნაცნობების თანდასწრებით, ვითომდა თავქარიანი საქციელისთვის, კრისტინას სილა გააწნა.

მდიდარი მეწარმეების, თუ შეიძლება ასე ითქვას, წინასაქორწინო რიტუალები ხომ ცალკე თემაა; იგორ ბუხაროვმა ლარისა გუზეევას დაბადების დღე საკუთარ რესტორან „ნოსტალჟი-



ში“ გადაუხადა, ბოშათა ანსამბლიც დაუპატიჟა, რომელიც ლარისას პატივსაცემად, „სასტიკი რომანსიდან“ უკრავდნენ მელოდიებს.

**ლოლიტა მილიავსკაიას** ახალმა რჩეულმა მომღერალს ბინის სადარბაზო გაურემონტა, მისი პირველი სოლოკლიპის პრეზენტაციაზე კი კლუბ „მეტელიცაში“ 10 კგ ხიზილალა და 65 კგ ზუთხი მიართვა სტუმრებს.

ერთი სიტყვით, თითოეული ისტორია პოპულარული სასიყვარულო რომანისათვის ღირსეული სიუჟეტი იქნებოდა. ერთი რამაა გაუგებარი: რაზე საუბრობენ ვარსკვლავები და ბიზნესმენები საღამოობით? „მე და კრისტინა ერთმანეთის საქმეებში არ ვერევით, — ამბობს რუსლან ბაისაროვი, — ანეკდოტებს ვყვებით, სამომავლო საქმეებს ვარჩევთ. აინტერესებს თუ არა კრისტინას ჩემი ბიზნესი, წარმოდგენაც არ მაქვს“. ლარისა გუზეევას მეუღლე სხვანაირად მსჯელობს: „ცხოვრებისეული ინტერესების გამო უთანხმოება არ გვაქვს. მთავარია პრობლემების დავიწყება და მოსმენის უნარის ქონა. არ შეიძლება 24 საათის მანძილზე შემოსავალ-გასავლის თვლა“.

*სობესედნიკი №39*

# უბედნიერესი ხალხი

მიუნხენელი სპეციალისტი კორნელია კანადი პირველი თეთრკანიანი ქალია, რომელიც ცენტრალურ აფრიკაში პიგმეების ტომ ბა აკასთან ერთად ცხოვრობს. ჯუნგლების დაბალტანიანი შავკანიანი ბინადარნი გოლიათი ქალის დანახვაზე დაფრთხნენ — დღემდე ხომ ამ 4 ათას ადამიანს ცივილიზაცია ახლოსაც კი არ გაჰკარებია. ისინი ისე ცხოვრობენ, როგორც მათი წინაპარი ცხოვრობდა ადამისა და ევას დროს. სილამაზის სიმბოლო მათთვის ბასრი, წინ გამოწეული კბილები და სვირინგია, რომელსაც ბამბუკის დანით იკეთებენ — ჯერ კანს ისერავენ, შემდეგ ჭრილობაში ნაცარს იყრიან. პიგმეებისთვის ყველაზე მიმზიდველია ქალი, რომელსაც გრძელი და ბრტყელი მკერდი აქვს. ამისათვის აქაური ლამაზმანები მკერდს ლიანების ტოტებით იკრავენ და დაბლა ქაჩავენ.

მამაკაცებს ბარძაყებზე ხის რგოლები აქვთ წამოცმული. ქალებს პალმის ფოთლების ქვედა კაბები აცვიათ. მამაკაცთა შორის ყველაზე მაღალი 148 სმ-იანი „გოლიათია“, ქალთაგან — 142 სმ-იანი. პატარებს პალმის ზეთში მოშუშულ წვრილად დაჭრილი ქოქოსის ფოთლებით კვებავენ, რომელიც საოცრად გემრიელია. პიგმეებში საქმროს ქალი ირჩევს. როცა გოგონას 12 წელი უსრულდება, მეზობელი ტომიდან იწვევენ ვაჟს. წყვილი ღამეს ქოხში ატარებს. თუ გოგონას მოეწონება ყმაწვილი, მას შეუძლია კიდევ ერთი ღამე დარჩეს, თუ არა — გააგდებენ. მესამე ღამის შემდეგ ქალ-ვაჟს ცოლ-ქმრად აცხადებენ.

ბა აკას ტომში არ იციან, რა არის ცოლქმრული ღალატი და გაყრა. პიგმეები გაბედული და მამაცი ხალხია. მამაკაცებმა 15 ისეთი ილეთი იციან, რომლითაც სპილოსაც კი იოლად კლავენ. ისინი საუცხოო მკურნალები არიან. შეიძლება ითქვას, რომ ყველანაირ დაავადებას კურნავენ — სურდოსაც, იმპოტენციასაც და უნაყოფობასაც... გარდა ამისა, ამზადებენ „ბედნიერების აბებს“.

პიგმეები თეფშებად ანტილოპას თავის ქალას, ხოლო კოვზებად მაიმუნის კიდურების ძვლებს იყენებენ. მათთვის უცხოა მტრობის გრძნობა, არავითარი ომები მათ შორის არ ხდება. ერთ ადგილზე ცხოვრობენ 2-4 კვირას. შემდეგ მიდიან წყლისა და საკვების მოსაპოვებლად. ბა აკას ტომები ღრმად მორწმუნენი არიან, ყოველი მათგანი ატარებს საკუთარ ამულეტს.

58 წლის კორნელია ისე მიეჩვია ახალ მეგობრებს, რომ უჭირს ბოროტ და მებრძოლ ცივილიზაციაში დაბრუნება.

*მეგაპოლის-ექსპრესი №40*

# ეთიკური გაუგებრობა

მართებულია თუ არა, სიცოცხლეს გამოასალმო ერთი ადამიანი მეორის გადასარჩენად — დღევანდელ ბრიტანეთში ეს კითხვა ძალზე მტკივნეულად დაისვა და საკითხის გადაჭრამ მწვავე დებატების სახე მიიღო. მანჩესტერის ჰოსპიტალში დაიბადა სიამის ტყუპი — მერი და ჯუდი, რომლებსაც საერთო ხერხემალი და აორტა აქვთ. ექიმები აცხადებენ, რომ ჯუდის სისხლის მიმოქცევის სისტემა იმდენად დარღვეულია, რომ თუკი ტყუპის განცალკევება არ მოხდა, ორივე დაიღუპება. განცალკევების შემთხვევაში კი მერი გადარჩება. ექიმებმა მიმართეს სასამართლოს, რომელმაც აუცილებლად ცნო ქირურგიული ოპერაციის გაკეთება, მაგრამ ვერდიქტი ტყუპის მშობელთა ნების საწინააღმდეგოდაა გამოტანილი. როგორც კათოლიკური ეკლესიის მრევლის წევრები, ისინი კატეგორიულ უარს აცხადებენ ოპერაციაზე შემდეგი მოსაზრებით: „ყველას აქვს სიცოცხლის უფლება, რატომ უნდა მოვკლათ ჩვენი ერთი შვილი მეორის გადასარჩენად?“ მათ მხარს უმაგრებენ კათოლიკური ეკლესიის გავლენიანი წრეებიც. ექიმებმა უზენაეს სასამართლოს მიმართეს. საქმეში, მშობელთა მხრიდან, ინგლისის კათოლიკური ეკლესიის არქიეპისკოპოსიც ჩაება, თუმცა სასამართლო შეუვალი აღმოჩნდა. მათ მიერ გამოტანილი 130 გვერდიანი ვერდიქტი ტყუპის ქირურგიულ განცალკევებას მოითხოვს. ამან კი საზოგადოება ორად გახლიჩა. საქმე იქამდეც კი მივიდა (და ეს პრესისა თუ ტელევიზიის დამსახურებაა), რომ ამ საქმის განხილვა ბრიტანეთის ლორდთა პალატაში მოხდება. არავინ იცის, როგორ დასრულდება აზრთა და კანონთა ჭიდილი. საბოლოო გადაწყვეტილება არ ჩანს, ჯუდი და მერი კი მანჩესტერის ჰოსპიტალის ინკუბატორში წვანან და არ იციან, თუ რა ქარიშხალია ამტყდარი ბრიტანეთში მათ ირგვლივ.

*ნიუ ზუიქი*

# 5 ათასი დოლარი — ვინც შინაბერას ცოლად შეირთავს

არაბეთის საამიროს ხელისუფლება იმდენად შეშფოთებულია ქვეყანაში მშობიარობის შემცირებით და 30 წელს გადაცილებული გაუთხოვარი ქალების სიმრავლით, რომ გამოაცხადა: მამაკაცი, რომელიც ცოლად შეირთავს შინაბერას, დაჯილდოვდება 5 ათასი დოლარით, უფრო დიდ საჩუქარს ჰპირდებიან მას, ვინც დადებს ხელშეკრულებას, რომ არასოდეს აირჩევს მეუღლეს უცხოელთა შორის. მთავრობის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მსგავსი ღონისძიებები ხელს შეუწყობს იმას, რომ ქალმა დროულად გააჩინოს ბავშვები, არ დარჩეს შინაბერად 30 წლამდე. მთავრობა აპირებს მიიღოს სხვა ზომებიც, მაგალითად, დააჯილდოებს მამაკაცებს, რომლებიც იქორწინებენ ქვრივებსა ან ქმარს გაყრილ ქალებზე.

*მეგაპოლის-ექსპრესი №40*



# ჩინური რაფსოდია

ჩინეთში მწვავე დებატები მიმდინარეობს ქორწინების შესახებ კანონის შეცვლისა და დამატების შეტანის გამო. საკითხს მთელი ქვეყანა იხილავს: სოციოლოგები, იურისტები, ფსიქოლოგები და მილიონობით ცნობისმოყვარე. ყურადღების ცენტრშია ძალადობის ზრდა ოჯახში, ორგულობა, „ხარჭის ინსტიტუტის“ აღორძინება და მოხუცი მშობლების რჩენის საკითხი.

ჩვეულებრივ, ჩინურ ოჯახებში ერთად ცხოვრობენ: დედ-მამა, შვილი, რძალი, შვილიშვილები. პატივისცემა ეთიკური ნორმაა, რომელიც მრავალი ათასწლეულის მანძილზე აძლიერებს ჩინეთის საზოგადოებას. მაგრამ ბოლო დროს ხშირად გაიგონებთ უფროს-უმცროსი ძმების კამათს იმის თაობაზე, თუ ვინ უნდა მოუაროს მშობლებს.

ადგილობრივმა ხელისუფლებამ პრობლემა იურიდიული გზით გადაწყვიტა. დაიდო კონტრაქტი: უფროსმა ივალდებულა მშობლების კვება, ჩაცმა-დახურვა. უმცროსმა სხვა დანარჩენი პირობები უნდა შექმნას, რომ „სიცოცხლე გაუგრძელოს მშობლებს“. კონტრაქტის თანახმად, უფროსმა მშობლების დაკრძალვაზე მთელი თანხის ორი მესამედი უნდა გადაიხადოს. ერთი მესამედი კი — უმცროსმა. ასე შემოიჭრა კონტრაქტების მოდა ძველ ტრადიციულ ჩინეთში. როგორც ჩინეთის პარლამენტის იურიდიული კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, 270 მლნ ჩინური ოჯახიდან 100 ათასი ყოველწლიურად ინგრევა. ამ ბოლო დროს ყველაზე მწვავე პრობლემა მაინც ხარჭის ფენომენია. ჩინეთის სამხრეთ პროვინციაში ამბობენ, ის რა კაცია, ვისაც საყვარელი არა ჰყავსო. „ბაო ერნიუკი“ ნიშნავს მეორე ქალის ყოლას. ისე კი, მდიდარი ბიზნესმენები და პოლიტიკოსები 3-4 საყვარელს ინახავენ, დიდ პატივშიც ჰყავთ და ძვირფას საჩუქრებსაც უძღვნიან (სახლებს, მანქანებს).

ჩინეთის ცივილიზაცია მამაკაცზეა ორიენტირებული. იეროგლიფი „ნიუი“ — ქალი — მუხლმოდრეკილ არსებას წარმოადგენს. მეორე იეროგლიფის ელემენტი — „ფუ“ — გამოხატავს გათხოვილ ქალს — ცოცხს. ასე გამოიხატება უძველეს დამწერლობაში ქალის დაბალი საზოგადოებრივი სტატუსი. საქორწინო კონტრაქტის დარღვევა მხოლოდ მამაკაცს შეეძლო. ამისი მრავალი მიზეზი არსებობდა, ზედმეტი სექსუალური პრეტენზიები, ვაჟიშვილის უყოლობა, ორგულობა, ავადმყოფობა, ქურდობა და სხვ.

ქორწინების შესახებ კანონის მიხედვით (რომელიც 1950 წელს არის მიღებული), მისი ერთადერთი ფორმა მონოგამიაა. 1981 წელს მიღებული ახალი კანონის მიხედვით, ჩინეთის ისტორიაში პირველად მიეცა ქალს განქორწინების უფლება. განქორწინება შესაძლებელი გახდა ერთ-ერთი პარტნიორის პრეტენზიის საფუძველზე. დღეს ეს კანონიც მოძველდა. შეიქმნა ახალი აქტი, რომელსაც კანონის ძალა აქვს. იგი ავალდებულებს კაცის საყვარელს, დაუბრუნოს კანონიერ მეუღლეს ორგული ქმრის მიერ მიძღვნილი საჩუქრების მთელი თანხის ნახევარი (მანქანა, სახლი, აქციები). თუკი მოტყუებულ ცოლს საკმარისი სამხილი აქვს, პოლიცია მას ეხმარება. ძალიან ემოციურნი, ღალატისა თუ უკანონო ქორწინებისთვის, მკაცრ სასჯელს მოითხოვენ. საზოგადოდ კი, ჩინელებს ტრადიციულად არ უყვართ სასამართლოში სიარული — ეს დიდი სირცხვილია მათთვის. რა საჭიროა ფსიქოლოგიური ტრავმები, ცნობისმოყვარე მეზობლებთან თავის მართლება... ეს ჩირქს სცხებს მათ რეპუტაციასა და კარიერას.

*იზვესტია №188*

# დამშვიდობება სასაცილო გოგონასთან

როგორც ჩანს, ბარბრა სტრაიზანდის თაყვანისმცემლებს მისი სიმღერების მოსმენა — ტელევიზიითა თუ კომპაქტდისკებით მოუწევთ. 58 წლის სტრაიზანდმა განაცხადა, რომ თავის ორ, უკანასკნელ სოლოკონცერტს გამართავს ნიუ-იორკის „მედისონ სქვერ გარდენში“. მომღერალმა უარი თქვა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მიწვევაზე და საბოლოოდ გადაწყვიტა სცენიდან წასვლა. მართალია, ამის თაობაზე 1997 წელს განაცხადა, მაგრამ მაშინ ამას ისეთი რეზონანსი მოჰყვა, რომ სტრაიზანდი იძულებული გახდა, სცენიდან წასვლის ვადა გადაეწია. მომღერლის თქმით, მას სურს მეტი დრო დაუთმოს ქმარს, მსახიობ ჯეიმს ბროლინს. „მართალია, ჩემი საყვარელი ადგილიდან — სცენიდან მივდივარ, მაგრამ ბედნიერი ვარ, რომ მთლიანად ვუბრუნდები უფრო საყვარელ ადგილს — ოჯახს“ — თქვა ბარბრამ. მომღერალი ლეგენდა „სასაცილო გოგონას“ სახელით არის მსოფლიოში ცნობილი.

*ნიუ ზუიქი*



**თარაზულად**: 5. რეზიკო, ხვიჩია; 6. პრადო, კორიდა; 10. ნაღველი, ტიკი; 11. გათბობა, გარმონი; 12. ობობა, კომუნიკაცია; 15. ფარნავაზი, სოხუმი; 16. შუშა, ბოსტანი; 19. მეცხვარე, შლაპა; 20. რკინა, პოლუსი; 23. ხანძარი, სიგნალი; 24. ვულკანი, წყარო; 25. ფარდა, ხარიხა; 27. ტორეადორი, ცირკი; 28. წყალი, დენი; 32. ვენა, საცობი; 33. ჭინკა, ატამანი; 34. კბილი, ქვაბი; 38. არწივი, ბალეტი; 39. კედელი, ნახატი; 41. ლადოგი, სატელიტი; 42. ცხენი, ბოკვერი; 43. პელე, ყავა; 44. ბილეთი, კარები.

**შვეულად:** 1. მიწა, ნაჭერი; 2. შამპანური, კათხა; 3. ქირურგი, ალკოჰოლი; 4. მილედი, მუშკეტერი; 7. ილიკო, ცრემლი; 8. ალადინი, ყვავილი; 9. ჩანასახი, შტეფსელი; 13. აქლემი, კეფირი; 14. როკ-ენ-როლი, კარუზო; 17. ნოსტრადამუსი, ბულგარეთი; 18. ქეიფი, ბალაგანი; 21. ვენერა, საბერძნეთი; 22. გეორგიევსკი, ერეკლე; 26. ოლიმპიადა, კროსი; 27. გველი, სათვალე; 29. ძიუდო, ქულა; 30. ფოტოგრაფი, მონადირე; 31. შაქარი, ინსულინი; 35. თვალი, ნიგოზი; 36. სეიფგარდი, პალმოლივი; 37. ალიბი, ლუმელი; 40. როკფორი, სულგუნი.

**წინა კროსვორდის პასუხები**:

**თარაზულად**: 1. იალბუზი; 5. ვულკანი; 9. ანაფორა; 10. ბიზონი; 11. ბარათი; 12. კათხა; 15. კანტი; 17. იაგანი; 18. მიზანი; 19. ტოტი; 21. ალია; 23. მირონი; 25. მაწონი; 27. კოლიო; 29. რეიდი; 31. ოსკარი; 34. სიკოკუ; 35. ბაიკალი; 36. რეიბანი; 37. ალიკაპი.

**შვეულად**: 2. ლიმონი; 3. იენი; 4. ფაფანაკი; 5. ვერა; 6. აბორტი; 7. ლობიანი; 8. ეპიზოდი; 12. კრიტიკა; 13. სიმამრი; 14. აგარა; 16. კანოე; 20. ტილო; 22. ლუდი; 23. მოსკოვი; 24. კორსიკა; 26. ინდაური; 28. ბლანკი; 30. ნიკიტა; 32. ვალი; 33. ელვა.

## №41 (210) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგს 687 მკითხველი გამოეხმაურა. 5 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 298-მა ქალმა და 389 მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„როგორი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ ყველაზე მეტად?“**

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, მკითხველთა 37-ის საყვარელი გადაცემა საინფორმაციო პროგრამა ყოფილა. რესპონდენტთა მხოლოდ 2,18-მა დაუწერა მას მინიმალური — 1 ქულა და **6,94** საშუალო ქულით „საინფორმაციო“ პირველ ადგილზეა.

შემდეგ ადგილზე მუსიკალურ-გასართობი გადაცემებია, საშუალო ქულაა 5,89. მკითხველთა დაახლოებით 16-მა შეაფასა იგი მაქსიმალური — 9 ქულით; „ჟურნალისტური გამოძიებაც“ მკითხველმა საკმაოდ მაღალი რეიტინგული ქულით შეაფასა. უნდა აღინიშნოს, რომ ტელეგადაცემებმა, რომლებმაც საპრიზო ადგილები გაიყვეს, თითქმის ერთნაირი რაოდენობის მინიმალური ქულები დაიმსახურეს („მუსიკალურ-გასართობი“— 2,33, და „ჟურნალისტური გამოძიება“ — 2,18).

როგორც ჩანს, მკითხველთა ინტერესსა და მოწონებას შედარებით ნაკლებად იმსახურებენ: კრიმინალური ქრონიკები, ანალიტიკური გადაცემები და ტელესერიალები. მათ შორის ყველაზე ნაკლებად კი — სერიალები; რესპონდენტთა 39-მა დაუწერა მას მინიმალური — 1 ქულა, მაქსიმალურით კი, იგი მკითხველთა დაახლოებით 5-მა შეაფასა.

აღსანიშნავია, რომ ყველაზე ცოტა მაქსიმალური ქულა (2,04) წილად ხვდა „კრიმინალურ ქრონიკებს“.

საინტერესოა, რომ ნებისმიერი ასაკისა და სქესის მკითხველთა მოწონებას პირველ რიგში საინფორმაციო გადაცემები იმსახურებს. 30 წლამდე ასკის რესპონდენტები კი საინფორმაციოს შემდეგ უპირატესობას ტელევიქტორინებს ანიჭებენ და მუსიკალურ-გასართობ პროგრამებს სპორტული და იუმორისტული გადაცემები ურჩევნიათ. მათთან ბოლო ადგილზე სერიალების ნაცვლად ანალიტიკური გადაცემებია.

ქალებს ტელევიქტორინები ურჩევნიათ იუმორისტულ გადაცემებს. მათთან, ასევე ადგილები აქვთ გაცვლილი სპორტულ გადაცემებსა და კრიმინალურ ქრონიკებს, ქალები ამ უკანასკნელს ანიჭებენ უპირატესობას.

მამაკაცებთან კი პირველი სამეული ასეთია: 1. საინფორმაციო; 2. ჟურნალისტური გამოძიება; 3. სპორტული გადაცემები.




საპრიზოს ზუსტად არც ერთი ბარათი-რეიტინგი არ დაემთხვა. არც მიახლოებული ვარიანტი არ აღმოჩნდა. ეს კი იმას ნიშნავს რომ ჯეკ-პოტია და მომავალი რეიტინგის საპრიზო ფონდი **200** ლარს შეადგენს.

წარმატებებს გისურვებთ!

## №42 (211) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

**„კვირის პალიტრა“** თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

~~100~~ **200 ლარი**

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება **„კვირის პალიტრის“** მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ *მკითხველის რეიტინგში.*

**№42 (211) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში ჩააგდეთ ოთხშაბათის, 18 ოქტომბრის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 19 ოქტომბრის 13 საათამდე.**

© თბილისი, 1997

თემა №42 (211) —
თანაგრძნობა

**ვინ იმყოფება დღეს ყველაზე მძიმე მდგომარეობაში (ვის თანაუგრძნობთ ყველაზე მეტად)** (ჩამოთვლილთაგან)**?** დაუწერეთ მას **9** ქულა, მომდევნოს — 8 და ა.შ. 1-მდე.

**№42(211) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | პიროვნება | ქულა |
|---|---|---|
| 1 | ბორის კაკუბავა | |
| 2 | გურამ აბსანძე | |
| 3 | ლოთი ქობალია | |
| 4 | ფრიდონ ინჯია | |
| 5 | იგორ გიორგაძე | |
| 6 | რევაზ ჟღენტი | |
| 7 | ნოდარ ჯავახიშვილი | |
| 8 | გივი ყვარელაშვილი | |
| 9 | ჯონი ხეცურიანი | |

*მკითხველის რეიტინგი* *

**თქვენი აზრით, ვინ არის ყველაზე ღარიბი პოლიტიკოსი საქართველოში?**

✓ ____________________

თქვენი სახელი, გვარი ____________________

ქალაქი (რაიონი) ____________________

ასაკი __________ ტელეფონი __________

**„კვირის პალიტრის“ ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს**

## *მკითხველის რეიტინგის შედეგები*

მკითხველის რეიტინგში 615-მა რესპონდენტმა მიიღო მონაწილეობა. მათ უნდა დაესახელებინათ **ყველაზე მდიდარი ადამიანი საქართველოში.**

მკითხველთა 6,5-ს გაუჭირდა კითხვაზე პასუხის გაცემა.

ჩვენი მკითხველების აზრით, საქართველოში უმდიდრეს ადმიანთა ხუთეული ასე უნდა გამოიყურებოდეს:

| | | |
|---|---|---|
| 1. | **ედუარდ შევარდნაძე** | **48,6%** |
| 2. | **ნიკო ლეკიშვილი** | **10,7%** |
| 3-4. | **ნუგზარ შევარდნაძე** | **6,0%** |
| 3-4. | **გოგი თოფაძე** | **6,0%** |
| 5. | **ასლან აბაშიძე** | **4,2%** |

შეგახსენებთ, რომ **1998 წლის** გამოკითხვა-რეიტინგში ყველაზე მდიდარ ადამიანებად დასახელდნენ:

| | | |
|---|---|---|
| 1. | **გოგი თოფაძე** | **19%** |
| 2. | **ნუგზარ შევარდნაძე** | **15%** |
| 3. | **ედუარდ შევარდნაძე** | **11%** |
| 4. | **მიხეილ ჭკუასელი** | **9%** |
| 5. | **ნიკო ლეკიშვილი** | **6%** |

როგორც ვხედავთ, ასლან აბაშიძე შარშანწინდელ ხუთეულში არ შესულა, წელს კი ხუთეულს გარეთ მაშინდელი ფინანსთა მინისტრი დარჩა. პრეზიდენტი 1998 წელს 11-მა მიიჩნია ყველაზე მდიდარ ადამიანად და ხუთეულში მესამე ადგილზე იყო, ახლა კი 48,6 ასახელებს მას უმდიდრესად. ნიკო ლეკიშვილმა მეხუთე ადგილიდან მეორეზე გადმოინაცვლა... 1998 წლის უმდიდრესი ადამიანი ახლა პრეზიდენტმა და ლეკიშვილმა მოიტოვეს უკან.

აღსანიშნავია, რომ რამდენჯერმე დასახელდნენ თემურ ჭყონია, ლევან გაჩეჩილაძე, დავით გამყრელიძე და სხვა ბიზნესმენები, მაგრამ ისინი უმდიდრესთა ხუთეულში ვერ მოხვდნენ, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ქართველისათვის უმდიდრეს ადამიანებში პოლიტიკოსები უფრო მოიაზრებიან, ვიდრე თუნდაც წარმატებული ბიზნესმენები. ანუ — საქართველოში პოლიტიკა ბიზნესზე უფრო სარფიანია.

## © · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა ·

***გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოებს. გთხოვთ, პასუხები გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყველაზე ორიგინალური პასუხები გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.***

**რას დაარქმევდით?**

____________________

____________________

____________________

____________________

____________________

თქვენი სახელი, გვარი ____________________

ქალაქი (რაიონი) ____________________



ავთანდილ ჟორბენაძე, კახა თარგამაძე



მიხეილ სააკაშვილი, გიგა ბოკერია

***წინა ნომერში გამოქვეყნებულ „ფოტოპალიტრას“ 129 მკითხველი გამოეხმაურა, მადლობას ვუხდით მათ. ვაქვეყნებთ რამდენიმე ორიგინალურ პასუხს.***

**გ.ბ.** — ჩემო მიშა, გამოცდები
ჩაუტარე მალე მღვდლებსაც,
მკალავიშვილი გაპარსე,
მოაცილე თავის მრევლსა,
იელოვას მოწმეები
შეგწირავენ ურიცხვ მსხვერპლსა.

***ნინო მარჯანიძე, თბილისი***

ახალი ქართველები ვართ,
მწყრალად ვართ გვარზე, სახელზე,
ვისი „გორისა“ გახლავართ,
ამას შეგვატყობთ სახეზე.

***ნ. ცხოვრებაშვილი, თბილისი***

**გ.ბ.** — შენზე ამბობენ, შენი რეფორმების ყველა იდეა თითქოს ჯაბასაგან მოგეპაროს.

**მ.ს.** — მერედა რა მოხდა, ქურდის ქურდი ცხონდაო, ხომ გაგიგონია.

***რევაზ რაზმაძე, თბილისი***

„Веселые ребята“

***ლ. სოსელია, თბილისი***

**გ.ბ.** — ძმაო მიშიკო, გილოცავ გამინისტრებას, შენ კიდევ წინ წახვალ, მე კი დამისიეს თავ-პირი, ამდენი რტყმევით.

**მ.ს.** — თუ გინდა მეორედ მოხვიდე, უნდა აიტანო.

***გოჩა მაჭარაშვილი, რუსთავი***

ბოლოკა და ბეთჰოვენა
***(კ/ფ „ღიმილის ბიჭები“)***

***სანდრო ხუნწარია, თბილისი***

რეკლამა — ფაიფურის კბილები ერთ დღეში!

გიწვევთ თამაზ მარგველანის კლინიკა. მისამართი: ყოფილი „ლეჩკომბინატის“ შენობა.

***ირაკლი და გიორგი, თბილისი***

**მ.ს.** — გიგა, აი მინისტრობასთან ერთად ეს ვარდისფერი სათვალეც მერგო. ახლა არც კორუფცია ჩანს ისეთი მასშტაბური და არც ის მეტყევე მეფარიძე ისეთი საძაგელი, თარგამაძემ მისახსოვრა.

**გ.ბ.** — მეც არა ვთქვი, ეს თარგამაძე რავა სულ კაი ხასიათზეა-მეთქი?!

***ზაზა კომლაძე, თბილისი***

ახალი მიწისქვეშა სადგურების — „შავნაბადა“-„რესბალნიცას“ საზეიმო გახსნის ცერემონიალზე.

შემდეგი სადგური „თავდაცვის სამინისტრო“ — უშიშროების გავლით.

***ტრისტანი, ჭიათურა***

**მ.ს.** — ნუ გეშინია ჩემო გიგა, გათხარე გვირაბი და შენც გააქციე იელოველები საქართველოდან — დაგაწინაურებენ, აუცილებლად!

***დავით კიკვაძე, თბილისი***

კადრი ფილმიდან „ჩლუნგი და ჩლუნგზე ჩლუნგი“.

***მერი იასაშვილი, თბილისი***

## ფოტო განწყობისათვის



— ძალიან ფილოსოფიურ განწყობაზე ვარ...




## წინა სკანვორდის პასუხები



## წამალი „სალხინო" — მართლაც ქართული ფლორის საოცრება

თუ გსურთ განიკურნოთ პროსტატიტის, ცისტიტის, ქალური დაავადების და სხვა შარდსასქესო ორგანოების დაავადებებისაგან, როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი, გამონადენი, ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმლების არეში, სათესლე ჯირკვლებში, შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, სქესობრივი კავშირის დროს თესლის ნაადრევი გამოყოფა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია, მიიღეთ წამალი „სალხინო" და მოგიხსნით ამ პრობლემებს. „სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

„სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტი, გასტრიტი, ნეფრიტი, გინგივიტი, სტომატიტი, ბრონქიტი და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. „სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი „სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს — მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ „სალხინოს" სამკურნალო და პროფილაქტიკური თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანის და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ და რეგისტრირებულია, მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია. იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

**ჩვენი მისამართია: დავით აღმაშენებლის 115, პოლიციის ეზოში, ფირმა „სალხინო"**

„კვირის პალიტრის" **უფასო განცხადების ქვითრით** შემოსული განცხადებები გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის" დამატებაში — გაზეთში **„სიტყვა და საქმე"** (აქ განთავსებული განცხადება „კვირის პალიტრაზე" არანაკლებ ეფექტიანია). **„კვირის პალიტრაში"** კი, ქვეყნდება მხოლოდ **ფასიანი განცხადების ქვითრით** შემოსული განცხადებები, რომლებიც იყიდება საგაზეთო ჯიხურებში (ფასი 4 ლარი — 20 სიტყვა).

*„უფასო განცხადების ქვითარი" ჩააგდეთ „კვირის პალიტრისა" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთებში. **ყუთები ი...ება თბილისში ხუთშაბათობით 13 სთ-დან**. მათი განთავსების ადგილებია - თბილისში: მეტრო... ...ის ყველა სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე; დოლიძის ქუჩის კუთხეში; საბურთალოს ბაზრის ...ელთან; ორთაჭალაში - გორგასლის ქუჩაზე (ციხესთან) და ავტოვაგზალთან; მოსკოვის გამზირის ... ჩოლოყაშვილის (5 დეკემბრის) ქუჩის ბოლოში; დიდუბის ავტოსადგურთან; დიდ დიღომში:იოანე ... ქ. 3 - სურსათის მაღაზიის წინ, მე-3 მ/რ-ნი, მე-15 კორპ. წინ - ავტობუსების გაჩერებასთან; დავით ... ლისა და თამარ მეფის გამზ. გადაკვეთაზე, ბანკის წინ, ავტობუსის გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლის ...ამზ. ...სკომედიის წინ, გაჩერებასთან; ჩიქობავას (საბჭოს) მოედანზე; ზაარბრიუკენის (ვორონცოვის) მოედ... ...ადევში კ.თ „საქართველოსთან", წერეთლის გამზ. გამოფენის წინ, გაჩერებასთან, „თელასთან" და სტ... ...; დიდუბეში, „სამთო ქიმიის" გაჩერებასთან; დიღომში - მეგობრობის გამზ. მილიციასთან, უნივერ... ...მდებარე გაჩერებასთან; მანქანების ბაზრობის ორივე შესასვლელთან; ვაკეში - კავსაძის ქუჩაზე; ჭა... 46 და უნივერსიტეტის I კ.-თან; რუსთაველის 34; ბაგებში - გაჩერებასთან; გამსახურდიას გამზ. ...ელას დასაწყისში; ქავთარაძის ქუჩაზე - იზოტოპების ინსტიტუტთან, ბოლო (უნივერსიტეტის) გაჩ... ...ნ; ნუცუბიძის ქუჩაზე: II მკრ-ის ასახვევთან და „საქართველოს ბანკთან".*

***ქალაქებში და ...ში:*** *მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური; სურამი; ზესტაფონი; ქუ... წყალტუბო, სამტრედია, თერჯოლა, ხონი; აბაშა, სენაკი, ზუგდიდი, ფოთ... ...ულეთი, ბათუმი; ოზურგეთი, ლანჩხუთი; რუსთავი, საგარეჯო, წნორი, სი... ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი; ბორჯომი, ახალციხე; დუშეთი, ჟინვალი; ...**„სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები იცლება ოთხშაბათობით 10 საათიდან.** ...ა და ახმეტაში **ყუთები დაიცლება ყოველი თვის I და III კვირის ოთხშაბა... 10 სთ.-დან.***

**ყურადღ...ა: „კვირის პალიტრის" (გაზეთის) საფოსტო (საკორეს...ნდ...ნტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია ...კა...ონით.©**

**(42) უფასო განცხადების ქვითარი**

განცხადების ტექსტი ____________________

სიტყვა და საქმე

***გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით) გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება***

№42 ქვითარი „კვირის პალიტრის" ყუთებში ჩააგდეთ 19 ოქტომბრის (ხუთშაბათი), 13.00 სთ-მდე.




## გინდ დაიჯერეთ, გინდ არა

ერთმა ხუმარამ ნიუ-იორკის გაზეთში დაბეჭდა განცხადება: „ვყიდი ძველ რადიომიმღებს, რომელიც ეკუთვნოდა პირადად ქრისტეფორე კოლუმბს, ვარ მისი შთამომავალი, რაც დამტკიცებულია საბუთით".

28 კაცმა გამოთქვა ამ „ისტორიული საგნის" შეძენის სურვილი.

* * *

ჰელსინკის ერთ-ერთ რაიონში გამოიცა შემდეგი დადგენილება: „მეხანძრეებს ეძლევათ უფლება გამოიყენონ ალკოჰოლური სასმელი, მხოლოდ არა დიდი რაოდენობით, ისიც მხოლოდ ორი საათით ადრე ხანძრის დაწყებამდე".



ცოლი ეკითხება ქმარს:

— იყავი ექიმთან?

— კი, გუშინ.

— გიპოვა რამე?

— კი... ხელფასი მქონდა ახალი აღებული.



— ექიმო, რაღაც ამ ბოლო დროს ძალიან ადვილად ვღიზიანდები...

— რა ბრძანეთ?

— ჰა ახლა!!! ნერვები არ ამიშალო...

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

**რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.**

**მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი**

**მთ. რედაქტორის მოადგილეები: ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი. სარედაქციო კოლეგია.**

მის: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ **რედაქცია:** 33-39-54
**რეკლამა:** 98-74-44

palitra@access.sanet.ge
palitra@geo.net.ge

**სარეგისტრაციო ნომერი 1518**

**„კვირის პალიტრა" გამოდის ორშაბათობით**

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში".